

მაცვალა მიქელაძე

ინტერფერენტული პროცესები
წოვათუშურ ენაში
ბილინგვიზმის საფეხურებთან
მიმართებით

გამომცემლობა „საარი“
თბილისი 2021



ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

სამეცნიერო პროექტი „საფრთხეში მყოფი ენები და მათი დოკუმენტირების სასიცოცხლო მნიშვნელობა (წოვათუშური ენის მაგალითზე, IV ნაწილი)“ (გრანტი №FR-18-11950) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘Endangered Languages and Vital Meaning of Their Documentation (According to the Tsovatush Language, part IV)’ (Grant #FR-18-11950) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

რედაქტორები: არსენ ბერთლანი, მზია გიგაშვილი

რეცენზენტი: ქეთევან გიგაშვილი

© მაყვალა მიქელაძე

© ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ყველა უფლება დაცულია.

**მონოგრაფია იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით**



გამომცემლობა „საარი“, 2021

თბილისი, თევდორე ძეგლის N57

E-mail: saari.ltd@gmail.com

ISBN 978-9941-493-01-0

შისავალი

ინტერფერენცია ანუ ენობრივი გავლენა სხვა რომელიმე ენის ფონოლოგიური და ლექსიკურ-გრამატიკული მოდელების შეღწევა-გავრცელებაა მეორე ენაში. იგი მძლავრი გარდამქმნელი ფაქტორია და ხანგრძლივი მოქმედების დროს შეუძლია მნიშვნელოვან შედეგებად მიგვიყვანოს. აღნიშნულ პროცესებს ენათა გაჩენასთან ედება სათავე და ისეთივე ძველია ხნოვანებით, როგორც თვით ენები. ენობრივ გავლენას ენათა კონტაქტი განაპირობებს, რომელიც არსებული სოციალურ-პოლიტიკური პირობების ცვლასთან დაკავშირებით გარკვეულ საფეხურზე შეიძლება შეწყდეს მთლიანად, ან პირიქით – გაგრძელდეს ბოლომდე. **სწორედ მის ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე დამოკიდებული გავლენის სიღრმე და მასშტაბები.**

ენობრივი კონტაქტი და სათანადოდ გავლენაც ბილინგვიზმის, ანუ ორენოვნების გზით ხორციელდება. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა სამეტყველო აზროვნება არის ის ასპარეზი, სადაც სათავეს იღებს ინტერფერენტული პროცესები. ცხადია, ნებისმიერი ორი ენის მცოდნე არაა ორენოვანი, ანუ ბილინგვი. ამ მოვლენასთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, როცა ორივე ენას ერთდროულად, ანუ პარალელურად იყენებენ ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებად (ნიკოლსკი, 1976-89). ამ დროს გარკვეულ სიტუაციებში მშობლიური ენა დომინირებს, გარკვეულ სიტუაციებში კი – ე.წ. უცხო ენა.

ენას, რომელიც ზეგავლენას ახდენს მეორე ენაზე, „წყაროენას“ (S) უწოდებენ, იმ ენას კი, რომელიც გავლენის ობიექტია, „მესესებელი ენა“ (C) ჰქვია.¹ ტერმინი „სესხება“ ერთგვარად პრობითია ინტერფერენტულ პროცესებთან დაკავშირებით. მისი გამოყენება გამართლებულია მანამ, სანამ იგი გულისხმობს C ენის ლექსიკურსა თუ გრამატიკულ სისტემებში არსებული ცარიელი ადგილების, ანუ „თეთრი ლაქების“ შევსებას წყარო ენის მასალით, მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ ენობრივი გავლენა ამით არ იზღუდება და სათანადო პირობებში S ენის სიტყვები თუ გრამატიკული ფორმები ხმარებიდან დევნიან ე. წ. მესესებელი ენის საკუთარ სიტყვებსა თუ გრამატიკულ ფორმებს. ურთიერთობის ამ საფეხურზე უკვე აღნიშნული ტერმინები წმინდა პირობით შინაარსს იძენს.

1. ზოგად ენათმეცნიერებაში C სიმბოლოთი აღნიშნავენ მესესებელ ენას, S-ით კი – წყარო ენას.

ინტერფერენცია კანონზომიერი პროცესია, რომელსაც თავისი პარამეტრები აქვს. მას ახასიათებენ გავლენის მიმართულების, უცხო ენობრივ ელემენტთა შედარებადობის სიღრმისა და მათივე გაგრძელების მასშტაბების, ანუ განუვნილობის მიხედვით.

მიმართულების მიხედვით არჩევენ ცალმხრივსა და საურთიერთო გავლენას. ცალმხრივაა ეს პროცესი მიმართული, როცა კონტაქტში მყოფი ორი ენიდან ერთი მუდმივად წყაროა გავლენისა, მეორე კი ასევე მუდმივად – ობიექტი. საურთიერთოა გავლენა, ანუ ორმხრივ არის იგივე პროცესი მიმართული, როცა ერთი და იგივე ენა ერთდროულად მსესხებელიცაა და წყაროც, ცხადია, იმ პირობით, რომ, როცა ის მსესხებელია, მეორე არის წყარო და პირიქით. ინტერფერენციის აღნიშნულ სახეებს შორის პრინციპული სხვაობა არა გვაქვს, რადგან საურთიერთო გავლენა სხვა არაფერია, თუ არა ცალმხრივი გავლენის კანონზომიერებათა პარალელური გაგრძელება ორ ენობრივ კოლექტივში.

ინტერფერენტულ პროცესთა მიმართულებას უშუალოდ ორენოვნების ხასიათი განსაზღვრავს. კონტაქტში მყოფი ორი ენობრივი კოლექტივიდან გარემო პირობების გავლენით ბილინგვი შეიძლება გახდეს ორივე, ან მხოლოდ ერთი. როცა ორივე კოლექტივი ბილინგვია, მოსალოდნელია ორმხრივ მიმართული, ანუ საურთიერთო გავლენა ენებისა. მაშინ კი, როცა ორენოვანია მხოლოდ ერთი კოლექტივი, ენობრივი გავლენა ერთი მიმართულებით ხორციელდება.

როცა ინტერფერენტულ პროცესთა მიმართულებას ვინილავთ, ჩვეულებრივ, მხედველობაში გვაქვს ის ცვლილებები, რაც უცხო ენის კარგი ცოდნისა და ხშირი გამოყენების გამო ბილინგვებს თვითონ შეაქვთ მშობლიურ ენაში. სხვანაირად ამას შეგნიდან შეტანილ ცვლილებებსაც უწოდებენ. ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ, სანამ სრულყოფილად დაეუფლებიან უცხო ენას, ბილინგვებს საკუთარი ენის კანონზომიერებები შეაქვთ მასში. ეს უკვე გარედან შეტანილი ცვლილებებია. ასე რომ, გარკვეული მოსაზრებით, ყოველი ორენოვნება ორმხრივ მიმართულ ინტერფერენტულ პროცესთა ჯამად წარმოგვიდგება. მიუხედავად ამისა, ცალმხრივ გავლენაზე ვსაუბრობთ და ბილინგვთა მიერ უცხო ენაში შეტანილ ცვლილებებს მხედველობიდან ვტოვებთ რამდენიმე მიზეზით: 1. ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული გავლენის აღნიშნული პროცესები დიაქრონიულად მიმდინარეობს; 2. ცვლილებები S ენაში ლოკალიზებულია C ენის ბილინგვთა მეტყვე-

ლებით და ფართო გავრცელებას ვერ ჰოულობს; მ. როგორც კი C ენის კოლექტივში სათანადო დონეს მიაღწევს S ენის ცოდნა, ხდება მასში უკვე შეტანილ ცვლილებათა „გადასწორება“ თვით ბილინგვთა მიერვე.

უფრო რთულია ვითარება, როცა ვიხილავთ ბილინგვთა მიერ საკუთარ ენაში შეტანილ ცვლილებებს. მკვლევარნი სხვადასხვა აზრისანი არიან იმის შესახებ, თუ ენობრივი იერარქიის რომელ დონეს შეიძლება მიაღწიოს შეგნადან შეტანილმა ცვლილებებმა. ზოგიერთის მიხედვით, უცხო ენობრივმა გავლენამ შეიძლება მოიცვას მხოლოდ ლექსიკური და ფონოლოგიური დონეები ენისა; სხვათა აზრით ეს შეეხება მორფოლოგია-სინტაქსსაც. აკად. ი. დეშერიევის დაკვირვებით კი, „არ არსებობს ენობრივი სტრუქტურის ისეთი დონე, რომელიც კოლექტიური ორენოვნების დროს შეუღწეველი შეიძლება დარჩეს ენობრივი გავლენისათვის“ [დეშერიევი, 1966-112]. დღემდე სადავოა აგრეთვე ინტერფერენტულ პროცესთა შეღწევალობის სიღრმის საკითხიც.

უცხო ენის გავლენით გამოწვეულ ცვლილებათა სიღრმეს და მასშტაბებს განსაზღვრავს საკმაოდ გრძელი რივი ფაქტორებისა, როგორცაა: ორენოვნების ხასიათი; ორენოვნების დონე; C და S ენათა სტრუქტურების ურთიერთმიმართება მსგავსების თვალსაზრისით; ტერიტორია; ორენოვნების ხანგრძლივობა; დამწერლობის ფაქტორი; C და S ენათა მატარებელი კოლექტივების კულტურული დონეების ურთიერთმიმართება; საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესტიჟი; კოლექტივთა რიცხოვნობი თანათვარდობა და ურთიერთგანწყობა; შერეული ოჯახების რაოდენობა. **თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ყველა დასახლებულ ფაქტორს ქვესახეებისა თუ გარდამავალი საფენურების უსასრულო წყება გააჩნია, ცხადი გახდება მათი სხვადასხვაგვარი თანათვარდობის ამოუწურავი შესაძლებლობანი.**

თითოეული დასახლებული ფაქტორი თავისთავადი ღირებულებებისა და შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანოს ორენოვან სიტუაციებში. მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინცა გვაქვს განსხვავება გავლენის შედეგებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამ მხრივ ყველაზე დიდ როლს ორენოვნების ხასიათს ანიჭებენ, რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ან კოლექტიური. პირველი გვაქვს მაშინ, როცა უცხო ენას ფლობს C ენაზე მოსაუბრეთა მცირე ნაწილი, მეორე კი მაშინ, როცა უცხო ენა იცის აღნიშნული საზოგადოების უმრავლესობამ. გავლენის შედეგებზე იმდენად დიდ ზემოქმედებას ახდენს

კოლექტიური ხასიათი ორენოვნებისა, რომ ზოგი მკვლევარის აზრით, ინდივიდუალური ორენოვნება არც კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებითი ფაქტორი ინტერფერენტული ინოვაციებისა. „ტერმინი ორენოვნება უნდა მიუთითებოდეს მხოლოდ კოლექტიურ ორენოვნებას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სრული, ანუ საყოველთაო და ნაწილობრივი,“ – წერს ბ. გაფრანკი [გაფრანკი, 1972–96].

ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორენოვნების ხასიათთან ერთად ორენოვნების დონეს ენიჭება. ეს ფაქტორი C ენის მკვიდრთა მიერ უცხო ენის ცოდნის დონეს გულისხმობს და მასზეა უმთავრესად დამოკიდებული ინტერფერენტული პროცესების სიღრმე და ზედპროდუქცია. საგულისხმოა, რომ ორენოვნების დონეთა განხილვა გარდამავალი საფეხურების უსასრულო წყებას გვიჩვენებს ერთი უკიდურესი წერტილიდან, რომელსაც უცხო ენის სუსტ ცოდნას ვუწოდებთ, მეორე უკიდურესი წერტილამდე, რომელსაც იმავე ენის კარგი, საფუძვლიანი ცოდნა ჰქვია.

კონტაქტის ისეთი დონე, როდესაც ბილინგვი თანაბრად ფლობს ორივე ენას და თავისუფლად გადაერთვება ერთი კოდიდან მეორეზე, იდეალური ბილინგვიზმის სახელით არის ცნობილი [ვანინაიზი, 1972–86].

ცხადია, აქ ტერმინი „იდეალური“ დაცლილია სოციალური შინაარსისაგან და წმინდა ენათმეცნიერული დატვირთვით გამოიყენება: აღნიშნავს ბილინგვიზმის ხასიათს ინტერფერენტულ პროცესებთან მიმართებაში.

მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ კონტაქტში მყოფ ენობრივ კოლექტივთა კულტურული დონეების ურთიერთმიმართების როლს. ეს ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლია მკვეთრი წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო ენობრივ გავლენას მაშინაც კი, როცა ყველა სხვა ფაქტორი ორენოვან სიტუაციას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წარმართავს; ან პირიქით, ის შეიძლება განდეს რომელიმე ენის უცხო კოლექტივში გავრცელების მიზეზი (მეიე, 1954–23).

ცნობილია ის მნიშვნელობა, რაც კონტაქტში მყოფ ენათა სტრუქტურების ურთიერთმიმართებას ეძლევა მოცემული თვალსაზრისით. ეს სტრუქტურები შეიძლება მსგავსი იყოს, ან განსხვავებული. ამასთან, მრავალფეროვანი იქნება თვით საფეხურები მსგავსებისა თუ განსხვავებისა. ივარაუდება, რომ მსგავს ერთეულებს შორის ნაკლები დაბრკოლებით წარმართება ენობრივი გავლენის პროცესი, რადგან,

როგორც ბ. ჯორბენაძე წერს: „მონათესავე ენა გაცილებით უფრო შედევნავდა, ვინემ ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს მდგომი ენა“ [ჯორბენაძე, 1989-73].

ბუნებრივია, სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენის მიმართულებასა და შედეგებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს C და S ენათა კოლექტივების რიცხობრივი თანათარღობა. ამ მხრივ, რაც მეტი იქნება დისპროპორცია წყარო ენის სასარგებლოდ, მით უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ცალმხრივი გავლენისათვის.

ცალმხრივი კოლექტიური ორენოვნების დროს მსესხებელი ენისათვის დამლუბველი შედეგები მოაქვს ე.წ. შერეულ ოჯახებს. სამართლიანად წერს ვ. ბერტოლდი, რომ „ისინი ხელს უწყობენ უცხო ენის გავლენის გაძლიერებას და საგრძნობლად აჩქარებენ ინტერფერენციის პროცესს“ [ბერტოლდი, 1972-126]. ყველა სხვა ფაქტორისგან განსხვავებით, რომლებიც აგრეთვე ცალმხრივ წარმართავენ ორენოვნებას, ასეთი ოჯახების რიცხობრივი ზრდა კატასტროფული სიჩქარით აახლოვებს C ენის კოლექტივის გადართვას წყარო ენაზე. ამ დროს მოსალოდნელი შედეგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შერეული ოჯახების პროცენტულ თანათარღობას ე. წ. წმინდა, შეურეველი ოჯახების საერთო რაოდენობასთან.

უცხო ენობრივი კოლექტივის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესტიჟი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ გავლენას ახდენს ორენოვნების მიმართულებასა და შედეგებზე. იმავე ინტერფერენტული პროცესებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს ქმნის კოლექტივებს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება; გავლენის ინტენსიურობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრეთვე საერთო ტერიტორია; აუცილებლად გასათვალისწინებელია დამწერლობის ფაქტორიც. ყოველივეს ერთად კი დროის ფაქტორი არეგულირებს, რადგან „ორენოვან სიტუაციას განსაზღვრავს არა მარტო სინქრონიული ფაქტორები ენათა ურთიერთობისა, არამედ მათი მოქმედების ხანგრძლივობაც“, - სამართლიანად წერს ვ. მიხალჩენკო [მიხალჩენკო, 1976-55].

როგორც აღვნიშნეთ, ჩამოთვლილ ფაქტორთა უსაზღვროდ ბეჭრი კომბინაციაა შესაძლებელი და ენობრივი ურთიერთობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია თავისი ხასიათითა და შედეგებით. ორენოვან სიტუაციათა განსხვავებულობის ხარისხი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რომელი ფაქტორი იცვლება და როგორ:

ზოგიერთის შეცვლამ შეიძლება ათასწლობით დაახქაროს, ან შეანე-
ლოს ენობრივი გავლენის პროცესი, შეაჩეროს, ან შეაბრუნოს იგი, რიგი
ფაქტორების შეცვლა კი შედარებით ნაკლებად იმოქმედებს მასზე.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ ორენოვან სიტუაციათა დამა-
ხასიათებელი ფაქტორებისა და მათი შესაძლო ქვესახეების საკმაოდ
გრძელი სია, სადავო აღარ უნდა იყოს აზრი იმის შესახებ, რომ **ყოველი
ორენოვანი სიტუაცია უნიკალურია თავისი ბუნებით და აბსოლუტუ-
რი დამთხვევა აქ საერთოდ გამორიცხულია**. მიუხედავად ამისა, ორე-
ნოვანების თითოეული შემთხვევა ავლენს ინტერფერენტულ პროცესთა
უნივერსალურ კანონზომიერებებს და საინტერესოა ზოგადი ლინგვის-
ტიკის თვალსაზრისით, რაც, ცხადია, თვითონ ენათა სტრუქტურების
სისტემური ხასიათითაა შეპირობებული.

წოვათუშურ-ქართული ორენოვანი სიტუაცია განსაკუთრებული
ინტერესის საგანს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ
შემთხვევაში გვაქვს ინტერფერენტულ პროცესთა გამომწვევი ფაქ-
ტორების ისეთი ხელსაყრელი ერთობლიობა, რომელიც ოპტიმალურ
პირობებს ქმნის ცალმხრივი, ღრმად გამჭოლი და შეუქცევადი გა-
ვლენისათვის. **ამ პატარა რეგიონში თითქოს თვითონ განგებას შეუ-
ქმნია განსაკუთრებულად მორგებული სიტუაცია, სადაც ყველაფერი
მსესხებელ ენაში წყარო ენის კანონზომიერებათა შედწევის საერთო
მიზანს ემსახურება**.

ქვემოთ ჩვენ თანამიმდევრულად და გამოწვლილვით განვიხილავთ
წოვათუშურ-ქართული ორენოვანების განმსაზღვრელ ფაქტორებს და მათი
ზემოქმედების შედეგებს ორენოვანების საფენურებთან მიმართებით.

წოვათუშური და ქართული ენების ურთიერთობის სახით საქმე
გვაქვს მკვეთრად ჩამოყალიბებულ ცალმხრივ გავლენასთან: ქართუ-
ლი ინტერფერენციის წყაროა, წოვათუშური კი - ინტერფერენციის
ობიექტი. აქ ორენოვანებამ იდეალური ბილინგვიზმის სახე მიიღო, უფრო
მეტოც: ბევრმა წოვათუშმა დღეს ქართული უკეთ იცის, ვიდრე შმო-
ბლიური ენა.

აღნიშნული ორენოვანი სიტუაციის დახასიათებისას საგანგებო
ყურადღებას იქცევს წოვათუშებსა და ქართულენოვან მოსახლეო-
ბას შორის არსებული განსაკუთრებული მეგობრული დამოკიდებუ-
ლება. მიუხედავად ენობრივი სხვადასხვაობისა, წოვათუშებს სწამთ
საქართველო, როგორც ერთადერთი სამშობლო და თავსაც მუდამ

ქართველებში და ქართველებით მოიხსენიებენ. საერთო ტერიტორიაზე ქართველებთან მრავალსაუკუნოვანმა შეთანხმებულმა თანაცხოვრებამ, საერთო რელიგიამ და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში ამ მცარეობის ცხოვრება ხალხის მიერ შეტანილმა გმირულმა წვლილმა საქართველოს სახით ზიარი და განუყოფელი სამშობლოს სათაყვანო ხატი შეუქმნა მათ. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მოცემულ რეგიონში ენობრივი ასიმილაციის ნებაყოფლობითი ხასიათი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული და წოვათუშური ენები ერთი და იმავე ოჯახის წევრებს წარმოადგენენ და საერთო წარმომავლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, დივერგენტულ პროცესთა მოქმედების შედეგად იმდენად არიან განსხვავებული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომ მათი ნათესაობა მხოლოდ ღრმა მეცნიერული ანალიზის დონეზე ხდება შესაძლებელი. პირველი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა შტოს წევრია, მეორე კი იმავე ოჯახის ნახურ ენათა შტოს ეკუთვნის. გარდა ქართულისა, პირველი შტო აერთიანებს სვანურსა და ზანურ ენებს, მეორეს კი ეკუთვნის აგრეთვე ჩეჩნური და ინგუშური.

ქართულსა და წოვათუშურ ენებს შორის უდიდესი სხვაობაა მოლაპარაკეთა რიცხვის მიხედვით: ქართული საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ენაა და მასზე 5 მილიონამდე ადამიანი ლაპარაკობს; ამ ენაზე ლაპარაკობენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. წოვათუშურ ენაზე კი დღეს კახეთის ერთადერთ სოფელში, ზემო ალვანში, მეტყველებენ, სულ 1800-მდე ადამიანი. უდიდესი მნიშვნელობისაა ის ფაქტიც, რომ ამ ერთადერთ სოფელშიც ნახევარი მოსახლეობა ქართულენოვანია.

წოვათუშების უფრო აღრინდელი საცხოვრისი მთიანი თუშეთის სოფლები: წარო, საგართა, ეთელტა, ინდურთა და მოზართა – ყოფილა. ბარში ისინი ჩამოსახლებულან მხოლოდ 1820 წლის გამანადგურებელი წყალდიდობის შემდეგ, რამაც წალეკა მათი სოფლები და შეიწირა მასახლეობის დიდი ნაწილი.

ჩამოსახლებამდე წოვათუშები ბართან მხოლოდ მომთაბარე მეცხვარეობით იყვნენ დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბარში მათ სამოვრები უბოძა ჯერ კიდევ კახეთის მეფე ლევანმა XVI საუკუნის პირველ ნახევარში, შემდეგ კი, მომდევნო საუკუნეებში, სამოვრად ნაბოძები

ტერიტორიები გაათავართოეს მეფეებმა: არჩილმა და ერეკლე მეორემ. როგორც ბატონიშვილი ვახუშტი წერს, „წყალობათა მიზანი იყო, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მოგვარ იყვნენ კახეთს“ [ბატონიშვილი, 1913-96].

სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობის შემჭიდროებასთან ერთად სულ უფრო ფართო ხასიათსღებულობდა წოვათუშების კულტურულ-საზოგადოებრივი კონტაქტი ქართულენოვან მოსახლეობასთან.

ძნელია ზუსტად განისაზღვროს ქართული და წოვათუშური ენების უმუშალო ურთიერთობის ხანგრძლივობა. ისტორიულ წყაროებში ამ ხალხთა მეზობლობის შესახებ გვიანობამდე არაფერი იშმის, ენობრივი რეალიები კი შორეული ეპოქის კონტაქტებზე მიგვანიშნებენ. ცნობას საკუთრივ წოვათუშების შესახებ პირველად ვხვდებით XVII საუკუნის ქართველი მეფე-პოეტის, არჩილის, პოემა „ვისრამიანში“ [არჩილიანი, 1936-205]. პირველი მეცნიერული ნაშრომი კი, სადაც მსჯელობაა ქართულ-წოვათუშური ენობრივი ურთიერთობის შესახებ, არის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის - ი. გიულდენშტეტის „მოგზაურობანი რუსეთსა და კავკასიის მთებში“. ეს მოგზაურობა 1768-1775 წლებში განხორციელდა და ცნობაც იმ წლებს ეკუთვნის. უფრო გვიან წოვათუშური ენის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ი. კლაპროთი (1807), ი. ცისკაროვი (1848), ა. შიფერეი (1856), რ. ერკერტი (1895), ა. დირი (1928)...

ი. გიულდენშტეტის ჩანაწერებიდან არკვევა, რომ 1772 წლის მაისისათვის წოვათუშები ჯერ ისევ მთლიანად მთაში მოსახლეობენ. ამ დროს თუშეთში 22 სოფელია და მათგან „პირველ ოთხ სოფელში ლაპარაკობენ ქართულნარევ ქისტურად. მცხოვრებნი შესაძლებელია უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, ქისტური მთამომავლობისა იყვნენ“ [გიულდენშტეტი, 1962-263]. ივარაუდება წოვათის ოთხი სოფელი: წარო, საგირთა, ეთელტა და ინდურთა.

როგორც არკვევა, ორნახევარი საუკუნის წინათ უკვე იმდენად საგრძნობი ყოფილა წოვათუშურზე ქართულის გავლენა, რომ მოგზაური აკადემიკოსი ამ ენას „ქართულნარევ ქისტურს“ უწოდებს. ი. გიულდენშტეტს ჰქონდა საფუძველი ასეთი განცხადებისთვის: იმ 273 ლექსიკური ერთეულიდან, რომელსაც კავკასიაში ხმარებულ ენებთან შესადარებლად გვთავაზობს, როგორც წოვათუშურს (მკვლევარი მათ თუშურს უწოდებს), 37 სიტყვაა ქართულია [გიულდენშტეტი, 1964-340].

მკვლევარს რომ ორიენტაცია აეღო არა უპირატესად ძირითადი

ლექსიკური ფონდის სიტყვებზე, არამედ შესაღარებლად წარმოედგინა მთლიანად ენაში ხმარებული ლექსიკა, ცხადია, ქართულიდან ნასესხებ სიტყვათა ხვედრითი წონა მასში გაცილებით მეტი იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიულდენშტეტის მიერ დამოწმებული საკუთრივ წოვათუ შური 236 სიტყვიდან დღემდე, როცა კონტაქტი ამ ორ ენობრივ კოლექტივს შორის გაცილებით უფრო შემჭიდროვდა, მხოლოდ ოთხმა სიტყვამ განიცადა მნიშვნელობის ცვლა (დავიწროება), ცხადი გახდება, რომ აღნიშნული „ქართულნარევი ქისტური“ არ შეიძლებოდა ერთი ან ორი საუკუნის ენობრივი გავლენის პროდუქტი ყოფილიყო.

ჯერჯერობით ყველაფერი ვარაუდებზეა აგებული და ჰიპოთეტურია, რადგან საუკუნეები ფარავენ წოვათუ შურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის საიდუმლოს.

გავლენის მიმართულებებისა და შედეგების თვალსაზრისით გადაშვევტი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ძალიან დიდხანს, ასეული წლების მანძილზე, ქართული წარმოადგენდა წოვათუშებისათვის სწავლა-განათლების, მეზობელ ქართულ ტომებთან ურთიერთობისა და მათივე კულტურულ-ტექნიკური მონაპოვრების შეთვისების ძირითად წყაროს.

ქართული ენა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ტომის ენაა საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრებს შორის და, ამასთან, ყველაზე უფრო ხანგრძლივი სამწერლო ტრადიციების მქონე. დოკუმენტური ძეგლები ქართული დამწერლობისა 15 საუკუნეს ითვლიან, მკვლევართ კი მისი სათავე ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა ეგულებათ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეპოქათა მანძილზე ქართული იყო დამწერლობის მქონე ერთადერთი ენა მთელ ამ მრავალრიცხოვან ოჯახში, რომ მისი დანარჩენი წევრებისათვის დამწერლობა შემუშავდა მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში და უმრავლესობა დღესაც მოკლებულია ამ სიკეთეს, ნათელი გახდება ის დიდი მნიშვნელობა, რაც ქართულს ენიჭებოდა დანარჩენი ენებისთვის ტერიტორიული მეზობლობის პირობებში. განვლილი 15 საუკუნის მანძილზე ქართულად შეიქმნა მდიდარი და მაღალხარისხიანი მხატვრული ლიტერატურა, დაიწერა ისტორიული, ფილოსოფიური თუ სხვა ხასიათის თხზულებანი.

დამწერლობაც და მწერლობაც ხელს უწყობდა ქართულ ენას განევეითარებინა და შეენარჩუნებინა თავისი მაღალი ღირსებები. სისხლ-

საესე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ყოფა განაპირობებდა მისი შინაგანი ძალების მაქსიმალურ განვითარებას. სამართლიანი სიამაყით წერდა აკად. ნ. მარი, რომ „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით, აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა საესებით ვერ გამოთქვას, მნატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას“ (მარი, 1926-57).

დიამეტრულად განსვავებულია ის გზა, რაც იმავე ისტორიულ პერიოდში განვლო უდამწერლობო წოვათუშურმა ენამ და მისმა მატარებელმა ხალხმა წოვათის მიუვალ მთებში. ამოუხსნელია, შიდა-საოჯახო ურთიერთობის ენად დარჩენილი წოვათუშური ისეთი რასასიცოცხლო ფუნქციებით უნდა ყოფილიყო დატვირთული, რომ ზმნის დრო-კილოთა უმდიდრესი და მწყობრი სისტემები ჩამოეყალიბებინა; ან იქ, მცირე აზიის შორეთში, სადაც ჯერ კიდევ ილანდება მისი ნაკვალევი, ისეთი რასასხლსავსე ცხოვრება ჰქონდა, რომ დღეს, ათასეული წლების შემდეგ, როცა უმდიდრესი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე მონუმენტური ქართულის პირისპირ აღმოჩნდა, დეფიციტი მხოლოდ ლექსიკის დონეზე დაფიქსირდა. გულწრფელი აღტაცებით წერდა მის შესახებ რუსი აკადემიკოსი პეტრე უსლარი: „თუშური ენა არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატიფ ელფერთა გამოხატვის შანსს იძლევიან“ (უსლარი, 1887-28).

მთის პირობებში კარჩაკეტილი და განკერძოებული ცხოვრება აფერხებდა როგორც ხალხის, ისე ენის შემდგომ კულტურულ ზრდა-განვითარებას, მაგრამ მოთხოვნებს, რაც დასახელებულ კონკრეტულ პირობებში მის წინაშე იდგა, როგორც ყველა სხვა ენა, წოვათუშურიც მაქსიმალურად პასუხობდა. პრაქტიკამ მრავალგზის დაადასტურა გ. გლისონის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ „ობიექტური განხილვისას დავინახავთ არა მარტო დიდ სირთულეს და პირობითობას ენისა, არამედ იმასაც, როგორი მოხერხებულია ის თავისი ფუნქციის შესასრულებლად“ [გლისონი, 1959-34]. თუ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ამა თუ იმ ენაში მაინც ჩნდება ლექსიკური დეფიციტის განცდა, ან უცხო ენობრივი მოდელები, ეს გავლენის შედეგია და არა ასახვა ენის შინაგანი ასარულფასოვნებისა.

გავლენის შედეგების მიხედვით, წოვათუშურ-ქართული ენობრივი

ურთიერთობის ოთხ პერიოდს გამოვყოფთ. ესენია:

I პერიოდი - მთიდან წოვათუშების ბარში ჩამოსახლებაამდე (1820-იან წლებამდე) - ინდივიდუალური ბილინგვიზმის პერიოდი;

II პერიოდი - ბარში ჩამოსახლებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1820-1921 წწ.) - სუსტად განვითარებული კოლექტიური ბილინგვიზმის პერიოდი;

III პერიოდი - საბჭოთა წყობილების დამყარებიდან 80-იან წლებამდე (1921-1980 წწ.) - აქტიური კოლექტიური ბილინგვიზმის პერიოდი;

IV პერიოდი (80-იანი წლებიდან დღემდე) - იდეალური ბილინგვიზმის ანუ ზედიზმის პერიოდი.

აღნიშნული პერიოდების მიხედვით განსხვავებული იყო ორენოვანების ხასიათიც და ქართული ენის ცოდნის დონეც - ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ენობრივი გავლენისა.

I პერიოდი წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობისა ხანგრძლივობით ბევრად სჭარბობს ყველა დანარჩენს. ბარში ჩამოსახლებამდე წოვათუშები ნახევრადფეოდალური ყოფისათვის დამახასიათებელ განკერძოებულ ცხოვრებას ეწეოდნენ და დაკავშირებული იყვნენ მთის მსგავსადვე კარხა კეტილ მიწობელ ტომებთან. ბართან მათი ურთიერთობა ამ დროს უმნიშვნელო იყო და შემთხვევით ხასიათს ატარებდა. შედარებით აქტიური გახდა ეს ურთიერთობა XVI საუკუნიდან, როცა, როგორც აღვნიშნეთ, წოვათუშებმა კახეთის მეფე ლევანისგან მიიღეს სამხედრო მფარველობაც და სამოვრებიც ცხვრის გამოსაზამთრებლად, სამაგიეროდ კი ევალეობდათ ომების დროს მეფეებისთვის მამული რაზმების გაგზავნა. ამ დროს წერა-კითხვის მცოდნე, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი ეყოლებოდათ, ისიც უპირატესად მამაკაცები, სწავლა-განათლება კი ძირითადად ადგილობრივ ეკლესიებში მომსახურე პირთა ხელში უნდა ყოფილიყო. შერეული ოჯახები ამ დროს საერთოდ გამორიცხული იყო ყველა პატარა ტომისთვის დამახასიათებელი თავდაცვის ინსტიტუტის გამო და აკვნის ერთადერთ ენასაც წოვათუშური წარმოადგენდა. ქართული ამ დროს ქართულენოვან მოსახლეობასთან უშუამავლის როლს ასრულებდა მხოლოდ.

აღნიშნულის მიხედვით, C და S ენათა ურთიერთობის პირველ პერიოდში მოსახლეობაში სუსტად განვითარებული ინდივიდუალური ორენოვნება და ქართული ენის ცოდნის დაბალი დონეა სავარაუდო. საგულეებელია ისიც, რომ ორენოვანნი უპირატესად მამაკაცები იყვნენ.

ის გარემოება, რომ მიუხედავად შეზღუდული კონტაქტებისა, მაშინდელი წოვათუშური ენის ლექსიკას ისეთი საგრძნობი კვალი ეტყობა უცხოენობრივი გავლენისა, რომ მას „ქართულნარევე ქისტურს“ უწოდებენ, მხოლოდ ურთიერთობის დიდი ხანგრძლივობით შეიძლება აიხსნას.

ცხადია, რომ ურთიერთობის განხილულ პერიოდში წოვათუშურზე გავლენას, ძირითადად, მთის მეზობელი ქართული დიალექტები ახდენენ. ბარში ჩამოსახლება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ-წოვათუშური ენობრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. ამ დროიდან საგრძნობლად შეიძვიდროვდა წოვათუშების კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტი ქართულ მოსახლეობასთან; გაჩნდა შერეული ოჯახები, როგორც იშვიათი გამონაკლისები, დაიღვრა საუკუნეების მანძილზე მოცემულ საკითხზე არსებული ტაბუ და დასაბამი მიეცა სამომავლოდ ასეთი ოჯახების განუკუთხავე მოძალეობას; გაადვილდა კავშირ-ურთიერთობა ისეთ პუნქტებთან, სადაც სწავლის შეძენა შეიძლებოდა.

სწავლა-აღზრდის ძირითად კერას იმჯერად წოვათუშებისთვის ქალაქი თელავი წარმოადგენდა, ერთეულები კი უფრო შორსაც ახერხებდნენ წასვლას: მოსკოვში, პეტერბურგში, გერმანიასა და საფრანგეთში. პირველი სკოლა ზემო ალვანში 1864 წელს დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. ეს იყო ქართული დაწყებითი კლასების სასწავლებელი. მოსწავლეთა კონტინგენტი შეზღუდული იყო, რის გამოც სკოლაში შეიღების მიზარების უფლებას ოჯახები კენჭისყრით ინაწილებდნენ. თითოეული ოჯახიდან მხოლოდ ერთ ბავშვს ეძლეოდა სწავლის უფლება და მშობლები ამ პრივილეგიას, გასაბედი მიზეზით, უმეტესად ვაჟებს აკუთვნებდნენ. ქალი ისევ უსწავლელი რჩებოდა და მიჯაჭვული ოჯახსა და კერაზე.

ამრიგად, C და S ენათა კონტაქტის II პერიოდში წოვათუშური კვლავ რჩებოდა ღვიძისა და პატარების ურთიერთობის ერთადერთ ენად. მართალია, ორენოვნებამ კოლექტიური ხასიათი მიიღო, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაო. დაბალი რჩებოდა უცხო ენის ცოდნის დონეც. ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ წოვათუშურის ურთიერთობა მთის დიალექტებთან ახლა უკვე ბარის დიალექტებმა შეცვალა, რასაც პარალელურად სალიტერატურო ქართულის გავლენაც მიემატა. ეს უკვე სუსტად განვითარებული კოლექტიური

ორენოვნების პერიოდა.

III პერიოდი ქართულ-წოვათუშური ენობრივი ურთიერთობისა მოიცავს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგდროინდელ ხანას 80-იან წლებამდე, სულ დაახლოებით 60 წელს. მიუხედავად ხანმოკლეობისა, ამ პერიოდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა აღნიშნული ორი ენის ურთიერთობის სიღრმესა და მასშტაბებზე.

იმის შესახებ, თუ ორენოვნების III პერიოდმა როგორი მემკვიდრეობა მიიღო წინამდებელი პერიოდისგან წოვათუშებში ქართული ენის ცოდნის დონის თვალსაზრისით, ნათელ წარმოდგენას იძლევა პროფ. სერგი მაკალათიას მიერ 1931 წელს ადგილობრივ ჩატარებული უშუალო დაკვირვების შედეგები. მკვლევარი წერს: წოვები „შინ და გარეთ წოვურად საუბრობენ. ოჯახში წოვური ყველამ იცის, მისი უცოდინრობა სირცხვილია. ბავშვები ენას ამ წოვურით იდგამენ და შემდეგ ქართულს სწავლობენ. ქართული, ბავშვებისა და ზოგიერთი მოხუცი ქალის გარდა, წოვებში ყველამ იცის“ [მაკალათია, 1936-16].

ეს იყო ახალი III პერიოდის მხოლოდ დასაწყისში, შემდეგ კი თავბრუსხვევი სისწრაფით განვითარდა მოვლენები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირფესვიანად შეიცვალა წოვათუშების ცხოვრება. სოფელი ზემო ალვანი აქტიურად ჩაება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და სწავლა-განათლებითა თუ ცხოვრების ეკონომიკური დონით ერთ-ერთი მოწინავე გახდა. ამ დროს უკიდურესად შემჭიდროვდა ურთიერთობა ქართულენოვან კოლექტივთან. განვითარდა მასობრივი კომუნიკაცია ქართულ ენაზე. სწავლა-განათლებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ახალგაზრდობის სამსახურში ჩადგა ჯერ რვაწლიანი, შემდეგ კი - ორი ქართულენოვანი საშუალო სკოლა, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრებით იყო დაკომპლექტებული.

კონტაქტის ასეთ შემჭიდროებასთან დაკავშირებით სულ უფრო ვიწროვდებოდა წოვათუშურის საკომუნიკაციო ფუნქციათა წრე. ეს ხდებოდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მას აკლდა ახალ სოციალურ ურთიერთობათათვის საჭირო ლექსიკა, განსაკუთრებით კი მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგია. მთავარი და არსებითი კი მაინც ის იყო, რომ რიცხვმრავალი პრესტიჟული ხალხის ენის ცოდნა ზრდიდა პატარა ხალხის წარმომადგენელთა სოციალურ მობილურობას.

სულ მოკლე ხანში მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა: თუ მანამდე ძირითად ფენას წერა-კითხვის ნახევრადმცოდნე, ან მთლად უსწავლელი გლეხები შეადგენდნენ, ახლა განათლებულ გლეხობასთან ერთად სოფლის წამყვან ძალას წარმოადგენდა ინტელიგენცია, მუშები და მომსახურეები. 80-იანი წლებისათვის უკვე 2840 წოვათუშიდან 364 უმაღლესდამთავრებული იყო და შრომით საქმიანობას ეწეოდა როგორც ადგილობრივ, ისე მეზობელ ქართულ სოფლებსა თუ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, ჰყავდათ 14 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 დოქტორი. ასეთ პირობებში უკიდურესად ამაღლდა ქართული ენის პრესტიჟი და მისი ცოდნის დონე მშობლიურისას გაუტოლდა - **დადგა ტიპური იდეალური ბილინგვიზმის ხანა, რამაც ქართული ბევრ წმინდა თუ შურ ოჯახში აკვნის ენად აქცია.**

IV პერიოდი წოვათუშიურ-ქართული ენობრივი ურთიერთობისა ყველაზე ხანმოკლეა, მაგრამ ყველაზე მძიმე გამოდგა შედეგებით. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი საერთო მახასიათებელი აკავშირებს III პერიოდთან და ორენოვნების განმსაზღვრელი ფაქტორები აქ თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, გვაქვს უდიდესი განსხვავება უცხო ენის ცოდნის დონის მხრივ: ჩვეულებრივი იდეალური ბილინგვიზმისგან განსხვავებით, როცა უცხო ენის ცოდნის დონე მშობლიურისას უტოლდება, ახლა **იმავე უცხო ენის ცოდნის დონე მშობლიურისაზე ბევრად აღმატებული გახდა.** იმის გამო, რომ ამგვარი სახის ორენოვნებას მთლად განსხვავებული შედეგები მოსდევს ინტერფერენტულ ინოვაციათა სიღრმისა და მასშტაბების თვალსაზრისით, იგი გავმიჯნეთ ჩვეულებრივი იდეალური ბილინგვიზმისაგან და უკიდურესად განვითარებული ბილინგვიზმი, ან მოკლედ - **ზებილინგვიზმი** ვუწოდეთ.

ორენოვნების მოცემულ სტადიაზე ზებილინგვიზმის დამკვიდრებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო შერეულმა ოჯახებმა, რომელთა რიცხვმაც განუზომლად იმატა IV პერიოდის დამდევისათვის: 590 წოვათუშიური ოჯახიდან 234 შერეული გახდა, თანაც ისე, რომ არათუში უმეტესად დედაა. ასეთ გარემოში გაზრდილებმა ან საერთოდ არ იციან წოვათუშიური ენა, ან ცუდად იციან. ოც წლამდე ასაკის ახალგაზრობის უმრავლესობას არა თუ ლაპარაკი შეუძლია მშობლიურ ენაზე, აღარც კი ესმის იგი, ხოლო ისინიც, ვინც ჯერ კიდევ ფლობენ ამ ენას, ქართულის უსაშველოდ გაზრდილი პრესტიჟის გამო მასზე თითქმის აღარ ლაპარაკობენ - წოვათუშების ოჯახთა უმრავლესობაში

თითქმის მთლიანად გაწყდა მშობლიური ენის ხაზით თაობათა კავშირი.

ბოლო პერიოდის დახასიათებისას ძირითადი აქცენტი შერეულ ოჯახებზე ავიღეთ, როგორც სპეციფიკურ მახასიათებელზე. თავის-თავად ივარაუდება კონტაქტის ასეთ შემჭიდროებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ძვრები უცხო ენობრივი გავლენის ხელშემწყობი სხვა ფაქტორების თანაფარდობაშიც, როგორიცაა, პირველ რიგში, უცხო ენის ცოდნის დონე და კოდიდან კოდზე გადართვის სიხშირე იმ ნაწილში მოსახლეობისა, ვისთვისაც მშობლიურ ენას ჯერ კიდევ წოვათუშური წარმოადგენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პერიოდების მიხედვით წოვათუშურ ენას ურთიერთობა უხდებოდა ხან ძირითადად ქართული ენის დიალექტებთან, ხან ერთდროულად დიალექტებსა და სალიტერატურო ენასთან, ხან კი თითქმის მხოლოდ სალიტერატურო ქართულთან. I პერიოდში, მთაში ცხოვრების პირობებში, სავარაუდოა წოვათუშური ენის ურთიერთობა მთის მეზობელ ქართულ დიალექტებთან; II პერიოდში ბარში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ურთიერთობა, ერთი მხრივ, ისევე დიალექტებთან, მეორე მხრივ კი - სალიტერატურო ქართულთან; რაც შეეხება III და IV პერიოდებს, აქ ძირითადად სალიტერატურო ქართულთან გვაქვს მიმართება, რადგან გავლენამ ძირითადად წიგნიერი ხასიათი მიიღო.

რადგან წოვათუშური ენისა და ქართული ენის მთის დიალექტების ურთიერთობა რამდენადმე თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა, სავარაუდოა არა ცალმხრივი გავლენა ერთ-ერთი მათგანისა მეორეზე, არამედ საურთიერთო გავლენა. სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია ასეთი გავლენის მხოლოდ ერთი მხარე - წოვათუშური და, საერთოდ, ნახური ენების გავლენა ქართული ენის დიალექტებზე, განხილვის გარეშეა დარჩენილი იმავე საკითხის მეორე მხარე - რა გავლენა მოახდინეს ქართული ენის დიალექტებმა წოვათუშურ ენაზე. აღნიშნული საკითხის შესწავლას დაბრკოლებას უქმნის რამდენიმე გარემოება: ერთი, რომ არა გვაქვს სათანადო ტექსტები იმ პერიოდისა, როცა წოვათუშურის ურთიერთობა ქართულთან ამ უკანასკნელის დიალექტებით შემოიფარგლებოდა, მეორე და არსებითი კი ისაა, რომ სალიტერატურო ენასთან მიმართებით ქართულ დიალექტებს არ გააჩნიათ ისეთი სტრუქტურული განსხვავება, რისი გავლენაც, როგორც მთლიანად განსხვავებული, შეიძლებოდა დაგვეპირისპირებინა

სალიტერატურო ქართულის გავლენისთვის. ვერც ლექსიკის დონეზე ვსვამთ წმინდა დიალექტური გავლენის საკითხს, რადგან სიტყვათა ნასესხები დიალექტური ფორმები შემდგომში, სალიტერატურო ქართულთან კონტაქტის ღროს, ამ უკანასკნელის მოდელეების მიხედვით „გადასწორდა“.

ისე რომ, განგლილი საუკუნეების მთელ მანძილზე ქართული დიალექტებისა და სალიტერატურო ენის გავლენა წოვათუშურზე გვესახება, როგორც ქართული ენის გავლენის ერთიანი პროცესი. სწორედ ამ პროცესის განხილვას ისახავს მიზნად ჩვენი ნაშრომი, კერძოდ კი, ვიკვლევთ ინტერფერენტული პროცესების სიღრმესა და მასშტაბებს ლექსიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში ორენოვნების საფეხურებთან მიმართებით. ცალკეულ საკითხებზე დამოუკიდებლად თუ სხვა პრობლემებთან დაკავშირებით მსჯელობენ ა. შიფნერი, რ. გაგუა, ი. დემურიევი, თ. გონიაშვილი, ლ. სანიკიძე, დ. იმნაიშვილი, კ. ჭრელაშვილი... დასახელებულ მკვლევართა მოსაზრებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გზადაგზა განვიხილავთ.

ნაშრომში ორენოვნების სათანადო დონეებთან მიმართებით გამოწვლილვით ვიკვლევთ ინტერფერენციის თითოეულ შემთხვევას და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ვცდილობთ პასუხი გავცეთ ზოგადი ლინგვისტიკის გარკვეულ კითხვებს:

1. რა განაპირობებს ინტერფერენტულ ცვლილებებს;
2. ენის რომელ დონეებს მოიცავს ინტერფერენცია და როგორია მისი მასშტაბები ორენოვნების საფეხურებთან მიმართებით;
3. რა სიღრმეს შეიძლება მიაღწიოს ინტერფერენციამ ენობრივი იერარქიის ამა თუ იმ დონეზე;
4. როგორია ლექსიკურ ნასესხობათა ტიპები;
5. როგორ ვლინდება ენის სისტემურობა სიტყვათა სესხების პროცესში;
6. რა გზით მკვიდრდება ენაში ლექსიკური და გრამატიკული ნასესხობანი;
7. როგორ ივსება „თეთრი ლექები“ მსესხებელი ენის ლექსიკურსა და გრამატიკულ წყობაში და როგორ სწორდება იმავე რიგის „შეუსაბამობანი“;
8. რა ფაქტორები იწვევს C ენის მატარებელთა უცხო ენაზე გადართვას და როგორ ხორციელდება აღნიშნული პროცესი.

დასმული საკითხების შესწავლისათვის, როგორც აღვნიშნეთ, იდეალური პირობებია ორენოვნების საკვლევე რეგიონში, სადაც თავისებური მინიატურული მოდელია წარმოდგენილი მსოფლიო ენათა კონტაქტების გლობალური პროცესებისა. ამ პროცესთა მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპები საშუალებას იძლევა თვალი გაგადევნოთ ცალკეულ ინოვაციათა გაფრცვლების მთელ დინამიკას დაწყებიდან დასასრულამდე.

ამ მხრივ ერთადერთ შემთხვევრებელ გარემოებას ამ ენის უმწერლობობა ხასიათი და ორენოვნების ადრინდელი საფეხურების ამსახველი ტექსტების უქონლობა ქმნის. ნაკლს მნიშვნელოვნად ავსებს ის გარემოება, რომ ცალკეული საკითხები შეიძლება დაფაზუსტოთ უახლოესი ენების – ჩეჩნურისა და ინგუშურის მონაცემებით, შედარებით გვიანდელი პერიოდისათვის კი უდიდესი მნიშვნელობისაა ის სიტყვათკრებულები და ტექსტების ჩანაწერები, რაც გრამატიკულ გამოკვლევებს ერთვის, ან ცალკეა გამოცემული.

ორენოვნების თანამედროვე საფეხურის წოვათუმურზე დაკვირვებისათვის გვაქვს საკუთარი ჩანაწერი ტექსტები და ჩვენივე შედგენილი ნუსხა ლექსიკური ნასესხობებისა, რომელიც 4820 ერთეულს შეიცავს საკუთრივ ნასესხები სიტყვებისა და სინონიმური პარალელიზმების სახით. ვიშეგლივით ავგრეთვე სხვადასხვა თაობის ცდის პირებთან ანკეტური წესით მუშაობისა და შერჩეულ თემებზე პირადი გასაუბრების მეთოდებსაც.

ნაწილი I

ინტერფერენტული პროცესები ლემსიკასა და ფონოლოგიაში

თავი პირველი

სიტყვათა სისხეზისა და დაკარგვის პროცესები ორენოვნების საფენურებთან მიმართებით

შესავალი

ორენოვნების ყველაზე უფრო თვალსაჩინო შედეგს სიტყვათა სესხება წარმოადგენს. უცხო ენის ცოდნის მაღალ დონეს უკავშირდება აგრეთვე ბილინგვთა მეტყველებაში შობლიური ენის სიტყვათა დაკარგვის თავისებური პროცესებიც. გვიანტერესებს: 1. რა თავისებურებები ანასიათებს სიტყვათა სესხების პროცესს ორენოვნების სხვადასხვა საფენურზე; 2. როგორ ვლინდება ენის სისტემური სიტყვათა სესხების პროცესში და 3. რა განაპირობებს მსესხებელი ენის სიტყვათა დაკარგვას. დასახელებული საკითხების განხილვას ეძღვნება მოცემული თავის ცალკეული პარაგრაფები.

ნასესხებ სიტყვათა რიცხვი საგრძნობლად მერყეობს მოუბარის ასაკის მიხედვით. ყოველი ათი წელი ამ საკითხში უკვე თვალსაჩინო სხვაობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ენობრივი გავლენის პროცესის ინტენსიური ხასიათის მაჩვენებელია; ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს ცდის პირთა ცოდნის დონეც.

მსჯელობისათვის საყრდენად ავიღეთ საშუალო განათლებისა და საშუალო ასაკის (40-50 წ.) წოვათუშთა მეტყველება; შევეცადეთ თავი აგვერიდებინა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ამსახველი უცხო ტერმინოლოგიისათვის, რაც ქართულთან წოვათუშური ენის ურთიერთობის უახლესი პერიოდის ამსახველია და ფორმის მიხედვით ნაკლებ არის საინტერესო. შესაძლებლობის ფარგლებში, ზუსტად აღვრიცხეთ და გააანალიზეთ ყველა სხვა უცხო სიტყვა, რასაც დღეს მშობლიურ ენაზე მეტყველების დროს ხმარობს აღნიშნული თაობის ბილინგვი.

ზოგჯერ, როცა მსჯელობა სიტყვის ფორმას ეხებოდა, ყველაზე ხშირ და ყველაზე ახალგაზრდა თაობათა მეტყველებაც გავითვალისწინეთ. ასეთ შემთხვევაში, თქსირებული განსხვავებული ფორმები ერთი და იმავე სიტყვებისა პარალელიზმების სახით წარმოვადგინეთ ნაშრომში.

საეულისხმია, რომ როგორც პროფესორი თ. უთურგაიძე აღ-
ნიშნავს: “ნოვერთი ნასესხები სიტყვა სალიტერატურო ქართულსაც
დაუკარგავს და მის კილოებსაც, წოვათუშურში კი დღემდეა შემო-
ნახული” [უთურგაიძე, 1960-87].

§1. სიტყვათა სესხება და ორენოვნების საფუძვრები

სიტყვათა სესხებისათვის საკმარისია მინიმალური კონტაქტიც კი
ენებს შორის, მაშინ როდესაც ენობრივი სისტემის ყველა სხვა რგოლი
სესხებას მხოლოდ მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტის დროს ექვემ-
დებარება. ლიტერატურაში ცნობილია ფაქტები, როცა ერთ პიროვნე-
ბასაც კი, უცხო ენის მცოდნეს, მრავალი ახალი ერთეულით გაუმდი-
დრებია მშობლიური ენის ლექსიკური ფონდი [მარტინე, 1972-85].

აღნიშნავენ, რომ საერთოდ სიტყვათა სესხება არ ვარაუდობს აუ-
ცილებლად იმ ენის ცოდნას, საიდანაც ხდება ცალკეული ელემენტების
სესხება [როსეტი, 1972-113]. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ უცხო ენიდან
შეითვისონ ერთი და ორი სიტყვა, არაა სავალდებულო ამ ენის ცოდნა,
ტერმინის ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ მსესხებელს საჭიროა ესმო-
დეს თუნდაც იმ ერთი სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც მას მშობლიურ
ენაში შეაქვს. მსესხებელმა ინდივიდმა შესაძლოა ეს ცნება სიტყვას
დაუკავშირო უბრალოდ მითითების გზით, ქესტების ენით, მაგრამ ეს არის
უკვე უცხო ენის რაღაც ელემენტების ცოდნა; მხოლოდ იმიტომ, რომ ეს
ელემენტი ენის მოცულობასთან შედარებით მეტად უმნიშვნელოა, ის,
ჩვეულებრივ, ცოდნის დონეზე არ აღირიცხება. ამასთან დაკავშირებით
შეიძლება გადავხსენებოდა ე.წ. შუალობითი სესხება, როცა ბილინგ-
ვი პიროვნება, მართლაც, არ იცნობს იმ ენას, რომლის კუთვნილებასაც
წარმოადგენს შეთვისებული ლექსიკური ერთეული. ასეთი მსჯელობა
სიტყვის ისტორიას ეხება, თვითონ სესხების პროცესი კი აქაც უშუალოა.

წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების შესწავლა გვიჩ-
ვენებს, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური ორენოვნება სიტყვათა
სესხების საკითხებში რიგი თავისებურებით ხასიათდება, რის გამოც
თითოეულ საფეხურს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ცნობილია სიტყვათა სესხების ორი გზა:

1. ერთ შემთხვევაში ნასესხები სიტყვები თავისუფალ ადგილებს
იკავებენ მსესხებელ ენაში;

2. მეორე შემთხვევაში კი სინონიმურ წყვილებს ქმნიან მსესხებელი ენის სიტყვებთან.

ინდივიდუალური ორენოვნების დროს სიტყვა „სესხება“ თავის სემანტიკას ამართლებს, რადგან ძირითადად იმ ლექსემების გადატანას გულისხმობს ერთი ენიდან მეორეში, რაც ამ უკანასკნელს საკუთარი არ გააჩნია. ამ დროს ლექსიკური გავლენის ძირითადი საფუძველია გრძობა ლექსიკური დეფიციტისა და სესხება C ენის სიტყვათა ფონდში არსებული თეთრი ლაქების შევსებას ემსახურება. იკავებენ რა თავისუფალ ადგილებს, ნასესხები სიტყვები ამ დროს თავისებური ნეოლოგიზმების სახეს ატარებენ.

ცხადია, როცა ვსაუბრობთ რომელიმე (C) ენაში არსებული „თეთრი ლაქების“ შესახებ, იგულისხმება, რომ მასში ეს თავისუფალი ადგილები შეიმჩნევა მხოლოდ მეორე (S) ენის ლექსიკური ქსოვილის ფონზე; ცალკე აღებულ ნებისმიერ ენაში ასეთ ლაქებზე საკითხის დასმაც კი არალოგიკური იქნებოდა. თეთრი ლაქები, ანუ შეუვსებელი ადგილები ამა თუ იმ ენაში შეინიშნება მხოლოდ სხვა ენასთან კონტაქტის დროს და მას C და S ენათა მატარებელი კოლექტივების ეკონომიკურ-კულტურული განვითარების სხვადასხვა დონე განაპირობებს. კარგად განვითარებული კულტურული, პოლიტიკური თუ სამეურნეო ცნოვრების ესა თუ ის დარგი ენაში მისი ამსახველი სათანადო ტერმინოლოგიის სიუხვეს მოასწავებს და, პირიქით, სუსტად განვითარებულ იმავე დარგებს შესაბამისი ლექსიკის შეზღუდული რაოდენობა ახლავს. იმის გამო, რომ ენა ზუსტად ასახავს მისი მატარებელი კოლექტივის კულტურულ-ეკონომიკურ დონეს, თვით ამ დონეების შეპირისპირება წარმოდგენას იძლევა მათი ამსახველი ლექსიკის თანათარღობაზე. იმ კოლექტივის ენაში, სადაც აღნიშნული შედარებისას ამა თუ იმ დარგის განვითარების ნაკლები დონე იქნება ფიქსირებული, მეორე კოლექტივის ლექსიკური ქსოვილის ფონზე ცარიელი ადგილები, ანუ თეთრი ლაქები გამოჩნდება. **სიტყვათა სესხების პროცესი ინდივიდუალური ორენოვნების დროს ძირითადად სწორედ თეთრი ლაქების შევსებას ემსახურება.**

ჩვენს შემთხვევაში C ენის კოლექტივი კავკასიონის ალბური ზონის ყოფილი მკვიდრია, რომლისთვისაც სუსტად განვითარებულ მეზინდოვრობასთან ერთად ძირითად სამეურნეო დარგს განვითარებული მესაქონლეობა წარმოადგენდა; ამავე დროს ჰქონდა მატყლის დამუშავებისა და შიდასაოჯახო კუსტარული ქსოვილის კარგად გან-

ვითარებული ტექნოლოგია. S ენის მატარებელ კოლექტივს კი, პირიქით, როგორც ბარის მკვიდრს, ჰქონდა მაქსიმალურად განვითარებული მეზღვრება-მევენახეობა, წინ იდგა სწავლა-განათლებითა და საერთო კულტურული განვითარების დონით.

მართლაც, ქართულია წოვათუშურში თითქმის მთლიანად მეზღვრება-მევენახეობის ლექსიკა, მაშინ როდესაც საკუთარია ორგანიზმის ნაწილების აღმნიშვნელი, ნათესაობის აღმნიშვნელი, მეცხოველეობასთან, ქსოვასა და შიდასაოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი. ქართულია აგრეთვე სწავლა-განათლებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული და სამოხელეო-პოლიტიკური ტერმინოლოგია.

დარგობრივი ლექსიკის სესხების ეს კანონზომიარება ორენოვნების ინდივიდუალური საფუნქურისათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ აკად. შ. ძიძიგურის აზრით, „ნასესხები ლექსიკური ელემენტების ანალიზი და კლასიფიკაცია სიტყვების მნიშვნელობის მიხედვით საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების იმ დარგების შესახებ, რაც არათანაბრად იყო განვითარებული სხვადასხვა ხალხში“ [ძიძიგური, 1968-74].

თითოეული უცხო ლექსიკური ერთეულის სესხება თავდაპირველად, ცხადია, ცალკე პიროვნების, ან პიროვნებების მიერ ხდება, მაგრამ შეიძლება, ვრცელდება რა მსესხებელ ენაში, ეს ერთეულები მთელი კოლექტივის საკუთრებად იქცევა. ორენოვანმა ცალკეულმა პირებმა ბევრი სიტყვაც რომ გადმოიტანონ S ენიდან, **C ენაში ინდივიდუალური ორენოვნების დროს დამკვიდრდება თითქმის მხოლოდ საჯარო სიტყვები, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომელთა ფარდევს მსესხებელ ენას საკუთარი არ გააჩნია.** სიტყვათა სესხების საკითხში ეს ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდუალური ორენოვნებისა.

ამავე საკითხში ინდივიდუალურ ორენოვნებას სხვა თავისებურებაც ახასიათებს, რაც ნასესხები სიტყვების ბევრითი გარსის ადაპტაციის ხასიათში ვლინდება. სესხების პროცესში შეიძლება მოხდეს ნასესხები სიტყვების ბევრითი გარსის სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია მსესხებელი ენის სიტყვათა ბევრის გარსთან; შეიძლება მოხდეს ისიც, რომ სიტყვის ეს მხარე საერთოდ ცვლილებების გარეშე დარჩეს. ამას, ერთი მხრივ, უცხო ენის ცოცხლის დონე განაპირობებს, მეორე მხრივ კი – ნასესხები სიტყვის აგებულება. წოვათუშურ ენაში ხმარებულ ქარ-

თულ სიტყვათა ერთი ნაწილი, როგორც მომდევნო თავში დავინახავთ, სიტყვათა ადაპტაციის სამივე საფეხურს გვიჩვენებს და მსესხებელ კოლექტივში უცხო ენის ცოდნის სხვადასხვა დონეს ასახავს.

ინდივიდუალური ორენოვნების დროს ბილინგვი ინდივიდები ცუ-
დად ფლობენ S ენას და სესხების პროცესში უცხო სიტყვათა ბგე-
რით გარსს იმგვარად ცვლიან, რომ მშობლიური სიტყვის აგებულებას
უახლოვებენ. ისე რომ, **ინდივიდუალური ორენოვნების დროს C ენის
ბგერათა განაწილების ფონოლოგიური წესები განსაზღვრავს ნასესხე-
ბი სიტყვების საბოლოო სახეს** - ეს ინდივიდუალური ორენოვნების
კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

არაა გამორიცხული, ორენოვნების იმავე საფეხურზე ცალკეული
ბილინგვი ისე სრულყოფილად ფლობდეს S ენას, რომ შეძლოს იქიდან
უცვლელად გადმოიტანოს ნასესხები სიტყვის ბგერითი გარსი. ასეთ
შემთხვევაში უჩვეულო ბგერათმეხამებას გაასწორებენ ერთენოვანი
ინდივიდები, რომლებიც მხოლოდ მშობლიური ენის ფონოლოგიური
წესებით ხელმძღვანელობენ. სამართლიანად მიუთითებს უ. ვაინრახი,
რომ „ამ დროს ერთენოვანი ინდივიდები, რაკი მათი რიცხვი საგრძნობია
კოლექტივში, მიქანიკურად, სრულიად გაუცნობიერებლად იცავენ
მშობლიურ ენას უცხო ენობრივი გავლენისაგან [ვაინრახი, 1972-54]

ამრიგად, ინდივიდუალური ორენოვნების დროს სიტყვათა სესხე-
ბის პროცესი ორი არსებითი ნიშნით ხასიათდება:

1. სესხება მიმართულია „თეთრი ლაქების“ შევსებისაკენ;
2. ახალი სიტყვების ბგერითი გარსი იცვლება C ენის ფონოლო-
გიური მოდელის შესაბამისად.

ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ორენოვნების
დაბალ საფეხურზე ნასესხები წოვათუშურში, მაგალითად, შემდეგი
ქართული სიტყვები: ჯორ (ჯვარი), მადელ (მადლი), აგლოზ (ანგე-
ლოზი), ზედგა (ზედადგარი), მუჯგა (მუჯღუგუნი), სარკმელ (საკ-
მეველი), მარჯკელ (მაჯანკალი)...

ეს ეტაპი დიდი ხნის განვლილი საფეხურია წოვათუშური ენის მა-
ტარებელი კოლექტივისათვის. ამიტომ, რომ ლექსიკურ ნასესხობათა
რიცხვმრავალ წყებაში სათანადო მაგალითების გამოჩენვა ძნელდება.
როგორც ცნობილია, **უდამწერლობო ენებში ორენოვნების ყოველ
მომდევნო საფეხურს თავისი შესწორება შეაქვს მანამდე ნასესხებ
სიტყვათა ბგერითს გარსში.**

კოლექტიური ორენოვნების დროს სიტყვათა სესხების მასტიმული-რებელ ერთ-ერთ ფაქტორს კვლავაც წარმოადგენს თეთრი ლაქების შეესების ტენდენცია - ენაში მეტ-ნაკლები რაოდენობის „თეთრი ლაქები“, ანუ თავისუფალი ადგილები, მეორე ენასთან შეპირისპირებით ყოველთვის რჩება, რადგან მათი ერთხელ და საბოლოოდ შევსება შეუძლებელია. ეს თავისუფალი ადგილები, რომლებიც ენათა პირველი შეხვედრისას მათი მატარებელი კოლექტივების განვითარების სხვადასხვა დონით, საზოგადოებრივი წეს-ჩვეულებების განსხვავებული კოდექსებით და, საერთოდ, მთელი რიგი ეთნიკური თავისებურებებით არის შეპირობებული, ადვილად ივსება და გარკვეული ხნით თითქოს მყარდება კიდევ ერთგვარი წონასწორობა, მაგრამ ასეთი წონასწორობა დროებითაა იმის გამო, რომ ლექსიკური ფონდი ენისა მუდმივ ცვალებადობასა და მდინარებაშია. საზოგადოებრივი წინსვლა ნეოლოგიზმების დაუსრულებელი ნაკადის წყაროა. სწორედ ამიტომ, **სანამ არსებობს ორი ენა და ორი კოლექტივი, სიტყვათა სესხების ერთ-ერთი მძლავრი სტიმული ყოველთვის იქნება ახალ-ახალი თავისუფალი ადგილები.** წოვათუ შორში ასეთ ქართულ ნეოლოგიზმებს წარმოადგენდა თავის დროზე; **რგოლ** (რგოლი), **კოლექტივ** (კოლექტივი), **ბრივად** (ბრივადა), **შრომდე** (შრომადლე), **საბჭო** (საბჭო), **სტანანოველ** (სტანანოველი), **პრემი** (პრემია)... ამავე ტიპის უახლესი ნეოლოგიზმებია: **ატომ** (ატომი), **კოსმოს** (კოსმოსი), **რაკეტ** (რაკეტა), **თანამგზავრ** (თანამგზავრი)...

მიუხედავად ამისა, ლექსიკური დეფიციტის განცდა კოლექტიური ორენოვნებისას აღარ წარმოადგენს ენიდან სიტყვათა შეთვისების ძირითად ფაქტორს, როგორც ეს იყო ინდივიდუალური ორენოვნების დროს. ახლა უკვე სიტყვათა სესხების პროცესში დომინირებს **ყოველის-მომცველი ტენდენცია - უცხოთი შეიცვალოს მშობლიური.** როგორც აკად. შ. ძიძიგური წერს: „მჭიდრო ლიტერატურული, სამეცნიერო, საზოგადოდ - კულტურული დამოკიდებულება ერთი ეთნიკური კოლექტივისა მეორისადმი საწინდარი სიტყვათა განუწყვეტელი დინებისა საჭიროებისდა მიუხედავად. ამ სიტუაციაში ეს უცხო ენა გამოდის კულტურული კანონმდებლის როლში, ერთგვარ მოდადაა ქცეული მისი ლექსიკონი“ (ძიძიგური, 1960-59).

ეს ზოგადი დებულება განსაკუთრებულ ძალას ავლენს კოლექტიური ორენოვნების დროს, როცა, მართლაც, „საჭიროებისდა მიუხე-

დავად“, C ენაში უცხო სიტყვათა არნახული მოძალება ხდება. „თეთრი ლაქების“ შემავსებელი სიტყვების გვერდით ფართოდ პოულობენ ადგილს ისეთი ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მსესხებელი ენის საკუთარ სიტყვათა ეკვივალენტებს წარმოადგენენ.

ამ გზით იქმნება სინონიმური წყვილები, რომელთა ერთი წევრი C ენას ეკუთვნის, მეორე წევრი S ენის კუთვნილებაა. ასეთ შემთხვევაში ორენოვანი ინდივიდი, როგორც აკად. ლ. შერბა აღნიშნავს, „მეორე ენიდან სესხულობს უპირველესად არა სიტყვებს, არამედ იმ შინაარსობრივ ელფენს, რაც გარკვეული მიზეზით მნიშვნელოვანი ერგენება“ [შერბა, 1958-49]. წოვათუშურ-ქართული ორენოვნების თანამედროვე პირობებში ასეთი სესხების მასტიმოლორებელი ფაქტორია ქართული ენის მაღალი კულტურული და პოლიტიკური პრესტიჟი.

ასე გაუჩნდა ასობით ადგილობრივ სიტყვას ქართული სინონიმური პარალელი. გვაქვს, მაგ ქართული მინდორი წოვათუშურში არის: ეც// მინდორ; მწყემსი - ცუშუც//წყემს; მოსამართლე - ჭეღხოც//მოსამართლე; სოლი - ბოლურ//სოლ; ირეპი - საგ//ირეპ; ვარსკვლავი - ტშირ//ვარსკვლავ; მეგობარი - ნაყბისტ//მეგობარ; ტანტი - მეჭ//ტანტი; მტევანი - გაგ//მტევან; ხელოფასი - ცუშუნალ//ხელოფას; ლუქმა - ბაკალ//ლუქმა; მჭრელი - ცშირი//მჭრელი; გაცვლა - ხარცარ//გაცვლადარ; მტრევა - ყეგარ//მტრევადარ; მომატება - ლატდარ//მომატადარ; შერევა-ეგდარ//შერევადარ; დამძიება - დაწდარ//დამძიებადარ; გახსნა - დასტარ//გახსნადარ.

მაგალითების ჩამოთვლა შეიძლებოდა კიდევ დიდხანს გაგვეგრძელებინა; იმაზე, თუ რამდენად ფართოდაა გავრცელებული ორენოვნების თანამედროვე ეტაპზე ეს მოვლენა, ნათელ წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი რიცხობრივი მონაცემები: დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვათუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ საკუთარი, წოვათუშური წარმოშობის 3655 სალექსიკონო ერთეული ირიცხება, მათგან დღეისათვის ასეთი პარალელი შეიძინა უკვე 2575-მა სიტყვამ(დ. და ნ. ქადაგიძეები, 1984). აქეთკენ უბიძგებს მოვლენათა განვითარებას ქართულ ენაზე მიღებული უამრავი ყოველდღიური ინფორმაცია განხეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის გზით, ქართულ ენაზე შეძენილი სწავლა-განათლება, შერეული ოჯახები და, საერთოდ, მთელი გარემო.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული მაგალითები პარალელიზმებისა მხოლოდ აბსოლუტურ სინონიმებს მოიცავენ, რადგან რელიატიურ სი-

ნონიმა წყვილულებს ნასესხები წევრები, გარკვეული მოსაზრებით, თეთრი ლაქების შემაჯავებელ ნასესხობებს მივაკუთვნეთ.

ჩვეულებრივი სინონიმური პარალელიზმებისაგან განსხვავებით, ამ წყვილთა წევრებს წოვათუშური ენის ერთსა და იმავე წინადადებაში იშვიათად შევხვდებით: წყვილთა პირველი რიგის წევრები (ჩვენი ნაწერის თანმიმდევრობით – მშობლიური ენის სიტყვები) უმეტესად ხანშიშესულ და ნაკლებად განსწავლულ პირთა მეტყველებას ახასიათებს, მეორე რიგის წევრები კი – ახალგაზრდა ან უფრო მეტად განათლებული პირების მეტყველებას; ცხადია, ხშირად მათ ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც შევხვდებით, ოღონდ სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა თანამოსაუბრესთან; დამახასიათებელია ისიც, რომ დიალოგის მონაწილე პირებიდან ხშირად ერთი რომ ერთს იყენებს, მეორე მეორეს ხმარობს, რადგან ორივე მათგანი თანაბრად გასაგებია მოსაუბრისთვისაც და მსმენელისთვისაც. ისე რომ, როცა ასეთ წყვილებს სინონიმურ პარალელიზმებს ვუწოდებთ, ვითარგლებით არა ცალკეული წინადადებებით, არამედ ვითვალისწინებთ ენის მთლიან პირიზონტალურ ჭრილს.

როგორც ცნობილია, „ამგვარად წყვილთა წევრები პირველ ხანებში ერთმანეთის გვერდით არსებობენ და თავისუფლად მონაცვლეობენ კონტექსტებში, შემდეგ კი, დროთა სვლაში, რჩება ერთ-ერთი იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ორენოვანი სიტუაცია“ [ვან-რაიხი, 1972-49]. წოვათუშური ენის თანამედროვე ვითარება გვიჩვენებს, რომ ხანგრძლივი ენობრივი გავლენის დროს თითქმის ყოველთვის იკარგება მშობლიური და რჩება უცხო, თუმცა ზოგიერთი წყვილი შეიძლება დიდხანს შეჩერეს სიტყვახმარებას, როგორც სინონიმის წყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ „C ენის სიტყვები, როცა ისინი თავისუფალ მონაცვლეობაში არიან S ენის სიტყვებთან, გარკვეულ მეგზურობას უწევენ ამ უკანასკნელთ – ემსახურებიან მშობლიურ ენაში მათი დამკვიდრების საქმეს“ [ძიძიგური, 1960-65]. ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ იმის გაშო, რომ ამგვარ წყვილთა წევრები თითქმის არასდროს იხმარებიან ერთსა და იმავე წინადადებაში, C ენის სიტყვათა ასეთი როლი ნაკლებად იგრძნობა. სამაგიეროდ ეს მოვლენა თვალსაჩინოა იქ, სადაც ეს პარალელიზმები უკავშირო წყვილებს ქმნიან. მათი რიცხვი წოვათუშურში დღეს შეზღუდულია, გვაქვს სულ რამდენიმე რელიქტური ფორმა: **ან-ქარი** (ქარები, ჭვლები); **დად-პატრონ** (პატრონი); **ლაფ-ტშაკ** (ტალახი), **ჰელ-წეს** (წესი); **ჩამ-გემი** (გემო) ...

მიუხედავად ამისა, დღეს C ენაში მრავალი ქართული სიტყვა იხმარება, რომლებიც, თუ მათი შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეუძლებელია ნეოლოგიზმების სახით შესულიყვნენ მასში, მაგალითად: **ძოღ** (ძვალი); **კუჭ** (კუჭი); **ძირ** (ძირი); **ბუმბულ** (ბუმბული); **წამწამ** (წამწამი); **ცა** (ცა).

ცხადია, თავის დროზე ესენი სათანადო წოვათუშურ სიტყვათა სონონიმებად უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებული, შემდეგ კი, განდევნეს რა ადგილობრივი ფორმები, ცნებათა ერთადერთი აღმნიშვნელები გახდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ **სინონიმური პარალელიზმების მოძალება კოლექტიური ორენოვნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიშანდობლივი თავისებურებაა ლექსიკური გავლენის საკითხში.**

ცნობილია, რომ **ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამარტო ლექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით; მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებას ქმნის აგრეთვე საგნებისა და მოვლენების სხვადასხვაგვარი დაყოფა და სახელდება. ენის ეს მხარე შინაარსობრივი სტრუქტურის სახელითაა ცნობილი. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კონტაქტში მყოფ ენებს შორის ამ თვალსაზრისით არსებული სხვადასხვაობა გარკვეულ როლს ასრულებს სიტყვათა შექმნისა თუ დაკარგვის პროცესში.**

მიუხედავად წოვათუშურზე S ენის მრავალსაუკუნოვანი ინტენსიური გავლენისა, ამ ენებში გარკვეული განსხვავება დღემდე შეიმჩნევა საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაციისა და აღწერის თვალსაზრისით. სიტყვათა სესხების საკითხში ეს განსხვავება გარკვეულ როლს ინდივიდუალური ორენოვნების დროსაც ასრულებს, მაგრამ აქტიურად ამ რივის უთანაბრობათა გასწორების საკითხი დღის წესრიგში დგება სწორედ კოლექტიური ორენოვნების პირობებში. როგორც ჩანს, ბილინგვიები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს სრულყოფილად ეუფლებიან S ენას, ამ უკანასკნელზე ხშირი გადართვის გამო მშობლიურ ენაზე მისი მოდელებით იწყებენ აზროვნებას. მაგ., წოვათუშურში გვაქვს სიტყვები **ოყ** (მარცვალი) და **ჰუჟ** (კურკა). ქართულში მათ სამი ტერმინი უპირისპირდება: იგივე ორი და მესამე, განმარტავადელი - **თესლი**. სწორედ მესამე ისესხა წოვათუშურმა და ეს მოხდა არა იმიტომ, რომ გამომსახველობითი სიზუსტე აკლდა ენას, არამედ იმიტომ, რომ აზროვნების ქართული სტილისთვის იყო ის აუცილებელი. ქართულის გავლენით წოვათუშურში გაჩნდა თესლის ზოგადი ცნება, რიისთვისაც მას ტერმინის სესხება დასჭირდა.

C ენას აქვს სიტყვები **სტაკ** (კაცი) და **ფსტუმნო** (ქალი), მაგრამ აკლია ადამიანის ზოგადი ცხენის გამოძახებელი სიტყვა. დანაკლის შევსება ხდება ისევე წოვათუშური ლექსემებით, როგორცაა განუსაზღვრელი ნაცვალსახელები: **მემლი** (ვინმე) და **მენახ** (ვიდაც). რადგან ქართულ კონტექსტებთან ამ გზით დამყარებულ შესატყვისობას ხშირად სიზუსტე აკლია, შეთვისებულ იქნა სიტყვები: **სუდრელ** (სულიერი), **ჯუდრცელ** (ხორციელი) და **ადმქ** (ადამიანი).

ბრფხბარ ბოლო დრომდე თანაბრად აღნიშნავდა ტანისამოსის ჩაცმასაც და ცხენის შეკაზმვასაც. იმის გამო, რომ მოვლენა ქართულში სხვაგვარად იყო შეფასებული და სხვა ტერმინით აღინიშნებოდა, როცა მოქმედების ობიექტად ცხენი იყო გამოყვანილი, წოვათუშურმაც საჭიროდ ჩათვალა მისი გამოყოფა. ამას კი შედეგად სათანადო ტერმინის სესხება მოჰყვა. დღეს ასაკობრივი ღონეების მიხედვით იხმარება: საკუთარი **ბობხბარ** და ნასესხები **შეკაზმადბარ** (შეკაზმვა). მაგალითები შეიძლება კიდევ დაგვესახელებინა. როგორც ვხედავთ, **კოლექტიური ორენოვნებისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ახალი ლექსიკური ერთეულების სესხება C და S ენების სიტყვათა შინაარსობრივი სტრუქტურის მოდელებში არსებული განსხვავების გასასწორებლად.**

უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, ე.ი. მიღწევას იქამდე, როცა გადართვა ერთი ენიდან მეორეზე უკვე შეუცნობლად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდება, შედეგად ის მოჰყვა, რომ დღეს წოვათუშურში ნასესხები სიტყვების ბგერითი გარსის ცვლას თითქმის აღარა აქვს ადგილი. ნასესხები სიტყვების ბგერითი გარსის უცვლელად გადატანა – ეს მესამე სპეციფიკური ნიშანია კოლექტიური ორენოვნებისა. მრავალგვარი გარდაქმნიდან, რასაც ორენოვნების წინა საფეხურზე ექვემდებარებოდნენ ქართული სიტყვები, დღეს მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ ერთი – აუსლაუტის ხმოვნის დასუსტების კანონი. გვაქვს თითქმის უცვლელი ფორმით დატოვებული უახლესი ნასესხობანი, მაგალითად: **ბოლოს, ძლივს, გამეტებით, დანანებით, ეშმაკობით, მოხერხებით, მარჯვნივ, მარცხნივ, ორიბად.**

ურთიერთობის ამ საფეხურზე სესხების საკითხი მაქსიმალურად გამარტივებულია, ამას კი ორი ენის ლექსიკის თავისებური შერწყმა მოჰყვა. ამიტომ მოხდა, რომ დღეს C ენამ თითქმის მთლიანად თავი მიანება სიტყვაწარმოების საკუთარი საშუალებების გამოყენებას და ფართოდ გაუხსნა კარი უცხო ენის მზა მასალას. **სიტყვაწარმოების**

საკუთარ საშუალებათა მივიწყება – ეს კიდევ ერთი თავისებურებაა, რაც კოლექტიურ ორენოვნებას ახასიათებს.

თუ ორენოვნების დასაწყის სტადიაზე წოვათუშური ენამ მთელი რიგი სახელებისათვის ქართულიდან ისესხა მხოლოდ ძირი, ხოლო შესაბამისი სიტყვასაწარმოებელი აფიქსები მორფემათა საკუთარი ინვენტარიდან შეარჩია, კოლექტიური ორენოვნების დროს იგივე სახელები დაუშლელად შემოიტანა. მაგ.:

ქართული	წოვათუშური
უმოსავლო	მოსავლე-წმ // უმოსავლო
უღალო	ღაღე-წმ // უღალო
საკაბე	კაბ-ღილ / საკაბე
სახალათე	ხალათ-ღილ // სახალათე

იმის გამო, რომ ფართოდ გაეხსნა გზა უცხო ენის მზა ერთეულებს, თითქმის მთლიანად დავიწყებას მიეცა თხზვა და წარმოქმნა, როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებები – **შესუსტდა შიდაენობრივი აზროვნება**. ალბათ, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში აკად. შ. ძიძიგურს, როცა წერდა: „უცხოური ლექსიკური მასალის ჭარბი სესხება არ შეიძლება ჩათვალოს დადებით მოვლენად მსესხებელი ენის განვითარებისათვის. სესხების ეს სიუხვე გარეგნულად ენის განმამდიდრებელ ნიშნად გვეჩვენება, არსებითად კი მისი ევოლუციის შემათუერებელი გარემოებაა“ [ძიძიგური, 1941–690].

შეიძლება დავასკვნათ, რომ **კოლექტიური ორენოვნების დროს სიტყვათა სესხების საკითხში ოთხი ძირითადი ტენდენცია იჩენს თავს:**

1. ენის შინაარსობრივი სტრუქტურის მოდელების გასწორება S ენის სათანადო მოდელების მიხედვით;
2. C ენის სიტყვათათვის S ენის ლექსიკური პარალელების შემოტანა;
3. ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის უცვლელად დატოვება და
4. ენაში ლექსემათა თხზვისა და წარმოქმნის პროცესების შეზღუდვა.

კანონზომიერია, რომ კოლექტიური ორენოვნების დროს დაწყებული აღნიშნული პროცესები სრულიად კანონზომიერია და უგამონაკლისო ხასიათს იძენს იდეალური ბილიგვიზმისა და ზებილიგვიზმის პერიოდებში.

§2. მიტყველავის ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით

რომელიმე კონკრეტულ ენასთან შეფარდებით მსესხებელ ენაში უკვე არსებული თუ დასაშვები „თეთრი ლაქების“ რიცხვი შეიძლება წინასწარ შემოიფარგლოს ამ ენათა მატარებელი კოლექტივების სა-მეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური დონეების შეპირისპირებით. ლექსიკური პარალელიზმები კი ამ მხრივ რაიმე საზღვრებს არ ემორჩი-ლებიან და ვრცელდებიან დაუსრულებლად მანამდე, სანამ არ მოიცავენ ლექსიკონის ყველა სიტყვას. C ენის ლექსიკონის წევრებისათვის S ენის პარალელთა გაჩენის ამ ერთი შეხედვით ქაოსურ პროცესს გარკვეული კანონზომიერება უჩანს. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ მეტყველების ნაწილების განხილვა ნასესხობათა თვალსაზრისით. აქ იჩენს ყველაზე უფრო ნათლად თავს ამა თუ იმ ენაში ხმარებული ლექსიკის სისტემური ხასიათი.

ნასესხები სიტყვების რაოდენობრივ შეფარდებას მსესხებელი ენის სიტყვებთან მეტყველების ნაწილთა მიხედვით, ანუ ე.წ. მეტყველების ნაწილთა ღიაობის საკითხს თანამედროვე ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება ეთმობა. ამ მხრივ, საინტერესო მასალას წარ-მოგვიჩვენს წოვათუშური-ქართული ორენოვანი სიტუაცია. წოვათუ-შური ენაში გვხვდება ლექსიკურ ნასესხობათა ორგვარი წყება: ერთი მხრივ, გვაქვს ნასესხები სიტყვები, რომლებიც სათანადო საგანთა და მოვლენათა ერთადერთ აღმნიშვნელს წარმოადგენენ, მეორე მხრივ კი, ისეთი ნასესხები სიტყვები, რომლებიც იმავე მნიშვნელობის სიტყვათა პარალელურად იხმარებიან. პარალელურად ნახმარი უცხო სიტყვები თანდათან იმდენად იფართოვებენ გამოყენების არეს, რომ მათი გავლენით იკარგება C ენის სათანადო ლექსიკური ერთეულები. ისე რომ, პირველი სახის ნასესხობანი უკვე დამკვიდრებულია ენაში, მეორენი კი დამკვიდრების გზაზე დგანან.

წოვათუშური ენის ლექსიკურ ფონდში უკვე საგრძნობია ორივე სახის ნასესხობათა ხვედრითი წონა. დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშური-ქართული-როსულ ლექსიკონში“ შესული 5808 სიტყვიდან 2143 ნასესხებია ქართულიდან, ან ქართულის გზით. დარჩენილი 3665 საკუთრივ წოვათუშური სიტყვიდან 2575 ერთეულმა უკვე შეიძინა ქართული ლექსიკური პარალელი. ნასესხობათა აღნიშნული ორი ფენა ორენოვნების სხვადასხვა დონეს ასახავს, ამიტომაც მათი განხილვა

მეტყველების ნაწილების მიხედვით და მიღებული მონაცემების ერთ-მანეთთან შედარება საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მეტყველების ნაწილთა ღიაობის შესახებ ორი ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის სხვადასხვა საფეხურზე.

ქადაგებების ლექსიკონში შესული მასალა დაყვავით საკუთრივ წოვათუშური წარმომავლობისა და ნასესხებ სიტყვათა ფენებად; სიტყვათა თითოეული ფენა დავაჯგუფეთ მეტყველების ნაწილების მიხედვით და შევადგინეთ ორგვარი ცხრილი. პირველ ცხრილში თითოეული მეტყველების ნაწილის მიხედვით ერთმანეთს შევადარეთ ლექსიკონში შესულ ანუ ენაში უკვე დამკვიდრებულ ქართულ და წოვათუშურ სიტყვათა რიცხობრივი მონაცემები და გამოვთვალეთ ნასესხობათა პროცენტული შეფარდება საკვლევი მეტყველების ნაწილის სიტყვათა საერთო (წოვათუშურ-ქართულ) რაოდენობასთან; მეორე ცხრილში ისევე მეტყველების ნაწილთა მიხედვით C ენის სიტყვების გვერდით აღვრიცხეთ მათივე ქართული ლექსიკური პარალელიზმები და გამოვთვალეთ ამ უკანასკნელთა პროცენტული შეფარდება წოვათუშურ მასალასთან. ეს პარალელიზმები ლექსიკონში მოყვანილი არაა, ჩვენ ისინი მოვიპოვეთ საშუალო ასაკის (40-50 წლის) ცდის პირების მეშვეობით. აღნიშნული გამოთვლების დროს შორისდებულები არ გაგვითვალისწინებია, რადგან, როგორც ცნობილია, “აქ რთულია საკუთარისა და ნასესხების რამდენამდე სრული გამიჯვნა” [ყლენტი, 1946-255].

მიღებული ორი ცხრილით საშუალება მოგვეცა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა მეტყველების ნაწილთა ღიაობის ხარისხი ორენოვნების სხვადასხვა საფეხურზე. პირველი ცხრილი ენაში უკვე დამკვიდრებულ ნასესხობებს ემყარება და განვილო პერიოდს, ანუ ინდივიდუალური და კოლექტიური ბილინგვიზმის ვითარებას ასახავს, მეორე ცხრილში გათვალისწინებული უცხო სიტყვები კი ჯერ მხოლოდ პარალელიზმების უფლებით სარგებლობენ და უახლეს ვითარებას, ანუ იდეალური ბილინგვიზმისა და ზებილინგვიზმის ვითარებას გვიხსნათებენ. **ცხრილი №1.**

	წოვათუშური სიტყვები	ნასესხები სიტყვები	ს ა ე რ თ ო რაოდენობა	პროცენტული შეფარდება
არსებითი სახ.	824	1556	2380	65.3%
ზედსართავი	627	106	734	14.1%
რიცხვითი	38	11	49	22.4%

ნაცვალსახ.	49	-	49	0
ზმნა	1859	448	2305	19.2%
ზმნიზედა	224	14	238	6%
თანდებული	14	-	14	0
კავშირი	7	2	9	22%
ნაწილაკი	22	6	28	21%

ცხრილი №2.

	წოვათუშური სიტყვები	პარალელიზმები	პროცენტული შეფარდება
არსებითი სახ	824	545	66.1%
ზედსართავი	628	448	71.1%
რიცხვითი	38	2	5.2%
ნაცვალსახ.	49	1	2.04%
ზმნა	1859	1459	78.5%
ზმნიზედა	224	85	38.03%
თანდებული	14	1	7%
კავშირი	7	3	42.7%
ნაწილაკი	22	5	22.7%

№1 ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ ორენოვნების განვილილ საფეხურზე წოვათუშურში ნასესხობათა მიმართ მაქსიმალური ღიაობით ხასიათდებოდა არსებითი სახელები. ნასესხები არსებითი სახელების პროცენტულმა შეფარდებამ წოვათუშურ ენაში ხმარებულ არსებითთა საერთო რაოდენობასთან 65,9% შეადგინა. გაცილებით უფრო ნაკლები ღიაობა აღმოაჩნდა ზედსართავს (14%), რიცხვით სახელს (22%), ზმნას (19%), ზმნიზედას (6%), კავშირს (22%), ნაწილაკს (21%). რაც შეეხება ნაცვალსახელსა და თანდებულს, ისინი სესხების პროცენტისათვის მთლიანად ჩაკეტილ სისტემას ქმნიდნენ.

როგორც ცნობილია, რაოდენობრივად ლექსიკონებში არსებითთან ერთად ყველაზე დიდი ადგილი ზმნას უკავია. მოსალოდნელი იყო, რომ ნასესხობათა მაჩვენებლის მიხედვითაც ზმნა კვლავ არსებითის გვერდით აღმოჩნდებოდა. სინამდვილეში მდგომარეობა საპირისპიროა: გვაქვს 19% ნასესხები ზმნა 65% ნასესხები არსებითის გვერდით. წოვათუშური ენის ზმნური ლექსიკა ქართულისაგან მკვეთრად განსხვავე-

ბული აგებულების გამო ძნელად იგუებდა სესხებას. ზმნის სესხების შემთხვევაში საჭირო ხდებოდა მთელი რიგი მორფოლოგიურ-ფონოლოგიური გარდაქმნები, რათა ახალ ლექსემებს შესძლებოდათ თავისუფლად ჩაბმულიყვნენ C ენის უღვლილების რთულსა და მკაცრად კოდირებულ სისტემაში. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ნასესხები ზმნის ძირი, რომელსაც წოვათუშურში ფუძედ აქცევს მეშველი ზმნის დართვა, აუცილებლად უნდა გაერთმარცვლიანებულიყო. გარდა ამისა, ანგარიში ეწეოდა მთელ რიგ აკრძალვებს ძირისეული თანხმობების თანმიმდევრობაში; იმის გამო, რომ გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციით იტვირთებოდა ძირის კუთვნილი ხმოვანი, ის აუცილებლად ა-ს სახით უნდა რეალიზებულიყო.

გარდაქმნათა ეს სირთულე იყო მიზეზი, რომ მრავალსაუკუნოვანი წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის მანძილზე დიდხანს, თითქმის დღემდე, ზმნა დაუმორჩილებელ ცინე-სიმაგრეს წარმოადგენდა ლექსიკური გავლენისათვის. ზმნის მაგალითზე ამჯერად ნათლად იჩინა თავი იმ გარემოებამ, რომ, **რაც უფრო შეკრულია და შემოფარგლულია სისტემებრივად ენის ესა თუ ის რგოლი, მით უფრო ძნელია გარეშე ელემენტების შეღწევა მასში.**

უღლების სისტემასთან შედარებით ბრუნების სისტემა უფრო მარტივია წოვათუშურში და სახელთა ბგერითი აგებულებაც არ არის ისე მკაცრად რეგლამენტირებული, როგორც ზმნებისა. სწორედ ამიტომ ადრე დათმეს სესხების პროცესში პოზიციები არსებითებმა და გაცილებით გვიან - ზმნებმა.

ზედსართავეებსა და ზმნიზედებს არსებით სახელთაგან ძირზე დართული საგანგებო მაწარმოებელი გამოარჩევდა. როგორც ვხედავთ, აქაც გარკვეული გარდაქმნები იყო საჭირო, რომ ნასესხები ზედსართავი სახელი, ან ზმნიზედა ბუნებრივად შეხამებოდა ახალ ენობრივ სისტემას. ამიტომაც, რომ ისინიც არსებითებზე უფრო გვიან დაექვემდებარნენ უცხო ენის ლექსიკურ გავლენას, გვიან დაიწყეს ქართულ ნასესხობათა შეგუება.

ორენოვნების განხილულ საფეხურზე მთლიანად ჩაკეტილი სისტემის წევრებს წარმოადგენენ თანდებული და ნაცვალსახელი. ლექსიკური გავლენისადმი თანდებულის ასეთი მდგრადობა წინადადებაში მისი განსაკუთრებული როლით უნდა აიხსნებოდეს: როგორც ქართულში, ისევე წოვათუშურში თანდებული სიტყვებს შორის სინტაქსურ

კავშირის დამყარების ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული საშუალებაა. სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან შედარებით, გარდა თანდებულისა, ყურადღებას იქცევს აგრეთვე სხვა არასრულმნიშვნელოვანი სიტყვების შეზღუდული ღიაობა. ჩანს, სრულმნიშვნელოვანი სიტყვები როგორც გამოყენების მხრივ, ისე სესხების საკითხშიც მეტი დამოუკიდებლობით ხასიათდება; გაცილებით ადვილია მათი მოწყვეტა უცხო კონტექსტიდან და ჩართვა ახალში, მაშინ როდესაც არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები თითქოს უფრო ღრმად არიან ჩართული მშობლიური ენის სინტაქსურ ქსოვილში და ქმნიან გარკვეულ კონსტრუქციებს, საიდანაც მათი ამოღება შედარებით უფრო ძნელია. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, თანდებულს უკიდურესი პოზიცია უკავია.

წოვათუ შური ენის მასალა მოცემულ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ამტკიცებს უ. ვაინრახის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ „რთული გრამატიკული ფუნქციის მქონე მორფემები სესხებას უფრო იშვიათად ექვემდებარებიან, ვიდრე მარტივი ფუნქციის მქონე და რომ, კერძოდ, თანდებული, რომელიც რამდენიმე ბრუნვას მართავს, უფრო ძნელად იქნება შეთვისებული, ვიდრე თავისთავადი სიტყვა“ (შიფერი, 1856-355).

რაც შეეხება ნაცვალსახელს, როგორც ნასესხობათა მიმართ აბსოლუტურად ჩაკეტილი სიტემის წევრს, ასეთი შეუვადლობა ყოველდღიურ სიტყვანმარებაში მისი გამოყენების განსაკუთრებული სიმძირით უნდა აფხსნათ. მხოლოდ დასახელებულ მიზეზს შეეძლო ამ მეტყველების ნაწილის, როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვის, ასე ღიბხანს და ასე საიმედოდ დაცვა ქართული ენის ლექსიკური პარალელულებისაგან.

სესხების საკითხში რამდენადმე თავისებურ ვითარებას გვიჩვენებენ რიცხვითი სახელები. თუ პირველი ცხრილის მონაცემებს წინასწარ შევადარებთ მე-2 ცხრილის მონაცემებთან, დავინახავთ, რომ ყველა სხვა მეტყველების ნაწილმა დროთა სვლაში ღიაობის ხარისხის პროცენტული ზრდა გვიჩვენა, აქ კი მდგომარეობა შებრუნებულია; გვაქვს მკვეთრი კლება 22%-იდან 2%-მდე. რით აიხსნება ეს გამოხატულება?

ქადაგიძეების ლექსიკონის შედგენამდე ერთი საუკუნის წინათ ი. ცისკაროვის მიერ დაწერილი „წოვათუ შური ენის მოკლე გრამატიკის“ საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ის რიცხვითი სახელები, რომლებიც აღარ შევიდა ლექსი-

კონში და დაკარგულად ითვლება. ისევე როგორც ქართულში, თვლის სისტემა წოვათუშურშიც ათობით-ოცობითა და შეიცავს მარტივსა და რთულ რიცხვით სახელებს. იმის გამო, რომ ქართულში ეს ოცობითობა მხოლოდ 100-ის ფარგლებში ხორციელდება, ხოლო წოვათუშურში ეს სისტემა გრძელდება ასს ზევითაც ბოლომდე, მივიღეთ მეტად რთული წყობის ძნელად გასაანზრებელი რიცხვითი სახელები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე საფეხურიან მათემატიკურ მოქმედებას შეიცავენ. მაგალითად, გვაქვს: ა) მარტივი რიცხვითი სახელები: **ცჰა** - ერთი, **ში** - ორი, **ჟო** - სამი, **იტტ** - ათი, **ტყა** - ოცი... ბ) მრავალსაფეხურიანი მათემატიკური მოქმედების შემცველი რთული რიცხვითები: **შაწტყაუზტყა იწატყ** - ორჯერ ოცჯერ ოცი და ათჯერ ოცი (1000)...

ასეთი სისტემით, მაგ., რიცხვი 1877 ასე უნდა გადმოგვეცა; **დშიფწ ტყაუზტყა იწატყა ჟოუზტყა ვორლეიტტ** - ოთხჯერ ოცჯერ ოცი და ათჯერ ოცი და სამოცი და ჩვიდმეტი.

ეს გადაჭარბებული სირთულე იყო მიზეზი, რომ მალე დაივიწყეს წოვათუშებმა მშობლიური ენის თვლის სისტემა და თითქმის მთლიანად ქართულ სისტემაზე გადავიდნენ; დღემდე საკუთარი შემორჩა მხოლოდ ყველა მარტივი და რამდენიმე ადვილად გასაანზრებელი რთული რიცხვითი. ისე რომ, როგორც კი საქმე მარტივ რიცხვით სახელებამდე მივიდა, ეს მეტყველების ნაწილი უცხო ენობრივი გავლენისათვის თითქმის მთლიანად ჩაკეტილ სისტემად იქცა და ისევე, როგორც ნაცვალსახელი, ახლა უკვე გამოყენების სინშირის გამო არ იკარგება.

კონსტრუქციის სირთულე ზმნასთან დაკავშირებით სიტყვათა შენახვის კრიტერიუმად გამოვაცხადეთ, აქ კი, პირიქით, დაკარგვის მიზეზად მიგვაჩნია: პირველ შემთხვევაში სიტყვის სირთულეში მის გრამატიკულ ფუნქციას ვგარაუდობთ, აქ კი საკითხი შინაარსის სირთულეს ეხება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ენობრივი კონტაქტის განვლილ საფეხურზე ამა თუ იმ მეტყველების ნაწილზე უცხო ენის ლექსიკურ გავლენას რამდენიმე მიზეზი აბრკოლებდა:

1. სიტყვის ფონოლოგიური სტრუქტურა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისსავე მორფოლოგიურ აგებულებასთან;
2. სიტყვათა როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში და
3. მოხმარების სინშირე.

ცხრილების შედარება გვიჩვენებს, რომ მეტყველების ნაწილთა

ლიაობის საკითხში დღეისათვის მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. საგულისხმოა, რომ მაქსიმალური ღიაობით ახლა ხასიათდება არა არსებითი სახელი, არამედ ზმნა. ქართული ენის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად, როგორც ვხედავთ, ამ მეტყველების ნაწილმაც დათმო პოზიციები: **C** ენის ზმნათა ძირების ერთმარცვლიანი მოდულების გვერდით შემოშავდა მრავალმარცვლიანი მოდულები ნასესხები ზმნური ძირებისათვის, რასაც შედეგად უამრავი ზმნური სინონიმური პარალელის გაჩენა მოჰყვა. ზმნურ ძირთა სასესხებლად შექმნილი მოდული იცვლებოდა უცხო ენობრივი გავლენის სტადიების მიხედვით. დღეს მოქმედი მოდული, ბუნებრივია, ძველ მოდულთან შედარებით ბევრად უფრო მარტივია:

ჯერ ერთი, აღარაა საჭირო ძირის რთული მორფონოლოგიური გარდაქმნები; მეორეც, შენარჩუნებულია ნასესხები სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირი **S** ენის შესაბამის წევრებთან. მზა, მარტივი ყალიბი ახლა უკვე საშუალებას იძლევა ქართული პარალელი გაუჩნდეს მასესხებელი ენის თითქმის ნებისმიერ ზმნას. ამ პროცესიდან ჯერჯერობით გამონაკლისს ქმნის მხოლოდ ხშირად ხმარებული ერთეულები, როგორცაა, მაგალითად:

დათხარ (ტირილი), **დელარ** (სიცილი), **დაფხარ** (გახდა), **დოფხარ** (ხაცმა), **დიშარ** (წოლა), **დათთარ** (შეწვა), **თიფარ** (დასვენება), **დექარ** (დაძახება), **ატარ** (გაჩუქება), **დაჭდარ** (გაზრდა)... **როგორც ჩანს, ლექსებითა გამოყენების სინთეზს მეტი ძალა ჰქონია უცხო ენის ლექსიკური გავლენის საწინააღმდეგოდ, ვიდრე მათსავე კონსტრუქციულ სიბრტულეს.**

ღიაობის მხრივ პროცენტული სიდიდე მოემატა თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს. ზმნათა შემდეგ ყველაზე დიდი ძვრა ამ მხრივ ზედსართავმა სახელებმა განიცადეს. მათი ღიაობის ხარისხი დღეისათვის 14-დან 71%-მდე გაიზარდა. სესხების პროცესში ქართულ ზედსართავ სახელთა ერთგვარი დაჯგუფება მოხდა: **S** ენის **-იან**, **-ოსან**, **-ოვან** სუფიქსიანი ზედსართავები, რომლებიც დაბოლოებით **C** ენის ნაწილური ხმოვნით დამთავრებულ ზედსართავებს ემსგავსებიან, დღეს თითქმის უცვლელად და თავისუფლად გადადიან ამ ენაში. როგორც ცნობილია, ქართული ზედსართავი **-ურ** (**→** **ულ**) დაბოლოება წოვათუშურმა უკვე ისესხა [დემერიევი, 1953-19]. ჩვენი დაკვირვებით, ნასესხებია აგრეთვე **უ - ო** თავსართ-ბოლოსართიც, ამიტომ აღნიშ-

ნული დაბოლოებები ქართული ზედსართავების წოვათუშურისათვის უკვე ბუნებრივად იქცა. რაც შეეხება ქართული ენის სხვაგვარად დაბოლოებულ ზედსართავებს (მაღალ-ი, წითელ-ი...), მათი სესხება ჯერჯერობით ნაკლებად ხდება.

არსებით სახელთა სესხებისას ასეთი მკვეთრი ნახტომის გაკეთება ენას აღარ შეეძლო, რადგან უკვე დიდი იყო ნასესხობათა რიცხვი; ღიაობის ხარისხის მატებამ აქ მხოლოდ 1% შეადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური პარალელების გარეშე მხოლოდ თავისებური წარმოებისა და შინაარსის აბსტრაქტული სახელები (მაგ.: **ლანზა, ლანჯა, ადლ-ნა...**) და ხშირად გამოყენებული ლექსიკები დარჩა.

მცირე ცვლილება შეეხო რიცხვით სახელებსაც, უცვლელი კვლავ მხოლოდ ნაცვალსახელი და თანდებულია. პირველს ისევ გამოყენების სინშირე იცავს, მეორეს კი განსაკუთრებული როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში.

ამრიგად, სესხების პროცესის შემაფერხებელი ზემოთ დასახელებული სამი ფაქტორიდან დღეისათვის ერთი თითქმის მთლიანად მოიხსნა, მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ ორი: მოხმარების სინშირე და სიტყვათა როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში.

სესხების თვალსაზრისით C ენის უახლოესი მომავლის გასათვალისწინებლად საინტერესო მასალას იძლევა ახალგაზრდა (15-20 წლის ასაკის) ბილინგვათა მეტყველებაზე დაკვირვება: აქ უკვე მშობლიური ენის სიტყვებისათვის უცხო ენის პარალელების შექმნის ტენდენცია უჩნდებათ ნაცვალსახელებსაც და თანდებულებსაც. მაგალითები ასეთი სესხებისა ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე დავადასტურეთ:

1. პარალელურად იხმარება ცუდი ყოფაქცევის ადამიანის აღმნიშვნელი წოვათუშური ნაცვალსახელი **ოშტ-მაშტრჟ** და ქართული **იმნარ(ი)**.

2. გარკვეულ კონტექსტში წოვათუშური ენის **ჭ** თანდებულებიან ფორმებს ქართული თანდებული **კენ** დაერთვის. პარალელურად შეგვხვდება, მაგ.: **ცერიფა** და **ცერიფაკენ** (ცერისაკენ, ნაპირისაკენ); **სოგუძა** და **სოგუძაკენ** (ჩემკენ)...

როგორც ვხედავთ, ზებილინგვიზმის დროს ძლიერ ნელა, მაგრამ მიანც დაიწყო უცხო ენის ლექსიკური გავლენისაგან მსესხებელი ენის სიტყვათა ყველაზე გამძლე დამცველი ფაქტორების რღვევის პროცესი. ძნელია, გადაჭრით ითქვას, რომელი ფაქტორი გასტანს უფრო დიდხანს:

მოხმარების სინშირე თუ მონაწილეობა სინტაქსურ კონსტრუქციებში. საფიქრებელია, რომ უპირატესობა ამ მხრივ პირველს დარჩება.

ნასესხობათა ცნობილი მკვლევარი უ. ვაინრაიხი განიხილავს ამერიკის ნორვეგიულში არსებულ ინგლისურ ნასესხობათა სტატისტიკურ მონაცემებს და აღნიშნავს, რომ „არსებითთა პროცენტი ნასესხობებს შორის დაახლოებით 50%-ით მეტია არსებითთა პროცენტზე ნორვეგიულსა და ინგლისურში მთლიანად. მეორე მხრივ, ზმნებისათვის ეს პროცენტი 20-ით დაბალია, ვიდრე ამ ენებში საერთოდ, ხოლო ზოგიერთი მეტყველების ნაწილი ნასესხობათა შორის წარმოდგენილია უფრო სუსტად“ [ვაინრაიხი, 1972-46].

უ. ვაინრაიხის მიერ წარმოდგენილი შედეგების შედარება ჩვენი ცხრილების (1, 2) მონაცემებთან სხვადასხვა შეფარდებას გვიჩვენებს ორენოვნების პერიოდებთან მიმართებით.

1-ლი ცხრილის მიხედვით წარმოებული გამოთვლები არსებითთა საკითხში თითქმის მთლიანად დაემთხვა ნორვეგიული ენის ინგლისურ ნასესხობათა მონაცემებს. ზმნათა საკითხში კი მსგავსება იმაში გამოიხატა, რომ სხვაობამ აქაც უარყოფითი რიცხვი მოგვცა. რაც შეეხება მე-2 ცხრილის შედეგებს, რომელიც ზებილინგვიზმის პერიოდს ასახავს, მდგომარეობა აქ შებრუნებულია: სხვაობა არსებითებში უარყოფითი რიცხვით გამოიხატება, ზმნებში კი დადებითი რიცხვით. აღნიშნული ცხრილები და მათ მიხედვით წარმოებული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მეტყველების ნაწილთა ლიაობის საკითხში ორენოვნების ყოველი ახალი საფენური განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

როგორც წინათუ შური ენის სიტყვათა ქართული ლექსიკური პარალელიზმებისათვის შედგენილი ცხრილიდან ჩანს, დღეს ამ ენაში ქართულ ნასესხობათათვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაკენ ღიაა გზა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი კონტაქტში მყოფ ენათა ურთიერთობის შემდგომი შემჭიდროებისაკენ, ე.ი. მიღწევა იქამდე, როცა ყველა ბილინგვი მოახერხებს თავისუფალ გადართვას კოდიდან კოდზე, მოასწავებს დღემდე ცალად დარჩენილი ლექსემებისათვის ქართული დუბლების გაჩენას, რის შემდეგაც უკვე მსჯელობა იქნება ენობრივ გადართვაზე ლექსის სფეროში: სინონიმური პარალელიზმების გაჩენა ხანგრძლივი ორენოვნების ღრღის მსესხებელი ენის სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დაკარგვის გზაზე დადგომას ნიშნავს.

დღესაც კი, საზომად რომ აგველო უმაღლესი სწავლა-განათ-

ლების მქონე ისეთი წოვათუშის მეტყველება, ვისაც სისტემატურად უხდება ყოფნა ქართულ გარემოში და უფრო ხშირად მეტყველებს ქართულად, ვიდრე მშობლიურ ენაზე, დაფინანსავლით, რომ ქართული პარალელი შეიძლება გაიზიაროს კიდევ მრავალმა სიტყვამ. ამ მხრივ, მკიცრე გამონაკლისს და ჯერხანად ხელშეუხებელ ფონდს ეკუთვნის ვიწრო წრე ყოველდღიურად სახმარი სიტყვებისა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან. ეს ლექსიკის სწორედ ის ნაწილია, რომლის შესახებაც მიუთითებენ, რომ „როცა ყურადღებით ვსწავლობთ ლექსიკის სხვადასხვა ფენის ისტორიულ ბედს, ფრწუმუნდებით, რომ მასში არის გარკვეული ელემენტები, რომელსაც თავისი მდგრადობით შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ყველაზე მდგრად ელემენტებს ფონეტიკისა და მორფოლოგიისა“ [აბაევი, 1956-57].

§3. სიტყვითა და კარგვა

ძნელი წარმოსადგენია, სიტყვა ერთბაშად გამოვიდეს ხმარებიდან, ანუ დაიკარგოს; ეს პროცესი ლექსიკური ერთეულების თანდათანობითი არქაიზაციის გზით ვითარდება. ამიტომაც ამა თუ იმ ლექსემის მიერ არქაული იერის შექმნას მისი დაკარგვის გზაზე დადგომის სიმპტომად მივიჩნევთ.

სიტყვათა არქაიზაცია შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს შეპირობებული, როგორცაა:

1. საგნის გამოსვლა ხმარებიდან: ასეთ შემთხვევაში, როგორც არნ. ჩიქობავა წერს, „საგანთა ბელი წყვეტს სიტყვათა ბედს“ [ჩიქობავა, 1975-34].

2. სიტყვის მიერ ლექსიკური პარალელის შექმნა: ეს პარალელი შეიძლება ისევ მშობლიურ ნიადაგზე წარმოიქმნას, ან უცხო ენიდან შემოვიდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გვეთქვას, რომ **სიტყვა წყვეტს სიტყვის ბედს**.

პირველს სიტყვათა ისტორიზმებად ქცევას უწოდებენ, მეორე კი სიტყვათა არქაიზაციის სახელითაა ცნობილი. როგორც საკუთრივ არქაიზმები, ისე ისტორიზმები უდამწერლობო ენაში უკვალოდ იკარგება, დამწერლობის მქონე ენას კი ენახება ლექსიკონებსა თუ სხვა სახის წერილობითს ძეგლებში. მიუხედავად ამისა, აქტიური სიტყვათხმარების პროცესში მონაწილეობის მიხედვით ასეთი ერთეულები დაკარგულად

უნდა ჩაეთვალოს დამწერლობის მქონე ენასაც.

სიტყვათა ისტორიზმებად ქცევის საკითხში წოვათუშურ-ქართული ორენოვანი სიტუაცია რაიმე სპეციფიკურსა და საგანგებოს არაფერს გვიჩვენებს, სიტყვათა არქაიზმებად ქცევისას კი აღსანიშნავია:

1. სიტყვათა არქაიზაცია უცხო ენობრივი პარალელების გავლენით და

2. სიტყვათა არქაიზაცია უცხო ენის შინაარსობრივი სტრუქტურის მოდელების გავლენით.

ქვემოთ ჩვენ სწორედ სიტყვათა არქაიზაციისა და დაკარგვის ამ თავისებურ, მხოლოდ ორენოვანი სიტუაციისათვის დამახასიათებელ სახეებს განვიხილავთ.

ენაში, რომელიც მეორე ენის ძლიერი ლექსიკური გავლენის სფეროშია მოქცეული, სიტყვათა არქაიზაციის ყველაზე მძლავრი ფაქტორია იმავე მნიშვნელობის სიტყვის სესხება. ნასესხები სიტყვა, რომელსაც ზურგს უმაგრებს მაღალი პრესტიჟის მქონე S ენა, დროთა სვლაში დენის C ენის სათანადო სიტყვას და არქაიზმად აქცევს მას. ეს ხდება მსესხებელი ენის სიტყვათა გამოყენების თანდათანობითი შეზღუდვის გზით.

ნასესხები სიტყვა პირველ ხანებში ლექსიკური პარალელიზმის როლით კმაყოფილდება და თავისუფლად მონაცვლეობაშია მსესხებელი ენის იმავე შინაარსის სიტყვასთან, შემდეგ კი თანდათანობითი გზით ზოგიერთ კონტექსტში ის ერთადერთის უფლებას იმკვიდრებს, რაც, რა თქმა უნდა, ავიწროებს მისი ადგილობრივი პარალელის გამოყენების არეს.

სიტყვის კონტექსტის დავიწროება მისი სიცოცხლის უნარიანობის შემცირებას ნიშნავს. სიტყვა, რომელიც ერთ ან რამდენიმე კონტექსტს შემორჩება, ბოლოს გაუგებარი ხდება და კარგავს თავის ფუნქციას. ასე მაგ.: **ბუხ** ძირი დღემდე ერთადერთ ფართოსან თქმას შემორჩა: „**ბუხწიჩა გუბეჭეც თასლალუდ**“, რომელსაც მშიშარა ადამიანის მისამართით ხმარობენ და ასე უნდა გადმოვაქართულოთ: „ვაი თუ უძირო გუბეში ჩავარდეს.“ მისი კონკრეტული მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ გამოთქმა საკმაოდ ხშირად იხმარება, თანამედროვე წოვათუშურისთვის გაუგებარია. ეს სიტყვის დაკარგვის ბოლო საფეხურია.

ჩვეულებრივ, რა თქმა უნდა, კონტექსტის დავიწროების პროცესი ასე ბოლომდე არ ვითარდება. ნასესხები სიტყვის გამოყენების სიხშირის

მნიშვნელოვანი გადამეტება ადგილობრივი სიტყვის გამოყენებასთან შედარებით ორენოვნების დროს საკმარისი საფუძველია ამ უკანასკნელის დაკარგვისათვის. ამ გზით დაიკარგა C ენის სიტყვები:

ბოტ (ცომი), **ბოჭ** (ციკანი), **კავ** (ხორბალი), **სომ** (მანეთი), **ყაკ** (ურო), **ბუც** (ბალახი), **აყენ** (სიპი), **უთხ** (ნაჭერი), **დაყრ** (ცხედარი), **ყოპყ** (თიფქი), **ფჭაშე** (სულარა), **ვადონ** (მაწყინარი), **ატტივ** (ბედი), **მაყრ** (თავისუფლება), **ტყოყლო** (მომავალი), **ყეხკლარ** (დაბრკოლება), **ნათსორ** (საძირკველი), **ლაძრი** (რაზმი)... მათი ადგილი ლექსიკონებში მათივე გვერდით მიწერილმა ქართულმა შესატყვისებმა დაკავეს.

დაკარგვის ამ გზას ადგას დღეს ქადაგებების ლექსიკონში დაცული ასობით სიტყვა, რომელთაც უკვე შეიძინეს ქართული ლექსიკური პარალელები. სულ ლექსიკონში დაცული მნნწ წოვათუ შური სიტყვიდან ჯერჯერობით ქართული პარალელის გარეშე დარჩა მხოლოდ 1090 სიტყვა.

თითოეული უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური პარალელი აუცილებლობით მოასწავებს C ენის სათანადო ერთეულის დაკარგვას. ამას განაპირობებს ხანგრძლივი გავლენა უცხოენობრივი კოლექტივისა, რის გამოც გამოყენების სიხშირის მხრივ სულ უფრო და უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება ნასესხებ სიტყვას. საბოლოოდ სწორედ ეს გამოყენების სიხშირული უპირატესობა წყვეტს საკითხს: ხშირად ხმარებული სიტყვები სტაბილურნი ხდებიან, ნაკლები სიხშირის მქონენი კი იკარგებიან.

ლექსიკური პარალელიზმები ერთმანეთის მიმართ აბსოლუტური სინონიმების ურთიერთობაში არიან, ასეთი სინონიმები კი ძირითადად, მხოლოდ სალიტერატურო ენას სჭირდება მხატვრული თხრობის დროს კუთხური კოლორიტის შესაქმნელად, თუ სხვა მიზნით. **უდამწერლობო ენისათვის ლექსიკური პარალელიზმები ძნელად სატარებელ სამკაულად იქცევიან, რის გამოც მათგან ეს უკანასკნელი მალე ითავისუფლებს თავს. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სიტყვის მიერ უცხოენობრივი პარალელიზმის შექმნა დაკარგვის გზაზე დადგომას ნიშნავს.**

წოვათუ შურ-ქართული ორენოვანი სიტყუაცია სიტყვათა არქაიზაციისა და დაკარგვის კიდევ ერთ, თავისებურ გზას წარმოგვიჩენს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შეპირობებულია კონტაქტში მყოფ ენათა შინაარსობრივი სტრუქტურების მოდელებში არსებული სხვადასხვაობით. წოვათუ შურ-ქართული ორენოვნების დღევანდელ

საფეხურზე სწორედ ამ რიგის განსხვავებათა მოშლა ხდება. C ენის კონტექსტებში, სადაც S ენის შესაბამისი კონტექსტის ფონზე ესა თუ ის სიტყვა უჩვეულოდ გამოიყურება, ხდება წევრების შეცვლა ამ უკანასკნელთან მიახლოებული წოვათუ შური ერთეულებით. ეს ცვლა თანდათანობითი ხასიოთისაა და ხორციელდება შეცვლილი ლექსემის არქაიზაციის გზით. ასეთ დროს სიტყვათა ჩვეულებრივი, მთლიანი არქაიზაციისაგან განსხვავებით, მოძველებულ იერს იძენს მისი გამოყენება ზოგიერთ კონტექსტში, თუმცა ზოგჯერ ამავე მიზეზით სიტყვათა მთლიანი არქაიზაცია ხდება. ასეთი შემთვევების შესახებ შეიძლება გვეთქვას, რომ **S ენის შინაარსობრივი სტრუქტურა წყვეტს სიტყვის ბელს.**

დავასახელებთ სათანადო მაგალითებს:

1. **ღეჭარ** – გადახდას ნიშნავს და ჯერხანად მყარად დგას ისეთ კონტექსტებში, სადაც მისი ხმარება ქართულის ანალოგიურია. წოვა-თუ შური ენაში ის ქმნიდა ქართულისათვის უჩვეულო ერთ ასეთ წყვილს: **ცშა ღეჭარ** (ზამთრის გადახდა, ანუ გატარება). იმის გამო, რომ ქართულში **ზამთარი** სიტყვასთან **გატარებას** ამბობენ და არა **გადახდას**, დღეს ამ კონტექსტში ბილინგვები **ღეჭარ** (გატარება) სიტყვას ირჩევენ. ასე მივიღეთ ახალი წყვილი: **ცშა ღეჭარ**. იმავე კონტექსტში **ღეჭარ** სიტყვას უკვე ამჟამად არქაული იერი დაჰკრავს და მხოლოდ ღრმად ასაკოვანთა შეტყვევებაშიღა ისმის.

2. **მაჭარ** – გამოჩნდება ნიშნავს და ჯერჯერობით უცვლელად იხმარება ყველა კონტექსტში, სადაც მისი გამოყენება გამართლებულია ქართული ენის თვალსაზრისით. ბოლო დრომდე ის დამატებით იხმარებოდა აგრეთვე **ბუმსა** (ღამე) სიტყვასთან და მიღებული წყვილი **ბუმსა მაჭარ** ცვლიდა ქართულ ენაში ხმარებულ **ღამის გატარებას**. ახლა აქ მას ქართული გატარება ზმნის ზუსტი შესატყვისი **ღეჭარ** შეეცვლა, იტყვიან: **ცშა ბუმსა ღეჭარს** (ერთი ღამე გაატარე).

3. **ღატარ** – გასკდომას ნიშნავს ჩვეულებრივ, მაგრამ **ბუბუკ** (ყვავილი) სიტყვასთან ის ქართული **გაიშალა** სიტყვის მნიშვნელობასაც გადმოსცემდა. დღეს აღნიშნული „უზუსტობა“ სწორდება და ნაცვლად იმისა, რომ თქვან: **ბუბუკ დატქ**, ამბობენ: **ბუბუკ დარქქ**. **დარქქ** ქართული **გაიშალა**-ს ზუსტი შესატყვისია.

მაგალითები კიდევ ბევრი შეიძლება დაგვესახელებინა. მაშინ, როდესაც არ ხერხდება ზუსტი შესატყვისის თვით წოვათუ შურში

დაძებნა, „უჩვეულო“ სიტყვის ადგილს კონტექსტში სათანადო ქართული სიტყვა იჭერს. ასეთ შემთხვევაში შინაარსობრივი სტრუქტურების მოდელთა შორის არსებული სხვადასხვაობა სიტყვათა სესხების საბაბი ხდება. მაგალითად:

1. **ღარ** - ქმნას ნიშნავს და **C** ენის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ზმნას წარმოადგენს. ქართული **ჯვარისწერა** სიტყვის შინაარსის გადმოსაცემად თავის დროზე აქ მისი დანმარებით აწარმოეს ჰიბრიდული გამოთქმა **ჯორ ღარ** (ჯვარის ქმნა). დღეს ისევ ქართული ენის გავლენით აღნიშნული ზმნა ქართულიდან ნასესხები **დაწერა - ღარ** ზმნით შეიცვალა; ასე გაჩნდა ახალი წყვილი: **ჯორ დაწერადარ** - ჯვრის დაწერა.

2. **ჰათხრქ - წინიდან** სიტყვის მნიშვნელობას ატარებს. გამოყენებაც დღემდე ასეთივე აქვს, გარდა იმ კონტექსტებისა, სადაც ის ქართული **მაგიფრად** სიტყვის შინაარსსაც ითავსებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეუსაბამობა გასწორდა, მაგრამ იმის გამო, რომ **C** ენაში ვერ დაიძებნა მისი ზუსტი შესატყვისი, მის ადგილას ქართული ლექსემა ჩადგა. ასე მივიღეთ **სოჲ ჰათხრქ ღობ და სონ მაგიფრათ ღობ** (ჩემ მაგიფრად წადი).

მსგავსი ტიპის ცალკეული მაგალითების დაძებნა კიდევ შეიძლებოდა. როგორც ვხედავთ, ხდება წოვათუშური ენის კონტექსტების გასწორება ქართულ ენაში წარმოდგენილი ვითარების მიხედვით. კონტექსტების შესაბამისობაში მოყვანის აღნიშნული პროცესი დიდი სიზუსტით ხორციელდება. ამ მხრივ საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა სიტყვა ერთადერთ კონტექსტს ემსახურება და იქიდანაც იღვენება იმის გამო, რომ ქართულს ასეთი სპეციფიკური ტერმინი არა აქვს.

სიტყვათა დაკარგვის დასახელებული შემთხვევები უნდა დავახასიათოთ, როგორც ენობრივი აზროვნების ქართული მოდელის გავლენა წოვათუშურის სათანადო მოდელზე. ბილინგვებს, რომლებიც დროთა სვლაში სრულყოფილად დაეუფლნენ აზროვნების ქართულ მოდელს, ამ უკანასკნელის შესატყვისობაში მოჰყავთ მშობლიური ენა.

ჩანს, იმის გამო, რომ შეუძლებელია რამდენიმე წესით აზროვნება, სწორდება აღნიშნული ხასიათის განსხვავებები. გასასწორებელი, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ცოტა დარჩა. გასწორდა ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. ხანდაზმულთა მეტყველებაში აქაიქ სპორადულად შემორჩენილ ანდაზებსა და ფრთოსან თქმებს ახალი

თაობა აღარ იცნობს. ორიგინალური წოვათუშური იდიომატური თქმები იმავე შინაარსის ქართულიდან თარგმნილმა ერთეულებმა შეცვალა.

შეიძლება დაგვასკვნათ რომ:

I. შედეგის მიხედვით სიტყვათა და კარგვის ორი სახე გვაქვს:

- ა) როცა სიტყვა იკარგება ყველა კონტექსტიდან და
- ბ) როცა სიტყვა იკარგება ზოგიერთი კონტექსტიდან.

II. გამომწვევი მიზეზების მიხედვით კი უნდა განვასხვაოთ იმავე პროცესის სამი სახე:

- ა) როცა სიტყვის ბედს საგნის ბედი წყვეტს;
- ბ) როცა სიტყვის ბედს წყარო ენის სიტყვა წყვეტს და
- გ) როცა სიტყვის ბედს წყარო ენის შინაარსობრივი სტრუქტურა წყვეტს.

თავი მეორე

ლიქსიკური ნასესობათა ტიპები

შესავალი

ყველა სიახლეს, რაც სხვა ენის გავლენით ჩნდება რომელიმე ენის სიტყვიერ ფონდში, ლექსიკურ ნასესობათა სახელით აღნიშნავენ. არსებობს ლექსიკური სესხების რამდენიმე ვხა:

1. როცა ნასესხები სიტყვის შინაარსს ერთი ენიდან მეორე ენაში მისი ბგერითი გარსიც გადაწყვება (ბგერითი გარსის გადაყოლა შეიძლება მოხდეს მთლიანად, ან ნაწილობრივ);

2. როცა ნასესხები სიტყვის შინაარსს საკუთარი შერჩევა მხოლოდ მორფოლოგიური მოდელი, მორფემები კი შეირჩევა მსესხებელი ენიდან და


3. როცა სიტყვის უცხო ენიდან გადმოტანილი შინაარსი მსესხებელ ენაში უკვე არსებულ რომელიმე ლექსემას უკავშირდება.

ამ სამი შესაძლებლობის მიხედვით არის ცნობილი ლექსიკური ნასესობათა სამი ტიპი: ნასესხები სიტყვები, კალკები და სემანტიკური ნასესობანი.

ლექსიკური სესხების ყველა შემთხვევაში უცვლელად ფუნქციონირებს მხოლოდ შინაარსი სიტყვისა, ბგერითი გარსი კი ხან იგივე რჩება, ხან იცვლება მსესხებელი ენის მასალით. ამ ფაქტზე დაყრდნობით სესხების საკითხთა ცნობილმა მკვლევარმა ეინარ ჰაუგენმა გაამარ-

ტივა აღნიშნული სამწევროვანი კლასიფიკაცია და გამოყოფა ლექსიკურ ნასესხობათა ორი ძირითადი ტიპი: ერთს უწოდა ნასესხები სიტყვები, მეორეს კი შენაცვლებული ნასესხობანი (ივარაუდება ბგერითი გარსის შენაცვლება) [ჰაუგენი, 1972-367]. ამჯერად, როგორც ვხედავთ, კალკები და სემანტიკური ნასესხობანი ერთად მოექცა იმ ნიშნის მიხედვით, რომ სიტყვის ბგერითი გარსი ორსავე შემთხვევაში მსესხებელი ენის მასალით იცვლება.

მკვლევარმა წარმოადგინა ლექსიკურ ნასესხობათა აღნიშნული ორი ძირითადი ტიპის ქვეკლასებისა და ქვეჯგუფების ნათელი და თანამიმდევრული სისტემა, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ენაში უკვე არსებულ თუ შესაძლო ნასესხობათა თითქმის ყველა შემთხვევას. ამ სისტემის მიხედვით, ნასესხები სიტყვები იყოფიან საკუთრივ ნასესხები სიტყვებისა და ჰიბრიდულ ნასესხობათა ქვეკლასებად, შენაცვლებული ნასესხობანი კი - კალკებად და გაფართოებულ ნასესხობებად. ნათქვამი სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:



ქვემოთ ჩვენი მასალების მიხედვით ცალ-ცალკე განვიხილავთ ლექსიკურ ნასესხობათა ოთხივე ქვეკლასს და სქემის ცალკეულ უჯრედებში გავანაწილებთ წოვათუ მურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შედეგად მიღებულ ლექსიკურ ნასესხობებს, აღვნიშნავთ, რა გვაქვს და როგორი მოცულობით, რა გვაკლია და რატომ, რა შეგვხვდა მეტი.

§1. საკუთრივ ნასესხები სიტყვები

ლექსიკურ ნასესხობათა პირველი ტიპი, რომელსაც ნასესხებ სიტყვებს უწოდებენ, ყველაზე დამახასიათებელია წოვათუშური ენისთვის; სხვა ენებიდან შეთვისებულ ლექსემათა დაახლოებით 99% აქ იყრის თავს. ეს ტიპი, როგორც მივუთითეთ, ორ ქვეკლასს ქმნის; პირველს საკუთრივ ნასესხები სიტყვები უწოდეს, მეორეს კი – ჰიბრიდული ნასესხობანი. საკუთრივ ნასესხები სიტყვები მაშინ გვაქვს, როცა მსესხებელი ენა სიტყვის შინაარსთან ერთად მის ბგერითს გარსსაც ითვისებს, ჰიბრიდული ნასესხობა კი მაშინ, როცა სიტყვის ბგერითს გარსში რომელიმე მოირთემა მსესხებელი ენის მასალით შეიცვლება. წოვათუშურ ენაში ხმარებულ უცხო ენიდან შეთვისებულ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა პირველი ტიპის პირველ ქვეკლასს (საკუთრივ ნასესხებ სიტყვებს) მიეკუთვნება; ამ მხრივ, შედარებით უმნიშვნელოა ამავე ტიპის მეორე ქვეკლასის (ჰიბრიდულ ნასესხობათა) წევრების ხვედრითი წონა ნასესხებ სიტყვათა საერთო რაოდენობაში.

საკუთრივ ნასესხები სიტყვის ბგერითი გარსი მსესხებელ ენაში შეიძლება დაექვემდებაროს რიგ ფონოლოგიურ გარდაქმნებს. ამ გარდაქმნათა ხარისხის მიხედვით, ე. წ. საკუთრივ ნასესხებ სიტყვათა აღნიშნული ქვეკლასი სამ ქვეჯგუფად იყოფა. ქვეჯგუფებს ქმნიან მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელად დატოვებული ლექსიკური ერთეულები. მთლიანად ასიმილირებული სიტყვები აღარ მოგვაგონებენ ამოსავალ ფორმას და საგანგებო ლინგვისტურ ანალიზს საჭიროებენ ასეთი კავშირის დასადგენად; ამ მხრივ განსხვავებული პოზიცია უკავია სიტყვებს, სადაც გარეგნულად, მართლაც, არათყერი შეცვლილა.

თითოეული ნასესხობა ენაში შეაქვს ბილივგ ინდივიდს, შემდეგ კი მიიღება და მეორდება სხვებისგან. მაშინ, როცა პროცესება, რომელსაც შემოაქვს ენაში ახალი სიტყვა, კარგად ფლობს უცხო ენას, ნასესხები სიტყვის ბგერითი გარსი შეიძლება უცვლელი დარჩეს, მაგრამ შემდეგ, როცა ის გადავა კოლექტიურ სიტყვათმონპარებაში, კოლექტივის წევრები, რომლებიც სუსტად ფლობენ უცხო ენას, შეიტანენ თავიანთ წვლილს სესხების პროცესში – შეცვლიან მას. არსებობს სხვა შესაძლებლობაც, კერძოდ, სიტყვის ბგერითი გარსი შეიძლება შეიცვალოს თვითონ პირველივე მსესხებლის მიერ, როცა ის არა ფლობს სრულყოფილად უცხო ენას.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ნასესხები სიტყვის ფონოლოგიური გარდაქმნა გაუცნობიერებლად ხდება; მოუბარი არ ცვლის სიტყვას, უბრალოდ, ასე ესმის მას იგი: მშობლიური ენისათვის უჩვეულო ბგერათშეერთებანი ძნელი მოსასმენიც არის და ძნელი წარმოსათქმელიც. სწორედ ამიტომ ბილინგვი ინდივიდები ცდილობენ უჩვეულო ჩვეულებრივის თარგმლებში მოაქციონ და წარმოთქვამენ უცხო სიტყვას ისე, როგორც მათ ეს შეუძლიათ. საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახეს მიიღებს ნასესხები სიტყვის ბგერითი გარსი, წინასწარ განსაზღვრულია სიტყვის ფონოლოგიური მოდელით და ორენოვანი კოლექტივის მიერ უცხო ენის ცოდნის დონით.

წოვათუშური ენის სიტყვათმომხმარების სისტემაში ჩართულია უამრავი ქართული თუ ქართულის გზით ნასესხები სიტყვა, რომლებიც დღევანდელი ვითარების მიხედვით სამსავე ქვეჯგუფში ნაწილდება. მათ შორის დღეს უკვე ყველაზე მცირეა მთლიანი ასიმილაციის შემთხვევები; ესაა ლექსებები, რომლებიც ურთიერთობის პირველ საფეხურზე ისესხა ენამ და მთლიანად დაუქვემდებარა საკუთარ ფონოლოგიას. ასეთია, მაგალითად, შემდეგი ერთეულები: -

ქართ.: გვირგვინი, წოვათუშ.: **გირგიმ**, კიკინა - **კიკიმ**, ზედადგარი - **ზედგტ**, საცერი - **ცაც**, მუჯლოგუნი - **მუჯგტ**, მადლი - **მადელ**, კევი - **კივი**, მტკვარი - **ტკორ**, კვერი - **კერ**, ღვარი - **ღორ**, გვალვა - **გოლო**, ჯვარი - **ჯორ**, გვარი - **გორ**, კვალი - **კოლ**, ჭლიკვი - **ჭალკო**, ზნე - **ზტ**, ჭდე - **ჭადო**, ჳრდალი - **ჯადალ**, მტვერიანი - **მუტორქ**, გონიერი - **გუმნარ**, ღონიერი - **ღუმნარ**, ზომიერი - **ზუმმარ**, წმენდა - **წამ-დარ**, არჩევა - **ჩავარ-დარ**, ცდა - **ცად-დარ** (**დარ** მეშველი ზმნაა და საწყისებს აწარმოებს); ხომ - **ხუმ**, მაგრამ - **მტ**, ქვეითად - **ქუმთათ...**

იმის გამო, რომ საკუთრივ C ენის სიტყვათა ფონოლოგიური სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება S ენის სიტყვათა აგებულებისაგან, ქართულ-წოვათუშური ენობრივი ურთიერთობის პირველ საფეხურზე ნასესხობათა შორის ყველაზე უფრო თვრთოდ სწორედ ეს ქვეჯგუფი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ნასესხებ ერთეულებს მაშინ არსებითი ხასიათის გარდაქმნები დასჭირდებოდა, რათა ორგანულად შერწყმოდნენ მსესხებელი ენის ლექსიკურ ქსოვილს. დღეს სხვა ენიდან შეთვისებულ სიტყვათა ეს ჯგუფი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ბევრი ფონოლოგიური პროცესი, უკვე განვლილი საფეხურია წოვათუშურისთვის და წარსული ვითარების გადმონაშთსლა წარმოადგენს.

მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ იგონებოდა დასახელებული სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირი ქართულის სათანადო ფორმებთან, წოვათუშურმა ხელახლა ისესხა ბევრი მათგანი. დღეს ერთმანეთის გვერდით იხმარება ერთი და იმავე ქართული სიტყვის წყვილი ფორმა, რომელთაგან პირველი მთლიანად ასიმილირებულია, მეორე კი - ნაწილობრივ ასიმილირებული, ან უცვლელი.

გვაქვს, მაგალითად:

ქართული	წოვათუშური
მუჯლოგუნი	მუჯგა // მუჯლოგუქ
მადლი	მადელ // მადლ
კუდიანი	კუდელქ / კუდიან
სახალათე	ხალათდილ // სახალათე

დასახელებულთა გარდა, ამავე მიზეზით ხელმეორედ არის ნასესხები აგრეთვე: **კიკა, ზედადგარ, მტკვარ, კვალ, ზნე, ჭდე, მტვერიან, ფრთხილ, კუდიან, გონიერ, ღონიერ, ზომიერ, წმენდა-დარ, ცად-დარ, მაგრამ, ქვეითათ...** სულ ჩვენ მიერ აღრიცხული 31 მთლიანად ასიმილირებული სიტყვიდან ხელმეორედ იქნა ნასესხები 24 ერთეული.

ხელმეორედ ნასესხები სიტყვები მათსავე აღრე შეთვისებულ ფორმებთან ერთად გარკვეული დროის მანძილზე ქმნიან თავისებურ სინონიმურ პარალელიზმებს. **სინონიმურია ამ გზით მიღებული ყველა წყვილი, რადგან მათი წევრები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადმოსცემენ ერთსა და იმავე შინაარსს, მათი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც საკუთარი უცხო, მაშინ როცა ორივე ნასესხებია, ოღონდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოთხოვნათა დაცვით.**

მთლიანად ასიმილირებული ლექსიკური ნასესხობანი ნაწილობრივ ასიმილირებული პარალელების შექმნის გამო მალევე იკარგებიან. შემორჩენილ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება გვეთქვას, რომ მარცვლის დაკარგვა, თანხმოვნის ჩაფარდნა, ანაბტიქსური ხმოვნის გაჩენა, ეპენტეზის და ბგერათა კომპლექსების შერწყმა თავის დროზე ნასესხებ სიტყვათა ამოსაფარსა და მიღებულ ფორმებს შორის ეტიმოლოგიური კავშირის გაწყვეტას იწვევდა. ლექსმათა გარდაქმნის ეს ძლიერი საშუალებები, რასაც C ენა ბუნებრივად იყენებდა S ენის

ფონოლოგიური გავლენისაგან თავდასაცავად, დღეს ნასესხობებში უკვე აღარ მოქმედებს.

თანამედროვე ეტაპზე, როცა ორენოვნება საყოველთაო გახდა და ამალღდა ბლინგებში ქართული ენის ცოდნის დონე, სიტყვათა შეთვისების ცოცხალი პროცესი მხოლოდ ორი ქვეჯგუფით ისაზღვრება. ქვეჯგუფებს ქმნიან უკვე ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელი სიტყვები. მათგან დღესდღეობით ყველაზე მრავალრიცხოვანია ნაწილობრივ ასიმილირებული ლექსიკური ერთეულები, თუმცა მოვლენათა განვითარების მთელი თანამიმდევრობა ახლო მომავალში უცვლელ სიტყვათა მოძალედებას ვარაუდობს.

ნაწილობრივ მასიმილირებელი რიგის მოვლენად მოგვაჩნია აუსლაუტის ხმოვნის რედუქცია ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში. ამ ქვეჯგუფში შევა ყველა ხმოვანფუძიანი ნასესხები სახელი, სადაც ხდება ბოლო ხმოვნის დასუსტება-დაკარგვა. აქვე მოექცევა თანხმოვანფუძიანი სახელები, თუ სახელობითის ი ხმოვნის დაკარგვას სხვა ხმოვნების რედუქციის სიბრტყეზე განვიხილავთ. გარდა ბოლო ხმოვნის დასუსტება-დაკარგვისა, ნაწილობრივ მასიმილირებელი რიგის მოვლენებად მიგვაჩნია აგრეთვე ხმოვნის რედუქცია ფუძის შიგნით და ნართ გათავებული ფუძეების აუსლაუტში ხმოვნის ნაზალიზაცია.

ნაწილობრივ ასიმილირებული სიტყვებიდან შეიძლება დავასახელოთ, მაგ.:

1. **ფუძის ბოლო ხმოვნის რედუქციათ:**

ა) აუსლაუტის ა-ს დასუსტებითა და დაკარგვით: ქართ. სკოლა - წოვათ. სკოლ, შენობა - შენობ, ჩანთა - ჩანთ, დავალება - დავალებ, მოწმობა - მოწმობ, განცხადება - განცხადებ, გეგმა - გეგმ, პატიება - პატიებ, აღსარება - აღსარებ, გამოკლება - გამოკლებ, ხელობა - ხელობ, ჭრილობა - ჭრილობ...

ბ) ე-ს დასუსტებით: ქართ. სათავე - წოვათუშ. სათავე, ვაკე - ვაკე, მეფე - მეფე, კუთხე - კუთხე, კლიტე - კლიტე, მონადირე - მონადირე, მებაღე - მებაღე, სამარილე - სამარილე, სიკეთე - სიკეთე...

გ) ო-ს დასუსტებით: ქართ. ეზო - წოვათუშ. ეზო, ბოლო - ბოლო, წერო - წერო, წებო - წებო, ჯილდო - ჯილდო, უბილეთო - უბილეთო, სანდო - სანდო, უხასიათო - უხასიათო, სასწრაფო - სასწრაფო...

დ) უ-ს დასუსტებით: ქართ. კენგურუ - წოვათუშ. კენგურუ.

2. **სახელობითი ბრუნვის ფორმანტის დაკარგვით:** ქართ. მინდორი -

წოვათუშ. **მინდორ**, ფოთოლი - **ფოთოლ**, ღრუბელი - **ღრუბელ**, ხორბალი - **ხორბალ**, მოსავალი - **მოსავალ**, სურათი - **სურათ**, კედელი - **კედელ**...

3. **ფუძის შიდა ხმოვნის რედუქციით**: ქართ. კალაპოტი - წოვა-თუშ. **კალპოტ**, კალატონი - **კალტონ**, ბიძაშვილი - **ბიძშვილ**, ანგარიში - **ანგრიშ**, მარგალიტი - **მარგლიტ**, დეკანოზი - **დეკნოზ**, დევანოზი - **დევნოზ**, ტალავარი - **ტალვარ**... ანგელოზი - **ანგლოზ**, გენერალი - **დერნალ**, სარგებელი - **სარგბელ**, აუარებელი - **აუარბელ**, მატარებელი - **მატარბელ**, უკარებელი - **უკარბელ**, უხსენებელი - **უხსენბელ**, გაუხარებელი - **გაუხარბელ**...

4. **ფუძის ბოლო ხმოვნის ნაზალიზაციით**: ქართ. ხეივანი - წოვა-თუშ. **ხეივან**, მავანი - **მავან**, მდივანი - **მდივან**, გულანი - **გულან**, დენი - **დენ**, ხსენი - **ხსენ**, ორდენი - **ორდენ**, შევარდენი - **შევარდენ**, ხავარტანი - **ხავარტან**, ჯეირანი - **ჯეირან**...

საზღვარი მთლიანად ასიმილირებულსა და ნაწილობრივ ასიმილირებულ სიტყვათა ქვეჯგუფებს შორის მერყევაა, რადგან შეუძლებელია მკვეთრი გამიჯვნა ფონოლოგიური გარდაქმნებისა მთლიანად და ნაწილობრივ მასიმილირებული ძალის ფაქტორებად. ასეთი დაყოფა პირობითი იქნება ყოველგვარ ორენოვან სიტუაციაში იმის გამო, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ შემთხვევაში რომ მთლიანად გაწყვეტს სიტყვის ეტიმოლოგიურ კავშირს ამოსავალ ფორმასთან, სხვა შემთხვევაში აღარ ხდება ეს.

ნასესხები სიტყვის მისივე ამოსავალი ფორმისაგან დაცილების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო გარდაქმნილი ფონოლოგიური პროცესის ხასიათზე, არამედ აგრეთვე ლექსემაში შემავალ ფონემათა რაოდენობაზე; მით უფრო ძნელად სცილდება სიტყვა ამოსავალ ფორმას, რაც უფრო მეტი ფონემის თანამიმდევრობას ითვალისწინებს მისი აგებულება. ასეთ ერთეულებს, ჩვეულებრივ, გრძელს უწოდებენ. როგორ გაავალოთ ზღვარი სიტყვის სიგრძესა და სიმოკლეს შორის?

ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა მოკლე გვეწოდებინა ერთმარცვლიანი სიტყვებისთვის, გრძელი კი - მრავალმარცვლიანთათვის, მაგრამ თვით ერთმარცვლიანებიც ამ მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. გადაწყვეტი ჩანს თანხმოვანთა რაოდენობა; ის ერთმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც რამდენიმე თანხმოვანს შეიცავენ, გრძელი სიტყვების ბედს იზიარებენ: მათაც, როგორც მრავალმარცვლიან სიტყვებს, სრული

ასიმილაციისათვის რამდენიმე გარდაქმნილი ფაქტორის ერთობლივი მოქმედება სჭირდება.

ბილინგვ კოლექტივში უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლებას ნასესხებ სიტყვათა მასიმილირებული პროცესების მოქმედების შეზღუდვა მოჰყვა. ორენოვანი ინდივიდები ახლა უკვე თითქმის დაუბრკოლებლად ახერხებენ, აღიქვან უცხო ენის ბგერითი მოდელები; მსესხებელ ენაში დასაშვები გახდა ახალი, აქამდე უჩვეულო ბგერათშეერთებები, ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ორენოვნების თანამედროვე ეტაპზე წოვათუშურ ენაში მოქმედება შეწყვიტა თითქმის ყველა პროცესმა, რომელსაც მთლიანად მასიმილირებული ვუწოდეთ. დღეს, თითქმის ჩვენ თვალწინ, გარკვეული შეზღუდვა ხდება ნაწილობრივ მასიმილირებული ძალის ფაქტორებშიც. უახლეს ნასესხობებში მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ ორი მათგანი: ბოლო ხმოვნის დასუსტებისა და მისივე ნაზალიზაციის კანონები. აღარ ხდება ხმოვნის რედუქცია ფუძის შიგნით.

საკუთრივ ნასესხები ლექსიკური ერთეულების მესამე ქვეჯგუფს, როგორც აღვნიშნეთ, ქმნის ფონოლოგიურად სახეუცვლელი სიტყვები. ეს ქვეჯგუფი დღეს, ნებილინგვიზმის პირობებში, ძალიან მდიდარია მაგალითებით, მაშინ როდესაც, ჩვენი ვარაუდით, წინა სათესურზე წოვათუშურში აქ ერთეული შემთხვევები უნდა გექონოდა. ასეთი იქნებოდა, მაგ., უმარტივესი CV ტიპის ერთმარცვლიანი სიტყვები, როგორცა: ქართ. ცა - წოვათუშ. ცა, კი - კი, ჰო - ჰო... ასევე უცვლელად შეიძლებოდა ყოფილიყო შეთვისებული VC და CVC მოდელების სიტყვებიც.

შენიშნავთ, რომ ყოველთვის არც მარტივი აგებულება დაიცავდა სიტყვას ფონოლოგიური გარდაქმნებისაგან, რადგან მოდელის იდენტურობის შემთხვევაშიც ენებს განსხვავებული შეიძლებოდა ჰქონოდათ ფონემათა დისტრიბუციის წესები. მაგ., ქართული ხე წოვათუშურში ხქ ფორმით ისესხა, კუ-მ მოგვცა კუუ, კეე-ისგან მივიღეთ კიე, ხომ-ისგან მივიღეთ ხუმ და სხვა.

დღესდღეობით მთლიანად უცვლელ სიტყვათა ქვეჯგუფს ეკუთვნის ქართული წარმოშობის ძალიან ბევრი კავშირი, ნაწილაკი და ასობით ზმნიხედა. დასახელებულ მეტყველებების ნაწილთა ბგერითი გარსის უცვლელ გადატანას ხელს უწყობდა რამდენიმე გარემოება: ჯერ ერთი, ეს ნასესხობათა უახლესი ფენაა, მეორეც, მათი აგებულება წოვათუშური ენის თანამედროვე, ნასესხობათათვის ტრანსფორმი-

რებული ფონოლოგიური სისტემის დონეზე სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი ჩანს.

ამ ჯგუფის ლექსემებიდან გამონაკლისს ქმნის რამდენიმე: ქვეითად - ქუთად, მაგივრად - მაგვართ, ხომ - ხუმ, მაგრამ - მან, თურე - თურ. ესენი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შედარებით ადრეა ნასესხები და პირველი ქვეჯგუფის გადმონაშთს წარმოადგენს.

გარდა ჩამოთვლილი კავშირებისა, ნაწილაკებისა და ზმნიზედებისა, საკუთრივ ნასესხებ სიტყვათა მესამე ქვეჯგუფს შეავსებს დღეის შემდეგ შეთვისებული ყველა ლექსემა, რომელიც უკვე დამკვიდრებულ იმავე სიტყვას გვერდით დაუდგება, როგორც „სწორი“ ფორმა „მცდარს“. ენობრივი გავლენის მაღალი საფეხურის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს, როგორც ეს მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ე.წ. მცდარი ფორმების გასწორება წარმოადგენს. „მცდარია“ მთლიანად ასიმილირებული და ნაწილობრივ ასიმილირებული სიტყვები, „სწორი“ კი - მათივე უცვლელი ფორმები.

ორენოვნების მაღალი დონე ბილინგვ ინდივიდს საშუალებას აძლევს დაინახოს ერთი და იმავე სიტყვის ამოსავალსა და მიღებულ, ნაწილობრივ ასიმილირებულ ფორმებს შორის არსებული გაღაზნა და გაასწოროს „მეცდომა“. თავის დროზე, რა თქმა უნდა, ეს იყო მშობლიური ენის ფონოლოგიური მოდელის გავლენა, რომელიც აიძულებდა მსმენელს, მცდარად აღექვა უცხო ენაზე ნათქვამი. სესხების პროცესის გაძლიერების გამო დროთა სვლაში წოვათუშური ენის ფონოლოგიაში დასაშვები გახდა ადრე მისი მოდელისათვის უჩვეულო ბგერათშეერთებები, რასაც შედეგად უკვე შეთვისებულ სიტყვათა ფორმების გადასინჯვა მოჰყვა.

დღეისათვის ბევრი რამ უკვე გასწორდა; თითქმის ყველა ნაწილობრივ ასიმილირებული ფორმა, სადაც ადგილი ჰქონდა ეპენტოზისს, ხმოვანთა რედუქციას, თანხმოვნის ჩავარდნას თუ ანაპტიქსური თანხმოვნების გათიშვას, ახლით შეიცვალა. ძველი ფორმით სიტყვებს შუახანს გადაცილებული თაობალა ხმარობს. გასასწორებელი წოვათუშებს დღეისათვის ცოტა დარჩათ: ესაა დასუსტებული სიტყვის ბოლო ხმოვნის აღდგენა სრულ ხმოვანად და აგრეთვე ისევ სიტყვის აუსლაუტში მოქმედი ხმოვნის ნაზალიზაციის მოშლა. ურთიერთობის ამ საფეხურზე წაშლილია S და C ენების ფონოლოგიურ სისტემებს შორის არსებული ყველა სხვა განსხვავება, ნასესხობათა უახლესი ფენა

მხოლოდ ამ ორ მასიმილირებელ პროცესს ექვემდებარება. როგორც კი შეწყდება პირველი მათგანის მოქმედება, მოქმედებას შეწყვეტს მეორეც, რადგან მოიხსნება ის ფონეტიკური გარემო, რაც აუცილებელია სიტყვებში ხმოვნის ნაწალიზაციისათვის. ისე რომ, დღეს წოვათუშური ენის ლექსიკურ ნასესხობათა ბგერითი გარსის ცვლილებებს ბოლო ხმოვნის სავალდებულო რედუქციაღა იწვევს.

ამრიგად, ერთმა და იმავე სიტყვამ ენებს შორის ურთიერთობის საფეხურების მიხედვით შეიძლება მოგვცეს სამი განსხვავებული ფორმა: მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელი. მაგალითად, ქართული სიტყვა **მადლი**, რომელიც დღეს წოვათუშურში **მადელ** და **მადლ** ფორმით გვხვდება, შემდგომში მიიღებს **მადლი** სახეს, სიტყვა **მუჯღლუგუნი**, რომელიც **მუჯგა** და **მუჯღლუგუ** ფორმებით დასტურდება, შეგვხვდება **მუჯღლუგუნი** ფორმით. ასეთივე გზა მოელის წოვათუშურ ენაში დღემდე შემონახულ სხვა მთლიანად ასიმილირებულ ერთეულებსაც. ისე რომ, ხშირ შემთხვევაში თითო ქართული სიტყვის საპირისპიროდ **C** ენაში გვექნება სამი სხვადასხვა ფორმა. ეს ფორმები ერთმანეთისაგან კი არ იქნება მიღებული, არამედ ყოველი მათგანი დამოუკიდებლად იქნება დაკავშირებული პირველ წყაროსთან. ნათქვამი სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

ქართული	წოვათუშური
მადლი	მადელ // მადლ // მადლი
მუჯღლუგუნი	მუჯგა // მუჯღლუგუ // მუჯღლუგუნი
კიკინა	კიკიმ // კიკი // კიკინა

მიღებულ სამეულთაგან ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანია მესამე ფორმა: მას უჭერს მხარს სულ უფრო მწარდი ორენოვნება და უცხო ენის პრესტიჟი. სწორედ ამიტომ, მასთან მიმართებით ხდება გადაფასება დანარჩენი ორი ფორმის მნიშვნელობისა. მეორე ფორმას, როგორც ფორმალურ პარალელიზმს, მალე წაშლის მესამე, პირველი კი, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ სინონიმური პარალელიზმის დამოკიდებულებაში იქნება, შეიძლება დარჩეს კიდევ დიდხანს. ამით განსხვავდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვათა ფორმალური და სინონიმური პარალელიზმების ბედი.

ერთი შეხედვით შეიძლება გვეფიქროს, რომ მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებულ და უცვლელ სიტყვათა სამი ქვეჯგუფი ენათა ურთიერთობის ერთიმეორის მომდევნო სამი საფეხურის შედეგებს ასახავს. ნაწილობრივ ეს, მართლაც, ასეა იმიტომ, რომ რაც უფრო ადრეა ნასესხები გარკვეული ტიპის სიტყვა, მით მეტი ცვლილება აქვს მას განცდილი და პირიქით; რადგანაც სიტყვის გარსის ცვლა შეპრობებულია მისი სტრუქტურით, უფრო სწორად, მსესხებელი ენის ფონოლოგიური თარგი-სადმი მისი აგებულების შესატყვისობით, ერთსა და იმავე დროს ნასესხები ორი სიტყვიდან შეიძლება ერთი აბსოლუტურად უცვლელი დარჩეს, მაშინ როდესაც მეორე დაექვემდებარება არსებითი ხასიათის გარდაქმნებს.

ამგვარ განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიჩვენებს წოგათუშურში ხმარებული ქართული ლექსიკური ნასესხობანი იმ მიზეზით, რომ ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემები მხოლოდ ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს. იქ, სადაც სიტყვათა მოდელიების დამთხვევა გვაქვს, სესხება ყოველგვარი გარდაქმნების გარეშე ხდება, იქ კი, სადაც ნასესხები სიტყვის აგებულება განსხვავდება, ადგილი უჩრება ცვლილებებს. მაგალითად, არაა გამორიცხული, რომ ერთ დროს იყოს ნასესხები სიტყვები: **ცა** (<ცა) და **ჩარდილ** (<ჩრდილი). პირველი უცვლელი დარჩა, რადგან CV ტიპის მოდელი ჩვეულებრივი იყო ამ ენაში, მეორე კი გარდაქმნა, რადგან უჩვეულო იყო სიტყვის ანლაუტში ხშულისა და სონანტის უშუალო მიმდევრობა.

თავის მხრივ, ცხადია, პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს ერთი და იმავე სტრუქტურის მქონე სიტყვათა ასიმილაციის ხარისხსა და მათი სესხების სიძველეს შორის: რაც უფრო მეტადაა შეცვლილი სიტყვის ბგერითი გარსი, მით უფრო ადრეა ის ნასესხები მსგავსივე წყობის ნაკლებად შეცვლილ სიტყვასთან შედარებით.

ამრიგად, **ბგერით გარსში მომხდარ ცვლილებათა ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მიახლოებით განისაზღვროს ზოგიერთი სიტყვის სესხების შედარებითი ქრონოლოგია**. ამასთან, საკმაოდ მრავლად გვაქვს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა მიმართ ასეთი მიდგომა უნაყოფოა. მათ აქვთ ისეთივე განაწილება ფონემებისა, რაც დამახასიათებელია აგრეთვე C ენისათვის. ამის გამო მათი უცვლელი სახით შეთვისება შეიძლებოდა მომხდარიყო როგორც რამდენიმე საუკუნით ადრე, ისე ჩვენს თვალწინ.

ლექსიკური გავლენის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენს C ენაში ქართული ენის სიტყვა-ციტატების გამოყენება. ნასესხები სიტყვებისაგან განსხვავებით, რომლებიც ორგანულად ერწყმიან მსესხებელი

ენის ლექსიკურ ფონდს, სიტყვა-ციტატა ყოველთვის უჩვეულოა. კონტექსტში მას გამომარჩევს თავისებური ფორმა, ან გამოყენების სიახლე. მაგალითად, დღეს, ზებილიგეიზმის პირობებში შეიძლება გავიგონოთ:

1. **კალამი** დაჰ დავდინას - კალამი დავეკარგე;
2. კაბიკ **ბალახ** დეწეს დაცაჰ - ცოტა ბალახი უნდა მოვთიბო;
3. მეფეს ზეზვენი **ხმალი** ჩუქბადიენ - მეფემ ზეზვას ხმალი აჩუქა.

ამ გამოთქმებში **კალამი**, **ბალახ** და **ხმალი** ქართული ენის ციტატებია. პირველ ციტატად შეიცნობა იმის გამო, რომ დაბოლოება ი უჩვეულოა ნასესხები სიტყვის აუსლაუტში, მეორე კი იმიტომ, რომ ჯერ ეს სიტყვა ნასესხობებში არ ითვლება.¹ რაც შეეხება მესამეს, მას ციტატად წარმოგვიდგენს გამოყენების სიახლეც და ფორმაც.

კონკრეტულ ვითარებაში ციტატის როლში შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი სიტყვა უცხო ენის ლექსიკონიდან. მოუბარი ისევე, როგორც მსმენელი, ყოველთვის უშეცდომოდ არჩევს, რომელია მის მეტყველებაში ნასესხები სიტყვა და რომელი ციტატაა. საუბარში ციტატის გამოყენება გარკვეულ მიზნებს ემსახურება. ამ გზით შეიძლება შექმნან სახუმა-რო-იუმორისტული განწყობა: დასცინონ თანამოსაუბრეს მშობლიური ენის უცოდინარობისა და უპატევიცემულობისათვის, ან პირიქით, ცადონ, აჩვენონ უცხო ენის უკეთესი ცოდნა მშობლიურთან შედარებით და სხვა.

ნასესხები სიტყვებისაგან განსხვავებით, სადაც ბგერითი გარსის უცვლელიობა ენათა ურთიერთობის მოცემული საფეხურისათვის შემუშავებულ ნორმას ეთანხმება, სიტყვა-ციტატას შემოაქვს ახალი, ჯერ უჩვეულო აგებულება სიტყვისა. სიტყვა-ციტატების გამოყენება კიდევ ერთი ხელშემწყობი პირობაა მსესხებელ ენაში ახალი, მანამდე უჩვეულო სიტყვათფორმების დასამკვიდრებლად.

§2. ჰიბრიდული ნასესხობანი

ნასესხები სიტყვების მეორე ქვეკლასს ჰიბრიდული ნასესხობანი შეადგენენ. ასეთი სახელი ეწოდა მათ, რადგან სიტყვის ბგერითი გარსის ნაწილი უცხო ენიდანაა გადმოტანილი, ნაწილი კი შეცვლილია მსესხებელი ენის მასალით.

1. საგულისხმოა, რომ სიტყვა, რომლის ბადალიც მოცემულ ენას არ მოუბოვება, ციტატად არ აღიქმება, თუ დაცული იქნება სათანადო მოთხოვნები სიტყვის ბგერითი გარსის საკითხში.

იმის მიხედვით, რთულია სიტყვა, მარტივი, თუ წარმოქმნილი, შეიძლება შენაცვლებულ იქნეს მისი სხვადასხვა კომპონენტი. მარტივ სიტყვაში შეიძლება შენაცვლონ ძირეული მორფემის ნაწილი, წარმოქმნილ სიტყვაში - წარმოქმნილი ათეჟსი, რთულ სიტყვაში კი - ერთ-ერთი ფუძე. ამის მიხედვით გამოიყოფა ჰიბრიდულ ნასესხობათა სამი ქვეჯგუფი, რომელთაც შესაბამისად მარტივს, რთულსა და წარმოქმნილს უწოდებენ.

მარტივი ნასესხები სიტყვის ბგერითი გარსის ცვლილებებს ორი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ერთ შემთვევაში მსესხებელი ენის რომელიმე ფონოლოგიური კანონი მოქმედებს, მეორე შემთვევაში კი გავლენას ახდენს ამ მნიშვნელობით უკვე ხმარებული სხვა რომელიმე ლექსიკური ერთეულის ბგერითი გარსი. პირველ შემთვევაში მთლიანად, ან ნაწილობრივ ასმილობრებულ ნასესხებს სიტყვას ვლდებულობთ, მეორე შემთვევაში კი ე. წ. მარტივ ჰიბრიდულ ნასესხობას.

ამრიგად, მარტივი ჰიბრიდული ნასესხობა ორი სხვადასხვა (ნასესხები და ადგილობრივი) სიტყვის შეჯგვარებით მიიღება. ეს მოვლენა ლინგვისტურ ლიტერატურაში კონტამინაციის სახელითაა ცნობილი (ახვლედიანი, 1939-234). მისი მაგალითები საერთოდ ცოტაა ყველა ენაში და ძნელად მისაგნები. იმის გამო, რომ ამ ორი ენის სიტყვათა ბგერითი გარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მარტივ ჰიბრიდულ ნასესხობათა მიღება ნაკლებად იყო საგულგებელი.

შედეგით მოგვეჩანა მარტივ ჰიბრიდულ ნასესხობათა ერთი მაგალითი: **წელთე** (წელში, ადგილას). ცალკე აღებული **წელთე** წოვათუშურში არ გვხვდება. ის ამ ენაში შემოაჰყვა ქართულ გამოთქმას **შუა წელში** და მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა აღნიშნავს ღროს ან ადგილს. ამ გამოთქმის პირველი ნაწილი მსესხებელი ენის მასალით შეიცვალა, მეორე კი დარჩა უცხო. ასე მივიღეთ გამოთქმა **ან წელთე** (შუა წელში, ნახევარ გნაში). ქართულ **წელი** სიტყვას C ენაში მოქმედი ფონოლოგიური კანონების მიხედვით უნდა მოეცა **წელ** ფორმა, რაც შემდეგ სადაობითის ე ფორმანტის დართვით მიიღებდა **წელე** სახეს. როგორც ვხედავთ, სავარაუდო ფორმის მაგიერ გვაქვს **წელთე** ფორმა. ერთადერთი ფაქტორი, რასაც აქ **თ**-ს გაჩენა შეეძლო, არის მისი შეჯგვარება ანალოგიური მნიშვნელობის ამ ენაში მანამდე უკვე ხმარებული საკუთარი **ფეჟ მათე** (შუა ადგილას) გამოთქმის მეორე წევრთან.

წარმოქმნილ სახელთა ჰიბრიდულ სესხებას განვითარების გარ-

კვეულ საფეხურზე წოვათუ შურშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ ენაში იხმარება ქართული-დან შეთვისებული რამდენიმე სადერივაციო აფიქსი (უ-ო, -ურ, -ობ). უცხო აფიქსთა შეთვისება წინაპირობად უცხო წარმოქმნილ სახელთა გრამატიკულ ანალიზს ვარაუდობს, სიტყვის ასეთ დაშლას კი მისი ჰიბრიდული სესხება მოსდევს. თუ დღეს C ენის სიტყვიერ ფონდში წარმოქმნილ ჰიბრიდულ ნასესხობათა გამორჩევა ჭირს, ეს იმიტომ, რომ მოხდა ქართული და წოვათუ შური ენების ლექსიკური მარაგის ერთგვარი შერწყმა. მიუხედავად ამისა, წოვათუ შური ენის ლექსიკურ ნასესხობებში ხერხდება, ფორმის მიხედვით გამოვაცალ კვეოთ რამდენიმე წარმოქმნილი სიტყვა, რომლებიც ჰიბრიდულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდნენ. ესენია ზედსართავი სახელები:

1. ცუმფე - ცოფიანი
2. კუმზე - კუზიანი
3. ბრუმტე - ბრუტიანი

მათი ძირეული სახელები **ცოფი**, **კუზი**, **ბრუტი** სახეს ატარებს და მათგან ამ ენის მანედსართავებელი -ქ სუფიქსის დართვით **ცოფი-ქ**, **კუზი-ქ**, **ბრუტი-ქ** უნდა მოგვეღოს. დასახელებული სიტყვები, რა თქმა უნდა, ამ გზით არაა მიღებული; მათი ფორმების ანალიზს ქართულ წარმოქმნილ სახელებთან მივყავართ. ეს სახელებია: **ცოფიანი**, **კუზიანი**, **ბრუტიანი**. ბოლო ხმოვნის სავალდებულო რელუქციისა და ფუძის შიგნით ხმოვანთა ეჭნთეზისის შემდეგ მათ **ცუმფე**, **კუმზე**, **ბრუმტე** სახე უნდა მიეღოს, მაგრამ იმის გამო, რომ ზედსართავებს წოვათუ შურში -ენ სუფიქსი აბოლოებს, ამ სახელებმა ეს დაბოლოება მიიღეს.

ჰიბრიდულ ნასესხობათა მესამე ქვეჯგუფი რთულ სიტყვებს აერთიანებს და რთული ჰიბრიდების სახელითაა ცნობილი. ეს ისეთი შემთხვევებია, სადაც რთული სიტყვის კომპონენტებიდან ერთ-ერთი ძირეული მორფემა მსესხებელი ენის მასალით არის შეცვლილი. **S** და **C** ენებში მოქმედი რთული სიტყვების აგების მსგავსი პრინციპები საშუალებას იძლეოდა, ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული სესხების ეს გზა, მაგრამ დღევანდელი ვითარება ამას არ ადასტურებს. დღეს C ენაში რთული ჰიბრიდების რაოდენობა შეზღუდულია. გვაქვს: ქართ. ცოდვა-მადლი - წოვათუ შურ. **ყა-მადელი**; დანა-ჩანგალი - **ნეკ-ჩანგალი**; თავ-ბოლო - **ქართო-ბოლო**; წაღმა-უკუღმა - **მუხ-წაღმა**; სარცვილ-ნამუსი - **მუმე-ნამუსი**; სულ-წაწყმედილი - **სა-წაწყმენდადაღონი**; სულ-ცხონებული - **სა-ცხონული**.

ორენოვების თანამედროვე ეტაპზე უმეტესად რთული სიტყვების სესხების ეს უკანასკნელი გზა გამოიყენება, უფრო ადრე კი, ვფიქრობთ, შესაძლო შემთხვევაში უპირატესობა ნაწილობრივ თარგმნას მიეცემოდა. ნაწილობრივი თარგმნით გადმოტანილი ბევრი რთული სიტყვის გვერდით დღეს უცვლელად ნასესხები იგივე სიტყვა იხმარება.

წოვათუ შორში ხშირად გვხვდება ისეთი კომპოზიციები, სადაც ერთი კომპონენტი უცხოა, ერთი კი – საკუთარი. მიუხედავად ამისა, მათ ვერ ჩავთვლით ჰიბრიდულ ნასესხობებად, რადგან ეს რთული ერთეულები სხვა ენიდან კი არაა შეთვისებული მზა სახით, არამედ თვით წოვათუ შორშია შეთხზული საკუთარი და ნასესხები ძირეული მორფემების შეერთებით. ასეთია, მაგ., **ჯერ-ფჰორ** – ჯერ-ვან შამი (სადილ-ვან შამი); **დუყ-სუკი** – წელ-სუკი (წელ-ზურგი); **ბო-ხანჩ** – ნიორ-ხანგი... დასახელებულ კომპონენტთა ასეთი შეერთებები ქართულში არა გვაქვს. ნასესხები და საკუთარი სიტყვების შეერთებით ახალი ლექსიკური ერთეულების თხზვა სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთარად არის გამოიწვეული ჰიბრიდულ ნასესხობათაგან და მათ ჰიბრიდულ ახალწარმონაქმნებს უწოდებენ (ჰაუგენი, 1972–369).

ამრიგად, ლექსიკურ ნასესხობათა სქემაში წარმოდგენილი პირველი ტიპის მეორე ქვეკლასი, რომელსაც ჰიბრიდულ ნასესხობებს უწოდებენ, წოვათუ შორშიც ცნობილი სამი ქვეჯგუფით წარმოგვიდგება, რომელსაც ქმნიან: მარტივი (კონტამინირებული) ჰიბრიდული ნასესხობები, წარმოქმნილი ჰიბრიდული ნასესხობები და რთული ჰიბრიდული ნასესხობები.

§3. შენაცვლელი ნასესხობანი, ანუ კალკვი

ლექსიკურ ნასესხობათა მეორე ტიპს ეკუთვნის ისეთი სიტყვები, სადაც ბგერითი გარსის მთლიანი შენაცვლება მოხდა მსესხებელი ენის მასალით, უცხო დარჩა მხოლოდ სიტყვის აგებულება და შინაარსი. ამრიგად სიტყვები შენაცვლებულ ნასესხობათა სახელით არის ცნობილი. ამის მიხედვით, ლექსიკური გაფლენის შედეგად ახალ ერთეულს ვიღებთ, თუ ხდება ენაში უკვე არსებული სიტყვისათვის მნიშვნელობის გაფართოება, ამ ტიპს, თავის მხრივ, ორ ქვეკლასად ყოფენ: ერთს წარმოქმნილ ნასესხობებს უწოდებენ, მეორეს კი – გაფართოებულ ნასესხობებს.

წარმოქმნილ ნასესხობებს სხვანაირად ნასესხობა-თარგმანს, ანუ კალკსაც ეძახიან, რადგან ასეთ სიტყვებში უცხო ენიდან არის ნასესხე-

ბი და თარგმნილი მთელი კომპინაცია მორფემებისა, თუშკა თვითონ მორფემათა შერჩევა C ენის სათანადო ინფენტარიდან ხდება. თარგმანი შეიძლება იყოს სიტყვა-სიტყვითი, ანუ ზუსტი და მიახლოებითი.

ისეთი ძლიერი გავლენა, რასაც დღეს წოვათუშური განიცდის ქართულის მხრივ, ლოგიკური აუცილებლობით მხოლოდ ზუსტ კალკებს გულისხმობს. ის უზუსტობანი, რაც ურთიერთობის აღწინდელ საფეხურებზე შეიძლებოდა დაშვებულიყო მორფემათა კომპინაციების თარგმნისას, ჩანს, უკვე გასწორდა. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მცირედი სხვაობაც კი, რაც დღემდე შემორჩა კალკებსა თუ სხვა სახის ქართულ-წოვათუშურ შესატყვისებს, გულმოდგინედ სწორდება.

წარმოქმნილი კალკების მონახვა წოვათუშურში გაგვიჭირდა. ნასესხობათა უსასრულო წყებაში მივაგენით წარმოქმნილი კალკების მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, როგორცაა: **ფჰიტურ, დალურ** [64], **დითხურ** [64]. **ფჰიტ-ურ** ზუსტი ასლია ქართული სიტყვისა **ბაყაყური**, მიღებულია C ენის ფუძეზე ნასესხები -**ურ** სუფიქსის დართვით და ინმარება მხოლოდ ცურვის გარკვეული წესის აღსანიშნავად. საგულისხმოა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, როცა სურთ მიუთითონ ბაყაყის მსგავსი არსება, მაგალითად, ან ბაყაყისებური სტომა და სხვა, ხმარობენ იმავე ძირისაგან საკუთარი მოდელით ნაწარმოებ სიტყვას **ფჰიტ-ლენ**; როგორც ვხედავთ, სიტყვა შეჩნა მხოლოდ იმ კონტექსტს, სადაც მონდა მისი კალკირება; მხოლოდ ამიტომ დარჩა ბოლომდე ნათელი მისი უცხო წარმომავლობაც. იგივე ითქმის **დალურ** (ღვთიური) და **დითხურ** (ხორციელი) სიტყვების შესახებაც (შდრ. **დალურ** - ღმერთი, **დითხ** - ხორცი). აქაც სიტყვათა კალკირებული შინაარსი ნათელი დარჩა მხოლოდ მათი შეზღუდული და თავისებური კონტექსტების მეოხებით. დღეს წოვათუშურში მრავლად გვხვდება მსგავსი აგებულების სიტყვები, მაგრამ, თავისუფლად მონაწილეობენ რა სხვადასხვა კონტექსტებში, ისინი ჰიბრიდულ ანალწარმონაქმნებად უფრო გვევლინებიან, ვიდრე წარმოქმნილ კალკებად.

როთული სიტყვა-სიტყვითი, ანუ ზუსტი კალკის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ასეთი კომპოზიტები: ქართ: **ხელ-მოკლე** - წოვათუშ.: **ქო-დაცჷქ**, ხელ-გაშლილი - **ქო-დარქენო**, ხელ-მოჭრილი - **ქო-ჭაჭყინო**, ხელმრუდე - **ქო-გამჷქ**, ხელ-ცარიელი - **ქო-დასქ**, გულ-გახსნილი - **დოკ-დასტინო**; გულ-მოსული - **დოკ-დექენო**; გულ-დაწყვეტილი - **დოკ-ნიტენო**; თვალში-მოსასვლელი - **ბმარკ-დალუმნო**; თავ-მკვდარი - **ქორთო-ბალინო**... მსგავსი ტიპის იდიომატური შინაარსის კომპოზიტები

დღეს თითქმის მთლიანად საერთო აქვს წოვათუშურს ქართულთან, ისე რომ მაგალითების რიცხვი რამდენიმე ათეულამდე და ასეულამდე შეიძლება გავზარდოთ; ასეთი დიდი მსგავსება ლექსიკურ ერთეულებში თვით უფრო ახლო მონათესავე ენებშიც კი ძნელი წარმოსადგენია მათი ახლო კონტაქტის გარეშე. მიუხედავად ამისა, გადაჭრით თქმა, რომელია მათგან საკუთარ ენობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი და რომელია ქართულის კალკი, რთული საკითხია. სირთულეს ქმნის კომპონენტების აგების პრინციპების დიდი მსგავსება S და C ენებში და წოვათუშური ენის განვითარების წინა საფეხურის ჩანაწერების შეზღუდული რაოდენობა.

ორენოვების თანამედროვე ეტაპზე რთული სიტყვების სესხების ეს გზა, კალკირება, თითქმის აღარ გამოიყენება, უფრო ადრე კი, ვფიქრობთ, უპირატესობა ასეთი ერთეულების სესხების შესაძლებლობათაგან სწორედ მთლიანად, ან ნაწილობრივ თარგმნას მიეცემოდა. არჩევანი თავისუფალი, რა თქმა უნდა, არც მაშინ იქნებოდა: თარგმანისათვის, პირველ რიგში საჭირო იყო სათანადო მასალა აღმოჩენილიყო C ენის ლექსიკურ ფონდში. გარდა ამისა, ახალი კომპონენტების შეერთებას ადვილად წარმოსათქმელი ერთეული უნდა მოეცა.

ამჟამად რთული სიტყვების სესხების ძირითად გზას წარმოადგენს მათი შეთვისება ყოველგვარი თარგმნის გარეშე. ზოგიერთი მთლიანად კალკირებული რთული სიტყვა ხელახლა იქნა ნასესხები ჯერ ნაწილობრივი თარგმნით, შემდეგ კი - უცვლელად. ისე რომ, რთული სიტყვების სესხების აღნიშნული პროცესი გარკვეული საფეხურების სახით წარმოგვიდგება, გვაქვს:

ქართული	წოვათუშური
გულ-ღია	ღოკ-ნშაღნ // ღოკ-ღნ // გულ-ღნ
სულ-წაწყმენდილი	სა-ღავინწ // სა-წაწყმენდაღაღლწ // სულ-წაწყმენდილ

დღეს ეს ფორმები ერთმანეთის გვერდით იხმარება, ქრონოლოგიურად კი ჯერ მთლიანად თარგმნილი ფორმები უნდა გვქონოდა, შემდეგ - ერთი კომპონენტის თარგმნით მიღებული და ბოლოსღა - უცვლელად გადმოტანი. დასახელებულ სიტყვათა მიერ განვლილი ეს გზა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ინტერფერენტულ პროცესთა განვითარების საერთო ტენდენციასზე.

§4. ბაზართოვებული და ღაპირროვებული ნასესხოზანი

უცხო ენობრივი გავლენის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა შენაცვლებული ნასესხოზათა მეორე ქვეკლასი, ე. წ. გაფართოებული ნასესხოზანი. მსგავსების საფუძველზე, რაც ზოგჯერ სიტყვას შეიძლება აღმოაჩნდეს უცხო ენის რომელიმე ლექსემასთან შებირისბირებით, ხშირად პირველი უკანასკნელისაგან ითვისებს იმ დამატებით შინაარსს, რაც აკლია ერთს და გააჩნია მეორეს - ხდება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება. არჩევენ გაფართოებულ ნასესხოზათა სამ ქვეკლასს: ომოფონიურს, სინონიმურსა და ჰომოლოგიურს. ომოფონიური გაფართოება გვაქვს მაშინ, როცა მსგავსება ინტერფერენციის წყაროსთან წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა; გაფართოება სინონიმურია, როცა სხვადასხვა ენების ორ ლექსიკურ ერთეულს აკავშირებს საერთო შინაარსი, და ჰომოლოგიური, როცა მაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენს როგორც ბგერითი გარსი სიტყვისა, ისე მისი შინაარსი.

ბგერითი მოდელის მიხედვით, სადაც ერთდროულად მოქმედებს სიტყვის ფონოლოგიაც და მორფოლოგიაც, წოვათუშური ენის ლექსემები მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან. ამიტომ შეზღუდულია შესაძლებლობა იმისა, რომ ამ ენაში ქართულის გავლენით გაჩნდეს ომოფონიური და ჰომოლოგიური გაფართოებული ნასესხოზანი; რაც შეეხება სინონიმურ გაფართოებას, მისი მაგალითები საკმაოდ ხშირად დასტურდება.

ც ენის ბევრი სიტყვა, რომელსაც ქართული ლექსიკური ფონდის ამა თუ იმ წევრთან აკავშირებს ძირითადი მნიშვნელობა, დაიტვირთა იმ განსხვავებულობით, რაც დამატებით გააჩნდა წყარო ენას. მაგალითად:

1. სიტყვა **წაუკითხა** ქართულში პირდაპირი მნიშვნელობით ვინმესთვის რაიმე ტექსტის წაკითხვას ნიშნავს, გადატანით კი - გაწყობას. მისი გავლენით **ხატა** წაუკითხა, რომელიც ბოლო დრომდე მხოლოდ ერთ მნიშვნელობას ატარებდა წოვათუშურში, იქნის დამატებითაც. იტყვიან ხოლმე: **ღაზენ ხატას** - კარგები წაუკითხე, ე. ი. მაგრად გაუუჯაფრდო.

2. **გააცურა** - პირდაპირი მნიშვნელობით ქართულში ვისიმე ან რისიმე გაცურებას ნიშნავს, გადატანით კი - მოტყუებას. ამ უკანასკნელის გავლენით ზმნა **ლაბჟდიქ** (გააცურა) წოვათუშურში დღეს ორივე მნიშვნელობით იხმარება.

ვერ ვიტყვით, რომ დასახელებულ შემთხვევებში პროცესის მასტიმულირებელ ძალას ლექსიკური დეფიციტის განცდა წარმოად-

გენდა: სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების ყველა დასახელებულ მაგალითს გვერდით უდგას მსესხებელი ენის სხვა, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქცია სწორედ პირველის მიერ შექმნილი დამატებითი მნიშვნელობის გადმოცემაა. ამ გზით იქმნება სიტყვათა თავისებური წყვილები, რომლის წევრებს სინონიმთა უფლებით გარკვეულ კონტექსტში შეუძლიათ ერთმანეთი შეცვალონ. მაგალითად, როცა საკითხი ეხება ტექსტის წაკითხვას, ერთადერთი დასაშვები სიტყვაა **ხაზგანას**, მაგრამ როცა ვისიმე გაწყრომა იგულისხმება, მაშინ კონტექსტის შესაბამისად შეიძლება ვინმართ **ხაზგანას**, ან **დაბუჭადინას** (გაფუჯაფრდი). ასეთი წყვილებისათვის შეიძლებოდა ნახევარსინონიმები გვეწოდებინა, რადგან ჩვეულებრივი რელატიური თუ აბსოლუტური სინონიმებისაგან განსხვავებით, მათ ერთმანეთის შეცვლა მხოლოდ კონტექსტთა ერთ წყებაში შეუძლიათ.

ხშირად შეიმჩნევა ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართული ენის გავლენა სიტყვისათვის მნიშვნელობის მომატებაში კი არ გამოიხატება, არამედ, პირიქით, იწვევს მისი მნიშვნელობის დავიწროვებას. მაგალითად:

1. წოვათუ შურში დიდი ხანია იხმარება სიტყვა **ტათებ**. ამ ერთ ლექსემას ორი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნავს ვერცხლს და ფულს. მსგავსი ვითარება ქართულშიც გვექონდა, როცა სიტყვები **ოქრო** და **ვერცხლი** კეთილშობილ ლითონებსაც ასახელებდა და ფულსაც. აღნიშნული ვითარება ამ ენაში არქაიზმად იქცა. აზროვნების თანამედროვე ქართული მოდელის ფონზე C ენის სათანადო სიტყვის ასეთი ორმაგი შინაარსი უცნაური და გაუგებარი გამოჩნდა. სწორედ ამიტომ პარალელურ მნიშვნელობათაგან მან ერთი დაკარგა და გახდა მხოლოდ ფულის აღმნიშვნელი, სათანადო ლითონის სახელად კი ქართული **ვერცხლ** (ვერცხლი) იქცა.

2. სიტყვა **მოთ** ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: მიუთითებდა ლოგინს და ადგილს. მან დღეისათვის დაკარგა მეორე მნიშვნელობა, სადაც მას ჩვენაცვლა ქართულიდან ნასესხები **ადგილ** (ადგილი). ძველი სემანტიკა შემორჩა რამდენიმე გაქვავებულ გამოთქმას: **სტე მათე? მიჩ მათე? დუყმათე** (რომელ ადგილას? რა ადგილას? შუა ადგილში). დავიწროვდა სიტყვის მნიშვნელობა, რადგან ქართულში **ლოგინი** არ ითავსებდა ასეთ ორმაგ გააზრებას.


3. სიტყვას **ბუბუკი** ორი სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნდა: 1. ყვა-ვილები, 2. სამკაულები. ვფიქრობთ, მეორე მნიშვნელობა პირველისაგან

იყო განვითარებული შინაარსის გაფართოების გზით. აღნიშნულმა სიტყვამ უკვე დაკარგა ასეთი გაგება, რადგან ის არ ჰქონდა ქართულ შესატყვისს: **ყვაფილები**.

დასახელებულ მაგალითებში მოხდა სიტყვათა მნიშვნელობების დავიწროვება და აქ უდავოა ქართული ენის როლი. სულ ერთია, სიტყვის შინაარსში მიმატება ხდება თუ გამოკლება, როცა ეს პროცესები სხვა ენის ლექსიკური გავლენით არის შეპირობებული, ორივეჯერ სესხებასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ეინარ ჰაუგენის სქემაში ნასესხობათა მეორე ტიპისათვის გამოყოფილ ორ ქვეკლასს – წარმოქმნილ ნასესხობებსა და გაფართოებულ ნასესხობებს – წოვათუშური ენის მასალების მიხედვით უნდა მივუმატოთ მესამე ქვეკლასი და ვუწოდოთ მას დავიწროებული ნასესხობანი. ეს გარემოება მკვლევარს, ალბათ, გაუთვალისწინებელი დარჩა სათანადო მაგალითების უქონლობის გამო.

ნათქვამის მიხედვით, სქემის აღნიშნული მონაკვეთი შეიცვლება და შემდეგ სახეს მიიღებს:



დასახელებული მაგალითები გაფართოებისა და დავიწროებისა, აგრეთვე „გასწორებული“ კალკები თუ შესატყვისობანი გვიჩვენებენ, რომ ორენოვნების დროს ბილინგვის აზროვნებაში ხდება მორიგება – გათანაბრება ორი ენობრივი სისტემისა; ენობრივი გარდაქმნები – ეს აზროვნებაში მომხდარი გარდაქმნებია. აზროვნება ერთია და მოუბარი ცდილობს, მეტნაკლები წარმატებით მას შეუხამოს ტერმინები იმ ენისა, რომელიც ინტერფერენციის წყაროა. მოუბარს რომ შეეძლოს რამდენიმე წესით აზროვნება, ალბათ, ენობრივი გავლენებიც შენდობილი ხასიათისა იქნებოდა.

თავი შესამე

წმინდათა ენის სიტყვათა ფონოლოგიური მოდელი და

მისი ასახვა ლექსიკურ ნასესხობებში

შესავალი

წოვათუშურ სიტყვათა ფონოლოგიური დახასიათებით მიზნად ვისახავთ იმ კონკრეტული წესების დადგენას, რაც საფუძვლად დაედო ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაბტაციის დროს მომხდარ ცვლილებებს. როგორც ცნობილია, აღნიშნულ პროცესებს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

1. კონტაქტში მყოფი ენების ბგერითი სისტემების ურთიერთმიმართება;

2. თანაფარდობა C და S ენების ფონემათა დისტრიბუციის წესებში და

3. მათივე სიტყვათმოდლელების სხვადასხვაობა.

მსესხებელი და წყარო ენების სამეტყველო ბგერითი სისტემები სინქრონიულ ასპექტში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. წოვათუშურს დაცული აქვს ყველა ის ხმოვანი თუ თანხმოვანი ფონემა, რაც გვაქვს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. გარდა ამისა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, აქ ირიცხება კიდევ 4 თანხმოვანი (ჯ, ქ, შ, ჭ) და 14 ხმოვანი: ხუთი მოკლე (პ, ჟ, ბ, რ, უ), ოთხი გრძელი (ნ, ე, რ, უ) და ხუთი ნაზალური (ჭ, ქ, ბ, რ, უ). ამავე ენის სამეტყველო ბგერითი სისტემის თავისებურებას განაპირობებს აგრეთვე ცხრა დიფთონგი (აბ, ებ, ობ, უბ, ბე, ბა, ბო, ბუ).

ის ფაქტი, რომ განსხვავებული ფონემები აქვს ინტერფერენციის ობიექტს და არა ინტერფერენციის წყაროს, სიტყვათა სესხების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. რაკი სესხება ხდება ქართულიდან და არა პირუკუ, წოვათუშურის „ზედმეტ“ ფონემებს იშვიათად თუ შეეძლო გავლენა მოეხდინა ნასესხებ სიტყვათა ბგერით გარსზე. ამიტომაც, C ენის ფონემატურ სისტემას აქ არ განვიხილავთ.

მაშინაც, როცა გვაქვს S და C ენების ფონემათა რიცხვის და სახეთა დამთხვევა, მოცემულ ენათა ფონოლოგიური სტრუქტურები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში განსხვავებას ქმნიან ფონემათა განაწილების წესები. როგორც ნ.

ტრუბეტკოი წერს: „ფონემათა განაწილების წესები მკვეთრად განასხვავებენ ერთმანეთისაგან ენებს. ისინი ენებს გვიხასიათებენ არანაკლებ, ვიდრე მათივე ფონემატური შედგენილობები“ (ტრუბეტკოი, 1960-284).

საანალიზო მასალების სისტემატიზაციის პროცესში, როგორც მოსალოდნელი იყო, წოვათუშური ენის სიტყვათმოდულების საკითხიც დაისვა; მრავალმარცვლიანი სიტყვების სესხების თავისებურებებთან დაკავშირებით გასარკვევი გახდა აგრეთვე ამ ენის ფლექსია-დერივაციის სისტემებში ფართოდ გაფრცელებული ნმოვანთა რედუქციის კონკრეტული სახეების ურთიერთმიმართება და მექანიზმი. მსესხებელი ენის სიტყვა ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ არის, რის გამოც ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული საკითხების შესახებ ჩვენი დაკვირვების შედეგები.

§1. წოვათუშური ენის სიტყვათმოდული

წოვათუშური ენის სიტყვა მორფემებად იშლება. ძირის გაფორმება მეტყველების ნაწილად ორგვარად ხდება: მას შეიძლება დაერთოს, ან არ დაერთოს სიტყვასაწარმოებელი აფიქსი. ამის მიხედვით სიტყვათა ორი მორფოლოგიური მოდელი გამოიყოფა:

1. მარტივი სიტყვა - ძირი (ძირეულ სიტყვათათვის);
2. ძირი და დერივატი (წარმოქმნილ სიტყვათათვის).

ძირეულ მორფემათა შესასწავლად ქადაგიძეების ლექსიკონი გამოვიყენეთ. მასში მოცემული საკუთრივ თუშური ენის ლექსიკიდან 981 მარტივი, დაუშლელი სიტყვა - ძირი თუ ძირეული მორფემა გამოიყო. მათგან 795 ერთმარცვლიანია, დანარჩენი 186 კი - ორმარცვლიანი. როგორც ვხედავთ, რიცხობრივი უპირატესობა აშკარად ერთმარცვლიანთა მხარესაა და ძირთა ამოსავალი მოდელიც სწორედ მას უნდა უკავშირდებოდეს.

ერთმარცვლიანი ძირეული მორფემები რამდენიმე მოდელს გვიჩვენებენ: **V, VC, VCC, CCV, CVC, CCVC, CVCC, CCVCC**. მხოლოდ ნმოვანი ძირეულ მორფემად სულ სამ შემთხვევაში გვაქვს, ესენია ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ე, ი, ო (-ეს, ეგ, ის)**. საგულისხმოა რომ მათ აქვთ თანხმოვნის ვარიანტებიც: **ეპ, იპ, ოპ**. შედარებით უფრო ხშირად გვხვდება **CCV** ტიპის ძირები; ამ მოდელის გამოყენების 21 შემთხვევა გვაქვს. მაგალითად: **ფხუ** - ხუფი, **თხო** - ჩვენ... საგულისხმოა, რომ ძირთა ეს მოდელი ზმნებში საერთოდ არაა რეალიზებული.

CV ტიპის ძირთა გამოყენება 31 შემთხვევით ამოიწურება. ჩამოსათვლელი აქაც მხოლოდ სახელებია: **ჯა** - ღორი, **ბო** - ნიორი, **ჩა** - დათვი. VCC მოდელის ძირი 50-მდე დავითვალეთ. გვაქვს: **ათხ** - სალესავი, **ატყ** - მშვილდი, **უთხ** - ნაჭერი. ძირთა VC მოდელის 160 შემთხვევა დადასტურდა. მაგალითების უმეტესობას ზმნები შეადგენს. მაგალითად: **აკ-არ** - ნთება, **აბ-არ** - კერვა, **ელ-არ** - მოშლა, **ეც-არ** - ყიდვა, **ემ-არ** - კლება. ყველაზე ფართოდ ძირთა CVC მოდელია რეალიზებული - 382 შემთხვევაა მისი ლექსიკონში შესული: მათგან 221 შემთხვევა ზმნებში დასტურდება, 141 - სახელებში, ხოლო 20 - სხვა მეტყველების ნაწილებში. გვაქვს: **თას-არ** - ჩაგდება, **ლას-არ** - გაცრა, **ლახ-არ** - ზოვნა, **მოს** - ქარი, **ზოქ** - ნისკარტი, **თურ** - ხმალი, **მიჩ** - სად, **მაქ** - ზედ, **ჩაჯ** - შორს... CVCC მოდელის ძირთა გამოყენების 83 შემთხვევა დასტურდება. მათი უმეტესობა ზმნები და სახელებია. გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილებიც. მაგალითად: **სემს-არ** - ყნოსვა, **კორტ-არ** - მოწყენა, **სარტ-არ** - წყევლა... **ლარკ** - ყური, **ნაჩხ** - ყველი, **მათხ** - მზე... **ჭათხ** - წინ, **ნიფს** - სწორად... ძირთა CCVC მოდელის 60 შემთხვევა დავითვალეთ. მათი გამოყენება მთლიანად სახელებითაა შემოთარგლული. გვაქვს: **სკიფ** - ნაკვერცხალი, **სტაკ** - კაცი, **ტშირ** - ვარსკვლავი... სულ ხუთი შემთხვევითაა წარმოდგენილი ძირთა CCVCC მოდელი. გვაქვს: **ბშარკ** - თვალი, **ბშიორწ** - მგელი, **ბშასტ** - დიცი, **ფჭარს** - მკლავი, **მშარ-ლ** - საკმაოდ... თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებით სახელებში პირველი თანხმომენითი ელემენტი აქ ყველგან კლასნიშანი ჩანს, მაშინ ფაქტიურად ერთი მაგალითიღა დაგვრჩება, რადგან დანარჩენები CVCC მოდელს გაჰყვებიან.

გამოყენების სიხშირის მიხედვით ძირთა განხილული მოდელები შემდეგნაირად დალაგდებიან: CCVCC (1 შემთხვევა), V (3 შემთხვევა), CCV (21 შემთხვევა), CV - (31), VCC - (50), CCVC - (60), CVCC - (87), VC - (160), CVC - (382). ცხადია, ამ რიგის მიხედვით ძირთა ყველაზე ფართოდ გაფრცვლებული და ბუნებრივი მოდელია CVC, მარცვალი, რომლის ექსპლოზიასა და იმპლოზიას თითო თანხმომენი შეადგენს. ფაქტობრივად აქვე შემოდის VC მოდელიც, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ზმნებით, სადაც ძირის წინ თითქმის ყოველთვის იგულისხმება კლასნიშანი - თანხმომენითი ელემენტი. ერთდროულად ორ-ორი თანხმომენი ხმომენის წინ და მომდევნოდ დაუშვებელი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც ცალ-ცალკე ორსავე პოზიციაში თანხმომენთა წყვილების გამოყენება საკმაოდ ხშირია.

სისშირის ზრდადობის მიხედვით დალაგებულ ძირთა იმავე რი-
გიდან გარკვეული დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აგრეთვე ძირეული
მარცვლის ექსპლოზიის შესახებ. ამ რიგს, როგორც ვხედავთ, ღია-
მარცვლიანი ძირები იწყებენ და დახურულმარცვლიანები ამთავრებენ:
795 შემთხვევიდან ხმოვნით თავდება მხოლოდ 55. ასეთ შემთხვევაში,
**დახურულმარცვლიანობა გამომიკვეთება, როგორც წოვათუშური ძირთა
არსებითი ნიშანი.**

როგორც ითქვა, ფართოდ გავრცელებული ერთმარცვლიანი ძი-
რებისა და სიტყვა-ძირების გვერდით C ენაში სულ 186 ორმარცვლიანი
სიტყვა-ძირი შეგვხვდა, მათგან ხმოვანზე ბოლოდება 87, ხოლო თანხ-
მოვანზე – დანარჩენი 99 სიტყვა. ასეთ ორმარცვლიან თანხმოვანზე და-
ბოლოებულ სიტყვებს აუსლაუტში მხოლოდ ერთი თანხმოვანი აქვთ და
ეს თანხმოვანი უმეტესად სონანტია. სულ თანხმოვანზე დაბოლოებული
87 ორმარცვლიანი სიტყვიდან ოთხი სონანტი ამთავრებს 60 სიტყვას.

წოვათუშური ენის ერთმარცვლიან ძირთა დაბოლოებაში თავისუ-
ფლად მონაწილეობს თითქმის ყველა თანხმოვანი. ასეთ პირობებში ორ-
მარცვლიანი სიტყვა-ძირთა აუსლაუტში წარმოდგენილი თავისებური
ვითარება გვათქმობს, რომ აქ სონანტები, ან მთლიანად მათი შემ-
ცველი ბოლო მარცვალი, რაიმე სახის მაწარმოებელია, იქნებ დეტერმინ-
ანტიც. ასეთი ვარაუდი შეიძლება სარწმუნო გახდეს, თუ გავიხსენებთ,
რომ ამ ენის გარკვეული ტიპის სხვა სიტყვებში დეტერმინანტ სუფიქს-
თა გამოყოფის შესაძლებლობაზე მითითებას ვხვდებით რ. გაგუასთან
[გაგუა, 1943-73]; ასეთივე აზრი დ. იმნაიშვილსაც აქვს გამოთქმული
ინგუშური ენის სახელთა ფუძეების შესახებ [იმნაიშვილი, 1957-211]. ამ
მხრივ, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ სონანტთა შემცველი
დეტერმინანტი სუფიქსები ქართულ სახელთა მოდელების აუცილებელ
კომპონენტებს შეადგენენ [ჩიქობავა, 1942-119].

მიუხედავად ამისა, საბოლოო დასკვნისათვის უნდა დაიშალოს
თანხმოვანზე დაბოლოებული კიდევ 27 ორმარცვლიანი სიტყვა, ან
გარკვევს მათი ნასესხობის საკითხი. გარდა ამისა, სათანადო კვალი-
ფიკაცია უნდა მიეცეს ორმარცვლიან, ხმოვანზე დაბოლოებულ სი-
ტყვა-ძირებსაც. ამ უკანასკნელთა შესახებ საინტერესო შეხედულებ-
ას გამოთქვამს ა. შიფნერი. მკვლევარის აზრით, ეს „ბოლო ხმოვნები
ოდინდელი პარაგოგული (კეთილხმოვანი) მეტყველების გადმონაშ-
თია“ [შიფნერი, 1856-19]. ვარაუდი სარწმუნო ჩანს იმ მხრივ, რომ ფორმის

კეთილშობილების მიზნით წოვათუშებს დღესაც შეუძლიათ ხმოვანი დაუროთონ ბოლოში ნებისმიერ სახელს, ზმნას, ზმნისზედას, შორისდებულს... გასარკვევია ოლონდ, რატომ მხოლოდ დასახელებულ ძირებს უნდა შეხორცებოდა აღნიშნული ხმოვანი.

სიტყვათა ასეთი დაშლის შემთხვევაში ერთმარცვლიანობა C ენის ძირთა საზოგადო თვისებად შეიძლება გამოვაცხადოთ. ასეთ განცხადებას მხარს დაუჭერს ის გარემოებაც, რომ ძირები წოვათუშურ ზმნებში ყოველთვის ერთი მარცვლითაა წარმოდგენილი. ზმნა თავისი რთული მორფოლოგიურ-სინტაქსური მოდელებით დღემდე რჩება ამ ენის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილად, რის გამოც ივარაუდება, რომ ის ყველაზე უკეთ არის დაცული სესხებისა და, საერთოდ, ყოველგვარი უცხო ენობრივი გავლენისაგან.

ძირთა მოდელებისა და მათივე მარცვლიანობის საკითხების განხილვის შემდეგ იგივე საკითხები წარმოქმნილი სიტყვების მიმართაც უნდა დაისვას. რა კი ძირები ერთმარცვლიანია, ცხადია, სიტყვის საბოლოო სიგრძეს აფიქსების მარცვალთა რაოდენობა გადაწყვეტს. დერევატები წოვათუშურში უმეტესად სუფიქსებია. თავსართად გვხვდება მხოლოდ კლასნიშანი, რომელიც ოდენთანხმოვნიანი ელემენტია (გ, ბ, დ), ან ნახევარხმოვანი **ჟ** და სიტყვის მარცვალთა რაოდენობაზე გავლენას ვერ ახდენს. სამაგიეროდ არსებითი როლი ენიჭება სუფიქსებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის შეიცავენ ხმოვანს ან როგორც ორგანულ ნაწილს, ან როგორც ძირთან მაკავშირებელ საშუალებას. ყოველივე ამის მიხედვით შეიძლება გვეთქვას, რომ მარტივი სიტყვები ერთმარცვლიანია წოვათუშურში, წარმოქმნილი სიტყვები კი ისევე ერთ- ან ორმარცვლიანები.

მინიშნებას იმის შესახებ, რომ წოვათუშურში სიტყვის სიგრძე რეგლამენტირებულია, ვხვდებით ა. შიფნერთან. კერძოდ, როცა მკვლევარი ამ ენის ხმოვნებს ახასიათებს, წერს, რომ „დიფთონგები მრავალმარცვლიანობის შიშის გამო არიან წარმოშობილი ხმოვანთა ეპენტეზისის შედეგად“ [შიფნერი, 1856-12]. ნათქვამის მიხედვით იგულისხმება, რომ სიტყვათა მრავალმარცვლიანობა მოქმედი ფონოლოგიური მოდელის მიხედვით არაორგანულია ამ ენისთვის, მაგრამ გარკვევა იმისა, თუ საიდან იწყება მარცვალთა ეს სიმრავლე, მკვლევარს არ უცდია. ამავე საკითხს ეხება აგრეთვე წოვათუშური ენის პირველი გრამატიკის ავტორი ი. ცისკაროვი, მაგრამ თითქმის მხოლოდ ერთი წინადადებით. აღნიშ-

ნავს, რომ „სიტყვები ამ ენაში ძირითადად ერთ ან ორმარცვლიანება და ძლიერ იშვიათად – სამმარცვლიანი“ [ცისკაროვი, 1848–71].

მიუხედავად ზოგიერთი დაბრკოლებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ **წოვათუშური ენაში მოქმედი სიტყვათა ერთ-, ორ- და მეტმარცვლიანი მოდულებიდან ძირითადია ორმარცვლიანი მოდული. ამ ენის სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგებში ორი მარცვალი ფიგურირებს სიტყვის ზღვრულ სივრცედ.**

§2 ხმოვანთა რედუქციის პროცესი წოვათუშურ ენაში და მისი ასახვა ლექსიკურ ნასესხობებში

წოვათუშური ენის სიტყვათა ფლექსიისა და დერივაციის სისტემებს ორგანულად უკავშირდება ხმოვანთა რედუქცია: ორ- და მეტმარცვლიანი თანხმოვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას, როცა ფუძეს დაერთვის ხმოვნის შემცველი სუფიქსი, მოქმედებას იწყებს აღნიშნული პროცესი. ასეა მაშინაც, როცა ხდება ახალი ლექსემის წარმოქმნა ორი და მეტი მარცვლის შემცველი ძირეული სიტყვისაგან, და მაშინაც, როცა უღლებისას ზმნის ძირს, რომელიც ყოველთვის ერთმარცვლიანია, დაერთვის ხმოვნის შემცველი რამდენიმე მაწარმოებელი, ანუ **იქმნება სიტყვის გამრავალმარცვლიანების საფორთხე.**

ამჯერად ჩვენი მსჯელობისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მარცვალდაკლების ეს პროცესი მათემატიკური სიზუსტით აისახა ქართულ ნასესხობებში, რის გამოც სრულად წარმოვადგენთ აქ.

რედუქცია ხორციელდება ორი გზით: პირველ შემთხვევაში საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანი უკვალოდ ამოვარდება მომდევნო ხმოვანი მორფემის, ან ხმოვნიანი მორფემის გავლენით (**ბადერ-ი** → **ბადრი** – ბავშვები, **ბადერ-ევ** → **ბადრევ** – ბავშვმა; შდრ.: **ბადერ** – ბავშვი); მეორე შემთხვევაში რედუქცია ხორციელდება ებენტეზისის გზით: ხდება საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვნის გაუმარცვლოება და გადასმა (ებენტეზისი) წინამავალ ხმოვანთან, რის შედეგადაც ვიღებთ დამავალ დიფთონგს (**დაფირ-ი** → **დამფირი** – დაიკარგა? შდრ.: **დაფირ** – დაიკარგა). პირველს უწოდეს მარტივი რედუქცია, ხოლო მეორე სახეობას – რედუქცია ებენტეზისის გზით. წოვათუშური ენის სიტყვებში მოქმედი ეს ბგერითი პროცესები საშეცნეო ლიტერატურაში აღნიშნულია [შიფნერი, 1856–57], მაგრამ

არაა გარკვეული მათი მექანიზმი. წარმოვადგენთ ჩვენი შესწავლის შედეგებს მოცემულ საკითხზე.

რედუქციის აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით დგება რამდენიმე კითხვა:

1. რა მიმართებაა წოვათუ შური ენის ფლექსიისა და დერივაციის სისტემებში მოქმედი რედუქციის ამ ორ სახეობას შორის?

2. რა იწვევს ამ პროცესებს და როგორია მათი მექანიზმი?

ჩვენ გავანალიზეთ რედუქციის თითქმის ყველა შემთხვევა საკუთრივ წოვათუ შურსა თუ ნასესხებ სიტყვებში. აღმოჩნდა, რომ:

(1) თუ ამოსავალი ფუძე ორმარცვლიანია და მას ერთგვის ხმოვანი მორფემა, ან ხმოვნიანი მორფემა, რედუქციის გზით ვინარჩუნებთ სიტყვის ორმარცვლიანობას;

(2) რედუქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მარედუცირებელი ხმოვნის რაგვარობას;

(3) ფუძის პირველი ხმოვანი (მარცხნიდან მარჯვნივ), რომელიც ყოველთვის ძირეული მორფემისაა, არ იცვლება;

(4) ბოლო, მესამე (მარედუცირებელი) ხმოვნის გავლენით რედუქციას განიცდის მეორე ხმოვანი;

(5) მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათს – მარტივი რედუქცია თუ რედუქცია ეპენტეზისის გზით – განსაზღვრავს საწარმოებელი ფუძის პირველი და მეორე ხმოვნის მიმართება ღიაობის მიხედვით.

ორი ხმოვნის უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობა საკუთრივ წოვათუ შურ სიტყვებში არ გვხვდება. ასეთ მიმდევრობას ესენა შეძლებისდაგვარად ნასესხებ სიტყვებშიც ულის, მიმართავს რა ამისათვის სხვადასხვა საშუალებას (ბგერის ჩართვა, რედუქცია, დიფთონგიზაცია). ამჯერად როგორც საკუთარი, ისე ნასესხები მასალის განხილვისას ვეხებით ხმოვანთა მხოლოდ ისეთ თანამიმდევრობას, როდესაც ხმოვნებს შორის დგას ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი, ანუ ხმოვანთა მიმდევრობა გაშუალებულია. ასეთი სინტაგმატური ურთიერთობისათვის შემოგვაქვს ტერმინი – ხმოვანთა დისტანციური მიმდევრობა ანუ კომბინაცია (CVCVC ან CVCVCVC, CVCCVC და ა.შ.).

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ ენაში პირდაპირი რედუქციისა და ეპენტეზისის გზით რედუქციის განხორციელებისათვის რელევანტურია ხმოვანთა ღიაობის სამი საფეხური:



ისრის მიმართულებით ღიაობის ხარისხი იზრდება.¹

რედუქციის ორივე სახეობა შეიძლება აღიწეროს მოცემული სქემის ტერმინებში: თუ სიტყვის ფორმაში პირველი ხმოვანი ღიაობით აღემატება მეორეს, რედუქცია ხორციელდება მეორე ხმოვნის დასუსტებისა და ეპენტეზისის გზით; ხოლო როცა გვაქვს შებრუნებული მიმდევრობა, ან თანაბარი ღიაობის ხმოვნები იყრის თავს, რედუქცია ხორციელდება მარტივად (ხმოვნებს ვითვლით მარცხნიდან მარჯვნივ).

თუ ხმოვანთა ღიაობის ხარისხს გამოვხატავთ I, II, III ინდექსებით, ხმოვანთა ადგილს ფუძეში - 1, 2, 3 ინდექსებით, ხმოვანს კი V სიმბოლოთი, მაშინ $V_1=(\text{ო})$ -ს, ხოლო $V_1=(\text{ი})$ -ს, რომელიც პირველ ადგილზეა. $V_2=(\text{ი})$ -ს, რომელიც მეორე ადგილზეა, ხოლო $V_3=(\text{ი})$ -ს, რომელიც მესამე ადგილზეა. V^I იქნება უ-ს სიმბოლო, V^{II} კი - ა, ე, ო ხმოვნების სიმბოლო. V გამოხატავს ნებისმიერ ხმოვანს, ხოლო \hat{V} - უმარცვლო ხმოვანს.

მარტივი რედუქციის და ეპენტეზისის გზით რედუქციის ზოგადი ფორმულები მიიღებს ასეთ კონკრეტულ სახეს:²

ა) მარტივი რედუქცია:

- I. $[V_1^I + V_2^I] + V \rightarrow [V_1^I] + V$
- II. $[V_1^I/V_1^{II} + V_2^{II}] + V \rightarrow [V_1^I/V_1^{II}] + V$
- III. $[V_1^I/V_1^{II}/V_1^{III} + V_2^{III}] + V \rightarrow [V_1^I/V_1^{II}/V_1^{III}] + V$

ბ) რედუქცია ეპენტეზისის გზით:

- I. $[V_1^{III}/V_1^{II} + V_2^I] + V \rightarrow [V_1^{III}/V_1^{II} + \hat{V}_1^I] + V$
- II. $[V_1^{III} + V_2^{II}] + V \rightarrow [V_1^{III} + \hat{V}_1^{II}] + V$

გვაქვს მოცემული ფორმულების შემდეგი კონკრეტული რეალიზაცია:

ა) მარტივი რედუქცია

- I ფორმულა - $[V_1^I + V_2^I] + V \rightarrow [V_1^I] + V$
1. $[\text{ი} + \text{ი}] + V \rightarrow [\text{ი}] + V$

1. როგორც სქემიდან ჩანს, ა, ე, ო ფონემებს შორის ღიაობის მიხედვით სხვაობა რედუქციის პროცესისათვის რელევანტური არ არის (იხ. ქვემოთ).
 2. კვლარატულ ფორმულაში მოვაქციეთ საწარმოებელი ფუძე.

დღორიბ - ტანადი, **დღორიბეს** - ტანადმა (→დღორიბ-ეს)¹

II ფორმულა - $[V^I/V^II_1 + V^II_2] + V \rightarrow [V^I/V^II_1] + V$

1. [უ + უ] + V → [უ] + V:

ნუხურ - დინგი, **ნუხრევ** - დინგმა (ნუხურ-ევ);

ბუბუკ - ყვავილი, **ბუბკევ** - ყვავილმა (ბუბუკ-ევ)...

2. [ი + უ] + V → [ი] + V:

დიშურ - იწვა, **დიშრი** - იწვა? (დიშურ-ი);

თიფურ - ისვენებდა, **თიფრი** - ისვენებდა? (თიფურ-ი)...

III - $[V^I/V^II_1/V^III_1 + V^III_2] + V \rightarrow [V^I/V^II_1/V^III_1] + V$

1. [ა + ა] + V → [ა] + V;

მაჯაწ - კაჭი, **მაჯწევ** - კაჭმა (მაჯაწ-ევ);

ლაგაზ - მოცვი, **ლაგზევ** - მოცვმა (ლაგაზ-ევ)...

2. [ე + ე] + V → [ე] + V:

ჯეჯერ - საწოვარა, **ჯეჯრევ** - საწოვარამ (ჯეჯერ-ევ);

ცენეს - წელს, **ცენესევ** - წელსვე (ცენეს-ევ)...

3. [ო + ო] + V → [ო] + V:

მოსოლ - სიავე, **მოსლევ** - სიავემ (მოსოლ-ევ);

შოროლ - სიგანე, **შორლევ** - სიგანემ (შოროლ-ევ)...

4. [ა + ე] + V → [ა] + V:

საკერ - კისერი, **საკრევ** - კისერმა (საკერ-ევ);

ფხანერ - ბეჭი, **ფხანრევ** - ბეჭმა (ფხანერ-ევ)...

5. [ა + ო] + V → [ა] + V:

ხაკოლ - წყურვილი, **ხაკლევ** - წყურვილმა (ხაკოლ-ევ);

მაცოლ - შიმშილი, **მაცლევ** - შიმშილმა (მაცოლ-ევ)...

6. [ე + ა] + V → [ე] + V:

ფეშკარ - ბიჭი, **ფეშკრი** - ბიჭები (ფეშკარ-ი);

ლეხარ - ძებნა, **ლეხრევ** - ძებნამ (ლეხარ-ევ)...

7. [ე + ო] + V → [ე] + V:

ღელოლ - სისუსტე, **ღელლევ** - სისუსტემ (ღელოლ-ევ);

ბერ-ლომ - წაკა, **ბერ-ლმევ** - წაკამ (ბერ-ლომ-ევ)...

1. მრავალ ფრჩხილებში ნაჩვენები გვაქვს ის დიაქრონიული გზა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ აღწერილ სინქროიულ კანონზომიერებას.

8. [ო + ა] + V → [ო] + V:

თონარ - დარტყმა, **თონრეე** - დარტყმამ (თონარ-ეე);

თოჭარ - ძილი, **თოჭრეე** - ძილმა (თოჭარ-ეე)...

9. [ო + ე] + V → [ო] + V:

ოთერ - დადგა, **ოთრი** - დადგა? (ოთერ-ი);

მოთერ - ეგონა, **მოთრი** - ეგონა? (მოთერ-ი)...

10. [ი + ა] + V → [ი] + V:

დიკარ - წაყვანა, **დიკრეე** - წაყვანამ (დიკარ-ეე);

დისარ - დარჩენა, **დისრეე** - დარჩენამ (დისარ-ეე)...

11. [ი + ე] + V → [ი] + V:

დივერ - დათესა, **დივრი** - დათესა? (დივერ-ი);

დიკერ - წაიყვანა, **დიკრი** - წაიყვანა? (დიკერ-ი)...

12. [ი + ო] + V → [ი] + V:

ნიფსორ - ტოლი, **ნიფსრეე** - ტოლმა (ნიფსორ-ეე);

შიროლ - სიძველე, **შირლეე** - სიძველემ (შიროლ-ეე)...

13. [უ + ა] + V → [უ] + V:

დულარ - ყვირილი, **დულრეე** - ყვირილმა (დულარ-ეე);

დუსტარ - გაზომვა, **დუსტრეე** - გაზომვამ (დუსტარ-ეე)...

14. [უ + ე] + V → [უ] + V:

დუღერ - ყვიროდა, **დუღრი** - ყვიროდა? (დუღერ-ი)...

15. [უ + ო] + V → [უ] + V:

მუსტოლ - სიმკავე, **მუსტლეე** - სიმკავემ (მუსტოლ-ეე);

დუროლ - სიმაღლე, **დურლეე** - სიმაღლემ (დუროლ-ეე)...

ბ) რედუქცია ეპენტენისის გზით:

1 ფორმულა $[V_1^{\text{III}}/V_1^{\text{II}} + V_2^{\text{I}}] + V = [V_1^{\text{III}}/V_1^{\text{II}} + \hat{V}_2^{\text{I}}] + V$

1. [ა + ი] + V → [აჲ] + V:

ქანიზ - ყურძენი, **ქანზეე** - ყურძენმა (ქანიზ-ეე);¹

დაწირ - სდია, **დაძწირი** - სდია? (დაწირ-ი)...

2. [ე + ი] + V → [ეჲ] + V → [იჲ] + V → [ი] + V:

1. უმარცვლო ი, რომელიც გადანაცვლების შემდეგ უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება ჭინბავალ ხმოვანთან, იწვევს მის ასიმილაცია.

დენი - სთხოვა, **დინი** - სთხოვა? (დინი დენი ენი-ი);
თეში - დაიჯერა, **თინი** - დაიჯერა? (თინი თეში-ი)...

3. [ო + ი] + V → [ოი] + V → [უი] + V:

გოწი - აპკიდა, **გუწი** - აპკიდა? (გოწი ხოწი-ი);

ლოწი - შეაბა, **ლუწი** - შეაბა? (ლოწი ლოწი-ი)...

4. [უ + ი] + V → [უი] + V:

დუღი - იყვირა, **დუღი** - იყვირა? (დუღი-ი);

დუსტი - გაზომა, **დუსტი** - გაზომა? (დუსტი-ი)...

|| ფორმულა - [V₁^{III} + V₂^{II} + V → [V₁^{III}/V₁^{II}] + V

1. [ა + უ] + V → [აუ] + V → [აი/ოუ] + V

ხაბი - ობი, **ხაბი** - ობი (ხაბი ხაბი-ი);

დათხი - ხავიწი, **დათხი** - ხავიწი (დათხი დათხი-ი)...

2. [ე + უ] + V → [ეუ] + V → [ეი] + V → [იი] + V → [ი] + V:

თეხი - ამბობდა, **თეხი** - ამბობდა? (თეხი-ი);

ხელხი - ქრებოდა, **ხელხი** - ქრებოდა? (ხელხი-ი)...

3. [ო + უ] + V → [ოუ] + V → [ოი] + V → [უი] + V:

ბოღი - პალო, **ბოღი** - პალო (ბოღი ბოღი-ი);

თოყი - ეყოფოდა, **თოყი** - ეყოფოდა? (თოყი-ი)...

ამრიგად, **წოვათუში** ენი 5 ძირითადი ხმოვნის 25 თეორიულად

შესაძლებელი ორწევრიანი დისტანციური კომბინაციიდან წოვათუ-
ში სიტყვებში რეალიზებულია ყველა ვარიანტი. მათგან ზოგიერთი
მიმდევრობა ტიპობრივია და თართოდაა გავრცელებული, ზოგი კი
შედარებით ნაკლებად გვხვდება. როგორც ვხედავთ, მარტივ რედუქ-
ციას ექვემდებარება ხუთივე ხმოვანი, ხოლო რედუქციას ექვემდებარება
გზით - მხოლოდ ორი. ხმოვანთა დამოწმებული 25 ორწევრიანი დის-
ტანციური მიმდევრობიდან მარტივი რედუქციის სამომქმედოა 18, ხოლო
ექვემდებარება გზით რედუქციისა - დანარჩენი 7. მარტივ რედუქციასა და
ექვემდებარება გზით რედუქციას შორის ზუსტად არის დანაწილებული
ენაში არსებული ხმოვანთა დისტანციური ორწევრიანი მიმდევრობები
და შედეგად ორივე მათგანს მოსდევს მარცვალთა რაოდენობის კლება
წოვათუში ენის გრამატიკულ-ლექსიკურ სიტყვაწარმოებაში. ეს

1. ასიმილაციის ეს საფეხურები ზოგ შემთხვევაში პარალელურად
დასტურდება წოვათუშია შეტყველებაში, ამიტომ მათი დასახელებული
მიმდევრობები ყოველთვის არ ივარაუდება რეკონსტრუქციის დონეზე

ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ **დასახელებულ პროცესთა სახით საქმე გვაქვს მარცვალდაკლების ერთი და იმავე ფონემატური ტენდენციის სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან.** მხოლოდ საკუთრივ წოვათუშური სიტყვების ანალიზით რომ შემოვფარგლულიყავით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლექსემათა ფლექსიისა და დერივაციის დროს მოქმედი აღნიშნული რედუქციის პროცესები წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა და შეპირობებულია სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით. **რედუქციის მექანიზმი ნათლად გამოიკვეთება სიტყვათა სესხებისას, როცა აფიქსის დართვის გარეშე რედუქტირდება მრავალი სამმარცვლიანი სიტყვა.**

როგორც ცნობილია, წოვათუშურ ენაში ნასესხებ სიტყვებს ყოველთვის ჩამოსცილდება სახელობითი ბრუნვის ფორმანტი **ი**, ასევე სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანობას აუსლაოტში მოქცეული ყველა სხვა ხმოვანი [გაგუა, 1956-469]. ამიტომ ნასესხები სიტყვების მარცვალთა რაოდენობაზე მსჯელობისას მათ მხედველობაში არ მივიღებთ. ასე, მაგ., სიტყვებს: **ანგელოზ-ი, ხიზილალ-ა, ეშმაკობა-ა...** თანაბრად განვიხილავთ, როგორც სამმარცვლიანებს.

საინტერესოა ის გზა, რასაც წოვათუშური მიმართავს სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვების სესხებისას. როგორც ვხანეთ, ორიენტაცია სამი მარცვლის ფარგლებში ამ ენისათვის ბუნებრივია, ამიტომ ნასესხებ სამმარცვლიან სიტყვებს ისე ექცევა, როგორც საკუთარ ორმარცვლიან საწარმოებელ ფუძეს ექცევა მესამე მარცვლის (მერედუქტირებული ელემენტის) დართვისას: კერძოდ, ადგილი აქვს რედუქციას და რედუქციის სახეობაც (მარტივი თუ ეპენტეზისის გზით) იმავე წესებით განიხილება, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ:

- ა) მარტივი რედუქცია: ალაზან-ი → **ალზან**, ხელოსანი → **ხელსან**...
- ბ) რედუქცია ეპენტეზისის გზით: პაპიროს-ი → **პაპროზ**, გაბრიელი → **გაბრალ**...

ოთხ- და მეტმარცვლიანი პოზიცია ამ ენისათვის უჩვეულო და ძნელად მოსაგლეკია, ამიტომ აღნიშნული ტიპის მრავალმარცვლიან ნასესხებ სიტყვებს მახვილი უკეთდება ბოლოდან მესამე მარცვალზე, რითაც ლექსიკური ერთეულის შედგენილობაში გამოიკვეთება ბოლო სამი მარცვალი. თითქოს სიტყვიდან გამოითიშაო - უყურადღებოდ რჩება მახვილიანის წინა მარცვლები; გამორჩეული სამი მარცვლის მიმართ კი ენა განახორციელებს ისეთსავე კანონზომიერებებს, როგორსაც სხვა სამმარცვლიანი სიტყვების მიმართ იყენებდა. მაგ., მოუ-

ხერხებელ - მოხერხებელ, გაუნათლებელ - გაუნათლებელ...

იმ ვითარების მიხედვით, რაც ნასესხებ მრავალმარცვლიან სიტყვა-თა საწყის ფორმებში წარმოგვიდგება, შეუძლებელია ვისაუბროთ წოვა-თუ შური ენის აფიქსების ხმოვანთა მარეღეუცრებელ როლზე; როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვა ამ ენაში უნიშნოა, გაუფორმებელი. ამ შემთხვევაში, გამორიცხულია რა სუფიქსთა ყოველგვარი გავლენა ფუძისეულ ხმოვნებზე, ვასკვნით, რომ რეღეუქციის გზით წოვათუ შურში რეგულარდება მარცვალთა რაოდენობა ცაკლეულ ფორმათა ფარგლებში; შეიმჩნევა ენის სწრაფვა სიტყვათა გარომარცვლიანებისაკენ, სუფიქსისეული ხმოვნები კი რეღეუქციაში მონაწილეობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ზრდიან სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას.

ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამჯერად იმ გარემოებას, რომ თუ შური ენის ეს საკმაოდ რთული სისტემა სიტყვაში სავალდებულო მარცვალდაკლებისა მთელი თავისი მკაცრად განსაზღვრული მრავალსახეობით საოცარი სიზუსტით აისახა ამავე ენის ქართულიდან შესრულებულ ნასესხობებში. თვალსაჩინოებისათვის იმავე ცხრილებს ხმოვანთა განსაზღვრული მიმდევრობებისა ახლა უკვე ქართული ნასესხობებით დავიმოწმებთ. გვაქვს:

მარტივი რეღეუქცია:

I ფორმულა:

$$1. \text{ი} + \text{ი} + \text{V} \rightarrow \text{ი} + \text{V}:$$

ქართ. არიბად - წოვათ. არბათ, ხიზილალ - ხიზლალ.

II ფორმულა:

$$1. \text{უ} + \text{უ} + \text{V} \rightarrow \text{უ} + \text{V}:$$

მუგუზალი - ნუგზურ, მუჯლუგუნი - მუჯგზ

$$2. \text{ი} + \text{უ} + \text{V} \rightarrow \text{ი} + \text{V}:$$

გიჟურად - გიჟრათ, ჩინურად - ჩინრად, დიდურად - დიდრათ...

III ფორმულა:

$$1. \text{ა} + \text{ა} + \text{V} \rightarrow \text{ა} + \text{V}:$$

შალაშინ-ი - შალშჩ, ქარავან-ი - ქარვან, ალაჩოყ-ი - ალჩოყ, ანგარიშ-ი - ანგრიშ, ტალავარ-ი - ტალვარ, მარგალიტ-ი - მარგლიტ, არჯაკელ-ი - არჯკელ, გასაქანი - გასქან...

$$2. \text{ე} + \text{ე} + \text{V} \rightarrow \text{ე} + \text{V}:$$

გენერალ-ი - **ღერნალ**, დაჯერებით - **დაჯერბით**, მოსვენებით - **მოსვენბით**, მოფერებით - **მოფერბით**, დასასვენებელ-ი - **დასასვენბელ**, ასაფეთქებელ-ი - **ასაფეთქბელ**, დაუბერებელ-ი - **დაუბერბელ**...

3. ო + ო + V → ო + V:

სოლომონ-ი - **სოლომ**

4. ა + ე + V → ა + V:

სარგებელ-ი - **სარგბელ**, დარჯჯან-ი - **დარჯჯ**, მიუკარებელ-ი - **მიუკარბელ**, აუჩქარებელ-ი - **აუჩქარბელ**...

5. ა თა # → ა #:

საგალობელ-ი - **საგალობელ**, მანათობელ-ი - **მანათბელ**, მახარობელ-ი - **მახარბელ**, მადლობელ-ი - **მადბელ**...

6. ე თა +V → ე +V:

ეშმაკობა - **ეშმაკობ**, დეკანოზი - **დეკანოზ**...

7. ე თა +V → ე +V:

ხელოსანი - **ხელსან**, ერბოკვერცხი - **ერკვერცხ**...

8. ო თა +V → ო +V:

ორაგულ-ი - **ორგულ**, მონაზონ-ი - **მოლზონ**...

9. ო თე +V → ო +V:

საგორებელ-ი - **საგორბელ**, შესაცოდებელ-ი - **შესაცობბელ**, მოუშორებელ-ი - **მოუშორბელ**...

10. ი თა +V → ი +V:

ბიძაშვილი - **ბიძშვილ**, თიბათური - **თიბთურ**...

11. ი თე +V → ი +V:

აუცილებელ-ი - **აუცილობელ**, მოურიდებელ-ი - **მოურიდბელ**, გაკვირვებით - **გაკვირბით**, დაჟინებით - **დაჟინბით**, ახირებით - **ახირბით**...

12. ი თა +V → ი +V:

ნიკოლოზ-ი - **ნიკოლოზ**, კიდობანი - **კიდობ**...

13. უ თა +V → უ +V

14. უ თე +V → უ +V

15. უ თა +V → უ +V

რედუქცია ებენთეზისის გზით:

1 ფორმულა:

1. ა თი +V → ად +V:

ლათინური - **ლათინური**, აბრილი - **აბრალო**, ამირანი - **ამირან**, ხასიათი - **ხადათ**, მარიაში - **მადრამ**...

2. ე თი +V → ედ +V → იდ +V → ი +V:

ბედნიერი - **ბედნიერ**, მეცნიერი - **მეცნიარ**, ბნელიანი - **ბნელიქ**, მოწვე-რილობა - **მოწვილობ**, დადგენილება - **დადგინლება**...

3. ო თი +V → ოდ +V → უდ +V:

მოციქულ-ი - **მოციქულ**, გონიერ-ი - **გონიარ**, ზომიერ-ი - **ზომიარ**...

4. უ თი +V → უდ +V:

კუდიანი - **კუდიქ**, კუზიანი - **კუზიქ**...

II ფორმულა:

1. ა თუ +V → აუ +V → ად +V:

ქართულად - **ქართლათ**, მოქარგულობა - **მოქარგლობ**, მონაზულობა - **მონაზლობ**, განკარგულება - **განკარგლება**...

2. ე + უ +V → ეუ +V → ედ +V → იდ +V → ი +V:

გაბედულად - **გაბედლათ**, აგებულება - **აგებლობ**, უწესურად - **უწისრათ**...

3. ო თუ +V → ოუ +V → ოდ +V → უდ +V:

სომხურად - **სუმხრათ**...

ისეთი ნასესხები სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვა, სადაც ბოლო სამმარცვლიანი პოზიციის პირველ ორ მარცვალში გვექნებოდა ხმოვან-თა დისტანციური **უ-ა**, **უ-ე** და **უ-ო**. მიმდევრობა, C ენაში ვერ დაგადას-ტურეთ. ნასესხები ლექსემების განხილვა ბგერითი გარსის ადატაციის თვალსაზრისით ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ მომხდარი გარდაქმნე-ბი C და S ენათა ფონოლოგიურ სისტემებში არსებული განსხვავებების ზუსტი ასახვაა; მათი თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ მოსალოდნელ გარდაქმნათა ხასიათი და პი-რუკუ, გარდაქმნათა მიხედვით წარმოდგენა შევიქმნათ მსესხებელი ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებათა შესახებ. დღეს უკვე, ზებილინგვიზმის პერიოდში, მთლიანად მოიშალა ეს მწყობრი პროცესი მარცვალდაკლებისა ქართულ ნასესხობებში და, როგორც მოსალოდ-ნელი იყო, უხუცესი ბილინგვების მეტყველებასლა შემორჩა

გ3 თანხმობანთა განანიღბის თაზინაჯურება ნოვანთუშური ენის სიტყვაჯი და მისი ასახვა ლექსიპურ ნასახსოვჯი

ძირის მარტივი (CVC) კონსტრუქციის მიუხედავად, დღეს ქართული სიტყვის ანლაუტში განვითარებულია თანხმოვანთა უკიდურესად რთული ჯგუფები, სადაც წევრების რიცხვი შეიძლება აღწევდეს ხუთსა და ექვსსაც კი (ფოგტი, 1961-12). ამ მხრივ აშკარად საპირისპიროა წოვა-თუშური ენის ვითარება, სადაც თავკიდურა პოზიციაში უმეტესად ერთი თანხმოვანი ფუნქციონირებს; წყვილი თანხმოვანი შეგვხვდება თითქმის მხოლოდ მაშინ, როცა ეს თავმოყრა იძლევა OF თანამიმდევრობას.¹

როგორც ცნობილია, C ენის სიტყვათა ანლაუტში გამოირიცხულია ერთი და იმავე კლასის წევრთა ურთიერთკომბინაციები (OO, FF, SS) და, საერთოდ, სონანტთა მონაწილეობა წყვილთანხმოვანი კომპლექსებში (რეალიზებულია მხოლოდ ორი ასეთი კომპლექსი: მჟ, ნჟ). ანლაუტის თანხმოვანთა განაწილების ეს წესები საბაბი გახდა ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში მომხდარი რიგი ცვლილებებისა:

ა) უცხო სიტყვათა ანლაუტის წყვილთანხმოვანი კომპლექსებში, როგორც უჩვეულო, სისტემატურად დარღვეულია ხშულისა და სონანტის ყოველგვარი მიმდევრობა. ამ მიზნით მსესხებელ ენაში სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებული, როგორცაა: ანაბტიქსური ხმოვნის ჩართვა კომპლექსის წევრებს შორის, ან რომელიმე კომპონენტის დაკარგვა. ანაბტიქსური ხმოვნის როლში ყველაზე უფრო ხშირად ხმოვანი ა გვევლინება, რაც, ვფიქრობთ, იმან განაპირობა, რომ C ენის სიტყვათა ძრებში, რომლებიც, როგორც წესი, სიტყვებში ყოველთვის პირველ ადგილზე დგანან, ხმოვნებიდან ყველაზე უფრო ხშირად რეალიზებულია სწორედ ა.

დავასახელებთ ლექსიკურ ნასესხობებში ანაბტიქსური ხმოვნით სონანტის შემცველი თანხმოვანთა კომპლექსების დაშლის მაგალითებს (განუმარტავთ მხოლოდ იმ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობაც ქართულისაგან განსხვავებულია მთლიანად ან ნაწილობრივ):

ქართულში: ჩრდილი - წოვათუშ. **ჩარდილ** ვრდალი - **ჯადალ**, ღრძილი - **ღარძილ** (გვერდითი საღეჭი კბილი), ჩრჩილი - **ჩარჩილ**, ჭლიკვი

1. O, F, S სიმბოლოებით შესაბამისად აღვნიშნავთ ხშულებს, ნაპრალოვნებსა და სონანტებს

– **ჭალკო**, კრჩხა – **კარჩხო**, ქრთამი – **ქართამ** (საჭმელი, ჩვეულებრივ, პური, რომელსაც მოწველის წინ აძლევენ ძროხას, თუ რძეს არ იძლევა), ფლასი – **ფლას** (ფარდაგი), კრახმალი – **კარხმალ**, წმედა – **წამდარ** (დარ მეშველი ზმნაა), ზნე – **ზნ**.

შეგვხვდა იმავე ფუნქციით ი ხმოვნის გამოყენების ორი შემთხვევა:

გრკალი – **კირკალ**

ზღმარტლი – **სიმაღრტყლ**

თითოჯერ აღნიშნული ფუნქციით **ო** და **უ** ხმოვნებიც დადასტურდა:

შროშანი – **შორშან**

ყრუ – **ყურ-ყ** (გამოყოფილია მაზედსართავებელი სუფიქსი).

ბ) **ნასესხებ სიტყვათა ანლაუტის პოზიციაში სონანტის შემცველ თანხმოდანთ კომპლექსებს წოვათუშური ენა ხშირად აღწევს თავს რო-მელიმე წყვრის, კერძოდ, სონანტის დაკარგვით.** ასე მივიღეთ: მკათათვე – **კათათ**, მთათუშეთი – **თათუშითა**, მხითვეი – **ხითავე**, მსახური – **სახურ**, მკითხავი – **კითხავე**, მკალავი – **კალავე**, მგედარი – **გედარ**, მწვანელი – **წონილ**, მთავარანგელოზი – **თავარანგლოზ**, მჭედელი – **ჭედელ**, მწვეარი – **წვეარ**, მწვადი – **წოდ**, მჭახელ – **ჭახით...**

იგივე ვითარება გვაქვს შებრუნებული მიმდევრობის კომპლექსებშიც: ფლანელი – **ფანელ**, კლანჭი – **კანჭ...**

სონანტის მეზობლობა სხვა თანხმოდანთან, როგორც წესი, არღვევა სამ- და ოთხწყვრიან კომპლექსებშიც. ასეთი კომპლექსები წოვათუშურისათვის უჩვეულოა რამდენიმე თვალსაზრისით: ჯერ ერთი, რომ სონანტს შეიცავენ სხვა თანხმოდანთან მეზობლობაში და, მეორეც, კომპლექსის წვერთა რიცხვი აღემატება ორს. შეუსაბამობათა გასწორება ხდება „ზედმეტი“ ბგერების დაკარგვით, ან გადაადგილებით. მაგ., ქართ.: **ფრთხილი** ორენოვნების საფეხურების მიხედვით წოვათუშურში სამი განსხვავებული სახით ფიქსირდება. გვაქვს: **თხილ-ოქ, ფთხილ, ფრთხილ.**

გ) ცალკე უნდა განვიხილოთ ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში **გ**-ს შემცველი თანხმოდანთ კომპლექსების ცვლილება. აქ **ხმოვნისწინა პოზიციაში თანხმოდანის მომდევნოდ მდგარი გ** თითქმის ყოველთვის **იკარგება**. სულ ერთია, რომელი მარცვლის იმპლოზიაში იქნება ის მოქცეული: სიტყვის ანლაუტისა, ინლაუტისა თუ აუსლაუტისა. დაკარ-

გვისას ეს ბგერა რეფლექსს ტოვებს მომდევნო **ი, ა, ე** ხმოვნების ლაბიალიზაციის სახით. **ო** და **უ** ხმოვნები ამ პოზიციაში ქართულ სიტყვებს, როგორც ცნობილია, არ ახასიათებს (უთურგაძე, 1976-1978).

გ-ს ასეთი დაკარგვის მაგალითებია:

1) მომდევნო **ა**-ს ლაბიალიზაციით:

ქართ.: ძვალი - წოვათუშ.: ძოლ, კვალი - კოლ, ჯვარი - ჯორ, ღვა-რი - ღორ, ცვარი - ცორ, ზვაფი - ზოფ, სვაფი - სოფ, მოძღვარი - მოძღორ, სირსვალი - სირსოლ, ხვადი - ხოდ...

დაცვა - დაცო-დარ, ტანჯვა - ტანჯო-დარ, ხატვა - ხატო-დარ, ხარჯვა - ხარჯო-დარ, წვალევა - წოლბა-დარ, ცხრილვა - ცხრი-ლო-დარ, მართვა - მართო-დარ, წირვა - წირო-დარ...

2) მომდევნო **ი**-ს ლაბიალიზაციით:

ჭიჭკვიტა - ჭიჭკოტ, ლელვი - ლელო, ფესვი - ფესო, ვერხვი - ვერხო, ნესვი - ნესო, ძარღვი - ძარღო...

3) მომდევნო **ე**-ს ლაბიალიზაციით:

მარჯვე - მარჯო, ქვეთად - ქუთათ

საინტერესოა, რომ როცა სიტყვაში ორჯერ შეიქმნა **გ**-ს ანალოგიური დაკარგვის შესაძლებლობა, მოსალოდნელი გარდაქმნა ორივეჯერ განხორციელდა: მხედველობაში გვაქვს სიტყვა გვალვა, რომელმაც **ც** ენაში მოგვცა კანონზომიერი შესატყვისი გოლო.

გვაქვს სიტყვათა ერთი წყება, სადაც იმავე პოზიციაში მდგარი **გ** უკვალოდ დაიკარგა. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს კანონზომიერი გამონაკლისებია. **გ**-ს ასეთი უკვალო დაკარგვა ხდება:

1) როცა უშუალოდ მის წინ ღვას ბავისმიერი თანხმომავანი, მაგ.:

შედება - შედება-დარ, შენიღბვა - შენიღბა-დარ, გაქლიბვა - გაქლი-ბა-დარ, დანამვა - დანამა-დარ, შხამვა - შხამა-დარ, დახუფვა - დახუ-ფა-დარ, დაღუპვა - დაღუპა-დარ, მიტყეპვა - მიტყეპა-დარ...

2) როცა მისი შემცველი თანხმომავანთ კომპლექსი მოსდევს ბავის-

მიერ ხმოვანს: ჟონვა - ჟონა-დალარ, ფუთვა - ფუთა-დალარ, გაწუწვა - გაწუწა-დარ, შებოჭვა - შებოჭა-დარ, ცოცვა - ცოცა-დალარ, ფო-ფხვა - ფოფხა-დალარ, დაკუწვა - დაკუწა-დარ, ზრუნვა - ზრუნა-და-ლარ, გაწურვა - გაწურა-დარ...

ხმოვნის მომდევნო პოზიცია შედარებით თავისუფალია წოვათუ-

შურში. თუ ამ ენის სიტყვათა თავკიდურა პოზიციაში თანხმოვანთა კომპლექსები ნაკლებად გვხვდება, ბოლო კიდურა პოზიციაში თანხმოვანთა თავმოყრა საკმაოდ ხშირია და გამოყენებულია ხშილთა, ფრიკატივთა და სონანტთა თითქმის ყველა შესაძლო წყვილწევრიანი კომბინაცია, გვაკლია მხოლოდ FF მიმდევრობა. ასეთ შემთხვევაში ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ბედს წყვეტს არა მხოლოდ ამა თუ იმ მოდელის ქონა-უქონლობა, არამედ ისიც, თუ ცალკეულ მოდელთა რომელი კონკრეტული შემთხვევებია რეალიზებული მსესხებელ ენაში, მაგალითად:

ა) წოვათუშური ენის სიტყვათა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში სონანტისა და ხშილისაგან შემდგარი მოდელის მხოლოდ სამი შემთხვევაა რეალიზებული: **ბლ, ფლ, ტრ.** ამით აიხსნება, რომ ნასესხებ სიტყვებში ამ მოდელის ყველა სხვა შემთხვევა დაირღვა. გვაქვს: ქართ.: მადლ-ი - წოვათუშ.: **მადელ,** ჩექმ-ა - **ჩაქამ,** დაფნ-ა - **დაფან,** მოცლ-ა - **მოცა-დარ**

ბ) იმავე პოზიციაში საკმაოდ ფართოდ არის რეალიზებული სონანტისა და ხშილის **SO** ტიპის კომპლექსები, მაგრამ მათ შორის არ გვხვდება **ლქ.** ამას უნდა მიეწეროს, რომ ქართულიდან ნასესხები სიტყვა **ჩულქ-ი ჩულაქ** ფორმით დამკვიდრდა.

ეს არის სულ, რაც წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის აღრინდელ საფეხურებზე შესრულებულ ნასესხობათა დღემდე მოღწეული მაგალითების მიხედვით შევძელით გვეთქვა თანხმოვანთა უჩვეულო ბოლო კიდურა კომპლექსების რღვევის პროცესის შესახებ. ჩანს, ეს პოზიცია აღრევე დათმო **C** ენამ. ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ მორფემიზებული კომპლექსები ამ ენაში თითქმის მხოლოდ სიტყვის ბოლოს გვხვდება. როგორც ცნობილია, ბოლო კიდურა პოზიციის კომპლექსებს თავკისურა პოზიციის კომპლექსებთან შედარებით მეტი თავისუფლება ახასიათებს და ისინი ადვილად იცვლებიან მორფოლოგიური მოდელის დაწოლით (ერთელიშვილი, 1964-147).

სიტყვათა ანლაუტისა თუ აუსლაუტის თანხმოვანთ კომპლექსები ერთ საერთო ფონოლოგიურ წესს ექვემდებარება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ **ყრუ თანხმოვანთან შეიძლება იდგეს მხოლოდ ყრუ ბგერა.** აქედან გამომდინარე, როცა ნასესხებ სიტყვებში ფუძისეული ხმოვნის, ან თანხმოვნის რედუქციის შემდეგ მიიღება ისეთი კომპლექსები, სადაც აღნიშნული წესი დარღვეულია, ხდება მისი აღდგენა - კომ-

პლექსში შემავალი მქლერი ბგერა სათანადო ყრუ ბგერით იცვლება. ასე, მაგ.: ქართ.: ჯოჯოხეთი – წოვათუშ.: **ჯოხხითა**, მარჯუაკელი – **მარჯკელ**, ყოჩაღად – **ყოჩხათ**, აბრე შუმი – **აფშულ**, ღვთისმობელი – **სთისმობელ**.

წოვათუშური ენის საკუთარი სიტყვების აუსლაუტში ხმოვნის შემდეგ მდგარი **ნ** დასუსტდა და დაკარგა დამოუკიდებელი არსებობა, რასაც შედეგად მოჰყვა წინამავალი ხმოვნის ნაწალიზაცია. ამ არტიკულაციური მოვლენის მეცნიერული ახსნა მოგვცა ნ. ტრუბეცკოი. მკვლევარის აზრით, ანალოგიურ შემთხვევებში (ასე ხშირად ემართებათ სონანტთა კლასის წევრებს) ხდება თანხმოვნის ზედმეტი გაღივება, რის გამოც მცირდება ჰაერის ხახუნი. ამის შედეგად ბგერის შედგენილობაში მატულობს ტონი, როგორც საშენი მასალა, და თანხმოვანი ემსგავსება ხმოვანს (ტრუბეცკოი, 1960-69). ამ გზით მივიღეთ **С** ენაში: ან (ჭეალი) → **ჭ**, ჰენ (შენი) → **ჰქ**, აშან (ფრთა) → **აშჩ**, ღონ (ცხენი) **ღწ**...

აღნიშნული კომბინაციური ბგერათცვლილებების შედეგად წოვათუშური ენის სიტყვათა აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ მდგარი ცალი თანხმოვნის განაწილების წესების სისტემას ახალი წესი შეემატა: ძირეულ მორფემათა **VC** პოზიციაში არ შეიძლება შეგვხვდეს თანხმოვანი **ნ**. **С** ენის საკუთარ სიტყვებში ეს წესი უგამონაკლისოა და ასევე გაფრცვლდა ის ნასესხებ პლექსებზედაც ყველგან, სადაც აუსლაუტის ხმოვნის სავალდებულო რედუქციის შემდეგ **ნ** აკრძალულ პოზიციაში მოჰყვა. მაგ., ქართ.: ქოთანნი – წოვათუშ.: **ქოთან**, ფრთოსანი – **ფრთოსან**, მგოსანი – **მგოსან**, ოღენოსანი – **ორღენოსან**, დანარჩენი – **დანარჩქ**, განაჩენი – **განაჩქ**, შევარდენი – **შევარდქ**, წვენი – **წვექ**, რეზინი – **რეზან**, ლხინი – **ლხან**, გარმონი – **გარმონქ**, ბატონი – **ბატონქ**...

როგორც საკუთარი, ისე ნასესხები სიტყვების აუსლაუტის ცვლის ეს წესი მითითებული და განხილული აქვთ მკვლევართ: ი. დეშერიევს (დეშერიევი, 1953-47), რ. გაგუას (გაგუა, 1956-275). ჩვენი მხრივ, მას მხოლოდ მაგალითებს ვუმატებთ და აუსლაუტის ვითარებას ვიხილავთ საერთოდ მარცვლის დასასრულის მიმართ მთლიანი სიტყვის ფარგლებში. როგორც მოსალოდნელი იყო, **ნ**-ს ასეთ დასუტებას ადგილი აქვს არა მარტო სიტყვის ბოლოს, არამედ სიტყვის შიგნითაც, ნებისმიერი მარცვლის ექსპლოზიაში. მაგ.: ქართ.: მანქანა – წოვათუშ.: **მანქან**, წინაგორი – **წანგორა**, ტანკი – **ტანკი**, მანკი – **მანკი**, მანდილი – **მანდილო**,

ინსტიტუტი - **მსტიტუტა**, კონსერვი - **კონსერვ**, მენდალი - **მქდალ**...

აღბათ, იმის გამო, რომ ბგერათმეზობლობის წესით მომდევნო მარცვლის იმპლოზიის თანხმომგანი რამდენადმე ასუსტებს **ნ**-ს ასეთი გაზრდილი ღიაობის ხარისხს და ის გარდამავალ საფეხურს იკავებს სუსტიდან ჩვეულებრივ თანხმომგნამდე, მკვლევარნი მისი ინლაუტის პოზიციის შესახებ არაფერს ამბობენ. ამ მხრივ, გამოსარჩევია **ნ**-ს მეზობლობა უკანაენისმიერ თანხმომგნებთან, სადაც განსაკუთრებით ხელშესახება მისი ღილი ღიაობა ჩვეულებრივთან შედარებით.

წოვათუშური ენის ლექსემათა ბოლოს, ძირითადად, დახურული მარცვალი ფუნქციონირებს. აღნიშნული თავისებურება უნდა გამხდარიყო ნასესხებ სიტყვათა ბგერით გარსში მიმდინარე ზოგიერთი გარდაქმნის მიზეზი. კარძოდ:

ა)სუსტდება ან მთლიანად იკარგება ნასესხებ სიტყვათა აუსლაუტში მდგარი ხმოვანი ბგერა. ეს წესი თანაბრად ეხება ორი და მეტი მარცვლის შემცველ ყველა ფუძეს, უცვლელად მხოლოდ ერთმარცვლიანი ლექსემები რჩება. აუსლაუტში მოქცეული ხმოვნის რედუქციის აღნიშნულ წესს თავის დროზე თანაბრად ექვემდებარებოდა ყოველგვარი სახელი: საკუთარიც და საზოგადოც; ადაპტაციის პროცესში **ა** მთლიანად იკარგებოდა, **ე, ი, ო, უ** ხმოვნები კი სუსტდებოდა. დღეისათვის საკუთარ სახელებში ამ წესის მოქმედება შეიზღუდა, რასაც შედეგად რიგი სიტყვების უცვლელად დატოვება მოჰყვა.

ბ)დახურული მარცვლისაკენ მიდრეკილების გამოვლენად მიგვაჩნია ის შემთხვევებიც, როცა ხმოვნით დაბლოებული სიტყვებს ბოლოში თანხმომგანი უფითარდება; მხედველობაში გვაქვს ქართულიდან ნასესხები მასდარები. ქართული მასდარები უმეტესად **ა** ხმოვანზე ბოლოვდება; სხვა მაწარმოებლების როლი აქ უმნიშვნელოა. წოვათუშურ ენაში კი ზმნურ ძირს, რომელიც ყოველთვის დახურული მარცვლითაა წარმოდგენილი, მასდართა მაწარმოებლად **დარ**, ან **დალარ** მეშველი ზმნები დაერთვის. სესხების პროცესში ქართული **ა**- მაწარმოებლიანი მასდარები გააზრებულ იქნა, როგორც ზმნური ძირი, და მეშველი ზმნაც მას დაერთო. ამ დროს **ც** ენის ძირთა სავალდებულო დახურულმარცვლიანობის პრინციპის შესაბამისად, საჭირო გახდა ბოლო **ა**-ზე რაიმე თანხმომგნის

ღართვა. როგორც ცნობილია, ამ მიზნით **ღ** იქნა გამოყენებული.

მივიღეთ ფორმულა: **ქართული მასღარი ჟღ ჟღარ // დაღარ.**

ა. შიფერის მიერ 160 წლის წინათ შედგენილ წოვათუშური ენის სიტყვათა ლექსიკონში შესული 68 ნასესხები მასღარიდან ასეთი **ღონ-იანი** ფორმითაა მოცემული 62, **ღ-ს** გარეშე გვხვდება მხოლოდ 6. გვაქვს, მაგ.: არევა - **არევა-ღ-ღარ**, კურთხევა - **კურთხა-ღ-ღარ**, ქადაგება - **ქადგება-ღ-ღარ**, შერგება - **შერგება-ღ-ღარ**, სესხება - **სესხბა-ღ-ღარ**, დაშლა - **დაშლა-ღ-ღარ**, დაბეჭდება - **დაბეჭდა-ღ-ღარ**, მიღება - **მიღება-ღ-ღარ**, მოწერა - **მოწერ-ღ-ღარ**, მოლოცვა - **მოლოცა-ღ-ღარ**...

დღეს უკვე აღნიშნული მოდელი ნასესხები მასღარებისა ახალმა, **ღ-** ჩამოცილებულმა ფორმებმა შეცვალა და ისინი პარალელურად ინმარებიან მოუბართა ასაკობრივი დონეების შესაბამისად. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნასესხები სიტყვების ქართულთან დაახლოების გზაზე, რის გამოც აღნიშნულმა მოდელმა შეძლევი, უფრო მარტივი სახე მიიღო: **ქართული მასღარი ჟღარ // დაღარ.**

შეგვხვდა აგრეთვე რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როცა ახალ-გოური დანიშნულებით თანხმოვანი დაერთო ხმოვანთუქიან არსებით სახელთა აუსლაუტს. ასეთია: ქართ.: ყუა - წოვათუშ.: **ყუყ**, ძუა - **ძუყ**, კუ - **კუყ**, ცრუ - **ცრუყ**, ზოია - **ზუყ**.

მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის ზედმიწევნითი შესატყვისობა, რაც მქლავნდება მსესხებელი ენის სიტყვებში თანხმოვანთა განაწილების წესებსა და ქართულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების იმავე სფეროში დაფიქსირებულ ცვლილებებს შორის. ამ მხრივ სრული ანალოგია გვაქვს ლექსიკის სესხების იმავე სფეროში ხმოვანთა რთული ფონოლოგიის დონეზე გამოვლენილ შესატყვისობათა მათემატიკურ სიზუსტესთან, რაც ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით საინტერესო კანონზომიერებას წარმოადგენს.

ნაწილი II

ინტერფერენტული პროცესები წმინტადი ენის

მორფოლოგიასა და სინტაქსში

თავი პირველი

ინტერფერენტული პროცესები სახელთა

მორფოლოგიაში

შესავალი

ინტერფერენტია, რომელიც ინდივიდუალური ორენოვნების დროს ლექსიკური გავლენით იფარგლება, კოლექტიური ორენოვნების პერიოდში უკვე ენობრივი იერარქიის მაღალ დონეებზე ფიქსირდება. ლექსიკური ერთეულების სესხებით დაწყებული „უვნებელი“ გავლენა წყარო ენისა ზებილინგვიზმის პირობებში მსესხებელი ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოდელებზე აქტიურ იერიშზე გადადის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული და თუშური ენები ერთი და იმავე მონათესავე ენათა ოჯახის წევრებია და საერთო წარმომავლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, დივერგენტულ პროცესთა მოქმედების შედეგად იმდენად არიან განსხვავებული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომ მათი ნათესაობა მხოლოდ დრმა მეცნიერული ანალიზის დონეზე ხდება შესაძლებელი.

მსგავსების მიხედვით ამ ორი ენის სახელთა ბრუნებისა თუ ზმნათა უღლებების საერთო ამოსავალი სისტემების საკითხი დგება. თვითონ სისტემების რეალიზაციის გზებსა და საშუალებებში კი მნიშვნელოვანი სხვაობა ვლინდება. სწორედ ამ განსხვავებული მიკროსისტემების რეალიზაციაში არსებული განსხვავებების ნიველირებას ემსახურება ბილინგვთა მიერ ორენოვნების მაღალ საფეხურებზე საკუთარ ენაში წყარო ენის გავლენით მეტანილი ყოველი ცვლილება. ამ ცვლილებათა სახით საბოლოო ჯამში თავს იჩენს განსხვავებული სააზროვნო მოდელების ურთიერთდაახლოვების ძალიან საინტერესო პროცესი, რომელიც ყურადღებას იქცევს ბილინგვების მეტყველებაში სახლეთა შეღწევალობის შეზღუდული მასშტაბებითაც და მათივე საბოლოო დამკვიდრებადღე გასავლელი გზის ხანგრძლივობითაც.

კონტაქტში მყოფი მოცემული ორი ენის – ქართულისა და თუ-

შურის – მორთოლოგიური სისტემები საფუძვლიანად გვაქვს შესწავლილი მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ცალკე ნაშრომებად. ამჯერად აღნიშნული გამოკვლევების მზა შედეგებს ვეყრდნობით და სისტემებს შორის დაფიქსირებული სხვაობისა თუ ცარიელი ადგილის თითოეულ შემთხვევას განვიხილავთ უცხო ენობრივი გავლენის შელწევადობის თვალსაზრისით როგორც სახელებთან, ისე ზმნასთან მიმართებით.

ინტერფერენტულ პროცესთა კანონზომიერების კვლევისათვის მნიშვნელოვანია კონტაქტში მყოფ ენათა მსგავსებაც და განსხვავებაც, მაგრამ თვითონ დინამიკაზე და კვირვების საშუალებას სწორედ განსხვავება იძლევა. ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე ინტერფერენტული პროცესები მეტ-ნაკლებად უკვე შეეხო წოვათუ შური ენის სახელთა ბრუნებისა თუ ზმნათა უღლების პარადიგმებში ფიქსირებულ, ქართულისაგან განსხვავებულ თითქმის ყველა რგოლს. ამჯერად თითოეულ მათგანს მიმდევრობით განვიხილავთ უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით.

§1. ერატიული ბრუნვა ინტერფერენციის თვალსაზრისით

ქართულთან შეპირისპირებისას წოვათუ შური ენის ერგატივი თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ამ ბრუნვაში სახელები დაპირისპირებულია გრამატიკული კლასების მიხედვით: ადამიანის კლასის სახელებს აფორმებს სუფიქსი **ს**, ნივთის კლასის სახელებს კი – სუფიქსი **გ**. ნათქვამი მარტო მხოლობითს ენება, მრავლობითს ასეთი დაყოფა არ ახასიათებს და ყოველგვარ სახელს სუფიქსი **გ** დაერთვის. ერგატივის ფორმაში სახელთა ასეთი დაპირისპირებით სათანადო საგანთა განსხვავებული სოციალური ღირებულება აისახა: ენამ ერთმანეთს დაუპირისპირა ადამიანი და მთელი დანარჩენი სამყარო. თვალსაჩინოებისთვის ადამიანისა და ნივთის კლასის თითო სახელს (**ნან** „დედა“ და **ნეკ** „დანა“) წარმოვადგენთ სახელობითსა და ერგატივში.

მხოლობითი			მრავლობითი	
სახ.	ნანა	ნეკ	ნან-ი	ნეკ-ი
ერგ.	ნანა-ს	ნეკ-ე-გ	ნან-ი-გ	ნეკ-ი-გ

საეულისხმობა, რომ საგანთა მსგავსი კლასიფიკაცია არც ქართული გრამატიკული სინამდვილისთვისაა უცხო (ჯავახიშვილი, 1992; ჩიქობავა, 1942). ქართული სამეტყველო ფსიქოლოგია დღემდე განასხვავებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს, მაგრამ, განსხვავებით წოვათუშურისაგან, საკუთრივ ბრუნების პარადიგმაში ამ პრინციპების არეკვლა არ ხდება.

იმის გამო, რომ გრამატიკულ სისტემათა შეპირისპირებისას ქართულიდან ამოვდივართ, როგორც წყარო ენიდან, უჩვეულო ჩანს წოვათუშურის ერგატიული ბრუნვის ორსუფიქსიანობა, ისევე როგორც უჩვეულო გამოჩნდებოდა ერთსუფიქსიანობა ქართული ერგატივისა, თუ სხვაობათა ათვლისას ახლა უკვე წოვათუშურს დავეყრდნობოდით. შეპირისპირების ასეთ ფონზე ბუნებრივია, რომ წოვათუშურის ორნიშნა ერგატივი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. იმის გამო, რომ დაჩრდილოელი უკვე თვითონ ორსუფიქსიანობის ფსიქოლოგიური საფუძველი, სხვადასხვა ასაკის თანამედროვე ბილინგვთა მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ აღნიშნული სუფიქსებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში ვლინდება. ორენოვნების კანონზომიერებათა საფუძველზე ბილინგვი გაუცნობიერებლად დგება სავალდებულო არჩევანის წინაშე. არჩევანის ბედი ამ შემთხვევაში წინასწარაა გადაწყვეტილი: იმის გამო, რომ შეგნებული აქტივობა პირის სახელთა პრეროგატივაა, მოქმედების არეს იფართოვებს სწორედ საკუთრივ ადამიანის სახელების ერგატივის მაწარმოებელი სუფიქსი ს. ამ პროცესს ბუნებრივად მოსდევს ნივთის კლასის სახელთა ერგატივის მაწარმოებელი გ-ს პოზიციის შეზღუდვა, რის შედეგადაც დამკვიდრებას იწყებს ქართულისებური ერთსუფიქსიანი პარადიგმა.

აღნიშნული მორფოლოგიური ინოვაცია საოცარი თანდათანობით ხორციელდება. იგი გზას ძირითად ფორმებთან პარალელური მონაცვლეობით იკაფავს, მაგრამ ეს შენაცვლება არაა თავისუფალი ანუ ნებისმიერი - პარალელურ ფორმათა გაფრცელების დინამიკა სრულ შესატყვისობაშია ენის ღრეკადობის მაჩვენებელთან. იმის გამო, რომ სიახლემ არ უნდა შეიტანოს ბუნდოვნება კომუნიკაციის პროცესში, მსესხებელი ენა ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან შეზღუდულად იხევს უკან: **მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეული სიანლე დამკვიდრდება ლექსიკის მცირე ნაწილში, ჩნდება შესაძლებლობა მომდევნოს დაშვებისა.** ძველ, ე.წ. კანონიერ ფორმებს თანატოლი ერთგულებით იცავს ტრადიცია,

რომლის გავლენაც ამ მხრივ განუზომლად ღიძლია. ენის დრეკადობის ზღვარი და გამოყენების ტრადიცია ორი მძლავრი ფაქტორია, რომელთა მოქმედების გამოც თვით იდეალური ბილინგვიზმის დროსაც კი არ ხერხდება ფართო გზა მიეცეს სიახლეს. ბილინგვს შესაძლებლობა ეძლევა ახალი გრამატიკული ფორმა მიუსადაგოს სახელთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. და, როგორც წესი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელთა ეს მცირე ჯგუფი შეიძინს სიახლის გარკვეულ ტრადიციას, პროცესში ჩაერთვება ისევე მცირე ასეთი ჯგუფი.

ახალი ფორმა ნივთის კლასის სახელთა ერგატივისა თავდაპირველად თითქოს „შემთხვევით“ უწევს მონაცვლეობას ძირითადს ერთგვარი ენობრივი ციტატების სახით. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, მომდევნო საფეხურზე, იძენს ისინი საკუთარ ტრადიციას და თავისუფალ მონაცვლეობაში ერთვებიან. აქედან უკვე რამდენიმე ნაბიჯიღარა რჩება მათ საბოლოო დამკვიდრებამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული წყება სახელებისა ერგატივის ახალი ფორმით ძველ ფორმებთან თავისუფალი პარალელური მონაცვლეობის უფლებას მოიპოვებს, რიგში დგებიან ახალი სახელები, ჩნდება ახალი „შემთხვევების“ შესაძლებლობა.

როგორც აღენიშნეთ, სახელებისათვის ახალ ფორმათა მისადაგების „შემთხვევები“ ენაში ძალიან შეზღუდული რაოდენობით და ეტაბობრივად ჩნდება: მოუბრისაგან დაშვებული „შემთხვევები“ ასატანი უნდა იყოს მსმენელისათვის და რაოდენობრივად არ უნდა გასცდეს ენის დრეკადობის ზღვარს. ამიტომაა, რომ წოვათუშური ენის ნივთის კლასის ყველა სახელს ჯერაც არა აქვს ერგატივის სახიანი პარალელი, ჯერაც არ ჩამდგარა „შემთხვევათა“ რიგში. საამისოდ გასაველეია გრძელი საფეხურებრივი გზა.

რყევა ენაში ამ მხრივ საკმაოდ ღიძლი ხნის დაწყებული ჩანს. აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ ა. შიფერის წოვათუშური ენის გრამატიკას დართული ტექსტები, რომლებიც ჩაწერილია 1864 წელს, ანუ სუსტად განვითარებული ორენოვნების პერიოდში. სამწუხაროდ, ტექსტები მცირეა მოცულობით და შინაარსითაც შეზღუდული. აქ ნივთის კლასის სახელებიდან ერგატივში მხოლოდ სამი აბსტრაქტული სახელი შეგვხვდა, მათგან ორი ტრადიციულ ვინიან ერგატივშია გაფორმებული, მესამე კი სახიან ერგატივში დგას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში ნახმარი ორი აბსტრა-

ქტული სახელიდან ერთი სახიან ერგატივშია, მეორე კი - ვინიანში: „მაცმე ბეკხეთილაეს იესუ ქრისტ თეწდარევა ლათჳ ჳელაჳ ტყუდჳ მბაძწნიში ძესუენ...“ „როცა საოცრებამ და იესოქრისტეს სწავლებამ დაიწყო მიმდევრების მიყვანა იესო ქრისტესთან...“ (შითენერი-1856, 78).

აბსტრაქტულ სახელთა ასეთი სხვადასხვაგვარი გამოყენება ერთსა და იმავე წინადადებაში, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არაა და ენაში უკვე დაწყებულ რყევას ასახავს. დაწყებული ინტერფერენტული ინოვაციის დინამიკა ვცადეთ გაგვერკვია თანამედროვე წოვათუშთა სამი სხვადასხვა თაობის მეტყველების მიხედვით. დაკვირვებისათვის გამოვყავით უფროსი თაობა (60-90 წ.წ.), საშუალო თაობა (30-60 წ.წ.) და უმცროსი თაობა (30 წლამდე).

როგორც მოსალოდნელი იყო, შითენერის მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან დღემდე განვლილი საუკუნე ნახევრის განმავლობაში ამოსავალი ვითარება შეცვლილია თვით ყველაზე უფროსი ასაკის ბილინგვთა მეტყველებაშიც კი, რადგან ესენი უკვე საბჭოთა მასობრივი მწიგნობრობის ეპოქის შედეგები არიან, უკლებლივ ყველანი ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაგანვლილები; ხშირად მათ დამთავრებული აქვთ ქართულივე უმაღლესი სასწავლებელიც. 3000 თუ შიდან ამ პერიოდში 460 უმაღლესდამთავრებულია. მიუხედავად ამისა, სხვა თაობებთან შედარებით აქვთ ის დიდი უბირატესობა, რომ მათი მშობლებისა და პაპა-ბებიების მეტყველებას არ განუცდია იდეალური ბილინგვიზმის ყოვლისშემძლე გავლენა, რის გამოც უშუალო მეძველრეებს ნაკლებად შეცვლილი გადასცეს მშობლიური ენა.

აღნიშნული მიზეზით ჩვენ სწორედ უფროსი თაობის მეტყველებას ვეყრდნობით შედარებისთვის. მათს მეტყველებაში ჯერ კიდევ კარგად არის დაპირისპირებული ადამიანისა და ნივთის კლასის გრამატიკული კატეგორიები: ცალკე ჯგუფს ქმნიან ის სახელები, რომელთაც ერგატივის ნიშნად სუფიქსი ს აქვთ, ცალკე ჯგუფს კი - ის სახელები, რომლებიც იმავე ფუნქციით გ-ს დაირთავენ.

ა) სახელთა პირველ ჯგუფში გვაქვს, მაგ.: ნანა-ს (დედამ), დადა-ს (მამამ), ძაშა-ს (დამ), ვაშა-ს (ძმამ), ბიძი-ს (ბიძამ), მამი-ს (მამიდამ), ავა-ს (ბებიამ), ბაბო-ს (პაპამ), წინუსე-ს (პატარძალმა), მარნანა-ს (დედამთილმა), მარდადა-ს (მამამთილმა).

ბ) სახელთა მეორე ჯგუფში გვაქვს: ათა-გ (ძროხამ), დონე-გ (ცხენმა), ფსტარა-გ (ხარმა), კამჩე-გ (კამეჩმა), კაი-გ (ლორმა), ასე-გ

(ხბომ), **ბაყო-ვ** (კვიცმა), **ბურკევე** (ბურვაკმა), **ჩუხო-ვ** (ბატკანმა), **სა-გე-ვ** (იჩემმა), **გაზნე-ვ** (თხამ)...

ასეთია თანამედროვე წოვათუშური ენის ერგატივის ფორმათა წარმოების საყრდენი მოდელი, ასე იბრუნვის უფროსი თაობის მეტყველებელთა შიშველი სახელი. ბლინგვათა სამივე თაობის მეტყველებელთა შიშვიანი ერგატივი ინტერფერენციის თვალსაზრისით ხელშეუხებელია და მოსალოდნელი ცვლილებები მხოლოდ ვინიან ერგატივს ეხება. საგულისხმოა, რომ სიანლე გარკვეულწილად უკვე შეეხო უფროსი თაობის მეტყველებელსაც. მხედველობაში გვაქვს მათ მიერ სანის გამოყენება საკუთარი სახელებით მოხსენიებულ ცხოველ-ფრინველთა სახელების ერგატივში. დავასახელებთ მაგალითებს:

1. **მურა-ს** ჩა ცობაპითე ქეცე („**მურამ** (ძაღლის სახელი) დათვი ცხვართან არ მიუშვა“).
2. **ყურმა-ს** ჰაწუკ ლაცდიქ („**ყურამ** (ძაღლის სახელი) ჩიტი დაიჭრა“).
3. **პარასკო-ს** ნადხ ჟაბონ ლეთემ მშ აპრ დშ ოგე („**პარასკო-მ** (ძროხის სახელი) სხვების ძროხებთან ჭიდილში რქა მოიტეხა“).
4. უც დენი **სარღე-ს** ზორადში სახელებადვიქსრ („ამ დღეს **სადარ-მა** (ცხენის სახ.) ძალიან მასახელა“).

საგულისხმოა მოცემული თვალსაზრისით ის გარემოება, რომ, თუ ამავე კონტექსტებში იმავე ცხოველებს საზოგადო სახელებით მოვიხსენიებთ, ერგატივი უკვე იმავე უფროსი თაობის მეტყველებელთა შიშვიანთ გაფორმდება. დამოწმებული მაგალითები შემდეგ სახეს მიიღებს:

1. **ფჰარა-ვ** ჩა ცობაპითე ქეცე – „**ძაღლმა**“ ...
2. **ფჰარა-ვ** ჰაწუკ ლაცდიქ – „**ძაღლმა**“ ...
3. **ათა-ვ** ნადხ ჟაბონ ლეთემ მშ აპრ დშ ოგე – „**ძროხამ**“
4. უც დენი **ღონე-ვ** ზორადში სახელებადვიქსრ – „**ცხენმა**“

უფროსი თაობის მეტყველებელთა შიშვიანი ერგატივი შეიძლება გაუჩინდეს ცხოველ-ფრინველთა საზოგადო სახელებს ზღაპრებში, გამოთქმებსა თუ ანდაზებში, სადაც ისინი ადამიანისათვის დამახასიათებელ მოქმედებას ასრულებენ, ანუ გააიროვნებულნი არიან, მაგალითად:

1. **ყოყ-ე-ვ //ყოყ-ე-ს** უარ აღი მაჰოგრ ლატრეს („**ყვავმა** უარი უთხრა გოგოს დახმარებაზე“).
2. ჰათხდალენჩრ **ფხაკლ-ე-ვ //ფხაკლ-ე-ს** ამბუდ მაჰი ლომენ

(„დაწინაურებულმა კურდღელმა ამბავი წაულო ლომს“).

პ. ხილორ ჰაჭენჩრ **არმ-ე-ვ// არმ-ე-ს** შარტ ქოკი დაწუნბადმე.
(„წყალში ჩამხედვარე არემმა თავისი ფეხები დაიწუნა“).

ასე დგას ნივთის კლასის სახელთა ერგატივის საკითხი უფროსი თაობის მეტყველებაში. ის ფაქტი თავისთავად, რომ გამონაკლისები გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებთან არის დაკავშირებული, გვიჩვენებს, რომ ეს ინოვაცია ბილინგვთა სამეტყველო ფსიქოლოგიაში მომხდარი ცვლილების ასახვას წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ უფროსი თაობის მეტყველებაში ერგატივის სუფიქსთა გამოყენების წესები მწყობრია, სანისა და ვინის სამოქმედო არეები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ გამიჯნულია და თითოეული სუფიქსის გამოყენება საკუთარ მიკროსისტემას ექვემდებარება. ინტერფერენტული გამონაკლისები მხოლოდ ნივთის კლასის სახელებთან შეინიშნება, რაოდენობრივად შეზღუდულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

საშუალო თაობის მეტყველება ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით ერთგვარ გარდამავალ საფეხურად წარმოგვიდგება. მართალია, **ს** ფორმანტის სამოქმედო არე ვინისათვის კვლავ შეუვალი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვნად არის შესუსტებული თვითონ ვინის პოზიციები, რადგან მის ადგილს სულ უფრო ხშირად იჭერს სანი. მდგომარეობა არაა მყარი, აღნიშნული თაობის ბილინგვებმა ნივთის კლასის იმავე სახელებს სხვა კონტექსტში შეიძლება ისევე ვინიანი ერგატივი მიუსადაგონ: ამ გზით იქმნება მორფოლოგიურ პარალელიზმთა გრძელი რიგები, რომელთა ერთი წევრი გამართლებულია ისტორიულად, მეორეს კი ინტერფერენტულ პროცესთა განვითარების კანონზომიერება უჭერს მხარს.

ნივთის კლასის სახელთა ქვეცნობიერი დაყოფა სულიერთა და უსულოთა სახელებად, რამაც ჯერ კიდევ უფროსი თაობის მეტყველებაში იჩინა თავი, აქ უფრო ფართო ხასიათს იღებს. იმის გამო, რომ სულიერი საგნის სახელი უფრო ლოგიკურია ზმნის აქტიურ კონსტრუქციებში, ასეთი ცვლილება ენაში შეიძლებოდა მომხდარიყო ინტერფერენტულ პროცესთა გარეშეც, შინაგანი ევოლუციის გზით, მაგრამ ამჯერად სულიერი საგნების სახელთა პარალელურად ქართული ენის მზარდი ზეგავლენით სუფიქსი **ს** ვინის ადგილს იკავებს უსულო საგნის სახელებთანაც. უკანასკნელი პროცესი იმდენად დაჩქარებულად

ვითარდება, რომ სახელთა ხელახალი (სულიერთა და უსულოთა ჯგუფებად) გადაფასების ტენდენცია გამოკვეთას ვერ ასწრებს, რადგან იგი სხვა, უფრო ახალი და ზოგადი ტენდენციით იჩრდილება – **ესაა ერგატივის საკითხში სახელთა ყოველგვარი შინაარსობრივი დიფერენციაციის მოშლის ქართულისებური გზა.**

მიუხედავად აღნიშნულისა, საშუალო თაობის თუ შთა მეტყველებაში ჯერ კიდევ გამოიყოფა ლექსიკის შედარებით მცირერიცხოვანი ფენა, რომელსაც დასახელებული გრამატიკული ინოვაცია ჯერ კიდევ არ შეეხება. ეს არის ბირთვი აქტიური ფონდის სიტყვებისა, როგორცაა, მაგ.: თუხნი (მარლი), მაღნი (პური), ხი (წყალი), წე (ცეცხლი), მეთ (ძროხა), დონ (ცხენი), ჩუხნი (ბატკანი), ლამ (მთა), მოთ (ლოგინი), ნახხ (ყველი), ტოტ (ხელი)... როგორც ცნობილია, **გამოყენების სინშირის ფაქტორს განსაკუთრებული როლი ენიჭება ორენოვან სიტუაციებში, სადაც ის ძველი ენობრივი ნორმების დამცველის როლს ასრულებს ინტერფერენტულ პროცესთა საწინააღმდეგოდ.** იგივე მეორდება ჩვენს შემთხვევაშიც: თუ ნივთის კლასის სხვა სახელთა ერგატივში უკვე ორი სუფიქსი მონაცვლეობს, აქ იმავე ფუნქციას მხოლოდ **გ** ასრულებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო თაობის ბილინგვთა მეტყველებაში ერგატიული ბრუნვის ფორმანტების ხვედრითი წონის მიხედვით ნივთის კლასის სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა:

- I. სახელები, სადაც ერგატიული ბრუნვის ფორმანტად გვხვდება მხოლოდ **გ**;
- II. სახელები, სადაც ორივე სუფიქსი (**გ** და **ს**) თავისუფალ მონაცვლეობაშია.

კიდევ უფრო ღრმად არის გამსჭვალული ინტერფერენტული პროცესებით ახალგაზრდა თაობის თუ შთა მეტყველება. ენობრივი გავლენის დაჩქარება ამ შემთხვევაში უკუფენაა ორენოვან სიტუაციათა განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთა რადიკალური ცვლილებებისა, როგორცაა: უცხო ენის ცოდნის დონე, ე.წ. წმინდა და შერეული ოჯახების რიცხობრივი თანათარღობა და ენიდან ენაზე გადართვის სინშირე – ეს ზებილინგვიზმის პერიოდის თაობაა.

მესამე, ანუ ყველაზე ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში ერგატიული ბრუნვის ფორმანტთა გამოყენების თვალსაზრისით საგანგებოდ შევისწავლეთ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეთა ენა, სადაც გავლენის შედეგების

მიხედვით გამოიყო ბილინგვთა ორი ჯგუფი: ერთს ქმნიან მოსწავლეები, ვისაც თუმი ჰყავს ორივე მშობელი, მეორეს კი – ისინი, ვინც შერეულ ოჯახებში იზრდებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, შერეულ ოჯახებში გაზრდილ მოსწავლეთა მეტყველებას განსაკუთრებული სიცხადით ატყვია ქართული ენის გავლენის კვალი, მითუმეტეს თუ მშობელთაგან არათუ შიდა დედა. ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე ქართულ- და თუშურენოვანი მოსახლეობის თანაცხოვრება ისეთი გზით წარიმართა, რომ განსაკუთრებული როლი ინტერფერენტულ პროცესთა დაჩქარების თვალსაზრისით შერეულ ოჯახებს ერგო მათი დიდი ხვედრითი წონის გამო (შერეულია დღეს ყოველი III ოჯახი). თითოეული შერეული ოჯახი ორენოვნების ფაქტორთა განსხვავებული ერთობლიობით ენობრივი გავლენის ცალკეულ მიკროკერად იქცა, რომელიც, მართალია, განვითარების ერთ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება, მაგრამ სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგენს ამ პროცესს.

დასკვნებისათვის პირველი ჯგუფის მოსწავლეთა მეტყველება ავირჩიეთ. ჩავთვალეთ, რომ თუშური ენა აქ უკეთ არის დაცული ექსტრალინგვისტური ფაქტორებისაგან. ამ ჯგუფის ახალგაზრდათა მეტყველებაში, ისევე როგორც წინა ორი თაობის მეტყველებაში, სახი დამოუკიდებლობას ინარჩუნებს და მისი პოზიციები ვინისათვის შეუვალია. სამაგიეროდ ვინს აღარ გააჩნია ერგატის დამოუკიდებელი ფორმანტის ფუნქცია, რადგან მის მაგივრად სახი უკვე თავისუფლად ფუნქციონირებს ნივთის კლასის თითქმის ყველა სახელთან.

ახალგაზრდა ბილინგვთა შორის ერთეულები ზოგჯერ სწორად იცავენ მშობლიური ენის ვითარებას ერგატული ბრუნვის სუფიქსთა განაწილების საკითხში, მაგრამ როგორც კი საუბარში თავს იჩენს ნივთის კლასის საგნის აღმნიშვნელი ისეთი ლექსემა, რომელიც ბილინგვს წოვათუშური ენის კონტექსტში სხვა ღროს არ მოუსმენია, უკვე სახიანი ერგატვი ჩნდება. ეს გარემოება ცხადად მიუთითებს, რომ ამ თაობის ენობრივ ცნობიერებაში ერგატის წყვილი მორფემიდან უკვე სუფიქსი ს დომინირებს.

მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ დღეს ახალგაზრდა ბილინგვთა მეტყველებაში აღარ გვხვდება ნივთის კლასის სახელები, სადაც ერგატის მხოლოდ ვ გამოხატავს. ასეთ სახელთა ჯგუფი რეალური იყო როგორც უფროსი, ისე მომდევნო თაობის მეტყველებაში, ახალგაზრდა თაობასთან კი იგი აღარ ფუნქციონირებს.

ბილინგვთა ერთიმეორის მომდევნო სამი სხვადასხვა თაობის მეტყველების ერგატიული ბრუნვის სუფიქსთა სამოქმედო არეების მიხედვით ჩატარებული შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ქართული ენის გავლენით წოვათუშურ ენაში თანამიმდევრულად ვითარდება ამ ბრუნვის ერთსუფიქსიან სისტემაზე გადართვის პროცესი. ინტერფერენციის კანონზომიერებათა თვალსაზრისით საეულისხმოა ის გარემოება, რომ ერგატივის ახალ, ერთსუფიქსიან სისტემაზე გადასვლა მორფოლოგიური პარალელიზმების გზით ხორციელდება, რაც ერთსა და იმავე სარეალიზაციო პოზიციაში ორი სხვადასხვა აფიქსის თავისუფალ მონაცვლეობაში ვლინდება. საინტერესოა ამ პარალელურ ფორმათა გაფრცვლლების დინამიკაც: მონაცვლე ფორმები ყველა სახელთან ერთბაშად არ ჩნდება. ისინი თავდაპირველად საორადულ ხასიათს ატარებენ და მხოლოდ გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებს ესადაგებიან, მომდევნო საფეხურზე კი უცნო ენობრივი მოდელის შემდგომ მოძალეობასთან ერთად ხდება ასეთი შინაარსობრივი დიფერენციაციის მოშლა. ამ დროს პარალელიზმები მთლიანად ფრცვლდება ხაკლები სისშირის სახელებზე, ბოლოს კი ყველა დაბრკოლებას ხსნის გავლენის ძალა და გრამატიკული ინოვაცია მოიცავს მთელ ლექსიკურ ფონდს.

თანამედროვე წოვათუშურ ენაში ფუნქციონირებადი გარკვეული ტიპის მორფოლოგიური პარალელიზმების სახით ჩვენ თვალწინაა ერგატიული ბრუნვის მიკროსისტემაში მომხდარი ინტერფერენტული ინოვაციის დასაწყისიც, განვითარების გზაც და მოახლოებული დასასრულის კონტურებიც, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მისი განვითარების საინტერესო პროცესს და შევაფასოთ მისი შედეგები, როგორც წოვათუში ბილინგვების სამეტყველო ცნობიერებაში ქართული ენის გავლენით მომხდარი ცვლილებების ენობრივი ასახვა.

§2. სახელთა მრავლობითის ფორმები

უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იქცევს წოვათუშური ენის სახელთა მრავლობითის ფორმები. თანამედროვე ქართულ ენაში ფაქტობრივად ერთი მრავლობითი გვაქვს - ე.წ. ებ-იანი მრავლობითი. ისაა სასაუბრო ენაში გაბატონებული და სალიტერატურო ენაშიც უკვე მას ენიჭება უბრატესობა. საწარმოქმნო მოდელი ებ-იანი მრავლობითისა უაღრესად მარტივია: ყოველგვარი სახელის ბაზისური ფუძე დაირთავს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ

ერთსა და იმავე ებ სუფიქსს, შემდეგ კი იმავე ბრუნვის ნიშნებს, რაც სახელს ერთვოდა მხოლოდითში.

საგულისხმოა, რომ მარტივი აგლუტინაციის პრინციპზეა აგებული მრავლობითი რიცხვის ფორმები თვითონ წოვათუშურშიც: სახელის ბაზისურ ფუძეს, ისევე როგორც ქართულში, აქაც მიმდევრობით დაერთვის ჯერ რიცხვისა, შემდეგ კი ბრუნვის ნიშნები. გარდა აღნიშნულისა, ფორმათა წარმოების ქართულ მოდელთან მსგავსების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მრავლობითში ბრუნვის იგივე ფორმანტები მეორდება, რაც გვაქვს მხოლოდითში.

მრავლობითი რიცხვის წარმოების საკითხში წყაროსა და მსესხებელ ენებს შორის არსებულ სისტემურ მსგავსებას თვითონ ამ სისტემის რეალიზაციის გზა ჩრდილავს. ყველაზე თვალსაჩინო სხვაობას ამ თვალსაზრისით მრავლობითობის სუფიქსთა სიმრავლე ქმნის წოვათუშურში. საქმე იმაშია, რომ მხოლოდითის ფორმებთან მრავლობითის შეპირისპირებით რიცხვის ათამდე მაწარმოებელი გამოიყოფა ამ ენაში, ესენია: **-ი, -იშ, -ში, -ბი, -მი, -ნი, -არ// -ადრ, -ადრჩ, -ლარ**. დღეისათვის ამ მაწარმოქმნო ფორმანტების განაწილების პრინციპები თითქმის მთლიანად დაჩრდილოვანია, რის გამოც მათი დართვის საკითხი ტრადიციის მიხედვით წყდება.

მრავლობითის ჩამონათვალ სუფიქსთაგან გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებთან არის დაკავშირებული მხოლოდ **ბი, ში** და **ლარ**. **ბი** ძირითადად სადაურობის სახელთა მრავლობითობას მაწარმოებს, სუფიქსი **ლარ** გუაროვნულ სახელებთან არის დაკავშირებული, ხოლო **ში** მიმდევრობებთან გამოხატავს რიცხვს. რაც შეეხება დანარჩენ ფორმანტებს, თანამედროვე თუშურში მათ ტრადიციულად იცავს.

პროფ. კ. ჭრელიაშვილმა აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში დამაჯერებლად ახსნა, რომ აფიქსთა ასეთი სიმრავლე და რთული შედგენილობა მნიშვნელოვანწილად განპირობდა მხოლოდითი რიცხვის სახელობითში მომხდარმა ბაზისური ფუძეების ცვლამ, რაც ძლიერი დინამიკური მახვილის მოქმედებით იყო გამოწვეული. აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვა ამ ბრუნვის ფუძის გამარტივება, რის გამოც მრავლობითთან შეპირისპირებისას მისი გარკვეული ნაწილი რიცხვის ფორმანტთან შეხორცებული აღმოჩნდა. მანვე დაასაბუთა, რომ „ამოსავალში მრავლობითი რიცხვის მხოლოდ ერთი აფიქსი (-იშ) დასტურდებოდა წოვათუშურში“ (კ. ჭრელიაშვილი, 1961, 45).

ღიაქრონიული ასპექტით თუ მივუდგებით საკითხს, ცხადი ხდება, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება კიდევ უფრო მარტივ სახეს ატარებდა წოვათუშურში, ვიდრე დღეს ეს ქართულ ენაშია, მაგრამ, რადგანაც ინტერფერენტული პროცესები ჰორიზონტალურ ჭრილში მოქმედებენ, შეპირისპირებისას თანამედროვე საფეხურზე ქართულ-თუშური ენების სახელთა რიცხვის სისტემებს შორის ყველაზე თვალსაჩინო სხვაობას მაწარმოებელ ფორმანტთა რაოდენობრივი შეფარდება ქმნის: ქართულში ძირითადად ერთი მაწარმოებელი ფიგურირებს, წოვათუშურში კი მათი რაოდენობა ათსა და უფრო მეტს აღწევს. სრითულეს ქმნის აღნიშნულ ფორმანტთა განაწილების გაურკვეველი პრინციპებიც.

გარდა მრავლობითობის ფორმანტთა სიმრავლისა, წოვათუშური ენის რიცხვის გამოხატვის სისტემაში მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის აგრეთვე მხოლობით-მრავლობითის ბაზისურ ფუძეებს შორის არსებული სხვაობა, რაც თავისებური ორფუძიანობის სახელითაც ცნობილი და ნიშანდობლივია სახელთა საკმაოდ დიდი ჯგუფისათვის. ასეთი ორფუძიანობისათვის დამახასიათებელია მხოლობითის პარადიგმათა ბაზისური ფუძის დაპირისპირება მრავლობითის საყრდენ ფუძესთან, რაც ამ უკანასკნელის ძირეული ხმოვნის შეცვლით ხორციელდება. ხმოვანმონაცვლეობის ეს პროცესი ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარდა, მაგრამ შემდეგ მოხდა მისი გრამატიზაცია და სავალდებულოდ იქცა გარკვეული ტიპის სახელებისათვის. ასეთი მნიშვნელოვანი თავისებურება წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიისა თავის დროზე მნიშვნელოვან ცვლილებას განაპირობებდა უცხო ენიდან ნასესხებ სახელთა მრავლობითის ფუძის აგებულებაში, დღეს კი პროცესმა უკუგანვითარება დაიწყო და მოშლის გზას დაადგა როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსებში.

შევეცდებით გავარკვიოთ, როგორ აისახა უცხოენობრივი გავლენა წოვათუშური ენის მრავლობითის მაწარმოებელთა რთულ სისტემაში. საკითხის თანმიმდევრულ განხილვას ისევ ორენოვნების საფეხურებთან მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ სახელთა მრავლობითთან დაკავშირებული ინტერფერენტული გარდაქმნების ისტორია ყველა თანამედროვე თაობის ასაკს სცილდება და საკმაოდ დიდი ხნის წინ იღებს სათავეს, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ორენოვნების დასაწყის სტადიაზე წოვათუშური ენის სახელთა მრავლობითის თა-

ვისებურებანი კანონზომიერ ასახვას პოულობდა ნასესხები სახელების მორთულობაში. აღრეულ ნასესხობათა შემორჩენილი წყება თვალსა-ჩინოდ გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური ორენოვნების დროს აქტიუ-რია სწორედ მსესხებელი ენა და ცვლილებათა ხასიათსაც ის განსაზღ-ვრავს. წყარო ენის გავლენა ამ პერიოდში ზედაპირულია: მისი ფუნქცია მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გასცემს ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც საკუთარი ფონოლოგიისა და მორთულობის მოთხოვნებს უქვემდებარებს მსესხებელი ენა.

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებო აღმოჩნდა მცირერი-ცხოვანი ჯგუფი ქართული სახელებისა, რომლებიც დღემდე გადაურჩა კოლექტიური ორენოვნების დროს მოქმედი ძველ ნასესხობათა „გა-დასწორების“ პროცესს. ამ სახელთა მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ბილინგვიზმის დასაწყის საფეხურზე მსესხებელი ენა აქტიურ ზეგა-ვლენას ახდენდა ნასესხობათა სტრუქტურაზე: ბევრითი ანალოგიის საფუძველზე ანაწილებდა მათ მრავლობითის წარმოების სხვადასხვა ჯგუფში და ორთუქიანობის პრინციპსაც უსადაგებდა.

დავასახელებთ ძველ ნასესხობათა მაგალითებს მრავლობითობის მაწარმოებელ ფორმანტთა მიხედვით.

ა) სუფიქსი ბი:

მხ. რ.: **კუნძ** (კუნძი) - მრ. რიცხვი: **კანძ-ბი**; **ქულ** (ქული) - **ქად-ბი**;
ყუნწ (ყუნწი) - **ყანწ-ბი**; **გუნდ** (გუნდა) - **განდ-ბი**; **კუჭ** (კუჭი) - **კაჭ-ბი**;
ქილ (ქილა) - **ქალ-ბი**; **ვარ** (ვარი) - **ვარ-ბი...**

ბ) სუფიქსი მი:

მხ. რ.: **ქონ** (ქონი) - მრავლ. რ.: **ქონ-მი**

გ) სუფიქსი ნი

მხ. რიცხვი: **ცორ** (ცვარი) - მრ. რიცხვი: **ცორ-ნი**; **ტოტ** (ტოტი) - **ტოტ-ნი**; **გუბტ** (გუბე) - **გაბ-ნი**; **წვერ** (წვერი მთის, ხის...) - **წვერ-ნი**;
ბექ (ბექი) - **ბექ-ნი...**

დ) სუფიქსი აზრ → ირ:

თოფ (თოფი) - **თაფ-ირ**

ე) სუფიქსი იშ → მშ

სკა (სკა) - **სკა-მშ**; **ცლა** (ცლა) - **ცლა-მშ**; **ზღვა** (ზღვა) - **ძღვა-მშ**;
ტბა (ტბა) - **ტბა-მშ**; **ყლა** (ყლა) - **ყლა-მშ...**

მოცემული ნასესხობანი, როგორც აღვნიშნეთ, მრავლობითის ფორმანტთა მრავალსახეობით გამოიჩინებან. მათს გარკვეულ ნაწილს

მრავლობითის ფუძეში შეცვლილი აქვთ ძირისეული ხმოვანიც, რითაც ისინი აშკარა ორფუძიანობაზე არიან გადართული, ნაწილს კი, როგორც ჩანს, ხმოვნის ასეთი ცვლილება არ განუცდია. ამ ნიშნით თვით დასახელებულ ნასესხობებს შორის შეიძლება გამოიყოს უფრო ძველი და შედარებით ახალი ნასესხობების ფენები. გვიანდელ ნასესხობათა მიმართ ფუძეთა ეს ხმოვანმონაცვლეობა რელიევანტური აღარ ჩანს.

უკან დარჩა ორენოვნების ის მონაკვეთი, როცა წოვათუშური თვითონ განაგებდა ქართულ ნასესხობათა ბედს, ახლა ინტერფერენტულ გავლენას შებრუნებული ხასიათი აქვს და ქართულ მოდელზე დაიწყო საკუთრივ წოვათუშური სახელების აწყობა. ქართულის გავლენამ არქაიზმების წყებაში ჩააყენა უკვე ხმოვანმონაცვლე ფუძეები; გასარკვევია, როგორ მოახერხებს თუშური ენა რიცხვის მაწარმოებელ აფიქსთა სიმრავლის „მოწესრიგებას“ დღეს, ზედილინგვიზმის პირობებში?

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გაქართულების პროცესი რიცხვის წარმოების სისტემაში ნასესხობებით დაიწყო. გარკვეული დროიდან ყველა ახალი ნასესხობა მრავლობითის ერთსა და იმავე ყალიბში მოექცა, რის გამოც:

1. ყველა ბრუნვისა და რიცხვისათვის საყრდენად იქნა აღებული მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ბაზისური ფუძე.

2. რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამონატვა მრავალთაგან დაეკისრა მხოლოდ ერთ მაწარმოებელს - ი-ს.

ორენოვნების თანამედროვე საფეხურზე სწორედ ასეთი მარტივი სახით დამკვიდრდა წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები მრავალი ათეული სახელი. მაგალითად:

მნ. რიცხვი: კალამ - მრ. რიცხვი: **კალმ-ი**, მერხ - **მერხ-ი**, ფურცელ - **ფურცლ-ი**, ჩანთ (ჩანთა) - **ჩანთ-ი**, დაფ (დაფა) - **დაფ-ი**, რვეულ - **რვეულ-ი**, დავალებ (დავალება) **დავალ-ბი**, გამოცდ (გამოცდა) - **გამოცდ-ი**, კლას - **კლას-ი**, დამრიგებელ - **დამრიგებლ-ი**, მორიგე - **მორიგ-ი**, ყურნალ - **ყურნალ-ი**, ნიშან - **ნიშნ-ი**, კოსმონავტ - **კოსმონავტ-ი...**

ინტერფერენტულ პროცესთა კანონზომიერების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მრავლობითის ახალი, ერთ საერთო ფორმანტიანი წარმოება გაითავისა ბეჭდმა დიდი ხნის წინ შეთვისებულმა ქართულმა სახელმაც. იმავე პარადიგმებში, სადაც დაცული იყო ხმოვანთმონაცვლეობაზე დამყარებული ორფუძიანობის პრინციპი, გაბატონება დაიწ-

ყო მხოლოდითი რიცხვის ბაზისურმა ფუძემ. მიმდინარეობს ადრინდელ ნასესხობათა „გადასწორება“, რის გამოც ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს მათი მრავლობითობის ძველი და ახალი ფორმები. გვაქვს:

მხ. რ.: ქულ (ქული)	მრ. რ ქალ-ბი // ქულ-ი
ყუნწ (ყუნწი)	ყანწ-ბი // ყუნწ-ი
გუნდ (გუნდა)	განდ-ბი // გუნდ-ი
კუნძ (კუნძი)	კანძ-ბი // კუნძ-ი
კუჭ (კუჭი)	კაჭ-ბი // კუჭ-ი
თუნგ (თუნგი)	თანგ-ბი // თუნგ-ი
გუბე (გუბე)	გაბ-ნი // გუბ-ი
ყუთ (ყუთი)	ყათ-ბი // ყუთ-ი
ქილ (ქილა)	ქალ-ბი // ქილ-ი
ჩხარ (ჩხარი)	ჩხარ-ბი // ჩხარ-ი
ვირ (ვირი)	ვარ-ბი // ვირ-ი
ძირ (ძირი)	ძარ-ბი // ძირ-ი
თოფ (თოფი)	თაფ-ირ // თოფ-ი...

მოვლენათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ იდეალური ბილინგვიზმის გავლენით უკვე წოვათუშური ენის საკუთარი ფონდის სიტყვებში გაჩნდა საყრდენი ფუძის გამარტივებისა და ფორმანტი **ი**-ს უნიფიკაციის ტენდენცია. მრავალმა სხვა ფორმანტით გაფორმებულმა ფუძემ უკვე შეიძინა **ი** სუფიქსიანი პარალელი, რის შედეგადაც მრავლობითობის თითქმის ყველა სხვა მაწარმოებელს შეექმნა დაკარგვის საშიშროება. გვაქვს, მაგ.:

მხ. რ. შატ (კვანძი) – მრ. რ. შატ-ნი // შატ-ი; კეჭ (მატყლი) – კაჭ-ირ // კეჭ-ი; ჰერწო (ქვაბი) – ჰერწო-აღოჩ // ჰერწო-ა; ზოქ (ნისკარტი) – ზაქ-მი // ზოქ-ი; ლოჭ (ჯოხი) – ლაჭ-ბი // ლოჭ-ი; ღრუტ (ნაჩვრეტი) – ღრატ-ბი // ღრუტ-ი...

მრავლობითის განზოგადებული **ი** სუფიქსის დართვა რიგ ფონეტიკურ გარდაქმნას იწვევს როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ფუძეების ბგერით გარსში. მას ფონოლოგიური დანიშნულება აქვს: ფუძეების ერთი მარცვლით შემოკლებას იწვევს და სიტყვის სავალდებულო ორმარცვლიანობის შენარჩუნებას ემსახურება..

შეიძლება დავასკვნათ, რომ წოვათუშურის ნასესხები თუ საკუ-

თარი სახელების მრავლობითის ფორმებში დაცულია ორენოვნების სხვადასხვა საფეხურის მასალა, რომელიც საინტერესოა ინტერფერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით. ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

ა) მრავლობითის აღნიშნული ფორმანტი ი, რომელიც ინტენსიურად იწყებს განზოგადებას, წყარო ენიდან კი არ ისესხა წოვათუ შურიმა, არამედ შეარჩია საკუთარი მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც ყველაზე მარტივი და გამოსაყენებლად მოხერხებული. ეს ცნობილი ალტერნატიული ხასიათის სესხებაა და კარგად განაზავს აღნიშნული ინოვაციის არსს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ბილინგვის აზროვნებისათვის არსებითია არა კონკრეტული საკოორდინაციო მასალა, არამედ თვითონ ამ კოდიფიკაციის სისტემა.

ბ) ორენოვნების დონეების მიხედვით იცვლება ინტერფერენტულ პროცესთა მიმართულება და ხასიათი. კონტაქტის დასაწყის საფეხურზე აქტიურია თვითონ მსესხებელი ენა და ლექსიკურ ნაირსახეობებს საკუთარ მორფოლოგიურ კანონზომიერებებს უმოძრავილებს, კონტაქტის შემჭიდროვებასთან ერთად კი მოძალდება იწყებს უცხო ენობრივი მოდელი, რომელიც ჯერ პარალელურ გამოყენებაშია მსესხებელი ენის მოდელთან, მერე კი განდევნის ამ უკანასკნელს და მარტო რჩება ასპარეზზე.

გ) საგულისხმოა, რომ მრავლობითი რიცხვის ახალი მოდელი თავდაპირველად ნასესხებ სიტყვებს მიესადავა, რის გამოც ჯერ უახლესი ნასესხობანი აეწყვნენ ახალ წესებზე, შემდეგ მოხდა აღრიზდელ ნასესხობათა „გადასწორება“ ამ ახალი წესების მიხედვით, ბოლოს კი ინოვაცია შეიჭრა მსესხებელი ენის საკუთარ ლექსიკურ ფონდშიც. მართალია, საკუთრივ წოვათუ შური ენის სახელებში ეს პროცესი ახალი დაწყებულია და ჯერ მხოლოდ პარალელურ ფორმებს აწესრიგებს, მაგრამ ის გარემოება, რომ აუარებელ ახალ ქართულ ნასესხობაში მხოლოდ ეს ერთი მოდელი ფუნქციონირებს, აღნიშნულ პარალელიზმთა არცთუ შორეულ მომავალზე მიგვანიშნებს.

§ 3. „თითრი ლაქიზი“ სახელთა ბრუნვის პარალიზმები

ინტერფერენტის თვალსაზრისით თანმიმდევრულად განვიხილეთ სხვაობა, რაც ქართულთან შეპირისპირებისას ამა თუ იმ ბრუნვისათუ რიცხვის ფორმათა რეალიზაციის საკითხში აღენიშნება წოვა-

თუშურს. ამავე თვალსაზრისით გვინდა შევეხოთ იმ განსხვავება-საც, რასაც რომელიმე ბრუნვის უქონლობა, ან ნაკლები ფუნქციური დატვირთვა ქმნის ამ ენაში, ეს კი ნიშნავს დავსვათ მსესხებელი ენის ბრუნვათა პარადიგმებში არსებული თავისუფალი ადგილების, ანუ ე.წ. „თეთრი ლაქების“, საკითხი.

ისევე, როგორც „თავისებური“ შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ გრამატიკულ მოვლენას მხოლოდ სხვა ენის სათანადო სისტემასთან მიმართებაში, პირობითია ტერმინებიც „თავისუფალი ადგილები“, ანუ „თეთრი ლაქები“. კარგად არის ცნობილი, მსოფლიოს რამდენიმე ათასეული ენიდან როგორი მოქნილი და მოხერხებულია თითოეული მასზე დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად და, თუ რომელიმე ენის მისამართით ჩვენ ამ ტერმინებს მაინც ვიყენებთ, მხედველობაში ყოველთვის უცხოენობრივი ფონი გვაქვს.

ქართული ენის გრამატიკული სისტემის ფონზე წოვათუშური ენის ბრუნვათა პარადიგმაში თავისუფალ ადგილს, ანუ ღიობს ქმნის წოდებითი ბრუნვის უქონლობა; წოვათუშურს არ მოეოგება საგანგებო ფორმა მისი ფუნქციის გადმოსაცემად; წოდებითი აკლია მის ახლო მონათესავე ჩეჩნურსა და ინგუშურსაც. ამ ბრუნვის ფუნქციას სამსავე ენაში ბახისური ფუძე, ანუ სახელობითი ითავსებს.

ბახისური, ანუ გაუფორმებელი ფუძის გამოყენება წოდებითის ფუნქციით თავის დროზე ნიშანდობლივი იყო ქართულშიც, მაგრამ დროთა სვლაში მომხდარი ინოვაციის შედეგად მიმართვის ფორმათა გამოხატვის საკითხში დღეს ეს ორი ენა მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს: გაუდიფერენცირებელი სახელობით-წოდებითი ქართულში დღეს მხოლოდ საკუთარი სახელებით აღმოჩნდა ლოკალიზებული, წოვათუშურში კი ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს და თანაბრად მოიცავს როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებს.

საგანგებო ფორმათა უქონლობა არ წამოადგენს ხელისშემშლელ გარემობას წოვათუშურ ენაზე მეტყველთათვის, რათა უშეცდომოდ იქნეს გარჩეული მიმართვა იდენტური ბგერითი შედგენილობის წინადადების წევრთაგან. გარჩევის საშუალებას წარმოადგენს საგანგებო პაუზა, რითაც მიმართვა გამოეყოფა მთლიან წინადადებას და ის თავისებური დამთავრებულობის ინტონაცია, რაც ახლავს მას, როგორც დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულს. ამ ნიშნით უმიმართვო წინადადება

ერთ ინტონაციურ მთელს წარმოადგენს, მიმართვიანი წინადადება კი ორ ინტონაციურ ერთეულად იყოფა. შდრ.:

1. ა) კნათ ჰაშედ ვეხჷ ნაყბისტეს.
„ბიჭ(ი) სტუმრად დაჰპატიჟა მეგობარმა“.
ბ) კნათ, ჰაშედ ვეხჷჰო ნაყბისტეს.
„ბიჭ(ო), სტუმრად დაგპატიჟა მეგობარმა“.
2. ა) დალკ ლეტე სე ბადრინ.
„ღმერთ(ი) შველის ჩემს შვილებს“.
ბ) დალე, ლეტალ სე ბადრინ.
„ღმერთ(ო), უშველე ჩემს შვილებს“.
3. ა) რევეკ თხადოლინ ცომაგლაგ სე ბშარკინ.
„რევეკა დღეიდან აღარ დაენახვება ჩემ თვალებს“.
ბ) რევეკ, თხადოლინ მა მაგლაგ სე ბშარკი.
„რევეკა, დღეიდან ნუ დაენახვები ჩემ თვალებს“.

მიმართვის ფორმათა მსგავსი გამოყოფა ინტონაციისა და პაუზის საშუალებით დამახასიათებელია თვითონ ქართულშიც, მაგრამ წოდებითის მარკირებული ხასიათის გამო იქ ერთიც და მეორეც დამატებითი ნიშნებია, მაშინ როდესაც წოვათუ შურში მათ განსაკუთრებული როლი ენიჭება, როგორც ლექსემათა სინტაქსურ როლზე მინიშნების ძირითად საშუალებებს. თუ ამ საშუალებებს მოვხსნით, მაშინ უკვე გაჭირდება მიმართვის გამორჩევა, ან უკეთ, მისი სინტაქსური როლის გააზრება, ჩნდება მისი წინადადების წევრად კვალიფიკაციის საფრთხე. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი კონსტრუქციის წინადადებებზე, სადაც ქვემდებარე სახელობითი ბრუნვის ფორმით ივარაუდება.

ამ თავისებური სინტაქსური ნიშნის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიმლიერით გამორჩევა მიმართვის ფორმებში მოქმედი დინამიკური მახვილი. ჩვენი დაკვირვებით, მიმართვის ფორმათა დანარჩენი წევრებისაგან გამორჩევის ფუნქციას ასრულებს ფაკულტატური ა ნმოვანიც. იგი ხშირად ჩნდება მიმართვასთან, მაშინ როდესაც შეუძლებელია ახლდეს წინადადების სხვა რომელიმე წევრს. განსაკუთრებით ხშირია ფაკულტატური ა-ს გამოყენება, როცა მიმართვა წინადადების შუაშია, ან ბოლოში, სადაც მისი გამორჩევა ინტონაციითა და პაუზით შედარებით გაძნელებულია. შდრ.:

1. ა) დოყნ, ბადერ//ბადერ-ა, ჰაჲ ნაყვ („წადი, შვილ(ო), შენი

გზით“).

ბ) დახეი **ბადერ** შერ ნაცე („წაიდა შეილი თავისი გზით“).

2. ა) ჰათნ ვალალ, **ვოჰ//ვოჰა**, ნახნ („წინ გაუძეხი, ბიჭ(ო), ხალხს“).

ბ) ჰათნ ვალეი **ვოჰ** ნახნ („წინ გაუძევა ბიჭი ხალხს“).

როგორც ვხედავთ, მაგალითთა დასახელებულ წყვილებში **ა-**დართული პარალელური ფორმები სახელებს აქვთ მხოლოდ მიმართვად გამოყენებისას, სხვა შემთხვევაში კი, როცა იგივე სახელები წინადადების წიგრის როლს ასრულებენ, აღნიშნული ფაქულტატური ხმოვნის დართვა გამორიცხულია. თუ სახელს ფუძის ბოლოს ხმოვანი აქვს, რომელიც, როგორც წესი, დასუსტებულია, მიმართვად გამოყენების შემთხვევაში აღარ სჭირდება ფაქულტატური **ა-**ს დართვა, რადგან ამავე ფუნქციას ასრულებს აუსლაუტის ხმოვნის სიგრძის აღდგენა.

ვფიქრობთ, ფაქულტატური **ა-**ს გამოყენებისა თუ აუსლაუტის დასუსტებული ხმოვნის აღდგენის შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელობით-წოდებითის ომოფორმებს შორის განსხვავების დამყარების ორიგინალურ ცდასთან, რომელიც ბოლომდე არაა ენაში გამოკვეთილი.

წოდებითის უნიშნო ფორმათა გამორჩევის ზემოთაღნიშნულ საშუალებასთან ერთად, თავი იჩინა ქართულიდან არითმეტიკული სესხების ფაქტმა. მხედველობაში გვაქვს თვითონ წოდებითის **ო** ფორმანტის სესხების თავისებური შემთხვევა. ჯერჯერობით ამ ტენდენციის მხოლოდ ჩანასახს ვხედავთ. საგულისხმოა, რომ, როგორც ინტერფერენციის სხვა შემთხვევებში, სესხების პროცესი აქაც პარალელური ფორმებით დაიწყო.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ, თუ მორფოლოგიური ინოვაციის სხვა შემთხვევები ე.წ. პერიფერიული ლექსიკით იწყებოდა, აქ იგივე პროცესი შებრუნებით განხორციელდა: წოდებითის **ო** ფორმანტი დაირთეს, პირველ რიგში, ყველაზე ხშირად ხმარებულმა სიტყვებმა, როგორიცაა ნათესაობითის აღმნიშვნელი სახელები: ნან (დედა), დად (მამა), დოჰ (გოგო), ვოჰ (ბიჭი), ბადერ (შვილი), ბიძ (ბიძა).

ნასესხები სუფიქსი დამკვიდრებას ჩვეული გზით – ადგილობრივ ფორმებთან პარალელური შენაცვლებით იწყებს. ამ მიზეზით განვითარების თანამედროვე საფეხურზე აღნიშნულ ლექსემათა სახელობითის თითო ფორმას წოდებითში ორი ფორმა ენაცვლება, რომელთაგან ერთი საკუთარია, გაუფორმებელი, მეორე კი ნასესხებია და გაფორმებული.

აქვე თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ იმავე მიმართვის ფუნქციით გაუ-
ფორმებელ წოდებითან თავისუფალ მონაცვლეობაშია ფაკულტა-
ტურ ა-ხმოვნიანი ფორმებიც, მაშინ პარალელური ფორმები სამი წევრით უნდა
წარმოვიდგინოთ, რომელთაგან ორი საკუთარია, ერთი - ნასესხები.
გვაქვს:

1. სახ. ნან (დედა)
წოდ. ნან//ნან-ა//ნან-ო
2. სახ. ღად (მამა)¹
წოდ. ღად//ღად-ა//ღად-ო
3. სახ. დოჭ (გოგო)
წოდ. დოჭ//დოჭ-ა//დოჭ-ო → დოჭ-უ
4. სახ. ვოჭ (ბიჭი)
წოდ. ვოჭ//ვოჭ-ა//ვოჭ-ო → ვოჭ-უ
5. სახ. ბიძ (ბიძა)
წოდ. ბიძ//ბიძ-ა//ბიძ-ო
6. სახ. ბადერ (ბავშვი)
წოდ. ბადერ//ბადერ-ა//ბადერ-ო

ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებიდან ორ შემთხვევაში, როგო-
რიცაა მამრ და ვამრ, წოდებითის ო ფუძეს საბოლოოდ შეუხორცდა.
იგივე მოხდა მათი მონაწილეობით მიღებულ თხზულ სახელებშიც.
როგორცაა: ნან-ე-მრ (დეიდა), ნან-ვა მ-რ (ბიძა, დედის ძმა), ღად-ე-
მრ (მამიდა), ღადვა მ- რ (ბიძა, მამის ძმა).

ბრუნვის ნიშანთა ფუძესთან შეხორცება არაა უჩვეულო მოვლე-
ნა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. მსგავსი შემთხვევები
სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებშიც გვხვდება, სადაც
ცნობილია, მაგ., სახელობითის -ი-სა და წოდებითის -ო-ს ფუძესთან
შეხორცების შემთხვევები (თ. უთურგაიძე, 1986 - 101; ლ. ნოზაძე,
1995 - 45).

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრუნვის ნიშანთა
ასეთი შეხორცება ფუძესთან სწორედ ანთროპონიმებში ხდება და
ძირითადად ეს წოდებითს ეხება. აქ, ალბათ, გარკვეულ როლს ას-

1. ზოგიერთ სახელს აუსლაუტში დაკარგული აქვს ფუძისეული ხმოვანი
ა. ამჯერად, წოდებითის ფორმებში, ხდება არა მისი აღდგენა, არამედ
ფაკულტატური ხმოვნით სახელის გაფრცობა.

რულებს ის გარემოება, რომ წოდებითის ფორმანტი თავისი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ბრუნვის სხვა ჩვეულებრივი ფორმანტებისაგან, რის გამოც მას ხშირად სიტყვაწარმოებაში უძებნიან ადგილს (ვ. თოფურია, 1956 - 47).

გასაგებია, რომ სახელებს, სადაც უკვე მონდა წოდებითის ფორმანტის ფუძესთან შეხორცება, ამ ბრუნვაში სხვა, უნიშნო პარალელური ფორმები აღარ მოეპოვებათ, რაც შეეხება დანარჩენ სახელებს, კონტექსტებში მათი პარალელური ფორმების თავისუფალი მონაცვლეობა გვაქვს.

მართალია, წოდებითი ბრუნვის ნასესხები ფორმანტი-თ გათავისებული აქვს სახელთა ძალიან მცირე ჯგუფს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ეს ყველაზე ხშირად ხმარებული ლექსიკური ერთეულებია, ნათელი გახდება ნასესხები ფორმანტის დიდი ხვედრითი წონა მეტყველების პროცესში. ამ გზით შეიძლება გვემტკიცებინა, რომ ადამიანის კლასის გარკვეულ სახელებს თუ შორში წოდებითი ბრუნვა გაუჩნდა. ასეთ შემთხვევაში იგი სათანადო ადგილს დაიკავებდა ამ ენის უთანდებულო ბრუნვათა შორის.

ასეთ დასკვნას ხელს უშლის სპეციფიკური მოვლენა, რომელმაც თავი იჩინა აღნიშნულ სახელთა ბრუნებაში: მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სესხების გარკვეულ საფეხურზე ისევ იძალა საკუთრივ წოვათუშური ენის გრამატიკულმა მოღელმა და წოდებითის-თ ნიშნაანი ქართულისებური ფორმები მოულოდნელად სახელობითში აიტანა. მოვლენათა განვითარების ამ საფეხურზე წარმმართველი გახდა კვლავ წოვათუშური ენის საკუთარი კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, მიმართვის ფორმა სახელობითისას უნდა ემთხვეოდეს. **გაჩნდა ახალი ბაზისური ფუძე, გაჩნდა ბრუნების ახალი სახეობა; მონდა თავისებური კონტამინაცია: ფორმა ქართულისაა, ხოლო გამოყენება, ანუ ერთნაირი განაწილება სახელობითსა და წოდებითში - საკუთარი.**

ორი მიკროსიტემის აღნიშნულ კონტამინაციას შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთმანეთის პარალელურად ამოქმედდა წყვილი პარადიგმა ერთი და იმავე სახელის ბრუნებისა, რომელთაგან ერთი ტრადიციულია, მეორე კი მთლიანად ახალ ნაწოდებითარ ფუძეზეა აგებული. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ერთი და იმავე სახელის ნაწოდებითარ ფუძეზე აგებული პარალელური ბრუნების

მაგალითებს:

ა) ძველი ბრუნება
სახ. დად(ა) „მაძა“
ერგ. დადა-ს
ნათ. დადა-მ
მიც. დადა-მ-ნ
ინსტრ. დადა-მ-ვ
გარდ. დადა-მ-ლ
წოდ. დად - ო

ბ) ახალი ბრუნება
დად-ო
დად-ო-ს
დად-ო-მ
დად-ო-მ-ნ → დადუმ
დადო-მ-ვ → დადუმვ
დადო-მ-ლ → დადუმლ
დად-ა დად-ო

ა) ძველი ბრუნება
სახ. ნან(ა)
ერგ. ნანა-ს
ნათ. ნანა-ნ
მიც. | ნანა-მ-ნ
ინსტრ. ნანა-მ-ვ
გარდ. ნანა-მ-ლ
წოდ. ნან - ო

ბ) ახალი ბრუნება
ნანო
ნანო-ს
ნანო-მ → ნანაუმ
ნანო-მ-ნ → ნანუმ
ნანო-მ-ვ → ნანაუმვ
ნანო-მ-ლ → ნანაუმლ
ნან-ა ნან-ო

წოდებითის ფორმანტის სესხების პროცესი საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული ჩანს იმიტომ, რომ ა. შიფნერი-ო ნიშნაინი წოდებითის ამ ახალ ფორმებს უკვე სახელობითში ატანილს ეცნობა. მკვლევარს არ დაუსვამს წოდებითთან მათი გენეზისური კავშირის საკითხი, მაგრამ აღნიშნავს ამ სიტყვათა აგებულებაში მომხდარი საინტერესო ცვლილების შესახებ. იგი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ სახელები ვაშრ (ძმა) და დაშრ (და) ნაწარმოებია ვაშა და დაშა ფუძეებისაგან, რაკი ამ სახეს ატარებს მათი ბაზისური ფუძეები ჩეჩნურში და ამ სახითაა ისინი შემონახული თვითონ წოვათუშური ენის ერგატევიში (შიფნერი, 1856-37).

ამრიგად, წოვათუშურ ენაში ვხვდებით წოდებითის ჩამოყალიბების საკმაოდ სერიოზულ ცდებს ფაქულტეტური ა-ს დართვისა თუ ქართული ო ფორმანტის გამოყენების გზით პირველ შემთხვევაში სახეზეა ენის შინაგანი, იმანენტური განვითარების შედეგი, მეორე შემთხვევაში კი წყარო ენის აქტიური გავლენა. მიუხედავად ამისა, წოდებითი ბრუნვის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებისაგან ჯერ შორს ვართ. პროცესი, როგორც ზემოთ დავინახეთ, დააბრკოლა პარა-

დიგმის ნასესხები ფორმასაწარმოებელი ფორმანტის სიტყვასაწარმოებელ ფორმანტად გადააზრების ძალიან საინტერესო პროცესმა, რაშიც თავი იჩინა მსესხებელი ენის დიდმა შინაგანმა წინააღმდეგობამ გრამატიკული ინოვაციებისადმი.

წოვათუ შურის წარუმატებელი ცდა ქართულიდან წოდებითის ფორმანტის სესხებისა უკვე საკმაო რაოდენობით ნასესხები და დამკვიდრებული სადერივაციო აფიქსების ფონზე ყურადღებას იქცევს, როგორც ფლექსიის სესხების უპრეცედენტო შემთხვევა. აქ კარგად გამოჩნდა, რამდენად რთული და წინააღმდეგობრივია ეს პროცესი შორს წასული იდეალური ბილინგვიზმის დროსაც კი და რამდენად გამძლე და მოქნილია მსესხებელი ენა ამ თვალსაზრისით. თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ის საინტერესო კანონზომიერებაც, რომ წყარო ენიდან შემოტანილი მიმოსახრელი აფიქსი თავდაპირველად ლექსემათა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფს უნდა დაუკავშირდეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფში დაიწყებს იგი ბუნებრივ ფუნქციონირებას, გაეხსნება გზა საყოველთაო გამოყენებისაკენ. რაც შეეხება „თეთრი ლაქების“ საკითხს, მოცემული შემთხვევა ახალი ბრუნვის ჩამოყალიბების მცდელობის კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ინტერფერენტული პროცესები გარდაუვალი აუცილებლობით გულისხმობს თითოეული ლიობის შევსებას ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე. განსხვავებას მხოლოდ დროის ფაქტორი ქმნის, რომელიც სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ გრამატიკული იერარქიის რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე.

§4. სიანლი სანლის გრამატიკული კლასის

კატეგორიაში

მიუხედავად კლასიფიკაციის საფუძვლების გაბუნდოვანებისა, სანლის გრამატიკული კლასი წოვათუ შურში არსებობას აგრძელებს, როგორც სემანტიკური კატეგორია, რომელიც ზმნაში ინარჩუნებს გრამატიკულ სტატუსს. საქმე იმაშია, რომ დღემდე ეს არის სანელური აქტანტების ზმნასთან დამაკავშირებელი ძირითადი საშუალება და, სანამ არ მოხდება ამ როლისაგან გამოთავისუფლება, იგი არსებობას გააგრძელებს. საგულისხმოა, რომ ზმნის გრამატიკული კლასის კატეგორიის წინააღმდეგ ინტერფერენტული პროცესები დიდი ხანია უკვე ამოქმედდნენ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ წოვა-

თუშორი ენის ზმნაში ჩამოყალიბება დაიწყო პირის კატეგორიამ და ამ ფაქტს უკვე ორსაუკუნოვანი წერილობითი ისტორია აქვს: თუ აქამდე მხოლოდ სახელის კლასი აღინიშნებოდა ზმნაში, ახლა პარალელურად პირიც შეიძლება აღინიშნოს. მაგალითად ავიღოთ კლასნიშნიანი ზმნა **გ-აღო** (მოღის). აქ კლასნიშანი **გ** იძლევა წარმოდგენას მხოლოდ იმის შესახებ, რომ მოქმედებას ასრულებს მამაკაცი, მოქმედი პირის რომლობაზე კი არაფერი ვიცით. პირის რომლობის დასაკონკრეტებლად ზმნის დასახელებულ ფორმას, საჭიროა, დაერთოს ნაცვალსახელები:

- ას გ-აღო (მე, კაცი, მოღის)
- აჰ გ-აღო (შენ, კაცი, მოღის)
- ო გ-აღო (ის, კაცი, მოღის)

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბება დაიწყო პირის კატეგორიამ, გაჩნდა ნაცვალსახელური წარმოშობის პირის ნიშნები, რომლებიც ზმნას დაერთვის კლასის ნიშნებთან ერთად და გვაძლევს წარმოდგენას უკვე პირის რომლობაზე. ამასთან დაკავშირებით აღარ არის საფაღლებულო პირის ნაცვალსახელთა დართვა. გვაქვს, მაგ.:

- გ-აღო-ს (მე, კაცი, მოვდივარ)
- გ-ა-ღო-ჰ (შენ, კაცი, მოღიხარ)
- გ-ა-ღო (ის, კაცი, მოღის)

სიახლის დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირისნიშნიანი და უპირისნიშნო ფორმები ზმნებისა პარალელურ გამოყენებაშია და პრიორიტეტი ამ მხრივ ჯერ კიდევ კლასნიშნიანს ეკუთვნის: ზმნაში აქტანტის კლასის აღნიშვნა საფაღლებულოა, მაშინ როდესაც რომლობა, მოუბარის სურვილის მიხედვით, შეიძლება აღინიშნოს, ან არ აღინიშნოს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიამეტრულად შეიცვლება ვითარება, ანუ როცა საფაღლებულო იქნება რომლობის აღნიშვნა და ფაკულტატური გახდება კლასი, დაიწყება კლასკატეგორიის რღვევა.

მართალია, ზევით აღნიშნულმა ინტერფერენტულმა პროცესებმა გასაგები მიზეზების გამო ვერ შეძლეს ზმნაში კლასის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, მოშლა, მაგრამ დიდი ძვრები შეიტანეს მის სემანტიკაში. ამჯერად მხედველობაში გვაქვს დღემდე ცალ-ცალკე არსებული ქალისა და მამაკაცის კლასების ადამიანის ერთ საერთო ზოგად კლასად უნიფიცირების მეტად საინტერესო პროცესი, რომე-

ლიც ინტენსიურად ვითარდება წოვათუშურში და უცნობა უახლოესად მონათესავე ჩეჩნური და ინგუშური ენებისათვის. პროცესები ეხება ისეთ საზოგადო სახელებს, რომლებიც თანაბრად შეიძლება მიეკუთვნოს ქალსაც და მამაკაცსაც.

საეულისხმობა, რომ ასეთი განზოგადების საშუალებად წოვათუშურმა გამოიყენა ნივთის კლასის ნიშანი „დ“ და არა ერთ-ერთი რომელიმე ქალისა და მამაკაცის კლასნიშნებიდან. ამ მხრივ, საინტერესოა აკად. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, რომელსაც იგი საკუთრივ ქართულის მასალებზე დაყრდნობით ავითარებს: „გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლა კონკრეტულის უფრო აბსტრაქტულით შეცვლას გულისხმობს, ნივთის კატეგორია კი აბსტრაქტულობის გამოხატვას გაცდომებით უკეთ ეგუება, ვინემ ადამიანის კატეგორია“ (ჩიქობავა, 1942 - 261).

აღნიშნული განზოგადების პროცესი ჯერჯერობით ხელობისა და მოსაქმეობის აღმნიშვნელ სახელებს შეეხო მხოლოდ და განვითარების სამ სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიჩვენს: ამ სახელებიდან ზოგი მხოლოდ ახალი განზოგადებული კლასის ნიშნით იხმარება, ზოგიერთ სახელთან კონკრეტული და განზოგადებული კლასები პარალელურ გამოყენებაშია, ზოგ სახელს კი ეს ინოვაცია საერთოდ არ შეეხება. დავასახელებთ მაგალითებს:

I. განზოგადების პროცესი დამთავრებულია და ადამიანის ახალ „დ“ კლასს ეკუთვნის შემდეგი სახელები: აღმქ (ადამიანი), ლაწმარ (ავადმყოფი), ჰაშქ (სტუმარი), ბირკაყრ (ბერიკა), მასთხოვ (მტერი), მაქლათარ (ზედამდეგი ჭირისა თუ ღვინის სუფრასზე), მაყარ (მაყარი), მარჭკელ (მაჭანკალი), შაიო (შაიონი), მოწათქ (მოწათქე), მორიგე (მორიგე), მანარბელ (მანარბელი), მოწყალქ (გულშემატკივარი), მუშაყრ (მუშა), ტუსალ (ტუსალი), ამნათ (მსახური, მონა), ლათავ (მსახური)...

II. ადამიანის განზოგადებული კლასი პარალელურ გამოყენებაშია ქალისა და მამაკაცის კონკრეტულ კლასებთან. მაგალითად:

კონკრეტული კლასები: - მა, ვა	განზოგადებული კლასი - და
მასპინძელ (მასპინძელი) მა, ვა	მასპინძელ და,
მეგობარ (მეგობარი) მა, ვა	მეგობარ და,
ნაყბისტ (მეგობარი) მა, ვა	ნაყბისტ და,
მდგმურ (მდგმური) მა, ვა	მდგმურ და,
ნაცნობ (ნაცნობი) მა, ვა	ნაცნობ და,
ნათესავ (ნათესავი) მა, ვა	ნათესავ და,

მეგობარ(მეგობარი)მა, ვა მეგობარ და.

III. მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კონკრეტულ კლასებს ეკუთვნის დღემდე შემდეგი სახელები:

- დონტურ (ექიმი) ვა, მა.
- უჩიტელ (მასწავლებელი) ვა, მა.
- მოსამართლქ (მოსამართლე) ვა, მა.
- ნოქარ (გამყიდველი) ვა, მა.
- დორექტორ (დირექტორი) ვა, მა.
- თავმჯდომარ (თავმჯდომარე) ვა, მა.
- მდივან (მდივანი) ვა, მა.
- ბრივადელ (ბრივადირი) ვა, მა.
- ინჟინერ (ინჟინერი) ვა, მა.
- გამომძიებელ (გამომძიებელი) ვა, მა...

საინტერესოა, რომ აღნიშნული ინოვაცია, პირველ რიგში, თვითონ სიტყვა **ადამიანს** შეეხო. ამის შემდეგ ინტერფერენტულ გარდაქმნათა აღნიშნულ წრედში მოექცა თვითონ კითხვითი ნაცვალსახელი **მქ** (ვინ), რომელიც ნაცვლად ქალისა და კაცის ორი კონკრეტული კლასისა, უკვე სამ სხვადასხვა კლასში შეგვხვდება; მაგალითად:

- მქ ვა - ვინ არის (კაცი),
- მქ მა - ვინ არის (ქალი),
- მქ და - ვინ არის (ადამიანი ზოგადად).

ბუნებრივია, რომ ინოვაციამ ზმნებშიც შეაღწია და ქალისა და მამაკაცის კონკრეტული კლასების ადამიანის ერთ ზოგად კლასად გაერთიანების ტენდენციამ მთელი ენობრივი ქსოვილი მოიცვა. ამგვარად, წოვათუ-შურმა ენამ ქართულის გავლენით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უახლოესი მონათესავე ჩეჩნურისა და ინგუშურისაგან დაშორების გზაზე.

აღნიშნული ინოვაცია ინტერფერენტულ პროცესთა მოქმედების შემდეგია და ბილინგვის ენობრივ ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებას ასახავს. საამისო ბიძგს, ცხადია, იძლეოდა ის გარემოება, რომ ქართულს, რომელიც დღეს ბილინგვებმა მშობლიურ ენაზე უკეთ იციან, შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი სემანტიკური კლასი ადამიანის და ნივთისა. დღევანდელი ვითარების მიხედვით აქეთ მოიკვლევეს გზას წოვათუშური ენა.

საგულისხმოა, რომ, **როგორც მორფოლოგიურ ინოვაციათა ყვე-**

ლა სხვა შემთხვევაში, სიახლე აქაც პარალელური ფორმების საშუალებებით იწყებს დამკვიდრებას. ზოგიერთმა სახელმა და, შესაბამისად, ზმნამაც უკვე გაიარა პარალელურ კლასთა საფეხური, ზოგი ახლა გადის ამ საფეხურს, ზოგს ჯერაც არ შეუძენია მონაცვლე ფორმები.

ამრიგად, სახელის გრამატიკული კლასის კატეგორიამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა წოვათუშურში, ერთი მხრივ, შინაგანი განვითარების გზით, მეორე მხრივ კი – უცხო ენობრივი გავლენის შედეგად. ჯერ იყო და, მამაკაცისა და ნივთის კლასები დაიყო მამაკაცის, ქალისა და ნივთის კლასებად, დღეს კი ხორციელდება ქალისა და მამაკაცის კლასების ადამიანის ერთ საერთო კლასად უნიფიკაციის პროცესი.

მიუხედავად სახელის გრამატიკული კლასის სემანტიკაში მომხდარი სერიოზული რყევებისა და სახეცვალებისა, მის მოშლამდე ჯერ კიდევ ძალიან გრძელი და რთული გზაა გასავლელი. დღესაც კი, როცა იდეალური ბლინგვიზში თავისი განვითარების წინიგშია, უკლასოდ დარჩენილი სახელის ერთ მაგალითსაც ვერ დავასახელებთ. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კლასკატეგორია ძირითადი საშუალებაა სახელის სხვა წევრებთან დაკავშირებისა. მართალია, ისევე ქართულის გავლენით, დღეისათვის წოვათუშურში ამ ფუნქციას პირის კატეგორიაც ასრულებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია კლასის კატეგორიასთან: ერთდროულად ხდება საგნის დახასიათება სოციალური ღირებულებისა (კლასი) და რომლობის (პირი) მიხედვით. დამოუკიდებელი ფუნქციონირების უფლება პირის კატეგორიას ჯერ კიდევ არა აქვს.

ენობრივი ზეგავლენის პროცესთა კანონზომიერების თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ მრავალსაუკუნოვანი ცალმხრივი აქტიური ზეგავლენის მიუხედავად, ქართულმ ენამ მხოლოდ ბოლო პერიოდში შეძლო რყევა შეეტანა წოვათუშური ენის სახელთა გრამატიკული კლასის კატეგორიაში ქალისა და კაცის კლასის სახელთა ადამიანის ერთ კლასში გაერთიანების დაწყებით. შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად სახელის კლასკატეგორიის საწინააღმდეგოდ მიმართული ინტერფერენტული პროცესების აქტიური იერიშებისა, ამ კატეგორიის ვერც მოშლა მოხერხდა და ვერც საფუძვლიანი რყევის შეტანა სწორედ მისი, როგორც მორფოლოგიური რგოლის, განსაკუთრებული სისტემებრივი შეკრულ-შეზღუდულობის გამო.

§5. ნასესხებ ზედსართავ სახელთა ბრუნების

პარალელური პარადიგმა

წოვათუშური ენის ზედსართავი სახელი აგებულებისა და ფორმაცვალების მიხედვით დამოუკიდებელ სისტემას ქმნის ამავე ენის სხვა მეტყველების ნაწილებს შორის, რამაც განაპირობა ინტერფერენტულ პროცესებთან მიმართებით მისი ცალკე გამოყოფა-განხილვა. ზედსართავი სახელი თუშურში, ისევე როგორც სხვა ენებში, ვითარებითა ან მიმართებითი, ანუ, ატრიბუტულია ან სუბსტანტიური. ამ ორი სახის ზედსართავს შორის მოცემულ ენაში მსგავსებაც გვაქვს და განსხვავებაც. მსგავსებას მათი ერთნაირი დაბოლოება ქმნის, კერძოდ, ნაზალური ხმოვანი, რომელიც მათ ზედსართავებელი ფუნქციით აუსლაუტში თანაბრად დაერთვის ერთსაც და მეორესაც. გვაქვს, მაგ., ლა ვ-ქ სტაკ („მაღალი კაცი“); ხენ-ქ ფოთოლ („ხის ფოთოლი“)...

განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ სავალდებულო ნაზალური ხმოვნით ერთ კლასში გაერთიანებულ ატრიბუტულსა და სუბსტანტიურ მსაზღვრელებს ტრანსფორმათა წარმოების განსხვავებული წესები აქვთ. სუბსტანტიური მსაზღვრელები საყრდენად სახელობითი ბრუნვის ფუძეს იმეორებენ დანარჩენ ბრუნვებში, ატრიბუტული მსაზღვრელები კი ახალ ფუძეს აწარმოებენ საგანგებო ჩო სუფიქსით. აღნიშნულის გამო ატრიბუტული მსაზღვრელი ცალკე დგას სხვა სახელებისაგან და ქმნის ბრუნების პარადიგმათა საკუთარ მარკირებულ სისტემას.

ინტერფერენტულ პროცესთა ზემოქმედების თავსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ის გარემოება, რომ საზღვრულთან სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნების წოვათუშური ენის პარადიგმა მთლიანად ემთხვევა ქართულის სათანადო პარადიგმას და სხვაობას აქ მხოლოდ საზღვრულზე დართული ბრუნვის აფიქსები ქმნიან. ამ მიზეზით მსაზღვრელ-საზღვრულის მოცემულ სახეობას ინტერფერენტია საერთოდ არ შეეხება. სამაგიეროდ ქართულის დიდი ზეგავლენა განიცადა საზღვრულთან ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნების პარადიგმამ, სადაც სხვაობა არა მარტო აფიქსებშია, არამედ განსხვავებულია ბრუნების მთლიანი სისტემა.

ატრიბუტულ მსაზღვრელებთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ცალკე ბრუნებისას, ანუ გაარსებითების შემთხვევაში,

ისინი ჩვეულებრივ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, მსაზღვრელად გამო-
ყენებისას კი ოდენ **-ჩო** სუფიქსიანი ფუძის სახით ფუნქციონირებენ.
თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ბრუნების ნიმუშებს, რომელ-
თაც მარტო მხოლოდით რიცხვში დავიმოწმებთ, რადგან მსაზღვრელი
სახელი წვავათუშურში რიცხვის მიხედვით საერთოდ არ იცვლება.
გვაქვს. მაგალითად:

- 1) სახ. ლაჯ-ქვაშ-რ „მაღალი ძმა“
ერგ. ლაჯ-ე-ჩრ ვაშა-ს
ნათ. ლაჯ-ე-ჩრ ვაშა-მ
მიც. ლაჯ-ე-ჩრ ვაშ-მ-ნ
ინსტრ. ლაჯ-ე-ჩრ ვაშა-მ-ვ
გარდ. ლაჯ -ე-ჩრ ვაშა-მ-ღ
წოდ. ლაჯ-ქვაშ-რ

- 2) სახ. თიმ-ძ წა „ძველი სახლი“
ერგ. თიმ-ი-ჩრ წენ-ი-ვ
ნათ. თიმ-ი-ჩრ წენ-ძ
მიც. თიმ-ი-ჩრ წენ-ი-ნ
ინსტრ. თიმ-ი-ჩრ წენ-ი-ვ
გარდ. თიმ-ი-ჩრ წენ-ი-ღ
წოდ. თიმ-ძ წა

მსაზღვრელთა სახელობითის ბაზისურ ფუძეზე-**ჩო** სუფიქსის დაარ-
თვის შემდეგ ყოფილი აუსლაუტის მაზედსართავებელი ხმოვანი კარგავს
ნაზალობას და ერთგვარი თანხმოვანთგამყარის ფუნქციას ასრულებს.
საგულისხმოა, რომ ინდივიდუალური ორენოვნების დროს ზედსართავი
სახელის ღიაობა მხოლოდ 14%-ს უდრიდა, მაშინ როდესაც არსებითი
სახელის ღიაობა 65%-ს აღწევდა. ამ დროს ზედსართავი სახელი თავი-
სი შინაგანი წინააღმდეგობის ძალით თითქმის ზმნას უტოლდებოდა.
სწორედ რთული აგებულების გამო იყო, რომ ზედსართავების სესხება
არსებითებთან შედარებით საოცარი შენდლუდობით ხასიათდებოდა.
მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოიხსნა ზოგი მორფონოლოგიური ბარიერი,
შედარებით დაჩქარდა ამ უკანასკნელის შეთვისების პროცესი, რის გამოც
ორენოვნების მომდევნო საფეხურზე მათმა ღიაობამ უკვე 71%-მდე აიწია.

ამჯერად ზედსართავ სახელთან დაკავშირებით ინტერფერენციის სხვა მხარე გვიანტერესებს: ვიკვლევთ ინოვაციათა ხასიოსა და მასშტაბებს ორენოვანების საფუძვლებთან მიმართებით. ვარკვევთ, როგორია გრამატიკული გავლენის შეღწევალობა საერთოდ და რა მიმართებაშია იგი მიმოხრის სირთულეებთან; რა გზით ეყრება საფუძველი ცვლილებებს ბრუნების პარადიგმათა მთლიან სისტემაში.

ქართულთან მიმართებით, ამჯერად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თუ საზღვრულ სახელთა პარადიგმებში შეიძლება განსხვავებული ფორმა ფიგურირებს ბრუნვების მიხედვით, მსაზღვრელ სახელებთან მხოლოდ ორი ფორმა უპირისპირდება ერთმანეთს: ერთი – სახელობითი ბრუნვისა, ნაზალურხმოვნისა, მეორე კი – საერთო ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის – **ჩო** სუფიქსიანი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ, როცა საზღვრული სახელობითია და უფორმანტო (საზღვრულის სახელობითი ყოველთვის ნულოვანი მორფემით აღნიშნება წოვათუ შურში), მსაზღვრელისათვის სავალდებულო ხდება გენეტივის ნიშნის დართვა, მაშინ კი, როცა საზღვრული რომელიმე სხვა ბრუნვაშია და ამის გამო ბრუნვის ნიშნით არის გაფორმებული, მსაზღვრელი უფორმანტოდ გვევლინება. როგორც ვხედავთ, **მსაზღვრელ-საზღვრულისა-გან შემდგარი სინტაგმის ორივე წევრის ერთდროული ნულოვანი გაფორმება რომელსამე ბრუნვაში პრინციპულად გამორიცხულია, მაშინ როდესაც ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის უფორმანტოა.** აქ ენობრივი ეკონომიის პრინციპის მოქმედებასთან გვაქვს საქმე. როგორც მორფოლოგიის სხვა მონაკვეთებშიც დაფიქსირდა, აქაც ეკონომიის პრინციპმა იჩინა თავი. ჩანს, ზეპირ ენებს ეს მისწრაფება გაძლიერებული აქვთ.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება არ იყოს ინტერესმოკლებული იმის აღნიშვნა, რომ ცალკე ნაბრუნები ანუ გასუბსტანტივებული მსაზღვრელები – ატრიბუტულიც და გენეტიურიც ერთნაირად დაერთავენ **-ჩო** მანასიათებელსაც და ბრუნვის ნიშნებსაც. სავანგებო ფორმანტოთ მსაზღვრელის კლასი, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობა, ქართულს არ გააჩნია, წოვათუ შურში კი ეს სისტემა, როგორც ვნახეთ, სავანგებოდ არის ორგანიზებული, ერთი მხრივ, ბანისურ ფუძეთა ნაზალურხმოვნისა დაბლოკებით, მეორე მხრივ კი – **ჩო** მანასიათებლითა თუ უმისოდ განხორციელებული ორფუძიანობით.

ფლექსიისა და დერივაციის ეს განსაკუთრებული სირთულე და შე-
მოზღუდულობა იყო ის ძველად გადასალახი ჯვებში, რაც ასე დიდხანს
და საიმედოდ იცავდა თუშური ენის ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს
უცხოენობრივი ერთეულების მოძალებისგან. ორენოვნების დასაწყისსა
და დიდხანს მერე მომდევნო საფეხურებზე სესხების თვალსაზრისით
ეს იყო თითქმის მთლიანად ჩაკეტილი სისტემა, რომელში მოქცევა
მხოლოდ სერიოზული მორფოლოგიური სახეცვალების შემდეგ
შეიძლებოდა. სწორედ გარდაქმნის სირთულეთა გამო თითქმის ბოლო
დრომდე ნასესხებ ზედსართავ სახელთა მხოლოდ ცალკეული ერთეუ-
ლები აღწევდნენ წოვათუშურის ლექსიკურ ფონდამდე.

ამ მხრივ მარტივად იდგა საკითხი სუბსტანტიურ მსაზღვრელებ-
თან, რომლებიც ამ მიზნით უკვე ნასესხებ და დამკვიდრებულ არსებით
სახელთა გენეტიური ბრუნვის ფორმას იყენებდნენ. სწორედ ის გა-
რემოება, რომ უკვე გათავისებულ ფუძეებზე ხდებოდა თუშური ენის
გენეტიური ბრუნვის ფორმანტის დართვა, თარაგდა მათ ჰიბრიდულ
ბუნებას. ეს ადვილებდა, ერთი მხრივ, მათი ფორმაწარმოებისა და,
მეორე მხრივ კი, სიტყვათმომოქცევაში ჩართვის საქმეს. აუარებელი
ქართული, ან ქართულის გზით ნასესხები არსებითი სახელი ღებულობ-
და გენეტივის ფორმას და, როგორც მსაზღვრელი, დაუბრკოლებლად
მონაწილეობდა სინტაქსურ წყვილებში.

რაც მარტივად წყდებოდა სუბსტანტიურ მსაზღვრელთა ფორ-
მაწარმოებისა და მიმოქცევის საკითხები, მით უფრო ძნელი იყო მათივე
გადაწყვეტა ატრიბუტულ მსაზღვრელებთან დაკავშირებით. სესხების
პროცესში ზედსართავი სახელი იმგვარად უნდა შეცვლილიყო, რომ
აუსლაუტში ბუნებრივად მორგებოდა ნაზალური ხმოვანი; გარდა ამისა,
მიღებული ფორმა ახლადდართულ ნაზალურხმოვნიანად სავალდებუ-
ლო ორმარცვლიანობის ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო; ცხადია, უნდა
დაგვეშალა წოვათუშურისათვის უჩვეულო ბგერათმომდევრობანიც.
მხოლოდ ამის შემდეგ იყო ზედსართავი სახელი მსესხებელი ენის მიერ
გათავისებული და ესწებოდა გზა მისი ლექსიკური ფონდისაკენ. ასეთი
დასკვნების საფუძველს გვაძლევს, ერთი მხრივ, სისტემებრივი შე-
კრულ-შემოზღუდულობა თუშური ენის ზედსართავი სახელებისა,
მეორე მხრივ კი - ნასესხობათა პროცენტული სიმცირე და იმ მორფო-
ლოგიურ გარდაქმნათა სირთულე, რასაც ისინი დაექვემდებარნენ.
განვიხილავთ ატრიბუტულ ზედსართავთა ადრინდელ ნასესხობათაგან

დღემდე უცვლელად შემორჩენილ რამდენიმე მაგალითს. გვაქვს:

ქართ.: კუზიანი – წოვათუმი: კუძნე
დარდიანი – დარდვექ
ეჭვიანი – იჭვექ
ნაკლიანი – ნაკლვექ
კუდიანი – კუძდექ
ცოფიანი – ცუძფექ
მადლიანი – მადლოქ

აღნიშნული გათავისებული ნასესხები ერთეულები უკვე მარტივად ჩაერთვნენ წოვათუშიური ენის ზედსართავ სახელთა მიმოქცევაში: დარდთეს–**ჩო** მახასიათებელი და გადავიდნენ ორფუძიანობაზე. მათი ბრუნების პარადიგმები ზედმიწევნით დაემთხვა მსესხებული ენის ზედსართავ სახელთა პარადიგმებს. მაგ.:

(კუზიანი ძმა, ეჭვიანი ადამიანი)

სახ. კუძნ-ქ ვაშ-რ	იჭვე-ქ ადმექ
ერგ. კუძნ-ე-ჩრ ვაშა-ს	იჭვე-ე-ჩრ ადმენ-ე-ს
ნათ. კუძნ-ე-ჩრ ვაშა-ფ	იჭვე-ე-ჩრ ადმენ-ექ
მიც. კუძნ-ე-ჩრ ვაშ-მ-ნ	იჭვე-ე-ჩრ ადმენ-ე-ნ
ინსტრ. კუძნ-ე-ჩრ ვაშა-მ-ვ	იჭვე-ე-ჩრ ადმენ-ე-ვ
გარდ. კუძნ-ე-ჩრ ვაშა-მ-ღ	იჭვე-ე-ჩრ ადმენ-ე-ღ
წოდ. კუძნ-ქ ვაშ-რ	იჭვე-ქ ადმექ

ასეთი ბოლომდე გათუშირებული ნასესხები ზედსართავები დღეს იშვიათადღა შეგვხვდება, რადგან აქაც ჩვეული აქტიურობით მოქმედებს იდეალური ბილინგვიზმისათვის ნიშანდობლივი ტენდენცია აღრინდელ ნასესხობათა „გადასწორებისა“, შლის წარსულის „შეცდომებს“ და ცვლის მათ ახალი, უცვლელად დატოვებული თორმებით.

საყოველთაო კოლექტიური ორენოვნებისა და ზებილინგვიზმის პერიოდში ქართულთან კონტაქტის შემდგომ შემჭიდროებას დიდი რაოდენობის „თეთრი ლაქები“ მოჰყვა, რომელთა შევსებაც ორენოვნების განვითარების დაჩქარებასთან დაკავშირებით დაჩქარებულად განდასაჭრო. ამ მიზნით წოვათუშირმა სცადა გარკვეულწილად სიტყვათქმნადობის საკუთარი შესაძლებლობები გამოეყენებინა, მაგრამ მოძალებულმა უცხოენობრივმა სინამდვილემ შეასუსტა მისი ლექსიკური ენერჯია; პარალელურად თავი იჩინა უცხო სიტყვათა პრესტიჟის

ცნობილმა ფაქტორმაც, რომელიც „თეთრი ლაქებისაგან“ განსხვავებით სესხებას ხელს უწყობს მაშინაც კი, როცა მსესხებელ ენას ნასესხები ლექსიკური ერთეულის ბადალი საკუთარი მოეპოვება. ამ დროს თვით ყველაზე მარტივი სიტყვებიც კი, რომლებიც აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე თვისებას და იდენტურნი იყვნენ დამატებითი ელფერითაც, განსხვავებულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეკუთვნოდნენ ენებს, რომელთაც ერთი ნაკლებ პრესტიჟული იყო, ვიდრე მეორე. ნიშანდობლივია, რომ ორენოვნების ამ საფეხურზე ზედსართავის დიაობამ 14%-დან 71%-მდე აიწია.

ასეთი დაჩქარებული სესხების დროს წოვათუშურს გაუჭირდა ნასესხები ზედსართავების საკუთარ თარგზე გაწყობა, რის გამოც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და უარი ეთქვა აუსლაუტის მაზედსართავებელ ხმოვანზე. მოიხსნა-ჩო სუფიქსის დართვის მოთხოვნა, დაირღვა ორმარცვლიანობის სავალდებულო პრინციპიც. ამ გზით წოვათუშურ ენაში ჩამოყალიბდა ზედსართავ სახელთა ბრუნების ახალი მოდელი მხოლოდ ნასესხები ზედსართავებისთვის, საკუთარი ზედსართავების ბრუნების სისტემას კი ცვლილება საერთოდ არ შეხებია. გვაქვს, მაგ.:

- სახ. ბოროტ მეზობელ
- ერგ. ბოროტ მეზობლ-ეს
- ნათ. ბოროტ მეზობლ-ქ
- მიც. ბოროტ მეზობლ-ენ
- ინსტრ. ბოროტ მეზობლ-ევ
- გარდ. ბოროტ მეზობლ-ელ

აღნიშნულ ცვლილებას მოჰყვა აუარებელი ზედსართავი სახელი, რომლებიც უახლეს ნასესხობებს წარმოადგენენ და ლექსიკური ჰარა-ლეული ხმების მოკრძალებულ როლში გვევლინებიან. ისინი უკვე „თეთრი ლაქებს“ კი აღარ ფარავენ, როგორც ადრინდელი ნასესხობები, არამედ წოვათუშური ენის საკუთარ ზედსართავ სახელებს უდგანან გვერდით და ადვილს ეცილებიან. ამგვარ პარალელიზმითა რაოდენობა უკვე ქადაგიძეების ცნობილ ლექსიკონში 450-ს აღწევს.

ეს დიდმნიშვნელოვანი მორფონოლოგიური ინოვაციაა, რომელიც განსაკუთრებულ როლს შეასრულებს თუშური ენის შემდგომი სახეცვალების საქმეში. უკვე დაიწყო ამ ახალი თვალსაწიერიდან ძვე-

ლი ნასესხობათა გადასინჯვა: მათ ტრადიციით განმტკიცებულ -**ჩო** მახასიათებლიან პარადიგმებს გვერდში ამოუდგა ახალი, უამსუფიქსო ფორმები. ამგვარად, ხშირ შემთხვევაში სახეზეა ერთი და იმავე ნასესხები ზედსართავის ორგვარი პარადიგმა, რომლებსაც ჩვეულებრივ ტრადიციულად „ძველი“ და „ახალი“ შეიძლება ვუწოდოთ. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ასეთ პარალელურ პარადიგმებს წყვილებისა „მაცდური ადამიანი“ და „ლამაზი ბავშვი“.

ა) ძველი ბრუნება:

სახ. ლამზურ ბადერ

ერგ. ლამზურ-ჩრ ბადრ-ე-ს

ნათ. ლამზურ-ჩრ ბადრ-ქ

მიც. ლამზურ-ჩრ ბადრ-ე-ნ

ინსტრ. ლამზურ-ჩრ ბადრ-ე-ვ

გარდ. ლამზურ-ჩრ ბადრ-ე-ლ

წოდ. ლამზურ ბადერ

ბ) ახალი ბრუნება:

სახ. ლამზურ ბადერ

ერგ. ლამზურ ბადერ-ე-ს

ნათ. ლამზურ ბადერ-ქ

მიც. ლამზურ ბადერ-ე-ნ

ინსტრ. ლამზურ ბადერ-ე-ვ

გარდ. ლამზურ ბადერ-ე-ლ

წოდ. ლამზურ ბადერ

ერთი და იმავე ზედსართავის განსხვავებულ პარადიგმათა ზემოთ აღნიშნული პარალელური გამოყენება, ანუ ახალ ფორმათა მისადაგება ტრადიციული ფორმებისათვის ამ უკანასკნელთა დაკარგვის გზაზე დადგომას ნიშნავს სწორედ ისე, როგორც ეს ხდება ლექსიკური პარალელიზმების შემთხვევაში. შედეგად, რა თქმა უნდა, მთელს ნასესხობებში ერთნაირი, გამარტივებული პარადიგმები გაბატონდება, რომლებიც ამ საფეხურზე უკვე წოვათუშურის საკუთარ ზედსართავებში ფუნქციონირებდად ნაზალურხმოვნისა და-**ჩო** მახასიათებლიან ტრადიციულ პარადიგმებს დაუბრისწინებდნენ. ძნელია ითქვას, როდის გამარტივდება ბოლომდე ნასესხები ზედსართავთა ბრუნების პარადიგმები, ან

როდის გაუჩნდება მსგავსი პარალელიზმები საკუთრივ წოვათუშური ზედსართავებს, სად დევს ამ შორს გამიზნულ ინოვაციათა დასასრული.

წოვათუშური ენის ზედსართავ სახელებთან დადასტურებული ვითარება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, თუ მორფოლოგიურ გარდაქმნათა სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე შორს წასულ პროცესებთან, აქ ეს ტენდენცია ახალი დაწყებულია. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ინტერფერენტულ პროცესთა განვითარების სხვადასხვა საფეხურს და დავადგინოთ ინოვაციათა დამკვიდრების ზოგადი კანონზომიერებანი.

თუშური ენის ზედსართავი სახელის მიკროსისტემაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეალური ბილინგვიზმის დროს დედაენასთან გატოლებული, ან უფრო აღმატებული ცოდნა წყარო ენისა მეტ-ნაკლები წარმატებით ხსნის ნასესხობათა მიმართ მსესხებელი ენის შინაგანი წინააღმდეგობის ყველა ფაქტორს. დიდი დაბრკოლებით, მაგრამ, როგორც ყველა სხვა რგოლი ენობრივი იერარქიისა, ინტერფერენტულ ცვლილებას ექვემდებარება სახელის მორფოლოგიაც.

ანალოგიურ მოვლენათა განვითარების ლოგიკა გვაგვარაულებინებს, რომ ორენოვნების მომდევნო პერიოდში ანუ ზებილინგვიზმის განხანგრძლივების შემთხვევაში ბრუნების ქართულისებური სისტემა უნდა გაიზარდოს თვითონ წოვათუშური ენის საკუთარმა ზედსართავმა სახელებმაც, მაგრამ იმდენად აქტიურად ვითარდება წოვათუში მოსახლეობის გადართვა ქართულ ენაზე, რომ მოსალოდნელი პროცესი, ალბათ, განუხორციელებელი დარჩება.

თავი მეორე

ინტერფერენტული პროცესები ზმნის მორფოლოგიაში

შესავალი

ზმნა თავისი შინაარსობრივი მომცველობით ენის სული და გულია, ბალავერი, საყრდენი დედაბოძი იმ გრანდიოზული ნაგებობისა, რომელსაც მეტყველება ჰქვია. საკუთარი არსებობის მანძილზე არაფერი შეუქმნია კაცობრიობას ენაზე უფრო საოცარი, ხოლო თვით ენაში აზრის გამომსახველობითი ძალით ზმნასავით გამოჩნეული. „ზმნა, – თვლის XXს. დიდი ფრანგი მოაზროვნე, მიშელ ფუკო, – განსაზღვრავს წინა-

დადების პირველ და ყველაზე ფუნდამენტურ ინვარიანტს (უცვლელ სიდიდეს); წინადადებაში ზმნის ორივე მხარეს მოცემულია ელემენტები (მეტყველების ნაწილები); ისინი „გულგრილნი“ არიან და განისაზღვრებიან ზმნით; ისინი არსებობენ როგორც განმსჯელის ირგვლივ – განსაჯელნი და განსჯილნი; ზმნის პირისპირ სახელები ჭიანჭველებივით ფუთფუთებენ ენაში და თანაც უსასრულოდ“ (ფუკო, 2004–138.).

ზმნის აგებულებაზე, მის გრამატიკულ სიმდიდრეზე ბევრად არის დამოკიდებული ენის მოქნილობა, მისი სიღრმე და განი. როცა ამ თვალსაზრისით წოვათუშური ენის ზმნას ვეცნობით, განცვიფრება გეიპყრობს გრამატიკული კატეგორიებით მისი სისავსისა, დახვეწილობისა და სისტემურობის წინაშე. ალბათ ამან ათქმევინა ნახურ ენათა სახელოვან მკვლევარს, პეტრე უსლარს, რომ „წოვათუშური ენა არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატიფ ელფერთა გამოხატვის შანსს იძლევიან“ (უსლარი, 1887 – 27).

წოვათუშური ენის ზმნას გააჩნია მწყობრი და გამოკვეთილი სისტემები გრამატიკული კლასისა, დროისა, კილოსი, ასპექტისა, ჯერობისა, აქტისა, კაუნატივისა, განსაზღვრულობისა და აქვს უღლების რათინირებული სისტემა. საოცარი თანამიმდევრულობა ვლინდება თვითონ ცალკეული გრამატიკული კატეგორიების წიაღში. თუ გავიხსენებთ ზოგადენათმეცნიერულ დებულებას იმის შესახებ, რომ განსაკუთრებულ გამომსახველობით ენერგიას ენა მხოლოდ დიდი საზოგადოებრივი დატვირთვისას იძენს, ძნელი ამოსახსნელი რჩება, ნახევარი სოფლის მეტყველებას შემორჩენილი წოვათუშური სად და როდის უნდა ყოფილიყო ფუნქციურად ასე დატვირთული. ისტორიის თვალსაწიერზე ამის შესახებ არაფერი ისმის, მოვლენის სათავე საუკუნეთა სიღრმეშია საძიებელი.

დღეს, იმ სავარაუდო საზოგადოებრივი ზეობიდან, ალბათ, მრავალი საუკუნის შემდეგ, როცა უდამწერლობო წოვათუშური მრავალსაუკუნოვანი კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების მქონე მონოლითური ქართულის პირისპირ აღმოჩნდა, დეფიციტი თითქმის მხოლოდ ლექსის დონეზე დაფიქსირდა. სხვა მხრივ, გრამატიკულ კატეგორიათა რაოდენობის მიხედვით ეს ენები, როგორც ერთი და იმავე გენეალოგიური ოჯახის წევრები, თითქმის თანაბრად შეეზომებიან ერთმანეთს, გარკვეული მეტობით თითოეულის მხარეს. ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა რაოდენობის მიხედვით კონტაქტში მყოფ

ამ ორ ენას შორის მსგავსებასთან ერთად საგრძნობი განსხვავებაც გვაქვს: ქართულთან შეპირისპირებისას წოვათუშურს აკლია ზმნის პირის რომლობის კატეგორია, ხოლო მეტი აქვს, ანუ ქართულს აკლია იმავე პირის გრამატიკული კლასი. ეს სხვაობა დღეს აშკარად გამოარჩევს წოვათუშურს ქართულისაგან, თუმცა, როგორც ივარაუდება, საქმე გვაქვს ერთი და იმავე ამოსავალი სისტემის შორის წასული დივერგენ-ტული განვითარების ორ სხვადასხვა საფეხურთან (ჯაფახიშვილი – 1937, ჩიქობავა – 1948.). ორენოვნების განვლილ საფეხურზე კონტაქტში მყოფ ამ ორ მონათესავე ენას შორის ერთადერთ თუნდამენტურ სხვაობას გვარის კატეგორია ქმნიდა, როგორც ქართულის მხარეს არსებული ერთადერთი მეტობა, თუმცა დღეისათვის აქტიურმა ზედილინგვიზმმა ეს სხვაობა უკვე გაასწორა.

სხვაობა ვლინდება თვითონ ცალკეული კატეგორიების შიგნით გამოხატულებათა პლანის ასპექტშიც. ამ სხვადასხვაობას იდეალური ბილინგვიზმის პირობებში განსაკუთრებული თანამიმდევრულობით ანიველირებენ ინტერფერენტული პროცესები, რომლებიც დიდი ხანია გაცდნენ ლექსიკის სფეროს და პარალელურად აწესრიგებენ ქართულთან წოვათუშურის მორფოლოგიურ-სინტაქსური გაერთმნისშენელიანების საქმეს.

კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით, ჩვენ მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი ქართული და წოვათუშური ენების ზმნათა მორფოლოგიაში არსებული მსგავსება-განსხვავების ყოველი რგოლი და კვლევის შედეგები ცალკე მონოგრაფიად გამოქვეყნებული (მიქელაძე, 2013). ამჯერად მზა მასალაზე დაყრდნობით ინტერფერენტულის თვალსაზრისით განვიხილავთ კონტაქტში მყოფი ამ ორი ენის ზმნათა მორფოლოგიის თითოეულ განმასხვავებელ მონაკვეთს.

§1. ზმნის პირის ბამონატვის

ორმაგი ნომინატიურ-ქართული მოდელი

მრავალწლიანი აქტიური ზეგავლენის შედეგად თუშურმა ენამ ქართულიდან ისესხა პირის გამოხატვის ახალი, საკუთარისაგან განსხვავებული სისტემა. ზმნაში მოქმედი თუ სამოქმედო პირების გამოხატვის საკუთრივ წოვათუშური სისტემა კლასიფიცირდება დაფუძნებული, რის მიხედვითაც ვარკვევთ პირის სოციალურ ღირებულებას, ხოლო

იგივე მორფოლოგიური კატეგორია ქართულში იმავე პირებს რომლობის მიხედვით ახასიათებს; პირის რომლობისა და კლასის გრამატიკული კატეგორიები ერთმანეთის ეკვივალენტურია და ფართე გაგებით ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ.

როცა წოვათუშური ენის ვითარებას ქართულის პონიციებიდან ვაფასებთ, ამ ენის ყველაზე დიდ თავისებურებად გრამატიკული კლასის კატეგორია წარმოგვიდგება სწორედ ისევე, როგორც წოვათუშისთვის არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქართული ენის ყველაზე დიდი თავისებურება პირის გრამატიკული კატეგორია უნდა ყოფილიყო. ცალმხრივ მიმართული ინტერფერენტული პროცესების შეგავლენით ამ ორი ენის ორ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას შორის სადემარკაციო ხაზი გაწყდა და წოვათუშური ენის ოდენკლასოვანი უღლების ადგილას პიროვან-კლასოვანი უღლება ჩამოყალიბდა. ორენოვანი თუშის ენობრივი ცნობიერებისათვის ორგანული გახდა კლასიც და პირიც, ქართული ენობრივი ფსიქოლოგიისთვის კი გრამატიკული კლასი კვლავ უცხო და შეუღწევადია.

რა მიმართებაშია გრამატიკული კლასის კატეგორია პირის კატეგორიასთან?

თუ საკითხს ამ კატეგორიათა მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვით განვსჯით, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია არც მეტობა წოვათუშურის მხარეს და არც ნაკლებობა ქართული-სათვის, რადგან ამ მხრივ იგი სავსებით ტოლფასია პირის კატეგორიისა, ანუ იგი ზუსტად იმავე დანიშნულებისაა, როგორი ფუნქციაც გააჩნია პირის კატეგორიას ქართულში. ეს ორივე – პირიც და კლასიც – მოქმედი თუ სამოქმედო საგნის სახელის ზმნასთან დაკავშირების გრამატიკული საშუალებებია, ანუ გრამატიკული კატეგორიებია, რომლებშიც ერთი და იგივე ლოგიკური ცნებები სუბიექტისა და ობიექტისა სხვადასხვა კუთხითაა დანახული და არეკლილი. კლასის ნიშნაც და პირის ნიშნაც ერთი საერთო ფუნქცია აქვთ – გრამატიკული გამონატყულება მისცენ ზოგად ლოგიკურ ცნებებს სუბიექტისა და ობიექტისა.

გრამატიკული კლასი სხვა არაფერია, თუ არა საგნის სოციალური ღირებულების ფორმალური გამონატყვა, ისევე როგორც პირი საგნის რომლობის ასეთივე ფორმალური გამონატყულება. მსგავსება ამ ორი კატეგორიისა ამოსავალშივე დევს: როგორც რომლობის, ისე სოციალური ღირებულების თვალსაზრისით მარკირებულია ერთი და იგივე პირები

(სუბიექტური და ობიექტური). ქართულში ზმნის ფორმით ვარკვევთ პირის რომლობას და არათუ ვიცით სოციალური ღირებულების შესახებ, წოვათუშურში პირიქით: ვიცით პირის კლასი და არ ვიცით რომლობა. ამ ენებს შორის დიდია დღეს სხვაობა იმ მხრივაც, რომ ქართულს რომლობის მიხედვით პირთა სამწევროვანი კლასიფიკაცია აქვს, წოვათუშური კი საგნებს სოციალური ღირებულების მიხედვით რვა კლასში ანაწილებს.

გრამატიკული კლასი სახელს ეკუთვნის, რადგან სახელის მიხედვით ხდება მისი განსაზღვრა, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ის ზმნასთან მიმართებით უნდა განვიხილოთ, რადგან სწორედ ზმნაში ხდება მისი რეალიზაცია საგანგებო ნიშნებით.

აქტანტების ზმნასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სუბიექტისა თუ პირდაპირი ობიექტის რიცხვი წოვათუშური ენის ზმნაში ისევე კლასნიშნით გამოიხატება. სწორედ ცნობილი (ვ, მ, ბ, დ) ოთხი კლასნიშნის სხვადასხვაგვარი შეფარდება იძლევა თუშური ენის ზმნაში მოქმედი თუ სამოქმედი პირის მრავლობითზე წარმოდგენას. მხოლობით-მრავლობითის ამ თანაფარდობის რვა სახეა თანამედროვე წოვათუშურში რეალიზებული, რის მიხედვითაც სახელთა რვა კლასი გამოიყოფა.

როგორც აღვნიშნეთ, მხოლობითი რიცხვის ფორმათა მიხედვით წოვათუშურში მხოლოდ ოთხი კლასი გვაქვს სახელებისა. სიმარტივისათვის სწორედ მხოლობითი რიცხვის ვითარების მიხედვით ვიმსჯელებთ. საინტერესოა ამ თვალსაზრისით პროფ. კ. ჭრელაშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ „გრამატიკული კლასის კატეგორიაზე მსჯელობისას, რა თვალსაზრისითაც არ უნდა გვაინტერესებდეს ის, ამოსავალი უნდა იყოს მხოლობითის ჩვენება, რადგანაც სწორედ ამ ასპექტშია ჩადებული მთელი საიდუმლოება ამ კატეგორიის სპეციფიკისა“ (ჭრელაშვილი, 200 – 208). ასეთი არჩევანი გამართლებულია იმითაც, რომ მრავლობითში იმავე მხოლობითის აფექსების რეინტერპრეტაცია ხდება რიცხვის გამოსახატავად.

ამრიგად, ოდენ მხოლობითის მიხედვით, თუშურში გვაქვს სახელთა ოთხი გრამატიკული კლასი:

1. მამაკაცის კლასი თავსართი „ვ“-თი;
2. ქალისა და ზოგიერთი ნივთის კლასის სახელები თავსართი „მ“-თი;
3. ნივთის კლასის სახელები თავსართი „ბ“-თი;
4. ნივთის კლასის სახელები თავსართი „დ“-თი.

კლასისა და პირის კატეგორიების ფუნქციითა შესადარებლად ავიღოთ ერთი და იგივე ზმნა, მაგალითად, ქართული „მოღის“ – თუ-შური **ვადრ**. ქართულში ამ ერთი ფორმით ვიგებთ, რომ მოქმედებას ასრულებს მესამე პირი, წოვათუშურში კი ირკვევა, რომ მოქმედების შემსრულებელი მამაკაცია. გრამატიკული თვალსაზრისით ორსავე შემთხვევაში შედეგი ერთია: დაფიქსირდა სახელისა და ზმნის სინტაქსური კავშირი – სახეზეა ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შემდგარი სინტაგმა სახელის აღმნიშვნელი ფორმანტებით ზმნაში. კლასისა და პირის ნიშანთა ფუნქციური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვაგვარ კონსტატაციასთან.

შევადაროთ:

ა) ქართულში:

მო-**ვ**-დი-**ვ**-არ (მე) – მოღის პირველი პირი

მო-დი-**ნ**-არ (შენ) – მოღის მეორე პირი

მო-დი-**ს** (ის) – მოღის მესამე პირი

ბ) წოვათუშურში:

ვ-აღრ (სტაკ – კაცი) – მოღის მამაკაცის კლასის საგანი;

მ-აღრ (ფსტუიხო – ქალი) – მოღის ქალის კლასის საგანი;

ბ-აღრ (ღონ – ცხენი) – მოღის ნივთის „ბ“ კლასის საგანი;

ღ-აღრ (ასე – ხბო) – მოღის ნივთის „ღ“ კლასის საგანი.

ქართულ მაგალითებში გამოყოფილი პირის ნიშნები წოვათუშურ მაგალითებში კლასნიშნებითაა წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული კლასკატეგორიის მორფოლოგიური მექანიზმი ისეთივე სისტემურია და მწყობრი, როგორც ეს გვაქვს გრამატიკული პირის კატეგორიის შემთხვევაში, ამიტომ მისი გამოყენებაც რაიმე სიძნელეს არ უკავშირდება; დღეისათვის სრულყოფიერ ქმნის კლასთა სიმრავლე და მათ შორის სახელთა განაწილების პრინციპების თითქმის სრული გაბუნდოვნება. თუ რომლობის მიხედვით ქართულში მხოლოდ სამი პირი განიხილება, დღეს წოვათუშურში მხოლობითის მიხედვით ოთხი, ხოლო მხოლობით-მრავლობითის შეპირისპირებით კი რვა კლასი გამოიყოფა.

პირთა რომლობის მიხედვით დაჯგუფების პრინციპი უაღრესად მარტივია და ნათელი, სახელთა კლასებად დაჯგუფებისას კი მხოლოდ ორი კლასის გამოყოფის პრინციპიღა ჩანს – ქალის კლასისა და

მამაკაცის კლასისა. დანარჩენი ექვსი კლასისათვის დღეს ფუნქციურად რაიმე მყარი კრიტერიუმი არ იძებნება და გარჩევა ტრადიციასდა ემყარება. გრამატიკული კლასის ნიშნით შეუძლებელია ზმნაში ნებისმიერი სახელის აღნიშვნა, ეს პროცესი მკაცრად ვიზირებულია და მას სახელის სინტაქსური სტატუსი განაპირობებს: გარდაუვალ ზმნაში სუბიექტის კლასი აღინიშნება, გარდამავალ ზმნაში კი მხოლოდ პირდაპირი ობიექტის კლასი. როგორც ვხედავთ, წოვათუშური ენის სინტაქსური წყობა მოცემულ საკითხში სრულ შესატყვისობაშია ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენათა კლასიკურ ნორმებთან.

გრამატიკული კლასის ნიშანს ზმნაში ორი ფუნქცია მოეპოვება: გამონატავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ან გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს. მარტივი აგებულების ზმნას იგი თავში დაერთვის, რთული აგებულების ზმნები კი შუაშია მოქცეული. დავასახელებთ სათანადო მაგალითებს:

ა) კლასნიშანი გამონატავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს:

ვოჭ ვ-ათხე – „ბიჭი ტირის“, **მოჭ მ-ათხე** – „გოგო ტირის“, **დონ ბ-ალო** – „ცხენი მოდის“, **სტაკ ვ-ატჩ** – „კაცი გაიქცა“, **წა დონჩ** – „სახლი დაინგრა“, **მეთ ბ-ალო** – „ძროხა მოკვდა“, **ხე ბ-ოჟე** – „ხე წაიქცა“, **ასე დ-იშე** – „ხბო წვეს“, **დოს დ-ოჟე** – „შემა იწვის“, **გაკვეთილ მ-ებლლა** – „გაკვეთილი იწყება“.

ბ) კლასნიშანი გამონატავს გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს:

ბადერ დ-ანდლი – „ბავშვი გაზარდა“, **ჩინდურ დ-ონდლი** – „წინდა გაცვიოთ“, **ბე ბ-ონბი** – „ბუდე დაანგრა“, **ჟანუ მხუქბა-დ-ი** – „წიგნები აჩუქა“, **ხი მანკ-დ-ი** – „წყალი გადაღვარა“, **მატნუ დ-ანსტ** – „კვანძები გახსნა“, **ბენკ ბანტ** – „ბრალი დასდო“, **ლობი მ-ეფტრ** – „ლობეებს წინავს“, **სამირკველ მ-ებლო** – „სამირკველს ღებს“.

განვითარების ადრინდელ საფეხურზე თუ შურში ზმნის ოდენკლასოვანი უღლება გექონდა, როცა ზმნაში მოქმედი თუ სამოქმედო საგნის მხოლოდ კლასი აღინიშნებოდა. ცხადია, ამ დროს პირის რომლობა, როგორც გრამატიკული კატეგორია, არა გექონდა, მაგრამ როგორც სემანოლოგიური კატეგორია, უგულვებელყოფილი არ იყო. მის აღსანიშნავად სათანადო ნაცვალსახელები დაერთვოდა ზმნას. ქართულ ენას ამა თუ იმ ზმნის მხოლოდითი რიცხვის თითოეული პირის ერთ ფორმას თუ შურში ოთხი შესატყვისი გააჩნდა.

შდრ.:

ა) ქართული:

I პირი – მე ვ-ყვერი

II პირი – შენ ჰ-ყვერი

III პირი – ის ყვერი-ს

ბ) წოვათუშური:

I პირი – ას ვ-ულე – მე (კაცი) ვყვერი

ას დ-ულე – მე (ქალი) ვყვერი

ას ბ-ულე – მე (ბ კლასი) ვყვერი

ას დ-ულე – მე (დ კლასი) ვყვერი

II პირი – აჰ ვ-ულე – შენ (კაცი) ჰყვერი

აჰ დ-ულე – შენ (ქალი) ჰყვერი

აჰ ბ-ულე – შენ (ბ კლასი) ჰყვერი

აჰ დ-ულე – შენ (დ კლასი) ჰყვერი

III პირი – ო ვ-ულე – ის (კაცი) ყვერის

ო დ-ულე – ის (ქალი) ყვერის

ო ბ-ულე – ის (ბ კლასი) ყვერის

ო დ-ულე – ის (დ კლასი) ყვერის

შესატყვის ფორმათა ანალოგიური მეტობა გვექნება წოვათუ-
შურის მხარეს მრავლობით რიცხვშიც. თითოეული ამ ფორმათაგა-
ნი შინაარსობრივად, ცხადია, უფრო ტევადია ქართულის შესაბამის
ფორმასთან შედარებით, სიმარტივის თვალსაზრისით კი უპირატესობა
ეკუთვნის ქართულს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გრამატიკული კლასის ნიშანი წო-
ვათუშური ენის ზმნაში სინტაქსური თვალსაზრისით იმავე დანიშნუ-
ლებისაა, რა ფუნქციასაც ასრულებს პირის ნიშანი ქართულ ზმნაში.
იგი ისეთივე წარმატებით გამოხატავს ერგატიული კონსტრუქციის
მექანიზმს, როგორც ამას სათანადო გარემოებაში აკეთებს პირის ნი-
შანი. მიუხედავად ამისა, იდეალური ბილინგვიზმის პირობებში, როცა
ენის განვითარების ნორმებს განსაზღვრავს წყარო ენასთან სისტემური
შეპირისპირების ფაქტორი, კლასის ნიშნებსა და პირის ნიშნებს შორის
არსებული სემანტიკური სხვაობა ინტერფერენციის განმსაზღვრელ

ძალად იქცა. წოვათუშურში უკვე ჩამოყალიბდა ზმნის პირის კატეგორია და ახლა ინტენსიურად მიმდინარეობს პირის კატეგორიის განმტკიცების პროცესი. მოვლენა საინტერესოა, ერთის მხრივ, როგორც ახალ ენობრივ კატეგორიათა ჩასახვა-განვითარების ცოცხალი შექმნვევა, მეორეს მხრივ კი, როგორც ინტერფერენტული გავლენის კანონზომიერებათა კვლევის თვალსაჩინო ობიექტი.

ახალი გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისთვის საჭირო დროის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წოვათუშურის საუკუნენახევარის წინათ ა. შიფნერის გრამატიკას დართულ ტექსტებში დაფიქსირებული მდგომარეობა პირის რომლობის გამოხატვის თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდება დღევანდელი, იდეალური ბილინგვიზმის პერიოდის ვითარებისაგან (შიფნერი, 1856).

დღეს წოვათუშურ ენაში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს ზმნის უღლებების 2 სისტემა:

- I. ოდენკლასოვანი;
- II. პიროვან-კლასოვანი.

ჩამოთვლილთაგან პირველი უკვე განვლილი საფეხურია ენისა და მას დღეს მხოლოდ ტრადიციის ფაქტორი იცავს, II საფეხური კი ახლა მკვიდრდება და მხარს უჭერს პრესტიჟული ქართული ენის სულ უფრო მზარდი ზეგავლენა. ძველი და ახალი ფორმების მსგავსი პარალელიზმში წოვათუშური ენის მორფოლოგიის მრავალ უბანზე დაფიქსირდა, როგორც გრამატიკულ სისტემათა გარდაქმნის ობიექტური კანონზომიერება. **პარალელურად მოქმედი ძველი სისტემა ასეთ დროს თავისებური მეგზურის როლს ასრულებს და ახალბედა ფორმებს საბოლოო დამკვიდრებისაკენ უკაფავს გზას.**

წოვათუშური ზმნის ახლადჩამოყალიბებული გრამატიკული პირის რომლობის კატეგორიასთან დაკავშირებით პასუხია გასაცემი კითხვებზე:

- 1. რას წარმოადგენს მასალობრივად პირის ნიშნები?
- 2. რომელ პირებს გამოხატავენ ისინი?
- 3. რა მიმართებაში არიან პირის ნიშნები კლასის ნიშნებთან?
- 4. რამდენი პირი გამოხატება ზმნაში ერთდროულად?

პირის ნიშნებზე წოვათუშურში სათანადო პირის ნაცვალსახელები გაფორმდა, ან უფრო სწორად, პირის ნიშნები მასალობრივად პირის ნაც-

ვალსახელებს დაუკავშირდა. ეს მოვლენა ენობრივი უნივერსალია ჩანს და მას ადგილი აქვს სხვა ენებშიც. ასე განვითარდა იგივე პროცესი, მაგალითად, უღურში (ფანჩიძე, 1974 – 156).

აღნიშნული პროცესი, როგორ ჩანს, იმით დაიწყო, რომ მკაცრად განისაზღვრა ზმნის ფორმასთან შეწყობილი პირის ნაცვალსახელების ადგილი. თუ ჩვეულებრივ მათი პოზიცია თავისუფალი იყო და შეიძლებოდა სჭეროდათ ადგილი ზმნის წინაც და მომდევნოდაც, ახლა უკვე პირის გამოსახატავად მომდევნო პოზიცია გახდა სავალდებულო. მყარ პოზიციაში მოქცეულმა პირის ნაცვალსახელებმა დროთა სვლაში დაკარგეს დამოუკიდებლობა, დაკარგეს საკუთარი მახვილიც და ზმნის ენკლიტიკად გადაიქცნენ. საკუთარი მახვილის დაკარგვას და ზმნის ნაწილად ქცევას რივი ფონეტიკური ცვლილება მოჰყვა, რამაც გამოიწვია მათი გარეგნული დაშორება საყრდენი ფორმებისაგან და დამოუკიდებელი სემანტიკური შინაარსისაგან დაცლა. ამით დამთავრდა ნაცვალსახელთა მორფემად ტრანსფორმაციის საინტერესო პროცესი.

ამგვარი გარდაქმნისას ნაცვალსახელები იმ წევრის ბრუნვის ფორმას ინარჩუნებენ, რომლის გამოხატვაც ეკისრებათ, კერძოდ:

ა) პასიური გარდაუვალი ზმნის სუბიექტის, ან გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის აღნიშვნისას ნაცვალსახელებს სახელობითი ბრუნვის ფორმა აქვთ;

ბ) აქტიური გარდაუვალი ზმნისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტების გადმოცემისას კი ერგატიული ბრუნვის ფორმას ინარჩუნებენ.

ამ მიზეზით ზმნასთან პირიანობის გამოსახატავად გამოყენებული ნაცვალსახელები ორ სხვადასხვა ბრუნვაში – სახელობითსა და ერგატიეში – აღმოჩნდა, რამაც დასაბამი მისცა პირის ნიშანთა შესაბამისი ორი რიგის წარმოქმნას.

აღნიშნული ვხით მიღებული პირის ნიშანთა ორი რივი წოვათუშური ენისა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული ზმნის პირის ნიშანთა ორი რიგისაგან, სადაც სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები მკვეთრად არის გამოიჯნული ერთმანეთისაგან. თუშურის მხარეს მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ერთის მხრივ, გვაქვს აქტიური გარდაუვალი ზმნისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშნების რიგი, მეორეს მხრივ კი – პირდაპირი ობიექტისა და პასიური გარდაუვალი ზმნის სუბიექტური პირის ნიშნების რიგი. ასეთი თავისებური დატვირთვის გამო მათი ცალსახა კვალითი კაცია მარტო სუბიექტისა და მარტო

ობიექტის რიგებად ვერ ხერხდება: შემდგომი მსჯელობისას ჩვენ მათ სახელობითსა და ერგატივის რიგის ნიშნებად მოვიხსენიებთ.

პირის ნიშანთა ამ ორი რიგის ჩამოყალიბების პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ, ერთის მხრივ, გარდაუვალი ზმნის პასიური სუბიექტისა და, მეორე მხრივ, გარდამავალი ზმნის აქტიური სუბიექტის მაგალითებზე. მათგან პირველი სახელობითის რიგის ნიშნებს გვიჩვენებს, მეორე კი – ერგატივის რიგისას. სიმარტივისათვის მაგალითებს მხოლოდ ერთი, მამაკაცის კლასის ფორმით დავასახელებთ:

ა) პასიური გარდაუვალი ზმნა

მხ. რიცხვი

- I პ. ვაგლა სო (იზრდება მე, კაცი) → ვაგლა-სო (ვიზრდება კაცი)
- II პ. ვაგლა ჭო (იზრდება შენ, კაცი) → ვაგლა-ჭო (იზრდება კაცი)
- III პ. ვაგლა ო (იზრდება ის, კაცი) → ვაგლა-Ø (იზრდება კაცი)

მრ. რიცხვი

I პ. ბაგლა ვაჲ → ბაგლა-ვაჲ „ვიზრდებით მე და შენ, კაცები“ (ორობითი ინკლუზივი);

I პ. ბაგლა ვაჲ → ბაგლა-თ-ვაჲ „ვიზრდებით მე და თქვენ, კაცები“ (ინკლუზივი მრავლ.).

I პ. ბაგლა თხო → ბაგლა-თხო „ვიზრდებით მე და ის//ისინი, კაცები“ (ექსკლუზივი);

II პ. ბაგლა შუ → ბაგლაჲ-შუ „იზრდებით თქვენ, კაცები“

III პ. ბაგლა ობი → ბაგლა-Ø „იზრდებიან ისინი, კაცები“

ბ) გარდამავალი ზმნა

მხ. რ.

I პ. ბაყრ ას (ჭამს მე) → ბაყრ-ს (ეჭამ ნივთის კლასის საგანს)

II პ. ბაყრ აჰ (ჭამს შენ) → ბაყრ-ჰ (ეჭამ ნივთის კლასის საგანს)

III პ. ბაყრ ოჯუს (ჭამს ის) → ბაყრ (ეჭამს ნივთის კლასის საგანს)

მრ. რ.

I პ. ორობითი ინკლუზივი: ბაყრ ვაჲ (ჭამს ჩვენ) → ბაყრ-ვაჲ (ეჭამთ მე და შენ ნივთის კლასის საგანს)

1 ბ. მრავლობითი ინკლუზივი: **ბაყრ ვაჲ** (ჭამს ჩვენ) → **ბაყო-თ-ვაჲ** (ეჭამთ მე და თქვენ, ჩვენ და თქვენ ნივთის კლასის საგანს)

1 ბ. ექსკლუზივი: **ბაყრ ათხ** (ჭამს ჩვენ) → **ბაყო-თხ** (ეჭამთ მე და ის, მე და ისინი ნივთის კლასის საგანს)

II ბ. **ბაყრ აჲმჲ** (ჭამს თქვენ) → **ბაყო-ჲმჲ** (ჭამთ თქვენ ნივთის კლასის საგანს)

III ბ. **ბაყო ოჯარ** (ჭამს ისინი) → **ბაყო** (ჭამენ ისინი ნივთის კლასის საგანს)¹

პარადიგმებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

ა) ზმნაში აქტანტების პირისა და რიცხვის გამოხატვა სათანადო ნაცვალსახელთაგან მომდინარე ფორმანტებს უკავშირდება;

ბ) პირის ნიშნები სუფიქსებია;

გ) III პირის ფორმები ორივე რიგისა უნიშნოა მხოლოდითშიც და მრავლობითშიც;

დ) პირის ნიშნებად ქცეული ნაცვალსახელები პოზიციის შესაბამისად კარგავენ ანლაუტის ხმოვანს, ან უსუსტდებთ აუსლაუტის ხმოვანი;

ე) ფონეტიკური სახეცვალების გარეშე რჩება I პირის მრავლობითის ნაცვალსახელი ვაჲ;

ვ) თ ფორმანტის მეშვეობით ერთმანეთს უპირისპირდება ორგვარი ინკლუზივი: ორობითი და მრავლობითი;

ზ) ზმნის მწკრივის ფუძის აუსლაუტის ხმოვანი გრძელდება და კარგული ნაცვალსახელოური ხმოვნის გავლენით.

ამგვარი გარდაქმნების შედეგად მივიღეთ ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანთა ორი რიგი: სახელობითის რიგი და ერგატივის რიგი.

სახელობითის რიგის ნიშნები გამოხატავს პასიური გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს, ერგატივის რიგის ნიშნები კი გამოხატავს აქტიური გარდაუვალი ზმნისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტებს.

აღნიშნულ სიახლეს შედეგად მოჰყვა გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ორმაგი გამოხატვა, აღინიშნა მისი კლასიც და რომლობაც. გარდამავალ ზმნებში კი ფუნქციები განაწილდა: კლასნიშანი ისევე პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, პირის ნიშანი კი – სუბიექტს. ამ გზით

1. მაგალითებში დაფიქსირდა, რომ თანამედროვე თუ შორეულ ენას სამი სახის მრავლობითი აქვს I პირში: 1. ინკლუზიური ორობითი (მე და შენ); 2. ინკლუზიური მრავლობითი (მე და თქვენ); 3. ექსკლუზიური მრავლობითი (მე და ისინი).

გარდამავალი ზმნა გამოხატვის თვალსაზრისით ორპირიანი გახდა.

ქართულისაგან განსხვავებით, სადაც დრო-კილოთა მიხედვით შეიძლება მონაცვლეობდეს პირისა და რიცხვის ნიშნები, თუშურში ეს წყება ნორმაა ყველა დროისა და კილოსათვის. ზმნის მწკრივის ფუძეზე დართული პირის ნაცვალსახელების პირის ნიშნებად ქცევაში, როგორც აღვნიშნეთ, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ფონეტიკურმა ცვლილებებმა. ამ ცვლილებათა გამოისობით შესაძლებელი ხდება პირიან ფორმებს ხელახლა დაერთოს იგივე ნაცვალსახელები და მივიღოთ პირის ორმაგი გამოხატვა: გრამატიკული და სემანტიკური.

აკად. ი. დეშერიევი კატეგორიულად უარყოფს წოვათუშურში ზმნის შესამე პირის ფორმათა არსებობას. მკვლევარი მსჯელობს პირველი ორი პირის ფორმათა შესახებ, მესამეს კი გამოორცხავს, რაკი მას საერთოდ რაიმე სახის ფორმანტი არ დაერთვის. ამის შესახებ წერს: „В отличии от глагла в других веинахских языках, бацбийский глагол имеет личное спряжение по двум лицам – 1-му и 2-му л. ед. и мн. ч.“ (დეშერიევი, 1953 – 135; დეშერიევი, 1963 – 460).

ზმნის III პირის ფორმა რეალობაა თანამედროვე წოვათუშურ ენაში და დანარჩენი პირის ფორმებისაგან მას სწორედ უნიშნობა გამოარჩევს: იმის გამო, რომ I და II პირებს სათანადო ნიშნები აქვთ ზმნაში, III პირი უნიშნოდ ახერხებს რომლობის გამოხატვას; სათანადო ნაცვალსახელის გარეშე აღებული ეს ფორმა სწორედ III პირზე იძლევა წარმოდგენას და რაიმე სახის გაურკვევლობას მისი რომლობის თვალსაზრისით ადგილი არა აქვს. მიგვაჩნია, რომ მოცემულ უნიშნობაში ენობრივი ეკონომიის პრინციპი ვლინდება და ვმსჯელობთ წოვათუშური ზმნის რომლობის მიხედვით განსხვავებული სამი პირის ფორმების შესახებ.

დღეს წოვათუშურ ენაში უკვე თვალსაჩინო როლი უკავია გრამატიკული პირის რომლობის კატეგორიას პირის ნიშნთა სათანადო სისტემით; პირის კატეგორიამ უგამონაკლისოდ მოიცვა ყველა ზმნა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია სავალდებულოა ზმნებისათვის, პირი კი ჯერჯერობით თავისუფალ მონაცვლეობაშია ე. წ. უპირო ფორმებთან, თუმცა გამოყენების თვალსაზრისით ჯერ კიდევ აშკარა უპირატესობა გვაქვს პირველთა მხარეს.

ამ გზით შეივსო ერთი უდიდესი თეთრი ლაქა, ანუ თავისუფალი ადგილი წოვათუშური ენის გრამატიკისა, რაც მას ქართული ენის ფონზე შეინიშნებოდა. დადგება დრო, როცა დღეს თავისუფლად მოქმედი

პირისნიშნის და უპირისნიშნო პარალელები თუშური ზმნისა დაშვე-
ბული აღარ იქნება ენაში, რის შემდეგაც საბოლოოდ გაბატონდება
ოდენპირისნიშნის ფორმები. როგორც ცნობილია პარალელიზმები
ენაში მიმდინარე ყოველგვარი ლექსიკური თუ გრამატიკული სიახლის-
მოსამზადებელი საფეხურია. ასეა ამჯერადაც. წყარო ენის სააზროვნო
მოდელის ისეთი დაჩქარებული მოძალეობა, როგორც დღეს ხდება,
მოვლენებს მნიშვნელოვნად დააჩქარებს.

შეიძლება დაგავჯამოთ ზემოთქმული და აღენიშნოთ, რომ ქართუ-
ლი ენის უშუალო ზეგავლენით წოვათუშურ ენაში გაჩნდა და დამკ-
ვიდრების პროცესშია გრამატიკული პირის კატეგორია. მოცემულ სა-
კითხში ქართული და წოვათუშური ზმნის პირის კატეგორიებს შორის
ძირითად განსხვავებას ქმნის შემდეგი:

1. ქართულში გვაქვს სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების
რიგები, თუშურში კი სახელობითის ბრუნვიანი და ერგატივის ბრუნვიანი
პირის ნიშნების რიგები.

2. ქართულში პირის ნიშანთა ერთი წყება პირდაპირ ობიექტსაც
გამოხატავს და ირიბსაც, წოვათუშურში კი საგანგებო ნიშნებით ჯერ-
ჯერობით მხოლოდ პირდაპირი ობიექტი გამოიხატება.

3. შეიმჩნევა მონაცემები იმისა, რომ, თუ ბილინგვიზმი კიდევ
დიდხანს გასტანს, ზმნაში ასახვას დაიწყებს ირიბი ობიექტიც და ეს
მოხდება ახალ, ისევ ნაცვალსახელთაგან მიღებულ პირის ნიშანთა მი-
ცემითბრუნვიან წყებაზე დაყრდნობით.

ინტერფერენტულ პროცესთა ბუნების თვალსაზრისით საინტე-
რესოა ის გარემოება, რომ ქართული ენის გავლენით წოვათუშურში
გაჩნდა ახალი გრამატიკული კატეგორია, კერძოდ, პირის რომლო-
ბის კატეგორია, მაგრამ მსესხებელმა ენამ საკოდიფიკაციო ნიშნები
საკუთარი ინვენტარიდან გამოიხანა, რის გამოც ზეწოლა დაფიქსირდა
მხოლოდ სააზროვნო მოდელზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში გავლენა
აღგებრული ხასიათისაა.

ძნელი სათქმელია, მას შემდეგ, რაც წოვათუშურ ზმნაში საბო-
ლოდ დამკვიდრდება პირის კატეგორია, რა ბედი ეწევა კლასის კა-
ტეგორიას, როგორც ახალი სააზროვნო მოდელისათვის ზედმეტსა და
უცხო; დაცავს თუ არა მას უხსოვარი დროის ტრადიცია და ის ხვე-
დრითი წონა, რაც მას უღლების პარადიგმებში ჯერ კიდევ მოეპოვება.

გ2. სიხლუე ზმნის სრული ასპექტის ბამონატვის სისტემაში

ასპექტი იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური გრამატიკული კატეგორიაა. ქართველურ ენათა ზმნის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე აკად. არნ. ჩიქობავა აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ „სტატეკურობა-დინამიკურობა, ერთი მხრივ, ხოლო ასპექტი – მეორე მხრივ, წინ უსწრებდა ზმნის ძირითად სტანდარტულ ნაკვეთა (დრო, გვარი...) ჩამოყალიბებას“ (ჩიქობავა, 1948 - 97).

იმავე თვალსაზრისს ავითარებს ნახურ ენათა ზმნის კონკრეტული ვითარების მიხედვით პროფ. დ. იმნაიშვილი. მკვლევარი წერს: „ასპექტი ნახური ჯგუფის ზმნაში ისევე, როგორც სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნაში, უძველესი კატეგორიაა; იგი ისტორიულად წინ უსწრებს დროის კატეგორიას“ (იმნაიშვილი, 1974 - 100).

აკად. ა. შანიძე ქართული ენის ვითარების მიხედვით ამ კატეგორიის შემდეგ განმარტებას იძლევა „ასპექტი ანუ სახე არის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს. პირველ შემთხვევაში დაუსრულებელია მოქმედება, მეორეში – დასრულებული, ანუ გვაქვს ასპექტი უსრული და სრული“ (შანიძე, 1980 - 262).

ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორიას წარმოადგენდა, დღეს კი წარმოქმნის კატეგორიებს მიეკუთვნება და ზმნისწინთა დართვა-დაურთველობით უპირისპირდება ერთმანეთს ძირითადად ასპექტის სრული და უსრული სახეები. ნახური ჯგუფის ენებს არქაული ვითარება აქამდე მოჰყვათ: აქ ასპექტი უღლების კატეგორიებს მიეკუთვნება ისევე და მწკრივის ერთ-ერთ (ძირითად) საყრდენ ელემენტს წარმოადგენს დროსთან ერთად.

ნახურ ენებში საერთოდ და წოვათუშურშიც ძირითადი საშუალება სრული და უსრული ასპექტის ფუძეთა დაპირისპირებისა ხმოვანთა აბლაუტიაროგორც ნახურ ენათა ცნობილი მკვლევარი დაფ. იმნაიშვილი წერს: „ასპექტის გასარჩევად ნახური ჯგუფის ენებში უმთავრესად ფუძისეული ხმოვნის ცვლაა გამოყენებული“ (იმნაიშვილი, 1974 - 04).

ასპექტის საკუთრივ წოვათუშური სისტემის გვერდით დღეს ამ ენაში გვაქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ქართულიდან ნასესხები ზმნებისა, რომელთაც მთლიანად განსხვავებული სისტემით

ეწარმოებათ აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია. სიახლე მოჰყვა მრავალსაუკუნოვანი თუ შორ-ქართული ორენოვნების პროცესს.

მოვლენები თანდათანობით განვითარდა. ამ მხრივ ჩვენ მიერ ჩატარებულმა საგანგებო კვლევამ გვიჩვენა, რომ ორენოვნების დასაწყის საფეხურზე სესხების პროცესის მიმართ ღიობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღენიშნებოდა ზმნას, როგორც სისტემებრივად ყველაზე შეკრულ-შემოზღულულ მეტყველებების ნაწილს.

იმის გამო, რომ, როგორც წესი, ბილინგვიზმის ყოველ მომდევნო სტადიაზე წინა საფეხურის ნასესხობთა „გადასწორება“ ხდება წყარო ენასთან მათი ხელახალი დაახლოების მიზნით, პირვანდელი ვითარება დღემდე სულ რამდენიმე ზმნას მოჰყვა. ასეთია, მაგალითად, ქართულიდან ნასესხები „**ჩავარ-ღა**“, „**არჩევა**“. ზმნის ფუძე დაშლილ-აწყობილია თუ შორის გრამატიკულ მოდელზე და გვიჩვენებს მომხდარი გარდაქმნების მთელ სირთულეს, კერძოდ:

1. როგორც ანალიზური წყობისათვის სავალდებულო, დაერთო მეშველი ზმნა **ღა**;
2. ჩამოსცილდა ანლაუტის **ა**;
3. გაითიშა თანხმოვანთა უცხო მიმდევრობა **რჩ**;
4. თანხმოვნები გადანაწილდა მსესხებელი ენის ზმნურ ფუძეთა მორფოლოგიური მოდელის მიხედვით;
5. როგორც საყრდენი, ფუძეში გამოიკვეთა ერთმარცვლიანი ძირი (**ჩავე**);
6. ფუძის ბოლოს, როგორც სავალდებულო, დათუქსირდა მანმ-ნავებული სუფიქსი **-ა**.

სესხების განხილულ საფეხურზე ამგვარი რთული გარდაქმნებით გათავისებული ზმნები წოვათუშურმა უკვე ადვილად დაუშორჩილა ასპექტის წარმოების საკუთარ სისტემას. აქ დღემდე ფუნქციონირებს მოცემული ზმნების ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით დაპირისპირებული ასპექტური წყვილები:

წამ-ღა (გაწმენდა) და **წემ-ღა** (წმენდა)
ჩავარ-ღა (არჩევა) და **ჩევარ-ღა** (რჩევა)

ენობრივი გავლენის ბოლო სტადიაზე წოვათუშურმა მოძალე-ბულ ახალ ზმნურ ერთეულებთან ერთად, როგორც მოსალოდნელი

იყო, ისევე, **ზმნისწინებიც და ნასესხებ ზმნათათვის შექმნა ასპექტის წარმოების ახალი, ნახევრად ქართული და ნახევრად თუშური, ჰიბრიდული სისტემა**. მართალია, სრული და უსრული ასპექტის გამოხატვა აქ მთლიანად ზმნისწინს ეკისრება, მაგრამ იქ, სადაც წყაროენაში თემისნიშნის და უთემისნიშნის ფუძეები უპირისპირდება ერთმანეთს, წოვათუშურმა მოშალა მისთვის უჩვეულო ეს ოპოზიცია და, საკუთარი სისტემის შესატყვისად, ერთი, თემისნიშნის, ფუძე განაწოვდა.

რაც შეეხება ნასესხები ზმნური ფუძის ზემოთ ჩამოთვლილი ადრეული პერიოდის სავალდებულო ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ გარდაქმნებს, მათგან დღეს ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი – მეშველი ზმნის დართვის უპირობო მოთხოვნა. მოქმედებითი გვარის ზმნებს დართვის **ღწ** „ქმნა“, ვნებითებს – **ღაღწ** („ქმნა“ ზმნის ვნებითი) მეშველი ზმნები.

ამრიგად, თანამედროვე წოვათუშურში გვაქვს თითოეული ქართულიდან ნასესხები ზმნის ასპექტის გამოხატვის ჰიბრიდულ მეთოდზე დამყარებული ოპოზიციური წყვილები, რომლის წევრებიც ზმნისწინების დართვით გამოარჩევენ სრული ასპექტის ფორმებს უსრული ასპექტის ფორმებისაგან. მაგალითებს ზმნისწინების მიხედვით დავასახელებთ მიმდევრობით: ქართული – თუშური (უსრული – სრული).

გვაქვს:

ა) ზმნისწინი **მი-**: **სრული - უსრული**

ქართ. მი-ბეგვა: წოვათუშ. ბეგო-ღწ, მი-ბეგო-ღწ

მი-ცეცხლება: ცეცხლობა-ღწ, მი-ცეცხლობა-ღწ

მი-წერა: წერა-ღწ, მი-წერა-ღწ...

ბ) ზმნისწინი **ა-**:

ქართ. ა-კრძალვა: წოვათუშ. კრძალო-ღწ, ა-კრძალო-ღწ

ა-ფეთქება: ფეთქება-ღწ, ა-ფეთქება-ღწ

ა-შენება: შენება-ღწ, ა-შენება-ღწ...

გ) ზმნისწინი **და-**:

ქართ. და-ფანტვა: ფანტო-ღწ, და-ფანტო-ღწ,

და-ბნევა: ბნევა-ღწ, და-ბნევა-ღწ,

და-რღვევა: რღვევა-ღწ, და-რღვევა-ღწ...

დ) ზმნისწინი გა-:

ქართ. გა-ბედვა: წოვათუშ. ბედო-ღან, გა-ბედო-ღან

გა-სწორება სწორბ-ღან, გა-სწორება-ღან

გა-ხარება: ხარბა-ღან, გა-ხარბა-ღან...

ე) ზმნისწინი შე-:

ქართ. შე-ღებვა: წოვათუშ. ღება-ღან, შე-ღება-ღან

შე-ტყობა: ტყობა-ღან, შე-ტყობა-ღან...

ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა ზმნისწინების შემთხვევაშიც, რის გამოც მაგალითებს აღარ ვაგრძელებთ. აქ, მართალია, მოქმედებითი გვარის ზმნები იყო დამოწმებული, მაგრამ სრული და უსრული ასპექტის ფორმათა წარმოების იმავე მოდელს მიჰყვებიან ვნებითი გვარის ზმნებიც იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ იგივე შემდეგი ზმნა ღან (ქმნა) ამ უკანასკნელთ ვნებითის დაღან ფორმით დაერთვის.

მაგალითად:

1.

ქართ.: და-ფიქრება

წოვათუშ.: ა) მოქ. გვარი: ფიქრბა-ღან და-ფიქრბა-ღან

ბ) ვნებითი: ფიქრბა-დაღან და-ფიქრბა-დაღან

2.

ქართ.: და-ჩაგვრა

წოვათუშ.: ა) მოქ. გვარი: ჩაგრო-ღან და-ჩაგრო-ღან

ბ) ვნებითი: ჩაგრო-დაღან და-ჩაგრო-დაღან

3.

ქართ.: ა-ჩქარება

წოვათუშ.: ა) მოქ. გვარი: ჩქარბა-ღან ა-ჩქარბა-ღან

ბ) ვნებითი: ჩქარბა-დაღან ა-ჩქარბა-დაღან...

საეულისხმომად, რომ წოვათუშურმა ნასესხები საშუალო გვარის ზმნებიც ვნებითების დაღან შემდეგ ზმნიანთა ყალიბში მოაქცია და სათანადო ზმნისწინებიც დაურთო.

მაგალითად:

ქართ. ღელვა: წოვათუშ. ღელობა-დაღან, ა-ღელობა-დაღან

ცურვა: ცურა-დაღან, ჩა-ცურა-დაღან

ცოცვა: ცოცა-დაღან, მო-ცოცა-დაღან

როგორც აღვნიშნეთ, ასპექტის წარმოების ეს ჰიბრიდული სისტემა წოვათუშურში მხოლოდ ნასესხებ ზმნათათვის ფუნქციონირებს, საკუთარი ზმნები ამ საკითხში ჯერ კიდევ თავისთავადია და უცხო ენობრივი გავლენისათვის შეუღწეველი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ წოვათუშურ ენაში ზმნას აქვს ასპექტის მკვეთრად გამოხატული კატეგორია, რომელიც სრულასპექტიანი და უსრულასპექტიანი ფორმებით ორწევროვან კორელაციას ქმნის. მისი მორფოლოგიის თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება გვაქვს საკუთარსა და ნასესხებ ზმნებში. საკუთარი წარმომავლობის ზმნებში ასპექტის გამოხატვა ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით ხდება, ნასესხებ ზმნებში კი ამ კატეგორიის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები.

ინტერფერენციის მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ სუსტად განვითარებული ორენოვნების განვლილ საფეხურზე წოვათუშური ენა ქართულიდან ნასესხებ ზმნებს რთული ფონოლოგიური გარდაქმნების შემდეგ ასპექტის გამოხატვის საკუთარ ყალიბში აქცევდა. ვითარება დიამეტრულად შეიცვალა ზებილინგვიზმის პირობებში: ამ დროს ნასესხები ზმნური ერთეულების მოძრავლებასთან დაკავშირებით ენა იძლეოდა გარდა შემოეტანა ასპექტის წარმოების ქართული, ზმნისწინებზე დაფუძნებული, მოდელი. **ნიშანდობლივია ამ მხრივ ის გარემოება, რომ დღემდე არ დაფიქსირებულა ახალი ნასესხები მოდელის წოვათუშურ ზმნაზე მორგების არც ერთი შემთხვევა.**

ინტერფერენტულ პროცესთა კანონზომიერების თვალსაზრისით ამჯერად საყურადღებოა ისიც, რომ ნასესხები მოდელის მექანიკური მორგება კი არ მოხდა ქართულ ზმნებზე, არამედ განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რის შედეგადაც მოდელმა მიიღო თუშურ-ქართული მორფოლოგიის ნაჯვარი ჰიბრიდული სახე.

§3. გვარის კატიგორია - სიასლე წოვათუშური ზმნის მორფოლოგიაში

წოვათუშური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ენების შტოს ეკუთვნის. იმავე შტოს დანარჩენი წევრებისაგან, ჩეჩნურისა და ინგუშურისაგან, განსხვავებით, რომელთაც კავკასიის ტერიტორიის

გარკვეული რეგიონები უკავიათ, ის საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი სოფლის, ზემო ალენის, მხოლოდ ნახევარშია შემორჩენილი და ძლიერი ქართული კულტურულ-სოციალური გავლენის ქვეშაა მოქცეული, რაც საკუთრივ ენის სფეროში ცალმხრივი თუ შურ-ქართული ორენოვნებით აისახა.

საუკუნეები ფარავენ წოვათუ შურ-ქართული ორენოვნების ხანგრძლივობის საიდუმლოს, ენობრივი მეხსიერების ფაქტების მიხედვით კი მისი სათავე ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა საგულევებელი. მრავალსაუკუნოვანი სუსტი ცალმხრივი ბილინგვიზმი დღეისათვის უკვე ისევ ცალმხრივმა, მაგრამ აქტიურმა ზედილინგვიზმმა შეცვალა, რის გამოც წოვათუ შური ენა ქართულზე გადართვის რეალური საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

პროფ. ქ. გიგაშვილის ბოლოს წლების სოციო-ლინგვისტური გამოკვლევის მიხედვით, ამ ნახევარ სოფელს შემორჩენილ, ოდესღაც ფართოდ გავრცელებულ ენას, წოვათუ შურს, დღეს მხოლოდ 1558 წევრიანი ეთნიკური ჯგუფი ეთვლება. მათგან მშობლიურ ენას კარგად ფლობს მხოლოდ 95 პიროვნება, 803-მა საერთოდ აღარ იცის ეს ენა, დანარჩენებს კი ასე თუ ისე ჯერ კიდევ ესმით. დაწყებულია თაობათა შორის წყვეტა (გიგაშვილი, 2014-252).

ცნობილია, რომ „ყოველი ორენოვანი სიტუაცია უნიკალურია თავისი ბუნებით და აბსოლუტური დამთხვევა აქ გამორიცხულია. მიუხედავად ამისა, ორენოვნების თითოეული შემთხვევა ავლენს ინტერფერენტულ პროცესთა ზოგად კანონზომიერებებს და საინტერესოა ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისით, რაც, ცხადია, თვითონ ენათა სტრუქტურების სისტემური ხასიათითაა შეპირობებული“ (მიქელაძე, 2008-9).

ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, წოვათუ შური აგრძელებს დამოუკიდებელი შინაგანი განვითარების გზას. სამართლიანად წერს დევიდ კრისტალი, რომ „ენა კვდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი მოსაუბრელა რჩება და მას არავინ ჰყავს, რომ ელაპარაკოს“ (კრისტალი, 2007, 52). ანალოგიურ დასკვნას აკეთებს ქ. გიგაშვილიც: „ნებისმიერი საფრთხეში მყოფი ენა, განურჩევლად საფრთხის ხარისხისა, ცოცხალია მანამ, სანამ მასზე თუნდაც ერთი ადამიანი ლაპარაკობს“ (გიგაშვილი, 2010-156). აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ფიქსირდება წოვათუ შურ ენაში.

მოცემულ შემთხვევაში წოვათუშურზე უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ მჭიდრო კონტაქტში მყოფი ორივე ეს ენა, წოვათუშურიც და ქართულიც, ერთი და იმავე გენეალოგიური ოჯახის წევრებია და გრამატიკული კატეგორიების რაოდენობისა და ხასიათის მიხედვით თითქმის თანაბრად შეეზომებიან ერთმანეთს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი გავლენა წოვათუშურზე ძირითადად გრამატიკულ კატეგორიების გამოხატვის თავისებურებათა ნივთიერების გზით წარიმართა. ერთადერთი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ქართულიდან ისესხა წოვათუშურმა, ან უფრო სწორედ, ქართულის გავლენით გაჩნდა წოვათუშურში, ეს არის ზმნის გვარის კატეგორია.

გვარი ზმნის ერთ-ერთი რთული გრამატიკული კატეგორიაა. იგი განვითარების გვიანდელ საფეხურებზე ყალიბდება ენებში და მკაცრ ლოგიკურ კანონზომიერებას ეფუძნება. V საუკუნის ქართულში ის უკვე რათეინიერებული სახითაა წარმოდგენილი და შესწავლილიცაა სათანადოდ. თანამედროვე ქართული ენის ზმნის გვარის კატეგორიას, მის სახეებს და ფორმალურ მხარეებს საკითხებს გამოწვლილვით ახალი ნიშნები აკად. ა. შანიძე და გამოყოფს სამ გვარს მათი ქვესახეებით: მოქმედებითს, ვნებითს (დინამიკურსა და სტატიკურს) და საშუალოს (აქტიურსა და პასიურს) (შანიძე, 1980-280).

წოვათუშურ ენაში ზმნის გვარის კატეგორია გვიანდელი შემონატანია ქართულიდან. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ წოვათუშურის არცერთი უახლოესად მონათესავე ენას, ჩეჩნურსა და ინგუშურს, ზმნის ეს კატეგორია არ გააჩნია. მისი შემოტანის გვიანდელობას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მისი თანდათანობითი ჩამოყალიბების საფეხურები ჯერ ისევ იკვეთება ამ ენაში. ყველაზე საინტერესო კი აღნიშნულ პროცესში ის გარემოებაა, რომ ენა, რომელიც დღეს-ხვალ ქართულზე გადართვის რეალური საფრთხის წინაშე დგას და მასზე მოუბართა რაოდენობაც უკიდურესად შეცოტავეებულია, ქმნის ზმნის გვარის ახალ სახეობას, რომელიც არც ქართულს და არც რომელიმე ენას მის გარშემო არ გააჩნია. მივყვეთ საკითხს თანმიმდევრულად.

გვარის საკითხი საკმაოდ რთულად დგას თწოვათუშურში, რადგან ის ჯერაც არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული და არც შესწავლილია სათანადოდ. აქ ის პირველად შენიშნა ამ ენის შესახებ არსებული ხელ-

ნაწერი გრამატიკის ავტორმა იობ ცისკაროვმა, თუმცა მისი მორფოლოგიურ-სინტაქსური დახასიათება არ მოუცია (ცისკაროვი, 1840).

მოგვიანებით წოვათუშურისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ამ ენის ზმნის მორფოლოგიას ჯეროვან ყურადღებას უთმობს აკად. ი. დეშერიევი, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს ამ ენის ზმნის გრამატიკულ კატეგორებში გვარის არსებობას (დეშერიევი, 1953, 91).

საგანგებო მონოგრაფიაში წოვათუშური ზმნის გვარის კატეგორიას საკმაოდ ვრცლად განიხილავს პროფ. კ. ჭრელაშვილი, მაგრამ მკვლევარი ორი გვარის ზმნებს გამოყოფს მხოლოდ: მოქმედებითებსა და ვნებითებს, შექმდე კი ვნებითებს ღინამიკურებისა და სტატიკურების ქვეჯგუფებად ანაწილებს. იგი სტატიკურ ვნებითებში აერთიანებს კლასიფიკაციის გარეშე ღარჩენილ ყველა გარდაუვალ ზმნას, რაც, ჩვენი დაკვირვებით, რეალურ ვითარებას არ შეესაბამება. (ჭრელაშვილი, 2002-227).

დაბირისაბირება გვარებისა: მოქმედებითი და ვნებითი - თანამედროვე წოვათუშურში რომ მკვეთრადაა გამოხატული, ამაში საყვებით ვეთანხმებით პროფ. კ. ჭრელაშვილს, მაგრამ განსხვავებული შეხედულება გვაქვს მის მიერ ერთიანად სტატიკურ ვნებითებად გამოცხადებული გარდაუვალი ზმნების შესახებ. მიგვაჩნია, რომ გარდაუვალ ზმნათა პროფ. კ. ჭრელაშვილის მიერ ერთიანად სტატიკურ ვნებითებად გამოცხადებული ჯგუფი თავის მხრივ სტატიკურ ვნებითად და მედიოაქტიური ზმნების ჯგუფებად იყოფა.

საკითხის განხილვას დავიწყებთ იქიდან, რომ ერთის მხრივ მოქმედებითი გვარისა და მეორეს მხრივ კი ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს შორის ძირითად განსხვავებას პრდაპირი ობიექტის ქონა-არქონა ქმნის, ხოლო თვითონ ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს შორის სხვაობას კი სათუძვლად მოქმედების პროცესში სუბიექტის ჩართულობა-ჩაურთველობა უდევს.

თავისებური ვითარება გვაქვს ამ მხრივ ვნებითთან. ასეთ ზმნებს მოქმედების რეალური შემსრულებელი არ გააჩნია, აქ მოქმედება სუბიექტს ფორმალურად მიეწერება. როგორც აკად. ა. შანიძე განმარტავს: „ვნებითის ღანიშნულებათა საზოგადოდ პრდაპირ-ობიექტური პირი მოქმედების ავტორად, მის შემსრულებლად წარმოგვიდგინოს“ (შანიძე, 1980-290). აქედან უკვე კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ ვნებითი წარმოდგენს მოქმედებითი გვარის ზმნის მობრუნებულ ანუ

კონვერსიულ სახეს. ამიტომაც, რომ ქართულშიც და წოვათუშურშიც თითქმის ყველა მოქმედებითი გვარის ზმნას მოეპოვება სათანადო შესატყვისი ვნებითი გვარის ზმნის სახით.

აღნიშნული შინაარსობრივი დაპირისპირება ვნებითი გვარის ზმნებისა მოქმედებითთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა დინამიკურ ვნებითებში, რის გამოც ამ ტიპის ვნებითები თუორმითაც მკვეთრად დაუპირისპირდნენ მოქმედებითებს. ამ თუნქციას წოვათუშურში წარმატებით ასრულებს სუფიქსი – ლა. გვაქვს, მაგალითად: თიფს–ლა „ვარდება“ წიგ–ლა „წითლდება“, დეთ–ლა „ისხმება“, ჴებწ–ლა „ეკიდება“, ჴელ–ლა „მაგრდება“, დივ–ლა „ითესება“, დებწ–ლა „ებმება“, თეგ–ლა „კეთდება“, მენკ–ლა „იდგრება“, ჴებლ–ლა „ეხურება“, კურჩ–ლა „გორდება“, ლახ–ლა „დაბლდება“ . . .

დინამიკურსა და სტატიკურ ვნებითებს გარდაუვალ ზმნათა ერთსახეობად აერთიანებს სუბიექტის პასიურობა, განსხვავებას კი ქმნის ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე მოქმედებას დინამიკური ვნებითები პროცესის სახით წარმოგვიდგენენ, სტატიკური ვნებითები კი შედეგის სახით, ანუ ერთ ვითარებაში. მათ შორის არსებული ეს თუნქციური დაპირისპირება დინამიკური ვნებითების განსხვავებული თუორმაწარმოებით აისახება. დავასახელებთ წოვათუშური ენის სტატიკური ვნებითების მაგალითებს:

აუკუ – ანთია, დივუ – თესია, დაიწუ – აბია, თოუკუ – აკერია, დაითუ – ასხია, დოუფუ – აცვია, დატუ – ყრია, ოუხკუ – აუბოუ, დოუხკუ – ყრია (რამეში), ლაით – აკვრია, თაიფსუ – აყრია . . .

ორივე სახის ვნებითებს ერთმანეთთან აკავშირებს ის გარემოება, რომ მათი სუბიექტი პასიურობა, რის გამოც მუდმივად სახელობითი ბრუნვის თუორმით შეეწყობა ზმნას. ეს გარემოებაც, ცხადია, თავისებური მარკერის როლს ასრულებს მოქმედებითი გვარის ზმნებთან მიმართებით, რაკი ამ უკანასკნელთა სუბიექტი მუდმივად მოთხრობით ბრუნვაშია.

ვნებითების საპირისპიროდ წოვათუშურში გვაქვს ისეთი გარდაუვალი ზმნებიც, სადაც არა გვაქვს პირდაპირი ობიექტი, მაგრამ სუბიექტი აქტიურად ასრულებს ზმნით გამონატულ მოქმედებას. ამ დროს პირდაპირი ობიექტის უქონლობით ასეთი ზმნები ვნებითებს ჰგავს, ხოლო რეალური სუბიექტის მქონებლობით მოქმედებითი გვარის ზმნებს. ყველა ასეთი ზმნა საშუალო გვარისაა.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ წოვათუშური ენის საშუალო გვარის ზმნები პროფ. კ. ჭრელაშვილს სტატიკურ ვნებითებთან აქვს გაერთიან-

ნებუღი. ამის მიზეზი, ალბათ, ის გახდა, რომ მათ არა აქვთ საგანგებო ფორმასაწარმოებელი აფექსი, რითაც ისინი დაუპირისპირდებოდნენ დანარჩენ გარდაუგვალ ზმნებს. მიუხედავად ამისა, სხვა გარდაუგვალი ზმნებისაგან მათ მკვეთრად გამოარჩევს განსხვავებული მორფოლოგია, კერძოდ ის გარემოება, რომ I და II პირის ნაცვალსახელებით გამოხატული სუბიექტი ამ ზმნებს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირებაა საშუალო გვარის ზმნებისა ვნებითებთან. მოცემულ შემთხვევაში I და II პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული სუბიექტისათვის მოთხრობითი ბრუნვის მისადაგებით გამოიხატა, ერთის მხრივ, ამ ტიპის ზმნათა მსგავსება მოქმედებითებთან და, მეორეს მხრივ, განსხვავება ვნებითებისაგან.

ლოგიკურია, რომ საშუალო გვარის ზმნათა სუბიექტის მსგავსება მოქმედებითებთან არ შეიძლებოდა სრული ყოფილიყო, რის გამოც გაჩნდა თავისებური ზღვარი მოცემულ საკითხში, კერძოდ:

1. საშუალო გვარის ზმნებთან ერგატიული კონსტრუქცია სუბიექტს მხოლოდ I და II პირის ნაცვალსახელებით გამოხატვისას ეძლევა, მოქმედებითი გვარის ზმნებთან კი იმავე ფუნქციით სამივე პირის ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის ფორმას იღებს.

II. მოქმედებითი გვარის ზმნებთან ქვემდებარედ შეწყობისას ყველანაირი სახელი (არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ ნაცვალსახელი) მოთხრობითი ბრუნვის ფორმას იღებს, საშუალო გვარის ზმნებთან კი ეს სტატუსი მხოლოდ ნაცვალსახელებს ენიჭება, თანაც გარკვეული შეზღუდვით, ანუ III პირის ფორმათა გამოკლებით.

მაგალითად:

ა) მოქმედებითი გვარი

1. ას (მოთხ) - ახკრ - მე ვაბამ
2. აჰ(მოთხ) ახკრ - შენ აბამ
3. ოჰუს (მოთხ) ახკრ - ის აბამს

გ) სტატიკური ვნებითი

1. სო(სახ.) აუხკუ - მე ვაბივარ
2. ჰო(სახ.) აუხკუ - შენ აბინარ
3. ო(სახ.) აუხკუ - ის აბია

ბ) დინამიკური ვნებითი

1. სო (სახ.) ახკ-ლა - მე ვეებმები
2. ჰო (სახ.) ახკ-ლა - შენ ემბმები
3. ო (სახ.) ახკ-ლა - ის ეებმება

დ) საშუალო გვარი

1. ას (მოთხ.) ვულჲ - მე ყყვირი
2. აჰ(მოთხ.) ვულჲ - შენ ყყვირი
3. ო (სახ.) ვულჲ - ის ყყვირის

მოცემულ ცხრილებში ნათლად გამოიკვეთა სუბიექტის ბრუნვის საკითხში სამივე გვარის ზმნებს შორის არსებული სხვაობა და თითოეული მათგანის დამოუკიდებელი გრამატიკული სტატუსი. ამავე თვალსაზრისით, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო - ლა სუფიქსით ვნებითი გვარის ზმნათა გამორჩეულობასაც.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო გვარი რეალობაა წოვათუშური ენის ზმნაში. დავასახელებთ საშუალო გვარის ზმნათა მაგალითებს, გვაქვს: ლელჲ - დადის, ვულჲ - ყვირის, ვათხ - ტირის, ქატ - ჩივის, იტ - დარბის, ვილწ - იცინის, ვახჲ - ცხოვრობს, ლითხ - დახტის, ლესტჲ - ქანაობს, ლეფსჲ - შრება, ახ - ყეფს, ლეთჲ - ჭიდაობს, ვახჲ - თფრება, ქატჲ - ჩივის, ლაიჰწი - თამაშობს ...

დამოწმებული მაგალითების განხილვა ცხადყოფს, რომ განვითარების თანამედროვე სატექნიკურ ეპოქაში ენაში გვარის მიხედვით განსხვავებულ ზმნათა 4 ჯგუფი ფუნქციონირებს, გვაქვს: მოქმედებითი გვარის ზმნები, დინამიკური ვნებითები, სტატიკური ვნებითები და საშუალო გვარის ზმნები. აღნიშნული კლასიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ის სისტემური განსხვავება, რაც ამ ჯგუფების შიგნით ზმნათა უღლების ფორმებში დასტურდება: მოქმედებითი, საშუალო და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს უღლების სრული პარადიგმები აქვთ, სტატიკურების პარადიგმა კი ასიმეტრიულია, აკლია გარკვეული მწკრივები.

მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშური ენის ზმნის გვართა ჩამოთვლილი სახეობებიდან საგანგებო მარკერი ფორმისა მხოლოდ დინამიკურ ვნებითებსა აქვთ, გამართლებულად მიგვაჩნია ამ ენაში გვარის ჩამოთვლილი ოთხი სახეობის გამოყოფა. მოცემულ შემთხვე-

ვაში ვეყრდნობით აკად. თ. უთურგაიძის საინტერესო დასკვნას, რომელსაც მკვლევარი აკეთებს ქართული ენის ზმნის გვარის სახეობათა ფორმობრივი ურთიერთობის საკითხში არსებული ანალოგიური ვითარების მიხედვით: „ენაში შესაძლებელია ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია წარმოდგენილი იყოს სპეციფიკური მარკერის გარეშე. ქართულში აქტიურ ზმნათა პირველადი ფორმები არამარკირებულია გვარის მიხედვით. ამ შემთხვევაში ფორმათა სპეციფიკურობა გამოდის მარკერის როლში“ (უთურგაიძე, 2002-85).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბლინგვიზმის ბოლო საფეხურზე წოვათუშურმა ენამ ქართულიდან ისესხა ზმნის გვარი, რითაც შეესო საკუთარ მორფოლოგიურ სისტემაში წყანოენასთან მიმართებით არსებული ცარიელი ადგილი. დაფიქსირდა ალგებრული სესხება, რადგან წოვათუშურს ნასესხები ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოსაკვეთად წყარო ენიდან რაიმე სახის ფორმანტი არ შემოუტანია, მან ამისათვის ფორმაწარმოების საკუთარი სისტემა შექმნა, რაც შეეხება სხვადასხვა გვარის ფორმათა ფუნქციური ურთიერთმიმართების მოდელს, ის ზედმიწევნით ქართულია.

საინტერესოა, რომ ქართული ენის ზმნა გვარის საკითხში განვითარების მოცემულ საფეხურზე დარჩა, წოვათუშურმა კი ამის შემდეგ, სწორედ უკიდურესად მოძალებული ზებლინგვიზმის პირობებში, სრულიად დამოუკიდებლად ვნებითი გვარის ზმნათა ორივე სახეობისათვის ახალი მორფოლოგიური კატეგორია შექმნა; მხედველობაში გვაქვს ორივე სახის ვნებითებისათვის, სტატიკურისა და დინამიკურისთვისაც, ახალი ურთიერთდაპირისპირებული ფორმების გაჩენა, რომელთა მიხედვითაც ორკვევა, თავისი ნებით ანუ სურვილით არის ზმნის სუბიექტი ჩართული მოქმედება-უმოქმედობის პროცესში, თუ ეს ყველაფერი მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ხდება.

მაგალითისთვის ავიღოთ ზმნა „ვიძალები“. მასთან მიმართებით გასათვალისწინებელია ორგვარი ვითარება: ერთ შემთხვევაში მე, სუბიექტი ზმნისა, ვაქტიურობ, ჩემი სურვილით ვეფარები რაღაცას თუ ვილაცხას, ანუ დამალვა ამჯერად ჩემი ნებით ხდება; მეორე შემთხვევაში მე, იმავე ზმნის სუბიექტი, პასიური ვარ, სხვა მეფარება ან გარემო მფარავს. ეს კი ნიშნავს, რომ მოქმედება ჩემი ნების გარეშე ანუ უნებლოედ სრულდება.

ანალოგიური შინაარსობრივი დაპირისპირება შეიძლება წინა პლანზე გამოვიტანოთ სტატიკურ ვნებითებთან მიმართებაშიც. ამ თვალ-

საზრისით განვიხილოთ ზმნა „აბია“ (რამეხეა დაბმული). აქაც სუბიექტი შეიძლება დაბმული იყოს თავისი სურვილით ანუ ნებით – იმის გამო, რომ ასრულებს რაღაცა მაღლივი სახის სამუშაოს და ემუქრება ჩამოვარდნის საფრთხე. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება თავისი სურვილის გარეშე ანუ ძალადობით იყოს დაბმული.

დინამიკური თუ სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებში არსებულ ასეთ შესაძლო შინაარსობრივ დაპირისპირებას თანამედროვე წოვათუშურმა ენამ ზმნების განსხვავებული ფორმები მიუსადაგა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ახალი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც შინაარსობრივი მიმართებიდან გამომდინარე ნებსითობა-უნებლობის კატეგორია ვუწოდეთ.

ახალი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით ვნებითი გვარის ზმნებს შორის გამოვლენილი შინაარსობრივი დაპირისპირება თავიდან სუბიექტის განსხვავებული ბრუნვით გამოიხატა. თუ აქამდე როგორც დინამიკურ, ისე სტატიკურ ვნებითებს სუბიექტი ყველანაირ სიტუაციაში განურჩევლად სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობოდა, ახლა უკვე ამ მხრივ მათ შორის განსხვავება გაჩნდა: ნებსითი შინაარსის ვნებითთა ფორმებს პირველსა და მეორე პირში სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა, უნებლობის შემთხვევაში კი სუბიექტის ბრუნვას ცვლდება არ შეხება, ის სახელობითში დარჩა. სახელობითში დარჩა მესამე პირის ფორმებთან სუბიექტი ნებსითობის ფორმებთანაც.

ვნებითი გვარის ზმნათა ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის თავისებურ სისტემასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნებსითობის ფორმათა აღნიშნული გააქტიურება მოთხრობითბრუნვიანი ნაცვალსახელებით მხოლოდ I და II სუბიექტური პირის შემთხვევაში მოხდა. ჩვენი აზრით, სიახლის დანერგვის აღნიშნული პროცესიდან III პირის ფორმათა გამოთიშვა ამჯერადაც მოხდა იმ მიზნით, რომ ამ ზმნების სინტაქსი ბოლომდე არ დამთხვეოდან მოქმედებითი გვარის ზმნებისას. ამ თვალსაზრისით, კანონზომიერია ის გარემოება, რომ ზმნათა III პირის ფორმებს ეს ცვლილება არ შეხება.

აღნიშნული გაუდიფერენციებელი ანუ მხოლოდ სუბიექტის ბრუნვით გარჩეული ფორმები ნებსითობა-უნებლობის კატეგორიისა დღემდე საკმაოდ აქტიურად იხმარება წოვათუშურში, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ენა განვითარების ამ საფეხურზე არ გაჩერებულა, ახალი შინაარსის გრამატიკულ კატეგორიას ძალე სათანადო ფორმაწარმოებაც მოჰყვა. მარკერის ფუნქცია ამჯერად პირის ნიშნებს დაეკისრა.

ნებსითობის გამოსახატავად ორიენტაცია გასაგები მიზეზით ისევე პირველი და მეორე პირის ფორმებზე იქნა აღებული. აღნიშნული მიზნით როგორც დინამიკური, ისე სტატიკური ვნებითების ყოველი მწკრივის ფორმას აქტიური სუბიექტის პირის ნიშნები დაერთო, რაც შეეხება უნებლიობის კატეგორიას, მისი გამოსატყვეპასიური სუბიექტის პირის ნიშნებად გამოყენებულ სახელობით ბრუნვიან ნაცვალსახელებს დაეკისრა. ამ დროს ზმნის მწკრივის ფორმების აუსლაუტისა და პირის ნიშნების ანლაუტის ბგერათა ფონეტიკური ურთიერთზეგავლენით მწკრივთა განსხვავებული ფორმები ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც ნებსითობა-უნებლიობის გამომხატველ ზმნათა უღლების დამოუკიდებელი პარადიგმები შეიქმნა.

თვალსაჩინოებისათვის საფენურებრივად წარმოვადგენთ დინამიკური ვნებითების ნებსითობა-უნებლიობის აწმყოს მწკრივის ფორმათა ჩამოყალიბების პროცესს. გვაქვს:

ა) ნებსითობის ფორმები:

მხ. რიცხვი

1. ას(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა - ას → ლეჭყლ-ას

„მე ვიძალები“

2. აჰ(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა - აჰ → ლეჭყლ-აჰ

„შენ იძალები“

3. ო(სახ.) ლეჭყლა ----- „ის იძალება“

მრ. რიცხვი

1. ათხ(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა-ათხ → ლეჭყლ-ათხ

„ჩვენ ვიძალებით“

2. ადშ(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა-ადშ → ლეჭყლ-ადშ

„თქვენ იძალებით“

3. ობი(სახ.) ლეჭყლა ----- „ისინი იძალებიან“

ბ) უნებლიობის ფორმები

მხ. რიცხვი

1. სო(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა - სო → ლეჭყლ-სო

„მე ვიძალები“

2. ჰო(მოთხ.) ლეჭყლა → ლეჭყლა - ჰო → ლეჭყლ-ჰო

„შენ იძალები“

3. ო(სახ.) ლეჭყლა ----- „ის იძალება“

მრ. რიცხვი

1. ვად(მოთხ.)ლეჭყლა → ლეჭყლა -ვად → ლეჭყლა-ვად
„ჩვენ ვიძალეებით“

2. შუ (მოთხ.)ლეჭყლა → ლეჭყლა-შუ → ლეჭყლ-ადშუ
„თქვენ იძალეებით“

3. ობი(სახ.)ლეჭყლა-----„ისინი იძალეებიან“

აღნიშნული ფორმით ფიქსირდება აწმყოს მწკრივში ნებსითობისა
თუ უნებლობის გამოძნატველი დინამიკური ვნებითი გვარის ყოველი
ზმნა დღევანდელი წოვათუშების მეტყველებაში.

გვაქვს, მაგალითად:

ა) აწმყოს მწკრივის ნებსითობის ფორმები:

ლეჭყლანს - „ვიძალეები“, თეფსლანს - „ვევარდები“, ვაგლანს - „ვე-
ნახვები“, ჭელლანს - „ვმაგრდები“, კერჩლანს - „ვეგორდები“, ვებყლანს
- „ვებმები (უღელში)“, ახკლანს - „ვებმები (რამეზე)“, თარლლანს -
„ვემსგავსები“, წეგლანს - „ვწითლდები“ ...

ბ) ამავე ზმნათა აწმყოს მწკრივის უნებლობის ფორმები:

ლეჭყლასრ - „ვიძალეები“, თეფსლასრ - „ვევარდები“, ვაგლასრ
- „ვენახვები“, ჭებწლასრ - „ვეკიდები“, ჭელლასრ „ვმაგრდები“, კერ-
ჩლასრ - „ვეგორდები“, ახკლასრ - „ვებმები“, წეგლასრ - „ვწითლდები“ ...

ფორმაწარმოების ანალოგიური წესით ნებსითობა - უნებლობის
სპეციფიკური ფორმები შემუშავდა სტატიკური ვნებითებისთვისაც.

სუფიქსების იდენტურობის მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში
ფორმათა სპეციფიკურობა განაპირობებს დინამიკური ვნებითების ფუძეთა
კარდინალურმა განსხვავებამ სტატიკური ვნებითების ფუძისაგან. შე-
დარებისათვის დავიწყოებთ სტატიკური ვნებითების ნებსითობა-უნე-
ბლობის კატეგორიის ფორმათა წარმოების საფუძვლურ რივ პროცესს
ისევე აწმყოს მწკრივის მაგალითზე. გვაქვს:

ა) ნებსითობის ფორმები:

მხ. რიცხვი

1. ას (მოთხ). ლადთუ → ლადთ -ას → ლადთ- ა ს
„მე ვაკვრივარ“

2. აჰ (მოთხ). ლადთუ → ლადთ -აჰ → ლადთ- ა ჰ
„შენ აკვრიხარ“

3. ო (სახ.) ლადთჷ ----- „ის აკვრია“

მრ. რიცხვი

1. ათხ (მოთხ.) ლადთჷ → ლადთ -ათხ → ლადთ-ათხ

„ჩვენ ვაკვრივართ“

2. ადშ (მოთხ.) ლადთჷ → ლადთ -ადშ → ლადთ-ადშ

„თქვენ აკვრინხართ“

3. ობი (სახ.) ლადთჷ ----- „ისინი აკვრიან“.

ბ) უნებლიობის ფორმები

მხ. რიცხვი

1. სო (სახ.) ლადთჷ → ლადთ-სო → ლათუსო

„მე ვაკვრივარ“

2. ვ'ო (სახ.) ლადთჷ → ლადთ-ვ'ო → ლათუს'ო

„შენ აკვრინხარ“

3. ო (სახ.) ლადთჷ ----- „ის აკვრია“

მრ. რიცხვი

1. თხო (სახ.) ლადთჷ → ლადთ-თხო → ლათუსთჷ

„ჩვენ ვაკვრივართ“

2. შუ (სახ.) ლადთჷ → ლადთ -შუ → ლათუსშჷ

„თქვენ აკვრინხართ“

3. ობი (სახ.) ლადთჷ ----- „ისინი აკვრიან“

ასეთი ფორმით ფუნქციონირებს თანამედროვე წოდებული ენაში სტატეკური ფენებიტების აწმყოს მწკრევთა ნებსითობა-უნებლიობის ფორმები. გვქქეს, მაგალითად:

ა) ნებსითობის ფორმები: ვიშანს - „ვწევარ“, ვადწანს „ვკიდევარ“, ლადანს - „ვაკვრივარ“, ვადჟანს - „შებმული ვარ“, ვოჷგანს - „ვურევივარ“, ვიშანს - „ვწევარ“, ვ'ადრინანს - „ვანვევივარ“, ვადლოანს - „ვაყუ-ღივარ“, ო ᷡპყანს - „ვაჩრივარ“ . . .

ბ) იმავე ზმნათა უნებლიობის ფორმები:

ვიშუსო - „ვწევარ“, ვაწუსო - „ვკიდევარ“, ლათუსო - „ვაკვრივარ“, ვაჟუსო - „შებმული ვარ“, ვაგუსო - „ვურევივარ“, ვიშუსო - „ვწევარ“, ვ'არჩუსო - „ვანვევივარ“, აჟუსო - „ვარჩივარ“.

მსჯელობის დასასრულს შექლება დავასკვნათ, რომ ზმნის გვა-

რის კატეგორიაზე დაყრდნობით წოვათუშურ ენაში გაჩნდა სრულიად ახალი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც უღლები ყველასაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი პარადიგმა შეუძუშავდა. მისი გენეზისის თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახლოგოური ფუნქციის მქონე კატეგორია არც ქართული ენის გრამატიკაში გვაქვს, არც უახლოესად მონათესავე ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებში ფიქსირდება. საინტერესოა, რომ ეს გრამატიკული კატეგორია არც გერმანულ ენაში გვაქვს, არც ფრანგულსა, რუსულსა თუ ინგლისურ ენებში, საიდანაც ის წიგნიერი გზით შეიძლებოდა შემოსულიყო წოვათუშურში.

წოვათუშური ენის გრამატიკაში აღნიშნული კატეგორიის სიახლეს ნათელყოფს ის გარემოება, რომ ზმნურ ფორმათა ნებსითობა – უნებლობის მიხედვით დაპირისპირება ამ ენაში გვიან ჩამოყალიბებული გვარის კატეგორიას ეფუძნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნებსითობა–უნებლობა სუბიექტის მოქმედებისა პირის ნიშნებით გამოიხატება ზმნაში, პირის ნიშნები კი ჯერ კიდევ პარალელურ გამოყენებაშია მხოლოდ უბრისნიშნო ფორმებთან და არაა ბოლომდე დამკვიდრებული, კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ აღნიშნული სიახლე წოვათუშური ენის გრამატიკაში გვიანდელი პერიოდის წარმონაქმნია.

ენებთი გვარის ზმნათა ნებსითობა–უნებლობის კატეგორიის შექმნით წოვათუშურმა ენამ კიდევ უფრო შეავსო თავისი თვითმყოფი და გამომხატველობითი საშუალებებით ძალიან მდიდარი გრამატიკა. აღნიშნული თვალსაზრისით წოვათუშურ ენას უმაღლეს შეფასებას აძლევს კავკასიურ ენათა ცნობილი მკვლევარი–პეტრე უსლარი: „წოვათუშური ენა არაჩვეულებრივად მდიდარია გრამატიკული ფორმებით, რომლებიც აზრის ყველაზე ნატიფ ელფერით გამოხატვის შანსს იძლევიან“ (უსლარი, 1887–27).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი საინტერესო გრამატიკული კატეგორია წოვათუშურში მაშინ შეიქმნა, როცა ეს ენა ქართულზე გადართვის რეალურ საფრთხეშია მოქცეული და მასზე მოლაპარაკეთა შორის უკვე მიდის ე.წ. თაობათა შორისი წყვეტა, მოგვიწევს დავეთანხმოთ მკვლევართა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ენა ცოცხალია, სანამ მასზე ორი ადამიანი კიდევ ელაპარაკება ერთმანეთს“.

თავი შესამე

წმინდათა მამების სინტაქსი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით

შესავალი

სინტაქსი თავისი ფუნქციით კარდინალურად განსხვავდება მორფოლოგიისაგან, თუმცა კავშირი მათ შორის უმჭიდროვესია, რადგან ისინი არ არსებობენ უერთმანეთოდ. აღნიშნული განსხვავება კარგად იკვეთება თვითონ სახელწოდებაშიც ენის ამ მხარისა, რადგან „სინტაქსი“ სიტყვა-სიტყვით აგებას, აშენებას ნიშნავს წინადადებისა, რაც, როგორც ვეისი, მზამზარეული მორფოლოგიური მასალით ხორციელდება.

სინტაქსი უმაღლესი დონეა ენისა, მის უშუალო მსახურებაშია ჩართული ენის ლექსიკაც და გრამატიკაც, დაწყებული სიტყვით და დამთავრებული სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგმებით. სიტყვა ცნებებად შლის აზროვნების უფორმო მასას, მორფოლოგია კი აყალიბებს სიტყვათა ურთიერთ დამოკიდებულების მყარ ფორმულებს ზმნის დრო-კილოთა კონკრეტულ შესატყვისებთან მიმართებით. სწორედ ეს საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული-დაკანონებული მზა ფორმულები მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრების ერთმანეთთან თუ ზმნა-შემასმენელთან მიმართება-დაკავშირებისა ხდება საყრდენი ნებისმიერი წინადადების მშენებლობაში, ანუ ხდება საყრდენი სინტაქსისა.

ცნობილი გერმანელი მკვლევარი ვ. ადმონი სინტაქსის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, შემდეგ განმარტებას იძლევა: „სიტყვა-თა შეკავშირება და წინადადება ძირითადი ენობრივი ერთეულებია, რომელსაც სინტაქსი შეისწავლის. სინტაქსი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეეწყობა ერთმანეთს და როგორ, რა დანიშნულება აქვს წინადადებაში შემავალ სიტყვებს; განიხილავს წინადადების აღნაგობას, მის ტიპებსა და თითოეულისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ თავისებურებას და აგრეთვე იმ საშუალებებს, რომელთა მეხებითაც ხორციელდება სიტყვათა შეხამება წინადადებასა და სიტყვათა შეკავშირებაში“ (ადმონი, 1955-14).

ცნობილია, რომ „არ არსებობს დონე ენისა, რომელიც ხანგრძლივი და აქტიური ორენოვნების პირობებში შეუვალი დარჩება ინტერფერენტული პროცესებისათვის“ (დეშერიევი, 1953-27). აღნიშნული დებულება ბოლომდე მართლდება წოვათუშური ენის მაგალითზე, სადაც ინტერფე-

რენტული პროცესები დიდი ხანია უკვე გასცდა ლექსიკა-მორფოლოგიას და ფართო ასპარეზი მოიპოვა სინტაქსის დონეზე. ორენოვნების მოცემულ საფეხურზე ქართული ენა საოცარი პუნქტუალობით აკონტროლებს თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ენის წინადადებათა მშენებლობის მოდელებს და „ასწორებს“ საკუთართან შედარებით მსესხებელი ენის მოცემულ სფეროში არსებულ თითოეულ განსხვავებას.

სინტაქსური გავლენის მასშტაბების თვალსაზრისით თავისებურ გამონაკლისს ქმნის მარტივი წინადადება, სადაც მთავარი თუ მეორეხარისხოვანი წევრების ერთი წყება გვაქვს მხოლოდ და მორფოლოგიის დონეზე ზმნის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები წინადადების მოდელს ვერ ცვლის.

განსხვავებული ვითარება გვაქვს ამ მხრივ შერწყმულსა თუ რთულ წინადადებებში, სადაც მრავალი სახის თავისებურებამ შეიძლება იჩინოს თავი ერთგვარი წევრებისა და ერთგვარი მარტივი წინადადებებისა თუ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შინაარსობრივ-ფორმობრივი ურთიერთ მიმართების საკითხში. აღნიშნული ვითარების გამო სინტაქსის დონეზე ინტერფერენციის თვალსაზრისით განვიხილავთ წოვათუ შური ენის მხოლოდ შერწყმულსა და რთულ წინადადებებს.

მუშაობის პროცესში ამჯერად ხელს შეგვიწყობს ის გარემოება, რომ კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ჩვენ შესწავლილი გვაქვს და ცალკე მონოგრაფიებად გამოქვეყნებული „თანამედროვე წოვათუ შური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი“ (მიქელაძე, 2015) და „თანამედროვე წოვათუ შური ენის შერწყმული და რთული წინადადების სინტაქსი“ (მიქელაძე, 2018), სადაც საგანგებო ყურადღება ეთმობა წინადადების ერთგვარი წევრებისა თუ თვითონ მარტივი წინადადების ურთიერთმიმართების საკითხებს ინტერფერენციის თვალსაზრისით.

§.13 მარტივი წინადადება

შერწყმული წინადადების ტიპების თვალსაზრისით წოვათუ შურში იგივე ვითარება გვაქვს, რაც ქართულში დასტურდება, ანუ ფუნქციონირებს რვა სახის შერწყმული წინადადება. გვაქვს: ერთგვარი შემასმენლიანი, ერთთგვარ ქვემდებარეანი, ერთგვარ პირდაპირდამატებიანი, ერთგვარ რიბდამატებიანი, ერთგვარ უბრალო დამატებიანი, ერთგვარ განსაზღვრებიანი, ერთგვარ გარემოებიანი და შერეული სახის შერწყმული წინადადებები.

მოცემული დამთხვევა კონტაქტში მყოფი ამ ორი ენისა შერწყმულ წინადადებათა სახეების მიხედვით მათი გენეზისური კავშირითაა შეპირობებული და არაფერი აქვს საერთო ინტერფერენტულ პროცესებთან.

წოვათაშური ენის შერწყმულ წინადადებაში სრული ანალოგია გვაქვს ქართულთან ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებათა მიხედვითაც: ერთგვარი წევრები ერთმანეთს უერთდებიან კავშირით ან უკავშიროდ. კავშირიანი შეერთებისას მაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენს ე.წ. მაერთებელი კავშირები ან სუფიქსები, უკავშირო შეერთებისას კი ერთგვარ წევრებს აერთიანებს მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაცია.

უკავშიროდ შეერთებული ერთგვარი წევრები თანაბარმხვლიანია, ერთმანეთს პაუზით გამოეყოფიან და ახასიათებთ ჩამოთვლის ინტონაცია.

მაგალითად:

1. რუსულ, ინგლისურ, გერმანულ მატიშ სე მაპ'ონ ლაზიშ ეთ . „რუსული, ინგლისური, გერმანული ენები ჩემმა გოგომ კარგად იცის“.
2. სონან , პ'ონან , ჩურჩონან , ნჷაჷრჩონან ლაზოლ ლეესოქ „ჩემთვის, შენთვის, შინაურისთვის, გარეშესთვის სიკეთე მინდა“.

როცა ერთგვარი წევრები მიმყოლი სიტყვებითაა გაფრცობილი, ჩამოთვლის ინტონაცია აერთიანებს სიტყვათა მთელ ჯგუფს.

მაგალითად:

- ნანას აბინო ახლულ, ას დიენო ყარწე ჩინდრი, შერო ოხკინო ჯანი ქორთო წონალაშ დათხურ ივენეგო.

„დედის შეკვირილი ახალუხი, ჩემი მოქსოვილი ჭრელი წინდები, თავისი ამოსხმული ქალამნები თავმომწონედ ეცვა ივანეს“.

უკავშირო შეერთებით ჩამოთვლილ ერთგვარ წევრებს დაუმთავრებლობის განცდა და ინტონაცია ახლავს, რაც ქმნის შესაძლებლობას მარტივად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე დაემატოს ახალი ერთგვარი წევრი. ასეთ შემთხვევაში სიტუაციას აკონტროლებს ანუ დახშულ კონსტრუქციას ქმნის ერთგვარ წევრებთან ნახშირი განმაზოგადებელი სიტყვები. შდრ:

1. სტაკ, თსტუნო , დაჯო , კაწკო - უმს დარ.
- „კაცი, ქალი, დიდი, პატარა - იქ იყო“.
2. სტაკ, თსტუნო , დაჯო , კაწკო - ვუმაც უმს დარ.
- „კაცი, ქალი, დიდი, პატარა - ყველა იქ იყო“.

განმაზოგადებელი სიტყვა ზოგჯერ უსწრებს კიდევ ერთგვარ წევრებს.

მაგალითად:

გუმაჲ: სტაკ, ფსტუდნო, დაჯო, კაწკო – უმს დარ.

„ყველა“: ქალი, კაცი, დიდი, პატარა – იქ იყო“.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს წოვათუშური ენაში ფუნქციონირებს უკავშირო შერწყმული წინადადების მარტივი მოდელი, რომელიც მთლიანად ემთხვევა ქართული ენის სათანადო მოდელს. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ დამთხვევას ვერ მივაწერთ ქართული ენის გავლენას, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთების განხილული მოდელი თავისი განსაკუთრებული სიმარტივით ენობრივ უნივერსალიათა წყებას ეკუთვნის.

ინტერფერენტულ პროცესთა მასშტაბების თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ვითარება იკვეთება ამ ენის კავშირიანი შერწყმული წინადადების განხილვისას. უკავშირო შერწყმულთან შედარებით თანამედროვე წოვათუშური ენის სიტყვათმომოქცევაში გაცილებით უფრო მეტი სიხშირით ფუნქციონირებს კავშირიანი შერწყმული წინადადება. წოვათუშური ენის სინტაქსის ამ სფეროში უკვე თვალსაჩინოდ იკვეთება ქართული ენის სინტაქსის ინტენსიური გავლენა. ეს გვლინდება როგორც ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართების სახეებში, ისე უცვლელად ნასესხები თუ ქართული კავშირების თარგზე საკუთარი მასალით ნაწარმოები კავშირების ფონზე.

ცხადია, როგორც ულამწერლობო ენაში, წოვათუშურში ერთგვარ წევრთა მართებული კავშირების ის რაოდენობა, რაც ქართულში ფუნქციონირებს, არა გვაქვს, მაგრამ წყარო ენის ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართების ძრითადი მოდელები ზედმიწევნით არის გადმოტანილი, ანუ დასტურდება ერთგვარ წევრთა მართებული კავშირების იგივე სამივე ჯგუფი, რაც წყარო ენაში გვაქვს. ამ ჯგუფებს ქმნიან მაჯგუფებელი, მაცალკეებელი და მახირისპირებელი კავშირები.

ინტერფერენტულ პროცესთა კანონზომიერების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ერთგვარ წევრთა მართებული ფუნქციის კავშირებს შორის დღეს წოვათუშურ ენაში გვაქვს როგორც საკუთარი, ისე თარგმნისა თუ პირდაპირი სესხების გზით ქართულიდან შემოტანილი ერთეულები. თვალსაჩინოებისათვის ჯგუფების მიხედვით ჩამოვთვლით ცალკე საკუთრივ წოვათუშური ენის კავშირებს, ცალკე თარგმნისა და ცალკე – უცვლელად ნასესხებს

ქართულიდან. გვაქვს:

I. მავჯგუფებელი კავშირები

1. საკუთარი: ხმოვანი სუფიქსები: **ა და ე** („და“); ცალკე მდგომი კავშირი **ლე** („თუ“).

II. მაცალკეებელი კავშირები

1. საკუთარი: **ლე-ლე** („ან-ან“)

2. ნათარგმნი: **მაწყ-მაწყ** („ხან-ხან“), **ლექეჭა-ლექეჭა**, („თუნდ-თუნდ“), **ტყოც-ტყოც** („კიდევაც-კიდევაც“)

2. უთარგმნელად ნასესხები: **გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ, კიდევაც-კიდევაც.**

III. მაპირისპირებელი კავშირები:

1. უთარგმნელად ნასესხები: **მა, მაგრამ, ხოლოთ, კი, ოღონდ, თუმცა.**

თანამედროვე წოვათუ შური ენის შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა მანერებელი კავშირების წარმოდგენილ ჩამონათვალზე დაკვირვება წარმოგვიჩენს საინტერესო ვითარებას იმ მხრივ, რომ მავჯგუფებელი კავშირები ამ ენას მხოლოდ საკუთარი აქვს, მაცალკეებელ კავშირებში ბევრით სჭარბობს თარგმნითა თუ უთარგმნელად ნასესხები ქართული კავშირები, ხოლო მაპირისპირებელი კავშირები უგამონაკლი-სოდ ყველა უცვლელი სახით არის გადმოტანილი ქართულიდან. აღნიშნული გნით საინტერესო მასალა გვეძლევა ინტერფერენტულ პროცესთა მიმართ ამ ენის შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართების გამოხატვის განვლილი საფეხურების გასათვალისწინებლად.

როგორც ეს ზემოთმოყვანილ ცხრილში დაფიქსირდა, მავჯგუფებელი კავშირები წოვათუ შურს მხოლოდ საკუთარი აქვს. ქართული ენის ძირითადი მავჯგუფებელი „და“ კავშირის ფუნქციას აქ ერთგვარ წევრთა სხვადასხვა ფორმანზე დართული ხმოვანი სუფიქსი ასრულებს. **ზმნებთან ამ ფუნქციით გვაქვს ხმოვანი ე, სახელებთან და სხვა მეტყველების ნაწილებთან კი ხმოვანი ა.** დასახელებული ხმოვნები აღნიშნულ ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ მაშინ, როცა ერთგვარ წევრებს აუსლაუტში თანხმოდანი აქვთ, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში დასაკავშირებელი სიტყვების აუსლაუტის ხმოვანს ეკისრება იგივე ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში მახვილი სიტყვის თავიდან გადაღის აუსლაუტის ხმოვანზე, რის შედეგადაც ეს ხმოვანი გრძელდება და გამოიკვეთება. ისე რომ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციით შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერ ხმოვანს.

ერთგვარ წევრთა დაკავშირების მოცემული სისტემა წოვათუ-

შური ენისა თავისებურია იმ მხრივაც, რომ მაკავშირებელი ხმოვანი სუფიქსი დაერთვის აბსოლუტურად ყველა ერთგვარ წევრს, მაშინ როდესაც დამოუკიდებელ სიტყვად წარმოდგენილი კავშირი „და“ ქართულში აკავშირებს მხოლოდ ბოლო ორ ერთგვარ წევრს.

თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ წოვათუშური ენის ყველაზე მარტივ მაგალითებს თანხმოდანთუძიანი და ხმოდანთუძიანი არსებითი სახელებით გამონატყლი ერთგვარი წევრების აღნიშნული ხმოვანი სუფიქსებით დაკავშირებისა.

მაგალითად:

I. ერთგვარი წევრები გამონატყლია თანხმოდანთუძიანი არსებითი სახელებით:

1. ნან-ნ, დად-ნ, ბადერ-ნ, ჰ'აშ-ნ სანიგო ლათაერ.

დედა-და, მამა-და, შვილი-და, სტუმარი-და და კრებთან იდგენენ.

II. ერთგვარი წევრები გამონატყლია ხმოდანთუძიანი არსებითი სახელებით:

ნინო, ვანო, ნუნუ, მიშა, პეტრე სანიგო ლათაერ.

ნინო-და, ვანო-და, ნუნუ-და, მიშა-და, პეტრე-და კარებთან იდგენენ.

ანალოგიური ვითარება გვექნება ზმნითა თუ სხვა მეტყველების ნაწილებით გამონატყლი ერთგვარი წევრების შემთხვევაშიც. მოცემული მაგალითების ქართული თარგმანი ზედმიწევნითა ანუ ხელოვნური, ბუნებრივი ქართულით თარგმანისას გვექნება:

1. „დედა, მამა, შვილი და სტუმარი კარებთან იდგენენ“.

2. „ნინო, ვანო, პეტრე, ნუნუ და მიშა კარებთან იდგენენ“.

მაგალითების ბუნებრივ ქართულ თარგმანში მავსულებელი კავშირი და აერთიანებს მხოლოდ ბოლო ორ ერთგვარ წევრს, წოვათუშურში კი იმავე თუნქციის ხმოვანი სუფიქსი დაფიქსირდა ყველა ერთგვარ წევრთან. ვარდა აღნიშნულისა, ერთგვარ წევრთა დაკავშირების განხილულ ორ სისტემას შორის სხვაობას ქმნის თუშური ენის ერთგვარი წევრების პირველი მარცვლიდან აუსლაუტის ხმოვანზე გადატანილი მხვეილიც, რაც აგრძელებს ამ ხმოვანს და მთლიანად ცვლის შერწყმული წინადადების ინტონაციას. შეიძლება დავასკვნათ, რომ წოვათუშურ ენაში გვაქვს ერთგვარ წევრთა დაკავშირების ქართულისაგან მთლიანად განსხვავებული სისტემა ხმოვანსუფიქსური წარმოებით.

რამდენადაც მარტვია ქართულში ერთგვარ წევრებთან „და“ კავშირის გამოყენების წესი, იმდენადვე რთულია და კონკრეტული

სიტუაციების მიხედვით დაშლილი და დანაწევრებული წოვათუ შურში „ა“ და „ე“ ხმოვანი სუფიქსების ერთგვარ წევრებზე მორგების კანონ-ზომიერება. მოცემულ საკითხში არსებული დიდი განსხვავება ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ განხილული ხმოვანსუფიქსიანი თავისებური მოდელი ერთგვარ წევრთა დაჯგუფებისა საკუთრივ თუ-შურია და არაფერი აკავშირებს ინტერფერენტულ პროცესებთან.

მოცემულთან მიმართებით ბუნებრივად დგება კითხვა: - დღეს, უკიდურესად მოძალებული აქტიური ზებილინგვიზმის პირობებში, უხვად ნასესხები კავშირებისა და მათი საშუალებით რეალიზებული ქართული ენის ერთგვარ წევრთა შეერთების მარტივი მოდელების ფონზე რა იცავს იმავე წევრთა შეერთების საკმაოდ რთულ საკუთრივ წოვათუ შურ არქაულ მოდელს? ცალსახა პასუხი კითხვაზე ძნელია. ვფიქრობთ, აქ რამდენიმე ფაქტორი უნდა იყოს გადამწყვეტი:

- ერთ-ერთი მიზეზი ერთგვარ წევრთა დაკავშირების ამ ორ მო-დელს შორის არსებული უდიდესი სისტემური სხვაობა უნდა იყოს, რაც ყველა შემთხვევაში გაართულებს ერთიდან მეორეზე გადართვის პრო-ცესს;

- მეორე ისაა, რომ მოკლე სუფიქსებზე აგებული თუ შური მოდე-ლი ერთგვარ წევრთა დაკავშირებისა წინადადების წარმოსათქმელად უფრო მარტივ ინტონაციურ მოდელს ქმნის, ვიდრე ეს გვაქვს ქარ-თულში ცალკე სიტყვად დართული საკუთარი გამოცალკევებული ინტონაციის მქონე „და“ კავშირის შემთხვევაში, რაც ზეპირი ენისათვის დიდ უპირატესობას წარმოადგენს;

- მესამე დამცავი ფაქტორი კი, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ცხადია, გამოყენების ტრადიციია აქაც.

როგორც ზევით კავშირთა ჩამონათვალში მივუთითეთ, წოვათუ-შურ ენაში ერთგვარ წევრთა დაჯგუფება ხდება დამოუკიდებელ სიტყ-ვად წარმოდგენილი **ლე („თუ“)** კავშირის საშუალებითაც. ეს კავშირი აერთიანებს მხოლოდ ორ ერთგვარ წევრს, რის მიხედვითაც სახეზეა უკვე ზუსტი ქართული მოდელი, რომელიც საკუთარი ხმოვანსუფიქსია-ნი სისტემის გვერდით ამკარად ქართული ენის შემონატანია თუ შურში.

შდრ:

1.წოვათუშ. - სტაკი **ლე** ფსტუნზ, ყანნი **ლე** ყონო - ვუმაყ უმს დარ.
ქართ. - კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - ყველა იქ იყო.

2.წოვათუშ. - ჩუპ'ი **ლე** ნჭაპი, ლაჭიში **ლე** ლახუშ ქუდრწლქ ნახ ცმედანკერ.

ქართ. - შინ თუ გარეთ, მაღლა თუ დაბლა ქორწილის ხალხი ისხდა.

ის დიდი პრინციპული განსხვავება, რაც განხილული ორი საკუთრივ წოვათუშური მაჯგუფებელი კავშირის მონაწილეობით შექმნილი შერწყმული წინადადებების მოდელებს შორის გვაქვს, მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ წვერთა დაჯგუფების საკუთარსა და ნასესხებ მოდელებთან.

წოვათუშური ენის შერწყმულ წინადადებაში ქართულის მსგავსად ცალკე ჯგუფს ქმნიან მაცალკეებელი კავშირები. საინტერესოა, რომ ამ ჯგუფის კავშირებში საკუთრივ წოვათუშურია მხოლოდ ერთი: **ლე-ლე („ან-ან“)**.

მაგალითად:

1. **ლე** ჰ'ალრ თაგმოს ის საქმ, **ლე** შარნ ვაუვას ესერქ.

„ან გააკეთებ მაგ საქმეს, ან გადავიკარგები აქედან“.

2. სტაკ **ლე** დინჩუდშლო ვეწ ვაგა, **ლე** დაგინჩუდშლო.

„კაცი ან ცოცხლებში უნდა ერიოს, ან მკვდრებში“.

3. **ლე** დეშ სქ, **ლე** მამ ხატოგ სოხ.

„ან დამიჯერე, ან ნუღარათერს მკითხავ“.

როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს ამავე ჯგუფის ქართულიდან ნათარგმნი კავშირებიც. ესენია:

მაწყ-მაწყ („ხან-ხან“), ლეცეპ'-ლეცეპ' („თუნდ-თუნდ“), **ტყოცნ-ტყოცნ** (კიდეც-კიდეც“).

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს კავშირები სრულ ანალოგიას გვიჩვენებენ ქართული ენის სათანადო კავშირებთან ეტიმოლოგიურადაც და გამოყენების თვალსაზრისითაც. მაგალითად:

1. **ლეცეპ'** ფჰ'ეჰ' ხაც ვახან, **ლეცეპ'** ქალიქ ლობ.

„თუნდ სოფელში დასახლდი, თუნდ ქალაქში წადი“.

2. დრო დიკან ლაწმრეს **მაწყ** ყაგნო ხეტორ, **მაწყ** ტელევიზორეგო ჰ'ექურ.

„დროის გასაყვანად ავადმყოფი ხან წიგნს კითხულობდა, ხან ტელევიზორს უყურებდა“.

3. **ტყოცნ** მაღლას ეჩიხოხ ჰ'ათხ ცჰამდარევე, **ტყოცნ** ჩარიცხოლას

უნივერსიტეტი სტუდენტულ.

„კიდევაც გავასწორობ სხვებს სწავლაში, კიდევაც ჩავაიციხები უნივერსიტეტში სტუდენტად“.

მიუხედავად აღნიშნულისა, წოვათუშურ ენაში უკვე ფიქსირდება იმავე კავშირთა ხელახალი უთარგმნელი შემოტანის შემთხვევები, რაც დამახასიათებელი გახდა უკიდურესად განვითარებული ზებილინგვიზმის პერიოდისათვის. უთარგმნელად შემოტანილი იგივე მაცალკეებელი კავშირებია:

გინდ-გინდ, კიდევ-კიდევ, თუნდ-თუნდ.

დღეს ახალგაზრდა წოვათუშების მეტყველებაში პარალელურად შეგვხვდება შერწყმული წინადადებები თარგმნილი თუ უთარგმნელად შემოტანილი ერთი და იმავე მაცალკეებელი კავშირებით.

მაგალითად:

I. კავშირი თარგმნილია

- **ტყოყნ** ნიფსდოს მუშებადომ დე-ბუმს , **ტყოყნ** მახალათეს გეჩოხ ლაწიშხე.

- „კიდევ გავასწორობ შრომაში დღე-ღამეს, კიდევ ვიცხოვრებ სხვებზე უკეთ“.

II. კავშირი უთარგმნელადაა ნასესხები

- **კიდევ** ნიფსდოს მუშებადომ დე-ბუმს , **კიდევ** მახალათეს გეჩოხ ლაწიშხე.

- „კიდევ გავასწორობ დღე-ღამეს შრომაში, კიდევ ვიცხოვრებ სხვებზე უკეთ“.

ცხადია, აღნიშნულ პარალელიზმს ნათარგმნი და უთარგმნელად ნასესხები კავშირებისა, როგორც წესი, უთარგმნელად შემოტანილი კავშირების გაბატონება მოჰყვება შერწყმულ წინადადებაში, თუ მანამდე სრული გადართვა არ მოხდა წოვათუშებისა ქართულ ენაზე. უცხოენობრივი გავლენა სესხების ორსავე შემთხვევაში ფიქსირდება: მაშინაც, როცა საჭირო კავშირს ვთარგმნით, და მაშინაც, როცა უცვლელად შემოგვაქვს წყარო ენდიან იგივე კავშირი, მაგრამ ამ ორი სახის სესხებას შორის სხვაობა დიდია: **პირველ შემთხვევაში სესხებისა ბილინგვის მშობლიური ენის პრესტიჟი წყვეტს საკითხს, მეორე შემთხვევაში კი პრესტიჟი წყაროენისა.**

შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა მათრებელი კავში-

რების III ჯგუფს ქმნიან მანძისპირებელი კავშირები. ამჯერად საგულისხმოა ის გარემოება, რომ თუშური ენის შერწყმულ წინადადებაში გამოყენებული უკლებლივ ყველა მანძისპირებელი კავშირი ქართულიდანაა შემოტანილი ყოველგვარი თარგმნის გარეშე. ეს კავშირებია: **მწ, მაგრამ, ხოლოთ, კი, ოღონდ, თუმცა.**

ჩამოთვლილი კავშირები, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირებენ ერთგვარ წევრებს. აღნიშნული კავშირებით აგებული შერწყმული წინადადება რათინირებულ სახეს ატარებს დღეს წოვათუშურში და წყობის მიხედვით სრულ ანალოგიას გვიჩვენებს ქართულთან.

აღნიშნულ მანძისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ფართო გამოყენებაშია კავშირი „**მწ**“, რომელიც ქართული „**მაგრამ**“ კავშირის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. მისი გამოყენების განსაკუთრებული სინშირე და მაქსიმალურად შემოკლებული სიგრძე იმის მიმანიშნებელია, რომ მისი სესხება ორენოვნების აღრიხედელ საფეხურზეა მომხდარი;

გვაქვს, მაგალითად:

1. მადრძეს დუღ მუშებადო, **მწ** ხელთას კაწკოწ ევობო .
„მარბამი ბეფრს შრომობს, **მაგრამ** ხელთასს ცოტას იღებს“.

2. ბათწო, **მწ** ლამზური ბუდსა ლათერ აღნი.
„უძთვარო, **მაგრამ** ლამაზი ლამე იდგა აღვანში“.

ორენოვნების ბოლო საფეხურზე კავშირი **მწ** უკვე უცვლელი მაგრამ სახით დამკვიდრდა წოვათუშების მეტყველებაში. გვაქვს:

1. ბათწო, **მწ** ლამზური ბუდსა ლათერ აღნი.
„უძთვარო, **მაგრამ** ლამაზი ლამე იდგა აღვანში“.

2. ქუდრწოლეს ლოს, **მაგრამ** ლეთხა ცო ვალოს.

3. „ქორწილში წავალო, **მაგრამ** არ ვიცეკვებ“.

საკმაოდ პროდუქტიულია თანამედროვე წოვათუშურ ენაში იმავე ჯგუფის დანარჩენი უთარგმნელი კავშირების გამოყენებაც. გვაქვს, მაგალითად:

1. ლადტანას მიხუდნ ვავ დაცოშ, **ხოლოთ** ბოლოს ნანბადინას.
„უუშველე მიხოს ყანის მკაში, **ხოლოთ** ბოლოს ვინანე“.

2. ლამწათ ეზო, ბადრი, **ოღონდ** ვაშინ მწ მ ლაწლოთ.

„ითამაშეთ ეზოში, ბავშვებო, **ოღონდ** ერთმანეთს არათყურო ატყინოთ“.

3. ვქოშტიყ ქოცუდ დოთათ, ჭაჭა კი ბოჭკი დოხკათ.

„დვინო ისევე ქვევრში ჩაასხით, ჭაჭა კი ბოჭკაში ჩაყარეთ“.

4. დე-ბუდს ნიფსდოს, ბათხახ მანც ცო თებლმაქსოქ.

„დლე-ლამეს ვასწორებ; საქმეს მანც ვერ ვერვეი“.

თანამედროვე წოვათუშური ენის შერწყმული წინადადების სხვადასხვა ფუნქციის კავშირები მოდელების თანამიმდევრული განხილვა-შეხი-რისპირება ქართული ენის სათანადო ტიპის შერწყმულ წინადადებებთან გვიჩვენებს, რომ შერწყმული წინადადების საკუთარი არქაული მოდელი ამ ენას შემორჩენილი აქვს ერთგვარ წვერთა დაკავშირების მხოლოდ ნმო-ვან-სუფიქსიანი სისტემის სახით; ყველა სხვა შემთხვევაში კი დამკვიდრე-ბულია დამოუკიდებელი სიტყვით გამოხატულ-კავშირებიანი ზედმიწევნით ქართულიდან ნასესხები მოდელი ერთგვარ წვერთა დაკავშირებისა.

დღეს, ორენოვნების ბოლო საფეხურზე, როცა უკვე ყოველგვარი თარგმნის გარეშე განუკითხავად შემოდის და მკვიდრდება წოვათუ-შურში ქართული ერთგვარ წვერთა თუ წინადადებათა მარტებელი კავშირები, ერთი შემთხვევაც არ ფიქსირდება საკუთარი არქაული ნმოვანსუფიქსიანი სისტემის რღვევისა და ქართულით ჩანაცვლები-სა. როგორც ჩანს, აქაც, როგორც ეს მორფოლოგიაში დაფიქსირდა, გავლენის პროცესებთან მიმართებით მსესხებულ ენაში არსებული თავისუფალი ადგილის საკითხი დგება.

§. 2 თანწყობილი წინადადება

წოვათუშურ ენაში ისევე, როგორც ქართულში, თანწყობილი წინადადება უკავშიროა, ან კავშირიანი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია ენებში, ვიდრე კავშირიანი“ (მეიე, 1938-17). ივარაუ-დება, რომ განვითარების ადრინდელ საფეხურზე რთულში შემაგალი მარტივი წინადადებები ერთმანეთის მიყოლებით, საგანგებო სიტყვით დაკავშირება-გადაბმის გარეშე რეალიზდებოდა ენებში. მარტივი წი-ნადადებების უკავშირო გადაბმის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციას, ზმნის დროისა და კილოს ფორმებს, შინაარსო-ბრივ ურთიერთმიმართებას წინადადების ნაწილებს შორის.

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება თართოდ არის გავრ-ცელებული თანამედროვე წოვათუშური ენის როგორც ზეპირმეტყვე-ლებაში, ისე წერილობით წყაროებში. ფიქსირდება თანწყობილი წინადა-

დების ნაწილებს უკავშირო გადაბმის რამდენიმე ტიპიური შემთხვევა. ასეთი გადაბმა გვაქვს, როცა თანწყობილი წინადადების ნაწილებში გამოხატულია მოვლენათა თანამიმდევრობა, ან მათივე შინაარსობრივი დაპირისპირება, ან კიდევ ჩამოთვლათა ერთდროული მოვლენებისა.

მაგალითად:

I. გვაქვს მოვლენათა თანამიმდევრობა:

- შარს მახე სტაბო , შარს დეჰდლოტჟჟა , ოთაქ ლამზურ დოჰჰ .

„გავიდა შემოდგომა, გაიპარა ზამთარი, დადგა ლამაზი გაზაფხული“.

მოცემული უკავშირო თანწყობილი წინადადება სამი მარტივი წინადადებისაგან შედგება და გამოხატავს მოვლენათა თანამიმდევრობას. თანწყობის მოცემულ შემთხვევაში ვლინდება ზოგადი კანონზომიერება, რის თანახმადაც ერთსა და იმავე თანწყობილში შემაჯალ მარტივ წინადადებათა შემასქმნელებს დროის, მწკრივისა და კილოს ფორმების ზუსტი თანხვედრა ახასიათებს. ჩვენს დამოწმებულ მაგალითში ყველა ზმნას კილო თხრობითი აქვს, დრო, წარსული, მწკრივი-წყვეტილი.

II. გვაქვს მოვლენათა შინაარსობრივი დაპირისპირება.

ვუმაჰჰ ალო ნიოხორ სუფრემაქრე წინხო ჰაშენ ჰატიე დლო , ცჰა მიქელ ვისნორჰჰ ალო ცო ნეთუშ.

„ყველა ამდგარიყო ფეხზე სუფრიდან ახალი სტუმრისთვის ჰატიესაცემად, ერთი მიქელი დარჩენილიყო აუდგომლად“.

III. გვაქვს აღწერა-ჩამოთვლათა ერთდროული მოვლენებისა.

წელტი დარ, ვუმაჰჰ შუჰჰ წენბონ ქიფებალარ, შარემაქან ცომენს ლელგერ.

„ახალი წელი იყო, ყველანი თავის სახლებში ქეიფობდნენ, ქუჩაში აღარაფინ დადიოდა“.

უცხოენობრივი გავლენის თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ვლინდება მარტივი თუ შერწყმული წინადადებების კავშირის თანწყობის დროს. ცნობილია, რომ რთული თანწყობილი წინადადებები ზეპირსა თუ წერიტის მეტყველებაში უფრო ხშირად მათი შემადგენელი მარტივი თუ შერწყმული წინადადებების კავშირისი გადაბმით გვხვდება, რადგან კავშირის შემთხვევაში მათი შინაარსობრივი ურთიერთმიმართება უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება.

საკუთხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წოვათუშურ ენაში, ისევე როგორც ქართულში,

მათემატიკური სინუსტით ხდება შეთანაბრება-გატოლება იმ ფუნქციურ-შინაარსობრივი მიმართებებისა, რაც გვაქვს, ერთის მხრივ, შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის, მეორეს მხრივ კი რთულ თანწყობილში შემაჯავალ მარტივ თანაბარუფლებიან წინადადებებს შორის. **მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იჩენს იდენტური მოვლენების გაერთმინებელიანებისა და გამარტივების ზოგადი ენობრივი უნივერსალია.**

სწორედ აღნიშნული უნივერსალიას ეფუძნება ამჯერად ის გარემოება, რომ თანწყობილ წინადადებაში შემაჯავალი თანაბარი ფუნქციის მარტივ წინადადებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად წოვათუშური ენა იყენებს იმავე სამი ჯგუფის საკუთარსა, ქართულიდან თარგმნილსა თუ ისევე ქართულიდან უთარგმნელად შემოტანილ კავშირებს, რაც ზემოთ უკვე დათქმობდა შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებთან მიმართებით. მხედველობაში გვაქვს აღნიშნული ფუნქციით შერწყმულ წინადადებაში ხმარებული სამივე ჯგუფის მართებული კავშირები: მაჯგუფებული, მაცალკეებული და მაპირისპირებული.

შეტი თვალსაჩინოებისათვის უცვლელად გადმოვიტანთ თანამედროვე წოვათუშური ენის შერწყმულ წინადადებასთან მიმართებით უკვე დამოწმებულსა და დახასიათებულ მართებულ კავშირთა ცხრილს, სადაც ცალკე-ცალკეა წარმოდგენილი ამ ენის როგორც საკუთარი, ისე ქართულიდან თარგმნილი თუ პირდაპირ, უთარგმნელად ნასესხები კავშირები. გვაქვს:

I. მაჯგუფებული კავშირები:

1. საკუთარი: ხმოვანი სუფიქსები **ა** და **ე** („და“);

ცალკე მდგომი კავშირი - **ლე** („თუ“)

II. მაცალკეებული კავშირები

1. საკუთარი: **ლე-ლე** („ან-ან“);

2. ნათარგმნი: **მაწყ-მაწყ** („ხან-ხან“), **ლეცეპ’-ლეცეპ’** „თუნდ-თუნდ“, **ტყოსნ-ტყოსნ** (კიდეც-კიდეც)

3. უთარგმნელად ნასესხები:

გინდ-გინდ, თუნდ,თუნდ, კიდევატ-კიდევატ.

III. მაპირისპირებული კავშირები:

1. უთარგმნელად ნასესხები: **მ, მაგრამ, ხოლოთ, კი;**

შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა კავშირიანი შეერთების მოღვლეობთან ზედმიწევნითი მსგავსების გამო თანწყობილ წი-

ნადადებაში შემაჯავლი მარტივი წინადადეგების კავშირიანი გადაბმის კონკრეტულ მოდელებს ცალკე-ცალკე აღარ განვიხილავთ, დავამოწმებთ მხოლოდ მაგალითებს. გვაქვს:

1. ვაშას ვორ ლეპ'ბორ-ე, ას კალთი ბესკრას.
„ძმა ვაშლს კრეფდა-და მე კალათაში ვყრიდი“.
2. **ლე აპ'** ლობ თხა მინდრი ჯავ დაცა , **ლე** ჯან ას ქოთბოსქორთო.
„ან შენ წადი დღეს მინდორში ყანის სამკალად, **ან** ხვალ მე შევი-წუხებ თავს“.
3. **ლეუკაპ'** სო ჩუქბადებ ის ტარდ, **ლეუკაპ'** სე კაწკუემ დაშენ დისალ.
„თუნდა მე მაჩუქე ეგ ბეჭედი, **თუნდა** ჩემს პატარა დას დარჩეს“.
4. **გინდ** ვადლეშ ალ სოგო ალ უმნ , **გინდ** კუენეშ.
„**გინდ** ჩვენებურად მითხარი სათქმელი, **გინდ** ქართულად.
5. მათხორქ დე დარ, **მა** ნძაყი ზორაშე ფშელ მარ.
„მზიანი დღე იყო, **მაგრამ** გარეთ ძალიან ციოდა.
6. ას ის საქმ ჰ'ალო თაგდოს, **ხოლოთ** მაპ'ანგო ხათოთ.
„მე მაგ საქმეს გავაკეთებ, **ხოლოთ** არაფის გააგებინოთ.

თანწყობილი წინადადეგების სპეციფიკიდან გამომდინარე მაერთე-ბელი კავშირების დასახელებულ სამ ჯგუფს ქართულში მეოთხეც მიე-მატა, ესაა მაიგივებული კავშირები: **ანუ, ე.ი.** ამ ტიპის კავშირებით შეერ-თებული წინადადება წარმოადგენს წინამაჯავლი მარტივი წინადადეგისა თუ წინადადეგების დაზუსტებასა თუ ახსნა-განმარტებას.

უხუცესი წოვათუშების მეტყველებაში მაიგივებული კავშირები საერთოდ არ გვხვდება. სათანადო სიტუაციაში ინმარებოდა გაიგივე-ბანე მორგებული გამოთქმა: **უდშტ** და, მე („ისე არის, რომ“)

მაგალითად:

1. აპ' ის ვაგო საქმ ჯეჩონ ვალბადდო, **უდშტ** და მე სოხ ცო თეშე.
„შენ მაგ დიდ საქმეს სხვას ავალებ, **ისეა რომ (ე.ი.)** მე არ შენდობი“.
2. ბაძსლეს ვალუხ წა დაპ'დესკო , **უდშტ** და მე ლატუენ ცომენა

გუდალქ.

„ბასილი ვალში სახლს ყიდის, **ისეა რომ (ე.ი.)** დამხმარე არავინ აღმოჩნდა“.

ბოლო დროს უკვე, წოვათუშურ-ქართული ზებილინგვიზმის პერიოდში, ახალგაზრდა წოვათუშთა მეტყველებაში ყოველგვარი ცვლილების გარეშე დამკვიდრდა ორივე ქართული მაიგივებული კა-ვშირი: ე.ი. და ანუ.

მაგალითად:

1. აპ' ბოლო ღროპ' ტელეფონმაქ ცო პამსხებადოგე სო , ე.ი. ღროპ' ეს გეწეს ჰ'ონი ყასტა .

„შენ ბოლო ღროს ტელეფონზე აღარ მებასუხები, ე.ი. ღროზევე უნდა ჩამოგ შორდე“.

2. ზორადშ მანო ალზაჰ'ალო მჯაღინო , ე.ი. ვან ლოჟმ ცო ბახმაკ . „ძალიან ყოფილა ალაზანი აღიდებულო, ე.ი. ხვალ ჩვენ ცხენებით მთაში ვერ ავალთ“.

3. მთაფრბას გადასახადი ოშტიჰ ჰ'ალო მჯაქ , ანუ ნახი ღარდ ცოპ'ანეჰ'ე ბაგ .

„მთაფრობამ გადასახადები ისევე გაზარდა, ანუ ხალხის ღარდი აღარვისა აქეს“.

§3. რთული ძველყოზილი წინადადების სინტაქსი

წოვათუშურში დღეს მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების ორი სისტემა მოქმედებს პარალელურად: საკუთარი და ქართულიდან შეთვისებული. ქართული სისტემა აქტიურია დღეს ამ ენაზე მოსაუბრეთა შორის, საკუთარი კი დავიწყებას ეძლევა სწორედ ხასესხები სისტემის ზეგავლენით.

ყველაზე დიდი თავისებურება დაქვემდებარების ძველი წოვათუშური სისტემისა მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნურ ფორმათა თუნქციურ ურთიერთმიმართებას ცალკე ანუ დამოკიდებელ სიტყვებად წარმოდგენილი კავშირები კი არ განსაზღვრავს, როგორც ეს ქართულში გვაქვს, არამედ ზმნის კონკრეტული დროის ფორმაზე დართული მაქვემდებარებელი სუფიქსები. თანამედროვე თუშურ ენაში აღნიშნული სახის მაქვემდებარებელ სუფიქსებზე დაყრდნობით ხდება ორგანიზება სამი სახის დამოკიდებული წინადადებისა, როგორცაა: დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და პირობითი დამოკიდებული წინადადება.

თანამედროვე წოვათუშურ ენაში წინადადებათა ქვეწყობის უძველესი მოდელი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სახითაა წარმოდგენილი, სადაც შემასმენლები გამოხატავენ არა დროს, არამედ მხოლოდ ასპექტს. როგორც ცნობილია, ზმნაში „დროის კატეგორიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ასპექტი“ (ჭუმბურიძე, 1986-წ). სწორედ ეს უძველესი ვითარებაა წოვათუშური ენის ქვეწყობ-

ბილი წინადადების მოცემულ სახეობაში შექმნასული.

ღრმის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას კონკრეტული ვითარების მიხედვით გამოხატავს ზმნის ფუძეზე დარტყლი ორი სხვადასხვა სუფიქსი: **-ჩე** და **-შ**. მათგან **-ჩე** დაერთვის ზმნის მხოლოდ სრულასაბეჭტიან ფორმებს და გამოხატავს მოქმედების სრულ ასაბეჭტს ღრმის გარეშე. შესაბამისად, მას შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ორი ღრმო: წარსული და მომავალი. აღნიშნული ორი ღრმიდან რომელია დამოკიდებული წინადადების კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატული, ზუსტდება მთავარი წინადადების ზმნის ღრმის მიხედვით: თუ მთავარი წინადადების ზმნის ღრმო წარსულია, დამოკიდებული წინადადების ზმნის ღრმო იშითრება, როგორც წარსული, ხოლო როცა მთავარი წინადადების ზმნის ღრმო მომავალია, დამოკიდებული წინადადების ზმნის ღრმოც მომავალია.

მაგალითად, შევადაროთ:

ა) ნიკო ვეც-ჩე, სო უდს ვარასო. (ღრმო წარსულია)

„ნიკო მოვიდა-როცა, მე იქ ვიყავი“

ბ) ნიკო ვეც-ჩე, სო უდს ხილუსო (ღრმო მომავალია)

„ნიკო მოვა-როცა, მე იქ ვიქნები“.

მოცემულ მაგალითებში ზმნის ერთი და იგივე ფორმა ვეც-ჩე პირველ მაგალითში ითარგმნა, როგორც წარსული ღრმისა, მეორე მაგალითში კი, როგორც მომავალი ღრმისა.

ანალოგიურ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების ღიად დარჩენილი ანლანდელი ღრმის ფორმებს აწარმოებს სუფიქსი-**შ**. საგარემოებო სუფიქსი - **შ** დაერთვის ზმნის მხოლოდ უსრულ ასაბეჭტიან ფუძეს, რის გამოც შეუძლია გამოხატოს მხოლოდ ანლანდელი ღრმო, ან წარსული ღრმის უსრულასაბეჭტიანი ფორმები.

მაგალითად, შევადაროთ:

ა) დად სამსოუხრელქ ვალო-შ, ას ჩუჰ ბჭარინოს (ანლანდელი ღრმო).

„მამა სამსახურიდან მოდის-როცა, მე შინ ვხვდები“.

ბ) დად სამსოუხრელქ ვალო-შ, ას ჩუჰ ბჭარინრას, (წარსული ღრმო).

„მამა სამსახურიდან მოდიოდა-როცა, მე შინ ვხვდებოდი ხოლმე“.

დასახელებულ **შ**-სუფიქსიან დამოკიდებულ წინადადებებში ზმნის ღრმის თვალსაზრისით იგივე ვითარება გვაქვს, რაც ზემოთ ჩე-სუფიქსიან დამოკიდებულ წინადადებებში დადასტურდა. დანარჩენი ორი სახის დამოკიდებულ წინადადებაში ანუ მიზეზის გარემოებითსა და

პირობითს დამოკიდებულ წინადადებებში აღნიშნული თვალსაზრისით ვითარება შედარებით მარტივია, რადგან საგარემოებო სუფიქსები აქ უკვე ზმნის გარკვეული დროის მზა ფორმებს დაერთვის და აღარ ხდება საჭირო დამოკიდებულო წინადადების ზმნის დროის შედარება-გათანაბრება მთავარი წინადადების ზმნის დროსთან. მოცემულ შემთხვევაში დამოკიდებულო წინადადების ზმნის საყრდენი ფუძის საკითხში არსებული ეს პრინციპული განსხვავება ამკარად გვიჩვენებს, რომ სახეზეა წოვათუშური ენის განვითარების შედარებით გვიანდელი საფეხურის მოვლენა.

მიხედვის გარემოებითი შინაარსის დაქვემდებარებას უკვე ზმნის კონკრეტული დროის ფორმაზე დართული სუფიქსი – ჩუდ გამონატავს. შევადაროთ:

ა) ზმნის კონკრეტული დროის უსუფიქსო ფორმები:

1. ახლანდელი დრო: **მელ'ჩ** „სვამს“.
2. მომავალი დრო: **მალ'ჩ** „დალევს“.
3. წარსული დრო: **მალ'ქ** „დალია“.

ბ) კონკრეტული დროის დაქვემდებარებულ სუფიქსიანი ფორმები იმავე ზმნებისა:

1. ახლანდელი დრო: **მელ'ჩ-ჩუდ** „სვამს-რადგან“.
2. მომავალი დრო: **მალ'ჩ-ჩუდ** „დალევს-რადგან“.
3. წარსული დრო: **მალ'ქ-ჩუდ** „დალია-რადგან“.

მაგალითად:

1. დუჯ ვე **მალ'ქ-ჩუდ**, ილიკო ზორაში დაპ' ვახი.
„ბევრი ღვინო **დალია-რადგან**, ილიკო ძალიან დათვრა“;
2. დუჯ ვე **მელ-ჩუდ**, ილიკო პ' აშელ ცოჰანე ვეხო.
„ბევრს **სვამს-რადგან**, ილიკოს სტუმრად არავინ ეპატიჟება“.

ფორმაწარმოების ანალოგიური მოდელი გვაქვს პირობითი დამოკიდებულო წინადადების შემთხვევაშიც: საყრდენს აქაც ისევ ზმნის კონკრეტული დროის ფორმა წარმოადგენს, დაქვემდებარებულ სუფიქსებად კი გვხვდება **-პ'**, **-პ'ერ** და **-ჩეპ'ერ**. ჩამოთვლილთაგან თითოეული სუფიქსი გარკვეული ნიუანსით განსხვავებულ პირობას გამოხატავს, რაზეც არის დამოკიდებულო მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება. თუ შეუსრულებლობა სუფიქსი „**-პ'**“ შინაარსით ქართული პირობითი დამოკიდებულო წინადადების „**თუ**“ კავშირს უტოლდება, „**-პ'ერ**“ ისევ ქართული „**რომ**“ კავშირის

ფუნქციას ასრულებს, „ჩეპ“ კი რთულია და გაერთიანებული „თუ“ და „რომ (თუ რომ)“ კავშირების ფუნქცია აქვს.

გვაქვს, მაგალითად:

1. ნანას დავალბადმო-ჭ' სოხ, ის საქმე უეჭველათ ჰ'ალო თაგდოს.
„დედა დამავალბებს-თუ, მაგ საქმეს უეჭველად გავაკეთებ“

2. ლაზი ამინდუდ დისუ-ჭ'ერ, ვენჯეე მაჯო მოსავალ მაღინარათვან.
„კარგი ამინდები დარჩებოდეს-რომ, ვენახი დიდ მოსავალს მო-
გვცემდა“.

3. ლაზი ამ დი-ჩეპ'ერ, ნინუენ უნივერსიტეტი სტიპენდია დანიშ-
ნოდენდარ.

„კარგად ისწავლიდეს-თუ რომ, ნინოს უნივერსიტეტში სტიპენ-
დიას დაუნიშნავდენ“.

მაგალითების გამოწვლილვით განხილვა-შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული და დასრულებული სისტემა ქვეწყობისა, ეს მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების დიდი ხნის წინ დაწყებული, მაგრამ დაუშთავრებული ნაგებობაა, რომლის შემდგომ სრულქმნასა და გაფართოებას ხელი შეუშალა მოძალეებულმა, ქართული ენის მზა, ყოფლისმომცველმა სისტემამ.

ქართულში დღეს ჩამოყალიბებული რაფინირებული სისტემა გვაქვს წინადადებათა ქვეწყობისა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება წოვათუშური ენის ქვეწყობის სისტემისაგან. წოვათუშური ენის ერთ მაქვემდებარებელ სუფიქსში მოქცეული ზიარი ფუნქციები კავშირისა და კორელატისა ქართულში მათემატიკური სინუსტით არის გადაწვლილებული ორ დამოუკიდებლად წარმოდგენილ სიტყვას შორის, კერძოდ, კავშირისა და მისამართ წევრს შორის. წინადადებათა დაქვემდებარების წოვათუშური ენის სისტემას დროის გარემოებით დამოუკიდებელი წინადადების შემთხვევაში გარკვეულწილად ართულებს აგრეთვე დროის მიხედვით დასაკონკრეტებელი ზმნის ასპექტის ფორმებიც.

აღნიშნული სრულყოფილი წოვათუშური ენის წინადადებათა ქვეწყობის სისტემისა, ცხადია, რომ აზროვნებისა და მეტყველების პროცესში დაბრკოლებას ვერ შეუქმნის მას, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია და ბავშვობიდან ფლობს. თუ შურისათვის, როგორც ზეპირი ენისათვის, მოცემულ შემთხვევაში უპირატესობას ქმნის ის გარემოებაც, რომ წარმოსათქმელად საჭირო დროისა და ენერჯის თვალსაზრისით ქართულთან შედარებით მისი საკუთარი სუფიქსიანი სისტემა დაქვემდებარებისა გაცილებით უფრო მოკლეა და კომპაქტური. ეს ყველაფერი

ზოგადი თეორიის სფეროა და ინტერფერენტულ პროცესებთან კავშირი, ცხადია, ნაკლებად აქვს. თუქტები ცხადყოფს, რომ ხანგრძლივი ცალმხრივი ორენოვნების დროს ბოლოს ყოველთვის იმარჯვებს წყაროების გრამატიკული მოდელი.

მოცემულ შემთხვევაში ქართული ენის გავლენას ხელი შეუწყო იმ გარემოებათა, რომ წოვათუშურში ქვეწყობის სისტემის ქმნადობის პროცესი არაა დამთავრებული და წინადადებათა დაქვემდებარების სამი სახეობა გვაქვს მხოლოდ, მაშინ როდესაც ქართულში ეს პროცესი დიდი ხნის დამთავრებულია და დამოკიდებული წინადადების სახეობათა რიცხვი 15-ს უდრის. გვაქვს:

1. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება;
2. პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადება;
3. ობიექტური დამატებითი დამოკიდებული წინადადება;
4. უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება;
5. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება;
6. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება;
7. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება;
8. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება;
9. მიხედვის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება;
10. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება;
11. შემასმენლოური დამოკიდებული წინადადება;
12. პირობითი დამოკიდებული წინადადება;
13. დათმობითი დამოკიდებული წინადადება;
14. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება;
15. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება.

დამოკიდებული წინადადებების სახეობათა მოცემული ჩამონათვალიდან დასაწყისის პირველი თერთმეტი სახეობა მთავარი წინადადების რომელიმე კონკრეტული წევრის როლს ასრულებს, ან კიდევ ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებულადაც და არც მიმართებითი ნაცვალსახელები თუ ზმნიზედები დამოკიდებულ წინადადებაში. დაქვემდებარებითი ურთიერთობის მთელ სპექტრს ამაჯერად სპექტრული დაქვემდებარებითი კავშირები გამოხატავენ. ბუნებრივია, რომ მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებს მთავართან სხვადასხვა დაქვემდებარებითი კავშირები აერთებს, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან ქართულში გვაქვს საინტერესო გამოკლისიც, ანუ ისეთი კავშირები, რომელიც ყველა სახის დამოკიდებულ

წინადადებასთან ინმარება – ესაა კავშირი **”რომ”**. ცხადია, ამ მიზეზით ის ყველაზე გაფრცხვლებული მაქვემდებარებელი კავშირია ამ ენაში.

ხანგრძლივი ორენოვნების მანძილზე წოვათუშურმა ენამ საოცარი სიზუსტით გადმოიტანა თავის სინტაქსში მარტივ წინადადებათა დაქვემდებარების მთლიანი ქართული სისტემა. დამოკიდებულ წინადადებათა ზემოთ ჩამოთვლილი ხუთმეტე სახეობიდან მეტ-ნაკლები სიხშირით დღეს ყველა გვხვდება ამ ენაში. საამისოდ მან საკუთარ ლექსიკურ ინვენტარზე დაყრდნობით თარგმნა და ზედმიწევნით მიუსადაგა ქართული ენის ქვეწყობილი წინადადების კორელატებსა თუ მიმართებით ნაცვალსახელებსა და ზმინზედებს საკუთარი ლექსიკური ერთეულები. რაც შეეხება საკუთრივ მაქვემდებარებელ კავშირებს, საკუთარი აქვს მხოლოდ ერთი: **ცოპ’ეკ** (თორემ), ყველა დანარჩენი ნასესხებია, ესენია: **რაკი, თუკი, გინდაც, მითომ, სანამ, მა (რომ), მე, მაგრამ**.

თვალსაჩინოებისათვის დაგასახელებთ თუშური ენის რამდენიმე ქვეწყობილ წინადადებას სხვადასხვა სახის დამოკიდებულებით.

მაგალითად:

1. ქვემდებარული დამოკიდებულები წინადადება:
– ბაცბილო დანოქსთეუ ლეველორ, **მე** დადას ბადერ ადრკ ხაყდორალრ .
„წოვათუშებში დიდი სირცხვილი ყოფილიყო, **რომ** მამას შვილი კალთაში ჩაესვა“.
2. ობიექტებითი დამოკიდებულები წინადადება:
– ას დაროკო ნოუენ ხუქბადოს სქეგანრ , **პ’ანე** დაკრეშხატრ პ’ალრ .
„მე მარტო იმას ვაჩუქებ ჩემ წიგნს, **ვინც** გულდასმით წაიკითხავს“.
3. ადგილის გარემოებითი დამოკიდებულები წინადადება:
– ცომ დაცმაკპ’ოქსი, **მინჰ’ე** ცომ დივენდნ .
„ვერაფერს მოიპკი იქ, **სადაც** არათერი დავითესავს“.
4. შემასმენლოური დამოკიდებულები წინადადება:
– პ’ოოვაპ’რ, **გაჭირბა მე** ქოლატდირასოქ .
„შენ ისა ხარ, **გაჭირვებაში რომ** ხელი შემაშველო“.
5. პირობითი დამოკიდებულები წინადადება:
– ზორადშხანბადოპ’, **თუკი** დენიყდრო სწავლოენ ცო მოქმარბადლო .
„ძალიან ინანებ, **თუკი** მთელ დროს სწავლას არ მოახმარ“.

გარდა ჩამოთვლილი ერთდამოკიდებულებიანი ქვეწყობილი წინადადებებისა, ხშირია ქართულში თანმიმდევრული დაქვემდებარების შემთხვევებიც, როცა მთაფრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისი დამოკიდებულები, ამას თავისი და ა.შ. აქტიურ მიმოქცევაშია

აგრეთვე შერეული სახის რთული წინადადებაც, სადაც ერთდროულად თანწყობაც გვაქვს და ქვეწყობაც. მოცემულ შემთხვევაში ვითარებას ამარტივებს ის გარემოება, რომ მარტივი თუ თანამიმდევრული დაქვემდებარებისა თუ რთულ წინადადებაში ერთდროული თანწყობა-ქვეწყობის შემთხვევებს მარტივი წინადადებების ერთმანეთთან კავშირიანის მისაღებების ერთი და იგივე სინტაქსური კანონები წარმართავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ორენოვნების ბოლო სათესურზე წოვათუშურ ენაში საკმაოდ ხშირად შევხვდებით აგრეთვე მარტივ წინადადებათა თანამიმდევრული დაქვემდებარებისა თუ შერეული სახის რთულ წინადადებათა მაგალითებს, სადაც ერთდროულად თანწყობაც გვაქვს და ქვეწყობაც.

მაგალითად:

1. თანამიმდევრული დაქვემდებარება:

- გაკვირბად მადონო მისქსო , მაცნე ოჯხე ომტუ ნახ ბჰარდახქ სო , ჰ'ანხინ ბჰ რიდბალარას, რა კი ოჯარხ დუჯ მოსქ ვუმ ხაწენდარსო, ვუხე დაჰ' ცოჰ'ანე ლექყდოგერ.

„გაკვირვებული დაფრჩი, როცა ოჯახში ისეთი ხალხი დამხვდა, ვისაც სულ ვერიდებოდი, რა კი იმათზე ბევრი ცული გამეგონა, რასაც აღარავინ ძალაფდა“.

2. გვაქვს ერთდროული თანწყობა-ქვეწყობა:

-თხა და წყეგეს მასქ მდგომარეობა ვადმატგო დახეც, მქ ყონხე მშნ ახნაყ ცო მაკეგქ ვადღე მამბუდ და, ჰ'ანნ მქ ვითომ ჯეთე , ვაჰ მოტ ჯეხნადრათ დუჯ მეცდომი შეგებდო.

„დღესა აქვს ნამეტნავად მძიმე მდგომარეობა ჩვენს ენას იმიტომ, რომ ნახევარსაც აღარ შეუძლია ჩვენებურად ლაპარაკი, ისინი კი, ვინც ვითომ იციან ჩვენი ენა, ძალიან ბევრ მეცდომას უშეგებენ“.

დამოწმებულითაგან პირველ მაგალითში მთავარს თანამიმდევრულად უერთდება ოთხი დამოკიდებული წინადადება, მეორე მაგალითში კი გვაქვს თანწყობის გზით შეერთებული ორი წინადადება, რომელთაც თითო დამოკიდებული ახლავთ.

ცხადია, უცხო ენიდან წინადადებათა ურთიერთმიმართების ამხელა სისტემის ასეთი სიზუსტით გადმონერგვა გავლენის ყველა სათესურის თანდათანობითი გავლით უნდა მომხდარიყო. წოვათუშური ენის დამწერლობის უქონლობა არ იძლევა საშუალებას დავა კონკრეტოთ აღნიშნული პროცესის ხანგრძლივობა. ვარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამ მხრივ ის გარემოება, რომ არცერთ წოვათუშურის უახლოესად მონათესავე ენას წინადადებათა ქვეწყობის ეს კავშირიანი სისტემა არა აქვს.

ვფიქრობთ, ამ მხრივ გარკვეული ინფორმაციის მოცემა შეუძლია წოვათუშური ენის მაქვემდებარებელ კავშირს – „მე“-ს, რომელიც, ჩვენი აზრით, ქართულიდან ნასესხები „რომ“ კავშირი უნდა იყოს. განვითარების ადრინდელ საფეხურზე, ანუ ე.წ. ძველ ქართულში (V-X საუკ.) ის „რომელ“ სახით იმპარებოდა, საშუალო-ქართულში (XI-XVIII საუკ.) „რომე“ სახეს ატარებდა, ბოლოს კი ახალ ქართულში (XIX-XXI საუკ.) უმოკლესი „რომ“ სახით დაკვიდრდა. მიგვაჩნია, რომ შესაბამისი „მე“ კავშირი თუშურში მხოლოდ „რომე“-დან შეიძლება მიგველო მისი შემოკლებული სესხების გზით, ანუ ეს მოხდა XI-XVIII საუკუნეების რომელიღაც მონაკვეთში. (აქ ანალოგიური ვითარება გვაქვს, კავშირი „მაგრამ“, „მა“-ს სახით რომ ისესხა ენამ).

მისი სესხების საჭიროება უნდა გამოეწვია ქართულ ენაში „რომ“ კავშირის განსაკუთრებულ აქტიურობას. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის წყარო ენის თითქმის ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება; ხუსტად ასეა დღეს წოვათუშურშიც, რის გამოც მიგვაჩნია, რომ სწორედ „მე“ (რომ) კავშირზე დაყრდნობით დაკვიდრდა თუშურში ქვეწყობილი წინადადების ქართული მოდელი. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი ინტერფერენტული სიახლის სათავე თავისი რიგი გარდამავალი საფეხურების გათვალისწინებით XVIII საუკუნეზე ბევრად ადრეა საგულგებნელი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს წოვათუშურ ენაში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს მარტავ წინადადებათა დაქვემდებარების ორი ერთმანეთისაგან დამეტროლად განსხვავებული სისტემა: საკუთარი და ქართულიდან ნასესხები, ანუ ინტერფერენტული პროცესების შემოტანით. წოვათუშური სისტემა დაქვემდებარებისა განგებო მაქვემდებარებელ სუფიქსებს ეფუძნება, ქართულში კი იგივე სისტემა დამოუკიდებელ სიტყვებად წარმოდგენილ მაქვემდებარებელ კავშირებზეა აგებული.

ინტერფერენტულ პროცესთა სიღრმისა და მასშტაბების თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას წარმოგვიჩენს ბილინგვუთა ასაკობრე დონეებზე დაკვირვება მშობლიურ ენაზე მეტყველებისას წინადადებათა დაქვემდებარების აღნიშნული ორი განსხვავებული სისტემის გამოყენების სინშირის მიხედვით. საკითხის გამოწვლილვითა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ე.წ. ასაკოვანი ანუ 50 წელზე მეტი ხნოვანების ბილინგვები ზემოთ ჩვენს მიერ დახასიათებული დროის გარემოებით-სა, მიზეზის გარემოებითსა და პირობითი ხასიათის დაქვემდებარებას წინადადებისა დღემდე მხოლოდ მაქვემდებარებელი სუფიქსებით

გამონატავენ, ახალგაზრდები ანუ 50 წელს ქვემოთ ასაკისები მხოლოდ ქართული ანუ დამოუკიდებელ კავშირთან სისტემით სარგებლობენ.

იმ გარემოებაში, რომ ბოლო პერიოდის ახალგაზრდობამ ქართული ენა ბევრად უკეთ იცის, ვიდრე მშობლიური ენა, ფართოდ გაუხსნა გზა ქართულ სინტაქსს წოვათუშური ენის სინტაქსის ადგილას ჩასანაცვლებლად. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი აქტიური, წამლეკველი ზეგავლენა ქართულ ენის სინტაქსისა წოვათუშური ენის სათანადო სისტემაზე ზედიღონგვიზმის პერიოდს, ანუ ბოლო 50-წლეულს ეკუთვნის.

დასკვნა

1) წოვათუშურ-ქართული ორენოვნება მკვეთრად გამონატული ცალმხრივ მიმართული ინტერფერენტული პროცესების სამოქმედოა: ქართული ენა წყაროა გავლენისა, წოვათუშური კი – ობიექტი. წოვათუშების უძრავლესობამ დღეს ქართული უკეთ იცის, ვიდრე თავიანთი მშობლიური ენა; ბევრ ოჯახში ქართული აკვების ენადაც იქცა, ქართველებმა კი წოვათუშური საერთოდ არ იციან. ორენოვნების კოლექტიური ხასიათი, წყაროების ცოდნის მაღალი დონე, კოდინდან კოდზე გადართვის დიდი სიმძირე, ქართული ენის კულტურულ-პოლიტიკური პრესტიჟი, უთანასწორობა დამწერლობის მხრივ, უკიდურესი კონტრასტი ამ ენებზე მოუბართა რიცხვობრივ თანათუარდობაში და მოძალეული შერეული ოჯახები – აი, არასრული სია იმ ხელშემწყობი ფაქტორებისა, რამაც განსაზღვრა მოცემული ორენოვანი სიტუაციის ხასიათი.

მნელია მონახოს ინტერფერენტულ პროცესთა წარმმართველი ფაქტორების სხვა უფრო ხელსაყრელი ერთობლიობა, რომელიც ასეთ ოპტიმალურ პირობებს შექმნიდა ცალმხრივი, ღრმად გამჭოლი და შეუქცევადი გავლენისათვის, როგორც ეს წოვათუშურ-ქართული ორენოვნების შემთხვევაში გვაქვს. საკვლევ რეგიონში თავისებური მინიატურული მოდელია წარმოდგენილი მსოფლიო ენათა კონტაქტების გლობალური პროცესებისა, რომელთა მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპები საშუალებას იძლევა თვალი გავადღეგნოთ ცალკეულ ინოვაციათა გავრცელების დინამიკას დაწყებიდან დასასრულამდე და დასაბუთებული პასუხი გავცეთ ზოგადი ლინგვისტიკის რივ სადავო კითხვას.

2) წოვათუშურ-ქართულმა ორენოვნებამ განვითარების ოთხი საფეხური განვლო:

1 – სუსტად განვითარებული ინდივიდუალური ორენოვნების პე-

რიოდი წყარო ენის ცოდნის დაბალი დონით;

II – სუსტად განვითარებული კოლექტიური ორენოვნების პერიოდი წყაროენის ცოდნის ისევე დაბალი დონით;

III – საყოველთაო კოლექტიური ორენოვნების პერიოდი იდეალური ბილინგვიზმით;

IV – საყოველთაო ორენოვნების ბოლო პერიოდი უკიდურესად განვითარებული ბილინგვიზმით ე.წ. ზებილინგვიზმით, როცა წყაროენის ცოდნა მშობლიურიენის ცოდნას აღემატება.

ორენოვნების პერიოდების მიხედვით იცვლებოდა ორენოვნების ხასიათი და უცხო ენის ცოდნის დონე, პარალელურად კი სულ უფრო მეტ განფენილობას იძენდა უცხო ენობრივი გავლენის პროცესები, იზრდებოდა ინტერფერენციის მასშტაბები და სიღრმე. პირველსა და მეორე პერიოდებში გავლენა ძირითადად ლექსიკურ ქსოვილს ეხებოდა, მესამე და მეოთხე პერიოდებში კი ინტერფერენცია მოედო წოვათუშური ენის მთელ ჰორიზონტალურ ჭრილს

3) წყაროენის გავლენა, როგორც ყველგან, წოვათუშურშიც ლექსიკით დაიწყო. ორენოვნების პირველ პერიოდში დაწყებული “თეთრი ლაქების” ანუ ცარიელი ადგილების შემაღსებელი ცალკეული სიტყვების სესხების მოკრძალებული პროცესი მომდევნო პერიოდებში უცხო სიტყვათა არნახული მოძალებით შეიცვალა. მომხდარზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ის გარემოება, რომ ორენოვნების ბოლო პერიოდში წოვათუშური ენის ლექსიკურ ფონდში რეალიზებული 5808 ერთეულიდან თითქმის ნახევარი (2143 სიტყვა) ქართულია, ან ქართულის გზითაა შემოსული.

4) ლექსიკური გავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტივობა ახასიათებს IV პერიოდს, ანუ ე.წ. ზებილინგვიზმის ხანას. ამ დროს წოვათუშური ენის საკუთარი ფონდის სიტყვებზე წამლევავ გავლენას ახდენს მშობლიურისაზე უფრო აღმატებული ცოდნა ქართული ენისა და მისსივით მალალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესტიჟი. ორენოვნების აღნიშნული პერიოდის უდიდეს თავისებურებას წარმოადგენს ადგილობრივი სიტყვებისათვის წყარო ენის იმავე მნიშვნელობის სიტყვათა ინტენსიური მისადაგება პარალელური გამოყენებისათვის. ეს ლექსიკურ ნასესხობათა უახლესი თავისებური ფენაა და მას ლექსიკური პარალელიზმების სახელით აღვნიშნავთ. ასეთი პარალელის შექმნა დროთა სვლაში ადგილობრივი სიტყვის არქაიზაციას იწვევს და მისი უცილობელი დაკარგვის გზაზე დადგომას ნიშნავს. საეულისნმთა, რომ ქადაგიძეების ლექსიკონის 3666 საკუთრივ წოვათუშური სიტყვიდან

2565 ერთეულს პარალელური გამოყენების უფლებით უკვე ამოუდგა გვერდით იმავე მნიშვნელობის ქართული სიტყვა.

5) ენის მობილურობისა და გამძლეობის თვალსაზრისით მრავლის-მეტყველია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი სიტყვების უცხო პარალელ-ლიზმებით შეცვლის მოძალბებულ ტენდენციას გადაუღახავ ბარიერს უქმნის წოვათუშური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ყველაზე ხში-რად ხმარებულ სიტყვათა საკმაოდ დიდი ფენა. ახლაც კი, ორენოვნების ბოლო პერიოდში, როცა უკვე დაწყებულია ქართულ ენაზე ბილიგვთა გადართვის შეუქცევადი პროცესი, ქადაგიძეთა ლექსიკონში შესული 1080-მდე წოვათუშური სიტყვა ყოველგვარი ლექსიკური პარალელის გარეშე რჩება. წოვათუშური ენის აღნიშნული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილ დებულებას იმი შე-სახებ, რომ “ყველა ენაში გამოიყოფა ლექსიკის გარკვეული ფენა, რომე-ლიც სესხების პროცესისადმი თავისი მდგრადობით მეტოქეობას უწევს ფუნქციკისა და მორფოლოგიის ყველაზე მდგრად ელემენტებს.”

6) ლექსიკური პარალელიზმების გზით სიტყვათა სესხების თით-ქოსდა უმართავ პროცესს გარკვეული კანონზომიერება უჩანს, რაც ნა-თელი ხდება, როცა მეტყველების ნაწილებს ნასესხობათა თვალსაზრი-სით ვიხილავთ. ამ დროს თვალსაჩინოდ ვლინდება ენის ლექსიკური ფონდის სისტემური ხასიათი, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში იმით გამოიხატება, რომ პარალელიზმებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი ორენოვნების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირი ღიაო-ბით იგუეებს. მაგალითად ნაცვალსახელი და თანდებული სესხებისათვის დღემდე მთლიანად ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ, არსებითმა სახელებმა კი ყველაზე ადრე და ყველაზე ფართოდ გაუხსნეს გზა საკუთრივ ნასესხობებსაც და პარალელიზმებსაც.

7) წოვათუშურში დადასტურდა ლექსიკურ ნასესხობათა ყვე-ლა ტიპი, რაც კარგად არის ცნობილი ზოგად ლინგვისტიკაში. გვაქვს ნასესხები სიტყვებისა და შენაცვლებული ნასესხობების ორივე კლასი სათანადო ქვეჯგუფებით, რომლებსაც ქმნიან საკუთრივ ნასესხები სიტყვები, ჰიბრიდული ნასესხობები, კალკები და გაფართოებული ნასესხობები. წოვათუშურ-ქართული ორენოვნების ბოლო პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით ლექსიკურ ნასესხობათა ჩამოთვლილ ქვე-ჯგუფებს უხდა მიემატოს კიდევ ერთი ქვეჯგუფი, რომელსაც “დავი-წროებული” ნასესხობები შეგვიძლია ვუწოდოთ. მხედველობაში გვაქ-ვს საკმაოდ ხშირი შემთხვევები როცა ხდება მსესხებელი ენის სიტყვათა მნიშვნელობის დავიწროება და გამოდევნა ზოგიერთი კონტექსტიდან

წყარო ენის სათანადო სიტყვათა შინაარსთან არსებული “მეტობის” გავლენით. ასეთი მეტობით გამოწვეული დაკარგვა სპეციფიკურია იმ მხრივ, რომ უმუალოდ არის დაკავშირებული წყაროენის სააზროვნო მოდელის სტრუქტურასთან და დამახასიათებელია ორენოვნების მხოლოდ მაღალი დონისათვის.

8) ინტერფერენცია ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე ზუსტი კანონზომიერებით ვითარდება და ამ მხრივ გამოხატვის არც ფონოლოგიური სისტემა ქმნის. სანამ ორენოვნება ინდივიდუალურია და დაბალია წყარო ენის ცოდნის დონე, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიან ანუ ასწორებენ ნასესხები სიტყვების ბგერითს გარსს. წოვათუშური ენის ფონოლოგიურ კანონებსა და ორენოვნების საწყის სტადიაზე ნასესხები სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის წესებს შორის ზუსტი შესატყვისობა დგინდება. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა განსხვავებამ, რაც ამ ორი ენის სიტყვათმოდლეებსა და ბგერათა განაწილების წესებში დასტურდება თავი იჩინა სიტყვათა სესხების პროცესში.

ის ზედმიწევნითი სიზუსტე რითაც ნასესხები სიტყვები ორენოვნების დასაწყის საფეხურებზე ექცევიან მსესხებელი ენის საკუთარ სიტყვათა ფონოლოგიური მოდელის გავლენაში, იძლევა საფუძველს დაუვასკენათ, რომ კონტაქტში მყოფი ენების ფონოლოგიური მოდელების შეპირისპირებით წინასწარ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ნასესხები სიტყვების ბგერით გარსში მოსალოდნელი გარდაქმნები, მეორე მხრივ კი ამ გარდაქმნების მიხედვით შეიძლება საკმარისი სიზუსტით აღვადგინოთ მსესხებელი ენის ფონოლოგიური სისტემა.

9) საეულისხმოა, რომ ინდივიდუალური თუ სუსტად განვითარებული კოლექტიური ბილინგვიზმის პირობებში ნასესხები წოვათუშური ენის ფონოლოგიურ სისტემაზე აწყობილი ქართული სიტყვების ბგერითი გარსი აქტიური კოლექტიური ორენოვნებისა თუ ზედილინგვიზმის პერიოდებში კონტაქტის შემჭიდროებასთან დაკავშირებით ხელახლა იცვლება ახლა უკვე წყარო ენის ფონოლოგიური სისტემის მიხედვით. ცვლილება თანდათანობითია და მისი საფეხურებრივი ხასიათი კარგად ჩანს ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა დროს შესრულებულ ნასესხობათა მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელად დატოვებული ფორმების ფონზე. ასეთი ფორმები ზოგჯერ ერთდროულადაც გვხვდება წოვათუშურ ენაში, როგორც ერთი და იმავე სიტყვის სინონიმური და ფორმალური პარალელიზმები.

10) ორენოვნების ბოლო საფეხურებზე, როცა უცხო ენის ცოდნის დონე მშობლიურისას უტოლდება, ან უკვე აღემატება მას, ნასესხებ სიტყვათა ბგერითი მოდელების შეფასება უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ხდება: თუ ადრე ნასესხებ სიტყვათა ამოსავალსა და ადაპტირებულ ფორმებს შორის კავშირი შეიძლებოდა თითქმის ნულამდე შემცირებულიყო, ახლა დღის წესრიგში მისი სრული შენარჩუნების მოთხოვნა დგება. აქედან გამომდინარე მსესხებელი ენის ფონოლოგიურ სისტემაზე წყარო ენის სათანადო სისტემის გავლენის საკითხების რამდენადმე სრული განხილვა ნიშნავს ხელახლა მიეუბრუნდეთ უკვე ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის ყველა განხილულ წესს და დავსვათ თითოეული მათგანის უკუგანვითარების საკითხი. წოვათუ შური დღეისათვის უკვე დაირღვა ნასესხებ სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა სავალდებულო მოთხოვნა.

11) ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზებილინგვიზმის დროს უხვად მოძალებულ ლექსიკურ ნასესხობებს და უცხო სიტყვათა ბგერითი გარსის უცვლელად შენარჩუნების წამლეკავ ტენდენციას სათანადო შედეგები არ მოჰყოლია მსესხებელი ენის საკუთარ სიტყვათა ფონოლოგიურ მოდელებში. ამჯერად წოვათუ შური ენის ლექსიკაში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს ორი ფონოლოგიური სისტემა: ერთი მსესხებელ ენას ეკუთვნის და მის საკუთარ სიტყვებში ფუნქციონირებს დღემდე, მეორე კი წყაროენისა და ნასესხებ სიტყვებში წარმოდგენილი.

12) ინტერფერენცია, რომელიც ინდივიდუალური ორენოვნების პირობებში ლექსიკური გავლენით შემოიფარგლა, კოლექტიური ორენოვნების დროს უკვე ენობრივი იერარქიის მაღალ დონეებზე ფიქსირდება. ლექსიკური ერთეულების სესხებით დაწყებული "უვნებელი" გავლენა წყაროენისა ზებილინგვიზმის პირობებში მსესხებელი ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოდელებზე იერიშიში გადაინარდა. მოცემულ შემთხვევაში საეულისხმოა ის გარემოება, რომ უცხოენობრივი გავლენის პროცესებს გრამატიკის ამ სფეროშიც კონტაქტში მყოფ ენათა გაერთმინებელიანების იგივე ზოგადი კანონზომიერება წარმართავს, რაც ფონოლოგიისა და ლექსიკის სფეროში დაფიქსირდა: ხდება მსესხებელ ენაში წყაროენასთან შედარებით გრამატიკული კატეგორიების რაოდენობისა თუ მათივე გამოხატვის თვალსაზრისით არსებული სხვაობის მოშლა "ცარიელი" ადგილების შევსებისა თუ "მეტობის" მოხსნის გზით.

13) ქართული ენის მორფოლოგიური სისტემის ფონზე წოვათუ შური ენის ბრუნვათა პარადიგმაში ერთადერთ დიობს ანუ ცარიელ

ადგილს ქმნის წოდებითი ბრუნვის მარკირებული ფორმების უქონლობა. ლიობი მოცუულ შემთხვევაში ნაწილობრივია, რადგან ის მდგომარეობას სახელობითისაგან მიმართვის ფორმათა მხოლოდ გარეგნულ განურჩევლობაში, გამოყენების თვალსაზრისით კი იმავე სახელობითის ფორმებისაგან მათ გამოარჩევს საგანგებო პაუზა, გაძლიერებული მხვილი და განსხვავებული მიმართება წინადადების წევრებთან. წოვათუშურმა ენამ მთელი ორი საუკუნის წინათ უკვე სცადა ქართულიდან ამ ბრუნვისათვის სათანადო აფექსის სესხება, ეს იყო ხმოვანი - **თ**, რასაც შედეგად მოჰყვა წოდებითი ბრუნვის ფორმალური გამოყოფა დანარჩენი ბრუნვებისაგან. მიუხედავად აღნიშნულისა, ძალიერე იმპლაფრა ამ ენის საკუთარმა მორფოლოგიურმა მოდელმა, მიმართვის **ო**-ფორმანტიანი ფორმები სახელობითში აიტანა, რითაც ნასესხები ბრუნვის ნიშანი სიტყვასაწარმოებელ სუფიქსად აქცია და სესხების პროცესი შეწყდა.

14) წოვათუშური ენის სახელთა ბრუნების სისტემაში ერგატის ორი განსხვავებული **ს** და **ჯ** ფორმანტებით აღამიანისა და ნივთის კლასის სახელთა დაბრუნება მეტობა აღმოჩნდა წყაროენასთან მიმართებით, სადაც ეს დაბრუნება მოხსნილია და ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე სუფიქსი ფუნქციონირებს. დღეს, ორენოვნების ბოლო პერიოდში, სხვადასხვა ასაკის ბილინგვათა წოვათუშური მეტყველების თავისებურება სწორედ ერგატის აღნიშნული სუფიქსისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში ვლინდება. იმის გამო, რომ შეგნებული აქტივობა პირის სახელთა პრეროგატივაა, მოქმედების არეს იფართოვებს აღამიანის კლასის სახელთა ფორმანტი **ს**, რაც ჩვეულებრივი პარალელური ფორმების გამოყენების წესით ხორციელდება. სახეზეა წყაროენის გავლენით მსესხებელი ენის მორფოლოგიაში არსებული მეტობის მოხსნის ტიპური შემთხვევა.

15) ქართული და წოვათუშური ენების სახელთა მორფოლოგიაში მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტთა რაოდენობრივი შეფარდება, ანუ წოვათუშურის მხარეს არსებული მეტობა: ქართულში ამ ფუნქციას ერთი ფორმანტი ასრულებს, წოვათუშურში კი სხვადასხვა რიგის სახელებთან ასეთი ფორმანტების რაოდენობა ათსა და უფრო მეტს აღწევს. როგორც კანონზომიერი შედეგი ასეთი მეტობისა, წოვათუშურში განზოგადებას იწყებს რიცხვის ერთადერთი ფორმანტი **მ**, რომელიც წყაროენიდან კი არ ისესხა წოვათუშურმა, არამედ შეარჩია საკუთარი ფორმანტებიდან, როგორც ყველაზე მარტივი და ფოხლოლოგიურად ყველაზე შეთავსებადი, დანარჩენი ფორმანტები კი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.

16) წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიაში წყაროენასთან შედარებით არსებული მეტობის მოხსნის საინტერესო შემთხვევა გვაქვს მაშინაც, როცა კოლექტიური ორენოვნების პერიოდში უკვე სათავე დაედო მამაკაცისა და ქალის ცალკე-ცალკე არსებულ სახელთა კლასების ადამიანის ახალ ერთ საერთო კლასად გაერთიანების პროცესს. ცვლილება ჯერჯერობით მხოლოდ საზოგადო სახელებს შეეხო და აქედანაც მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს, რომელში გაწევრიანებაც დანარჩენი საზოგადო სახელებისა საოცარი თანდათანობით ხდება. ინტერფერენციის მოცემულ შემთხვევაში თვალსაჩინოდ ცხადდება მორფოლოგიური სიახლის დამკვიდრების საოცრად შეზღუდული თანდათანობითი ხასიათი, რაც ხელმძღვანელთა ეთანხმება სიახლის დანერგვისადმი ენის დრეკადობის ზღვარის მოთხოვნას.

17) წოვათუშური ენის ზმნასთან დაკავშირებით ბოლომდე მართლდება ზოგადი ენათმეცნიერების დებულება ინტერფერენტული პროცესებისადმი ამ მეტყველების ნაწილის განსაკუთრებული შეკრულ-შემოზღუდულობის შესახებ. ქართული ზმნის მორფოლოგიურ სისტემასთან მიმართებით ერთადერთ რეალურ ცარიელ ადგილს წოვათუშური ზმნის მხარეს გვარის კატეგორიის უქონლობა ქმნიდა. ყველა სხვა გრამატიკული კატეგორია, როგორც მონათესავე ენებს, მათ საერთო აქვთ, თუმცა განსხვავებულად გამოხატული. როგორც მოსალოდნელი იყო, დროთა სვლაში წოვათუშურმა ენამ ქართულიდან გადმოიტანა ანუ ისესხა მთლიანი სისტემა გვარისა თავისი ცნობილი ქვესახელებით, რომლებსაც ქმნიან მოქმედებით, ვნებით და საშუალო გვარის ზმნები. ასიმილაციის მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალი გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად საჭირო ყველა ფორმანტი წოვათუშურმა ენამ საკუთარი ინფენტარიდან აწარმოვა, ანუ სესხება მოცემულ შემთხვევაშიც ალგებრული ხასიათისაა.

18) მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ცარიელი ადგილი წოვათუშური ენის ზმნის პირის კატეგორიაში ქართულთან მიმართებით არსებულ ვითარებას. ზმნაში მოქმედი თუ სამოქმედო პირთა გამოხატვის საკუთრივ წოვათუშური ენის სისტემა კლასნიშნებზეა დაფუძნებული, რის მიხედვითაც ვარკვევთ მოქმედი თუ სამოქმედო პირების სოციალურ ღირებულებას, ქართულში კი იგივე მორფოლოგიური კატეგორია იმავე პირებს რომლობის მიხედვით ახასიათებს. გრამატიკული კლასის მორფოლოგიური მექანიზმი ისეთივე სისტემურია და მწყობრი, როგორც ეს გვაქვს პირის კატეგორიის შემთხვევაში. მიუხედავად აღ-

ნიშნულისა, წოვათუშურმა ენამ ორენოვნების უკვე მეორე პერიოდში ქართულიდან ისესხა ზმნის პირის გამონატვის ახალი სისტემა. ამ ვნით შეივსო წოვათუშურმა ენამ წყაროენასთან მიმართებით საკუთარი ზმნის მორფოლოგიურ სისტემაში არსებული პირობითი ცარიელი ადგილი, რის შედეგადაც მივიღეთ თავისებური პლენაზმი ანუ ერთი და იმავე კატეგორიის გამონატვის ორმაგი წოვათუშურ-ქართული მოდელი, რომელიც დღესაც, ბილინგვიზმის IV პერიოდში ისევ მხოლოდ პარალელურ გამოყენებაშია საკუთარ ოდენკლასოვან სისტემასთან. ახალი მორფოლოგიური კატეგორიისათვის წოვათუშურს წყაროენიდან თორმანტები არ შემოუტანია, სესხება ამჯერადაც ალგებრულია.

19) თავისებური ინტერფერენტული სიახლე დაფიქსირდა წოვათუშური ზმნის მორფოლოგიაში ასპექტის კატეგორიასთან დაკავშირებით. ორენოვნების წინა განვლილ საფეხურებზე წოვათუშური ენა ნასესხებ ზმნებს საკუთარ ფონოლოგიურ ყალიბში ატარებდა და ასპექტის გამონატვის საკუთარ სისტემაში აქცევდა. ბოლო IV პერიოდში უკვე მოიშალა ნასესხობათა წოვათუშური ენის რთულ ფონოლოგიურ მოდელზე აწყობის მოთხოვნა და მსესხებელ ენას გაუჭირდა ნასესხები ზმნების ასპექტის წარმოების საკუთარ მოდელში ჩართვა. ამ მიზეზით ბილინგვიზმის ბოლო პერიოდში მხოლოდ ნასესხები ზმნებისათვის წოვათუშურ ენაში ამოქმედდა ასპექტის გამონატვის ზმნისწინებზე დაფუძნებული ქართული სისტემა.

20) ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ “ენობრივი სისტემის ყველა ელემენტის ერთი ენიდან მეორეში შეღწევა ერთნაირად არ არის შესაძლებელი: იგი ჩვეულებრივია, მაგალითად, ლექსიკაში, არცთუ იშვიათია ბგერითი სისტემისა და სინტაქსური კონსტრუქციების სფეროში, მაგრამ უკიდურესად შეზღუდულია მორფოლოგიაში” (ა.მეიე). მოცემული შეზღუდულება მორფოლოგიის სფეროში ინტერფერენტულ პროცესთა შეღწევადობის სიღრმისა და მასშტაბების განსაკუთრებული შეზღუდულობის შესახებ მთლიანად მართლდება წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით. აღნიშნული თვა;ლსაზრისით მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ წოვათუშური ენის სახელისა და ზმნის მორფოლოგიაში ქართული ენის გავლენით დაფიქსირებული ცარიელი ადგილების შევსების სამადასამი ცდიდან მხოლოდ ერთი (ზმნის გვარი) დამკვიდრდა ბოლომდე, მეორე კატეგორია (პირის რომლობისა) ჯერ ისევ პარალელიზმის უფლებით სარგებლობს მხოლოდ კლასის კატეგორიასთან, მესამე კატეგორიის (წოდებითი ბრუნვის) დაწყებული სესხება კი მალევე

გადაიფიქრა ენამ. რაც შეეხება წყაროების გავლენით მსესხებელი ენის მორფოლოგიაში არსებული მეტობის მოხსნის ასევე შეზღუდული რაოდენობის ცდებს, ისინი დღემდე პარალელური გამოყენების უფლებით სარგებლობენ მხოლოდ.

21) ინტერფერენტული პროცესებისადმი მორფოლოგიური სისტემის განსაკუთრებული შეუვალლობის შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხანგრძლივი ორენოვნების მანძილზე ცარიელი ადგილების შესავსებად ნასესხები ზმნის გვარისა და პირის რომლობის კატეგორიების სახეობათა გამოსახატავად წოვათუშურს წყაროებიდან ერთი ფორმანტიც არ უსესხია, ყველა მათგანი საკუთარი ინვენტარიდან აწარმოვა. ამ მხრივ საინტერესო გამოხატვისაა გარკვეული ჯგუფის სახელებისათვის მორფემიანად ნასესხები წოდებითი ბრუნვა ქმნიდა. წოვათუშურმა ენამ საჭიროების თვალსაზრისით ძალევე გადაათვას ეს ფორმები, ბრუნვის ნიშანი სიტყვასაწარმოებელ ფორმანტად გადაიანზრა და მზა ფორმები წოდებითისა სახელობითში აიტანა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, რითაც საბოლოოდ ჩაიშალა ფორმანტის სესხების პროცესი.

22) ენის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით მრავლის მთქმელია ის გარემოება, რომ უკიდურესად განვითარებული წებილინგვიზმის პირობებში წოვათუშურმა სრულიად დამოუკიდებლად გნებითი გვარის ზმნებისათვის ახალი მორფოლოგიური კატეგორია შექმნა, რომლის მიხედვითაც არკვევა, თავისი ნება-სურვილით არის ჩართული სუბიექტი მოქმედება-უმოქმედობის პროცესში, თუ პირიქით. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წოვათუშურის არცერთ მონათესავე ენას და არც არამონათესავე მეზობელ ენას ეს კატეგორია ზმნისა არ გააჩნია. მთავარი კი მაინც ისაა, რომ წოვათუშურმა ახალი მორფოლოგიური კატეგორია მაშინ შექმნა, როცა ის ქართულზე გადართვის რეალურ საფრთხეში იყო მოქცეული და მასზე მოლაპარაკეთა შორის უკვე მიდიოდა ე.წ. თაობათა შორისი წყვეტა. მართლდება აზრი იმის შესახებ, რომ „ენა ცოცხალია მანამ, სანამ მასზე ორი ადამიანი კიდევ ელაპარაკება ერთმანეთს“.

23) საგულისხმოა, რომ რამდენადაც რთულად ხორციელდება ენებში მორფოლოგიური ინტერფერენტია (სიანლის თავისი საწყისი, გარდამავალი და საბოლოო დამკვიდრების ხანგრძლივი პერიოდებით), იმდენად უფრო სწრაფია და გამჭოლი სინტაქსური ინტერფერენტია, როცა ის წინადადებათა შეკავშირებისა და მათივე ფუნქციური დატვირთვის საკითხებს ეხება. დღეს წოვათუშურში, რომელის მორფო-

ლოგიატ მიუხედავად ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი აქტიური ზეგავლენისა, ჯერ ისევ თავისთავადია და განსხვავებული ქართული ენის მორფოლოგიისაგან, წინადადებათა აგებისა და მათივე ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით თითქმის სრული პარალელიზმი ფიქსირდება წყაროენასთან.

24) სინტაქსური გავლენის თვალსაზრისით თავისებურ გამოკლის ქმნის მარტივი წინადადება, სადაც მთავარი თუ მეორეხარისხოვანი წევრების ერთი წყება გვაქვს მხოლოდ და მორფოლოგიის დონეზე ზმნის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები წინადადების მოდელს ვერ ცვლის. განსხვავებული ვითარება გვაქვს ამ მხრივ შერწყმულსა თუ რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, სადაც სხვადასხვა სახის თავისებურებამ შეიძლება იჩინოს თავი ერთგვარი წევრებისა და ერთგვარი მარტივი წინადადებებისა თუ მთავარი და დამოკიდებული წინადადების შინაარსობრივ-ფორმობრივი ურთიერთმიმართების საკითხში.

25) ორნოვების თანამედროვე საფეხურზე წოვათუშური ენის კავშირანი შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართების მოდელები ფუნქციის მიხედვით მთლიანად ემთხვევა ქართულისას, რის გამოც გვაქვს უკვე იგივე საძიებო მაკალკეებელი, მაჯგუფებელი და მანრიზირებელი კავშირებისა. ჩამოთვლილ კავშირთა სახეობებიდან მაჯგუფებელი კავშირები წოვათუშურს მხოლოდ საკუთარი აქვს და ტიპობრივადაც ეს კავშირები მთლიანად განსხვავდება ქართულისაგან, მაკალკეებელ კავშირებში სჭარბობს ქართულიდან თარგმნილი თუ უთარგმნელად შემოტანილი ერთეულები, ხოლო ყველა მანრიზირებელი კავშირი ქართულია და უთარგმნელად არის შემოთანილი. აღნიშნული ვითარება იძლევა საყრდენს უცხოენობრივი ზეგავლენის პირობებში ამ ენის მიერ შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართების გამოხატვის განვლილი საფეხურების გასათვალისწინებლად.

26) თანწყობილ წინადადებასთან მიმართებით ინტერფერენტულ პროცესთა განხილვისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წოვათუშურ ენაში, ისევე როგორც ქართულში, მათემატიკური სიზუსტით ხდება შეთანაბრება-გატოლება იმ ფუნქციურ-შინაარსობრივი მიმართებებისა, რაც გვაქვს ერთის მხრივ, შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის, მეორეს მხრივ კი რთულ თანწყობილში შემაჯალ მარტივ თანაბარუფლებიან წინადადებებს შორის. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იჩენს იდენტური მოვლენების გაერთმინებელიანებისა და გამარტივების ზოგადი ენობრივი უნივერსალია.

სწორედ აღნიშნულ უნივერსალიას ეფუძნება ამჯერად ის გარემოება, რომ თანწყობილ წინადადებაში შემაჯავალი თანაბარი ფუნქციის მარტივ წინადადებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად თუ შუიკი ენა იყენებს იმავე საში ჯგუფის საკუთარსა, ქართულიდან თარგმნილსა თუ ისევე ქართულიდან უთარგმნელად შემოტანილ კავშირებს, რომელი კავშირებიც უკვე დაფიქსირდა შერწყმული წინადადების ერთგვარ წვერებთან მიმართებით. თანამედროვე წოვათუ შუიკი ენის შერწყმულსა თუ თანწყობილ წინადადებებში ერთგვარი წვერებისა თუ მარტივი წინადადებების მარტობელი საკუთარი და ნახესხები კავშირების სახით ერთმანეთს უბრისპირდება ორი განსხვავებული სისტემა. მათგან საკუთრივ თუ შუიკი სისტემა სუფიქსებზე აგებული, რომლებიც ზმნას დაერთვიან, ქართული სისტემა კი დამოუკიდებელ სიტყვებად წარმოდგენილ კავშირებს ეფუძნება.

27) ინტერფერენტულ პროცესთა სიღრმისა და მასშტაბების თვალსაზრისით საინტერესო ვითარება ფიქსირდება წინადადებათა ქვეწყობის სტეროშიც, სადაც ერთმანეთის გვერდით დამოუკიდებლად ფუნქციონირებს დაქვემდებარების საკუთარი და ნახესხები სისტემები. ეს არაა ჩვეულებრივი გრამატიკული პარალელიზმი, რადგან ამ სისტემებს აქვთ ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული სამოქმედო არეები.

ყველაზე დიდი თავისებურება დაქვემდებარების საკუთრივ წოვათუ შუიკი სისტემისა მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნურ ფორმათა ფუნქციურ ურთიერთმიმართებას ცალკე ანუ დამოუკიდებელ სიტყვებად წარმოდგენილი კავშირები კი არ განსაზღვრავს, როგორც ეს ქართულში ხდება, არამედ ზმნის კონკრეტული ღრმის ფორმაზე დართული მქვემდებარებელი სუფიქსები. თანამედროვე წოვათუ შუიკი ენაში აღნიშნული სახის მქვემდებარებელ სუფიქსებზე დაყრდნობით ხდება ორგანიზება საში სახის დამოკიდებული წინადადებისა, როგორცაა: დროს გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და პირობითი დამოკიდებული წინადადება. მათ შორის ქვეწყობის უძველესი მოდელი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სახითაა წარმოდგენილი, რადგან აქ ყველა სხვა სახის დამოკიდებული წინადადებისაგან განსხვავებით, შემასმენლები გამონატავენ არა დროს, არამედ მხოლოდ ასპექტს. როგორც ცნობილია, ისტორიულად ასპექტი უსწრებს დროს.

28) კოლექტიური ორენოვნების პერიოდის წოვათუ შუიკმა ენამ საოცარი სინუსტით გადმოიტანა თავის სინტაქსში წინადადებათა

დაქვემდებარების ის მოდელები, რაც წყაროენასთან მიმართებით თავისუფალ ადგილებს ქმნიდა მის მხარეს. საგულისხმოა, რომ ინტერფერენცია ენის ამ სფეროში ამით არ დამთავრებულა. ზებილინგეის მის პერიოდში წოვათუშურმა ენამ პარალელური გამოყენების უფლებით დაქვემდებარების ის მოდელებიც ისესხა, რომელიც მას საკუთარი ჰქონდა. ამ გზით ქართულში ფუნქციონირებადი წინადადებათა დაქვემდებარების 15 სახეობიდან მეტნაკლები სიმძირით დღეს ყველა იმარება ამ ენაში. საამისოდ წოვათუშურმა ენამ ზედმიწევნით თარგმნა და მიუსადაგა ქართული ენის ქვეწყობილი წინადადების კორელატებს, კავშირებსა თუ იმავე ფუნქციის მიმართებით ნაცვალსახელებსა ზმნიზედებს საკუთარი ლექსიკური ერთეულები.

29) დღეს, ორენოვანების ბოლო საფეხურზე, როცა უკვე განუკითხავად მკვიდრდება წოვათუშურში ქართულიდან თარგმნილი თუ თარგმნის გარეშე პირდაპირ შემოტანილი სხვადასხვა სახის ერთგვარ წევრთა თუ წინადადებათა მარტებელი და დაქვემდებარებელი კავშირები, ერთეული შემთხვევაც არ დასტურდება იმავე ფუნქციის საკუთარი არქაული ხმოვანსუფიქსიანი სისტემის ქართულით ჩანაცვლებისა. მას საიმედოდ იცავს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გამოყენებისა და ზეპირი ენისათვის მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა, რაც წარმოსათქმელად საჭირო დროისა და ენერჯის თვალსაზრისით აქვს ხმოვანსუფიქსიან მაკავშირებელ სისტემას დამოუკიდებელ სიტყვებად წარმოდგენილ კავშირიან სისტემასთან შედარებით.

30) არკვევა, რომ ენის დრეკადობას ანუ შემეუბნობას ინოვაციათა მიმართ გარკვეული ზღვარი აქვს, რის გამოც დაუშვებელია ყველა შესაძლო ცვლილება ერთდროულად განხორციელდეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე დამკვიდრდება ანუ დრეკადობის ზღვართან შესაბამისობაში მოექცევა გარკვეული რეალიები, როგორც ენისაგან უკვე გათავისებული, ინტერფერენტულ პროცესებში ჩაერთვება ახალი. ამ დროს ცალკეული მიჯროსისტემა სიანლოთა მიმართ ისე იქცევა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და გათვლაც ცვალებადი და უცვლელი ნაწილებისა ერთი მიჯროსისტემის ფარგლებში ხდება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ენაში ერთდროულად შეიძლება გაჩნდეს ინტერფერენციის ბევრი დამოუკიდებელი კერა. თუ წოვათუშურ-ქართული ორენოვანება ბოლომდე გაგრძელდება და რომელიმე ეტაპზე არ მოხდება წყაროენაზე ბილინგვთა სრული ვადართვა, მაშინ თანდათან და საფეხურებრივად ინტერფერენციის ობიექტი განდება მსესხებულ ენაში წყაროენასთან მიმართებით არსებული ყველა განსხვავება.

31) ნებისმიერ დონეზე ენობრივი იერარქიისა ინტერფერენტულ პროცესებს მართავს ორი მოთხოვნა:

1) უნდა შეივსოს მსესხებელი ენის ყველა “ცარიელი” ადგილი, რაც მას წყაროენასთან მიმართებით გააჩნია;

2) უნდა მოიხსნას ნებისმიერი “მეტობა”, რაც მსესხებელ ენას მოეპოვება წყაროენასთან მიმართებით.

სწორედ აღნიშნული კანონზომიერებითაა განსაზღვრული ყველა ცვლილება, რაც ორენოვნების ოთხივე პერიოდში დაფიქსირდა წოვათუშური ენის ლექსიკასა, ფონოლოგიასა, მორფოლოგიასა თუ სინტაქსში. ამ გზით, ცნაღია, ხდება თავისებური გაერთმინებელიანება კონტაქტში მყოფი ენებისა. იმდენად ზედმიწევნითაა ეს თანათუარდობა აღნიშნულ ორ მოთხოვნასა და წოვათუშურში ქართული ენის გავლენით მომხდარ ცვლილებებს შორის, რომ კონტაქტში მყოფ ენათა გრამატიკული სისტემების ურთიერთშეპირისპირებით შეიძლება წინასწარ განისაზღვროს მსესხებელ ენაში მოსალოდნელი ცვლილებები.

32) ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე მსესხებელ ენაში დაფიქსირებული გაფართოებული თუ დავიწროებული ნასესხობანი გვიჩვენებენ, რომ საყოველთაო ორენოვნებისა და წყაროენის ცოდნის ძალადი დონის დროს ბილინგვის აზროვნებაში ხდება მორიგება-გათანაბრება ორი სხვადასხვა ენობრივი სისტემისა. ძირითადი მიზეზი ორენოვნების ასეთი შედეგებისა, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ რამდენიმე წესით აზროვნება, ისევე როგორც მაგალითად ხელი იქნებოდა რიცხვთა სხვადასხვაგვარი სისტემების პარალელური გამოყენება თუნდაც ერთი და იმავე მათემატიკური პროცედურისათვის. სწორედ ამიტომ ჩნდება შეუცნობელი სწრაფვა ენათა გაერთმინებელიანებისაკენ და

გავლენაც ამ მიმართულებით ისევე სტიქიურია და შეუცნობელი, როგორც თვითონ აზროვნების პროცესი.

წოვათუშურ ენაში არსებული ვითარების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინტერფერენტული პროცესები ვერასოდეს მიიყვანს კონტაქტში მყოფ ენებს გაერთმინებელიანების იმ დონემდე, რომ მათი ერთ ენად შერწყმა მოხდეს. ორენოვნებამ მანამდე ზეზღინგვიზმის ძალიან გრძელი გზა უნდა განვლოს, რადგან თითოეულ ინოვაციას გამოყენების საკუთარი ტრადიცია სჭირდება დასამკვიდრებლად, თანაც ენის გასაგებობის მკაცრი პრინციპის მოთხოვნით ერთსა და იმავე მიკროსისტემაში რამდენიმე სახის ერთდროული სიხლე დაუშვებელია. სინამდვილეში, როგორც ეს წოვათუშურ-ქართული

ორენოვების ბოლო პერიოდის ვითარებით მტკიცდება, ზებილინგ-ვიზმის დადგომისთანავე იწყება ორენოვანი ინდივიდების გადართვა წყაროვნაზე და სათანადოდ ინტერფერენტული პროცესებიც წყდება. აღნიშნულის მიხედვით სხვაგვარად დგება გლობალიზებული მსოფლიოს ერთი ენის საკითხიც.

ლიტერატურა

1. აბაევი, 1956 – Абаев В. И., О языковом субстрате, Доклады и сообщения института языкознания АН СССР, №9, Москва.

2. აღმონი, 1955 – Адмон В. Г., Введение в синтаксис современного немецкого языка, Москва.

3. არჩილიანი, 1936 – არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი.

4. ახვლედიანი, 1939 – ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის სფუძვლები, თბილისი.

5. ბატონიშვილი, 1913 – ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი.

6. ბერტოლდი, 1972 – Бертольди В., Греческий и латинский: языки, служившие средством передачи местных традиций и орудием колонизации в западном средиморье, НЛ, VI, Москва.

7. გაფრანევი, 1972 – Гавранек Б., К проблематике смешения языков, Москва.

8. გაგუა, 1943 – გაგუა რ., ძირითადი და ერთთანდებულებიანი ბრუნვები ბაცბურში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

9. გაგუა, 1956 – გაგუა რ., ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, იკე, ტ. VIII, თბილისი.

10. გიგაშვილი, 2010 – გიგაშვილი ქ., თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, თბილისი.

11. გიგაშვილი, 2014 – გიგაშვილი ქ., წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბილისი.

12. გიულდენშტედტი, 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი.

13. გიულდენშტედტი, 1964 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი.

14. გლისონი, 1959 – Глисон Г., Дескриптивная лингвистика, Москва.

15. დეშერიევი, 1953 – Дешериев Ю., Бацкий язык, Москва.

16. დეშერიევი, 1963 – Дешериев Ю., Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и развития горских кавказских народов, АН СССР, Институт языкознания, Москва.

17. დეშერიევი, 1966 – Дешериев Ю., Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, Москва.

18. ერთელიშვილი, 1964 – ერთელიშვილი ფ., მორფემიზებული კომპლექსები ქართულში, იკე, ტ. XIV, თბილისი.

19. ვაინრაიხი, 1972 – Вайнрайх У., Одноязычие и многоязычие, НЛ, VI, Москва.

20. თოფურია, 1956 – თოფურია ვ., წოდებითი ბრუნვისათვის, კრებული: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

21. იმნაიშვილი, 1957 – იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

22. იმნაიშვილი, 1974 – იმნაიშვილი ი., ასპექტისა და დროთა წარმოების ისტორიული ურთიერთობისათვის ნახური ჯგუფის ენებში, იკე, ტ. XIX, თბილისი.

23. კრისტალი, 2007 – D. crystal, How language works, Penguin Books, 2007.

24. მაკალათია, 1983 – მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი.

25. მარი, 1926 – Марр Н., Пособие для изучения живого грузинского языка, Труды яфетического языкознания, Ленинград.

26. მარტინე, 1972 – Мартине А., Распространение языка и структурная лингвистика, НЛ, VI, Москва.

27. მეიე, 1938 – Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва.

28. მეიე, 1976 – Мейе А., Сравнительный метод в историческом языкознании, в кн.: Развитие национально-русского двуязычия, Москва.

29. მიხალჩენკო, 1976 – Михальченко В., Условия развития литовско-русского двуязычия, Москва.

30. მიქელაძე, 2008 – მიქელაძე მ., ინტერფერენტული პროცესები

წოვათუ შურ ენაში, | ნაწილი, ლექსიკა და ფონოლოგია, თბილისი.

31. მიქელაძე, 2013 – მიქელაძე მ., წოვათუ შური ზმნის მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.

32. მიქელაძე, 2015 – მიქელაძე მ., თანამედროვე წოვათუ შური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, თბილისი.

33. მიქელაძე, 2018 – მიქელაძე მ., თანამედროვე წოვათუ შური ენის შერწყმული და რთული წინადადების სინტაქსი, თბილისი.

34. ნიკოლსკი, 1976 – **Никольский Л., Синхронная социолингвистика, Москва.**

35. ნოზაძე, 1995 – ნოზაძე ნ., ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის ქართველურ ენებში, იკე, ტ. XXXIII, თბილისი.

36. ქვენტი, 1946 – ქვენტი ს., შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, იკე, ტ. I, თბილისი.

37. როსეტი, 1972 – **Росетти А., Смешанный язык и смешение языков, НЛ, VI, Москва.**

38. უთურგაძე, 1960 – უთურგაძე თ., თუ შური კილო, თბილისი.

39. უთურგაძე, 1976 – უთურგაძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

40. უთურგაძე, 1986 – უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი.

41. უთურგაძე, 2002 – უთურგაძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი.

42. უსლარი, 1987 – **Услар П., Этнография Кавказа, Языкознание, I, Тифлис.**

43. ტრუბეცკოი, 1960 – **Трубейской Н., Основы фонологии, Москва.**

44. ფანჩვიძე, 1974 – ფანჩვიძე ვლ., უღური ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

45. ფოგტი, 1961 – ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

46. ფუკო, 2004 – ფუკო მ., სიტყვები და საგნები, თბილისი.

47. ქადაგიძე, 1984 – ქადაგიძე დ. და ნ., წოვათუ შურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

48. შანიძე, 1980 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი.

49. შიფნერი, 1856 – **Schiefner, A., Versuch über die Thusch-Spra-**

che oder die Khistische Mundart in Thuschetien, St.-Pétersburg.

50. შჩერბა, 1958 – Щерба Л., О понятии смешения языков, в кн.: Л. Щерба, Избранные работы по языкознанию и фонетике, I, Ленинград.

51. ჩიქობავა, 1942 – ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

52. ჩიქობავა, 1998 – ჩიქობავა არნ., რა თავისებურება ახასიათებს ქართული ზმნის აგებულებას, თბილისი.

53. ჩიქობავა, 1975 – Чикобава Арн., Отраслевая лексика и научная актуальность её изучения, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, Тбилиси.

54. ცისკაროვი, 1948 – Цискаров И., Краткая Тушино-цовская Грамматика, Рукопись, Архив востоковедения ИВ АН СССР, разряд 2, опись №2(20), Ленинград.

55. ძიძიგური, 1941 – ძიძიგური შ., ცნება სინონიმური პარალელური ზმისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №7, თბილისი.

56. ძიძიგური, 1960 – ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი.

57. ძიძიგური, 1968 – Дзидзигури Ш., Грузинский язык, Тбилиси.

58. ჭრელაშვილი, 2002 – ჭრელაშვილი კ., წოვათუშური ენა, თბილისი.

59. ჭუმბურიძე, 1986 – ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი.

60. ჯაფახიშვილი, 1992 – ჯაფახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. X, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი.

61. ჯორბენაძე, 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი.

62. ჰაუგენი, 1972 – Хауген Э., Процесс заимствования, НЛ, VI, Москва.

სარჩევი

შესავალი..... 3

ნაწილი I

**ინტერფერენტული პროცესები ლექსიკასა და ფონოლოგიაში
თავი პირველი. სიტყვათა სესხებისა და დაკარგვის პროცესები ორენოვნების
საფენურებთან მიმართებით**

შესავალი..... 20

§1. სიტყვათა სესხება და ორენოვნების საფენურები.....21

§2. მეტყველების ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით.....31

§3. სიტყვათა დაკარგვა..... 40

თავი მეორე. ლექსიკურ ნასესხობათა ტიპები

შესავალი.....45

§1. საკუთრივ ნასესხები სიტყვები 47

§2. ჰიბრიდული ნასესხობანი56

§3. შენაცვლებული ნასესხობანი, ანუ კალკები.....59

§4. გაფართოებული და დავიწროებული ნასესხობანი62

**თავი მესამე. წოვათუშური ენის სიტყვათა ფონოლოგიური მოდელი და
მისი ასახვა ლექსიკურ ნასესხობებში**

შესავალი..... 65

§1. წოვათუშური ენის სიტყვათმოდელი66

§2 ხმოვანთა რედუქციის პროცესი წოვათუშურ ენაში და მისი ასახვა
ლექსიკურ ნასესხობებში.....70

§3 თანხმოვანთა განაწილების თავისებურება წოვათუშური
ენის სიტყვებში და მისი ასახვა ლექსიკურ ნასესხობებში..... 80

ნაწილი II

ინტერფერენტული პროცესები წოვათუშური ენისმორფოლოგიასა და სინტაქსში

თავი პირველი. ინტერფერენტული პროცესები სახელთა მორფოლოგიაში	
შესავალი.....	87
§1. ერგატიული ბრუნვა ინტერფერენტის თვალსაზრისით.....	88
§2. სახელთა მრავლობითის ფორმები.....	96
§3. „თეთრი ლაქები“ სახელთა ბრუნების პარადიგმაში.....	102
§ 4. სიანლე სახელის გრამატიკული კლასის კატეგორიაში.....	109
§ 5. ნასესხებ ზედსართავ სახელთა ბრუნების პარალელური პარადიგმები.....	114
თავი მეორე. ინტერფერენტული პროცესები ზმნის მორფოლოგიაში	
შესავალი.....	121
§ 1. ზმნის პირის გამონატვის ორმაგი წოვათუშურ-ქართული მოდელი.....	123
§ 2. სიანლე ზმნის სრული ასპექტის გამონატვის სისტემაში.....	135
§ 3. გვარის კატეგორია – სიანლე წოვათუშური ზმნის მორფოლოგიაში.....	139
თავი მესამე. წოვათუშური ენის სინტაქსი ინტერფერენტის თვალსაზრისით	
შესავალი.....	152
§. 1 შერწყმული წინადადება.....	153
§. 2 თანწყობილი წინადადება.....	162
§ 3. რთული ქვეწყობილი წინადადების სინტაქსი.....	166
დასკვნა.....	174
ლიტერატურა.....	187